



ჯეინს ოსტონი
სიანაყე და
ცრურნებნა



სიამაყე და ცრურწმენა



თავი პირველი

საყოველთაო ჭეშმარიტებად მიიჩნევა, რომ უცოლო და მდიდარი კაცი იმთავითვე ცოლის შერთვას მოიწადინებს. ჰოდა, როცა ასეთი კაცი შენს მეზობლად ესახლება, ჯერ წესიერადაც რომ არ იცნობდე, მაინც იმას გაიფიქრებ, ჩემს ქალიშვილს ბედმა გაუღიმაო.

– ძვირფასო, – უთხრა მისტერ ბენეტს მეუღლემ, – გაიგე, რომ ნეზერფილდპარკი როგორც იქნა, გაქირავდა?

– არა, არ გამიგია, – უპასუხა მისტერ ბენეტმა.

– ჰო, აბა! ლონგმა მითხრა.

მისტერ ბენეტი დუმდა.

– რატომ არ მეკითხები, ვინ იქირავაო?! – მოუთმენლობისგან კინაღამ იყვირა ცოლმა.

– რადგან ასე გინდა თქმა, მითხარი, ყურადღებით გისმენ.

ცდუნება დიდი იყო და მისის ბენეტმაც ვერ მოითმინა:

– ძვირფასო, ლონგმა ყველაფერი მიაგმო. ნეზერფილდი ერთმა ძალზე მდიდარმა ახალგაზრდა კაცმა იქირავა. თურმე ჩრდილოეთიდან არის. ორშაბათს ოთხცხენიანი კარეტით მოსულა და ადგილი ისე მოსწონებია, რომ მისტერ მორისისთვის დასტური დაუყოვნებლივ მიუცია, კვირის ბოლომდე მსახურებს გამოვგზავნიო.

– რა ჰქვია?

– ბინგლი.

– დაქორწინებულია თუ არა?

– უცოლოა, ძვირფასო! უცოლო და თანაც საარაკო სიმდიდრის პატრონი! ოთხი-ხუთი ათასი აქვს წლიური შემოსავალი. რა კარგია! ჩვენს ქალიშვილებს როგორ გაუმართლა, არა?

– გაუმართლა?

– მაკვირვებ, პირდაპირ. ნუთუ ვერ ხვდები... ერთერთი ჩვენი ქალიშვილი ცოლად რომ შეერთოს...

– ეს გეგმაში აქვს თუ?..

– გეგმაში აქვსო?! რას ამბობთ, ძვირფასო. ხომ შეიძლება, ერთერთი ჩვენი გოგონა შეუყვარდეს. არა, დაუყოვნებლივ უნდა ესტუმრო, როგორც კი გამოჩნდება!

– ვესტუმრო? უხერხულია. უმჯობესია, შენ წახვიდე ან მარტო გოგონები გაუშვა. ასე აჯობებს! მისტერ ბინგლის შენი მისვლა უფრო გაუხარდება. სილამაზით არც ერთ ჩვენს ქალიშვილზე ნაკლები არა ხართ.

–ძვირფასო, ნუ მთაფლავ! ლამაზი ერთ დროს მართლაც ვიყავი. მაგრამ ახლა, ხუთი მოწიფული ქალიშვილის დედას მსგავს რამეზე ფიქრი არ შემეფერის.

–ჰო, ასეთ დროს ქალებს სილამაზე მართლაც არ ჰყოფნით...

–ძვირფასო, უეჭველად უნდა წახვიდე და ინახულო მისტერ ბინგლი.

–ამისთვის მე ვერ გამოვდგები, ჩემო კარგო.

–შვილებზე იფიქრე! ეს რომ მართლაც მოხდეს, ერთ-ერთ ჩვენს ქალიშვილს დიდი ბედნიერება ელის. უნდა წახვიდე. მისტერ უილიამი და ლედი ლუკასიც მიდიან. მგონი იმათაც რაღაცის იმედი აქვთ, თორემ როდის იყო ახალ მეზობლებს სტუმრობდნენ. თუ არწახვალ, ვერც ჩვენ წავალთ.

–სულ ტყუილად იკავებ თავს. მისტერ ბინგლის თქვენი ნახვა გაუხარდება. მე, ჩემდათავად, წინააღმდეგი როდი ვიქნები, თუ რომელიმე შვილის ხელს მთხოვს. ისე კი, ლიზის ვურჩევდი...

–რატომ? ლიზი არც არავისზე მეტია და არც ნაკლები. ის კი არა, ჯეინი უფრო ლამაზია და ლილია უფრო მხიარული. შენ ლიზი მაინც გამორჩეულად გიყვარს.

–არც ერთი არ უქნია ღმერთს! – უთხრა მისტერ ბენეტმა, – ხუთივე უტვინოა! მაგრამ დანარჩენებთან შედარებით ყველაზე გონიერი მაინც ლიზია.

–ასე აუგად რატომ ახსენებ შენს ქალიშვილებს და რატომ მაბრაზებ? ჩემს ნერვებს რატომ არ უფრთხილდები!..

–ცდები, ჩემო კარგო, შენს ნერვებს უდიდეს პატივს ვცემ, სულ ცოტა, ოცი წელიწადია, რაც მათთან დამამეგობრეთ.

–თქვენ არ იცი, რას განვიცდი.

–არა უშავს, ძვირფასო, მაგასაც მოერევი და დიდხანს იცოცხლებ, რომ კიდევ ბევრი ასეთი ახალგაზრდა კაცი გაიცნო, რომელიც მეზობელ მამულს იყიდის და საარაკო სიმდიდრის პატრონი იქნება.

–ჰო, მაგრამ შენ თუ არ ესტუმრები, რა აზრი აქვს... ოცი მაგისტანა ყმაწვილიც რომ ჩამოესახლოს.

–კარგი, ძვირფასო, როცა ოცივე შეგროვდება, ყველას ერთად ვესტუმრები.

მისტერ ბენეტმა ხუმრობა, სარკაზმი და თავშეკავებული ახირება ერთმანეთს ისევ მოხდენილად შეუზავა. ასეთი რთული ხასიათის ამოსაცნობად ოცდასამწლიანი თანაცხოვრება როდი კმარა. მისი ბენეტი კი გულმარტივი, სულმდარე და ცოტა უმეცარიც იყო. რამე რომ არ აკმაყოფილებდა, ნერვების მოშლას იმიზეზებდა ხოლმე. ქალიშვილების

გათხოვება ცხოვრების მიზნად აქცია. სტუმრად წასვლა და წაჭორავება ხომ შვება იყო მისთვის.

თავი მეორე

მისტერ ბენეტი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც მისტერ ბინგლის ელოდებოდა. ყოველთვის სურდა სტუმრად სწვეოდა. თუმცა ბოლოს მაინც გადაიფიქრა და ცოლი დაარწმუნა, არ წავალ. ცოლმა არაფერი იცოდა იმ საღამომდე, როცა ყველაფერი ნათელი გახდა მისთვის და აი, როგორ:

მისტერ ბენეტის მეორე ქალიშვილი, ლიზი შლაპას აწესრიგებდა, როცა ბენეტმა ასეთი რამ უთხრა:

–ალბათ მისტერ ბინგლის მოეწონება, არა, ლიზი?..

–ალბათ ვერასოდეს შევიტყობთ, რა მოსწონს, ჩვენ ხომ არ მივდივართ! – უკმეხად მიაგება ქმარს მისის ბენეტმა.

–მაგრამ შენ გავიწყდება, დედა, რომ ჩვენ მას საზოგადოებაში გასვლისთანავე შევხვდებით. მისის ლონგი დაგვპირდა, გაგაცნობთო, – დაამშვიდა ელიზაბეთმა.

–მისის ლონგი? ამას არ გააკეთებს, მას ხომ ორი გასათხოვარი დისშვილი ჰყავს, თანაც შურიანი და ფარისეველი ქალია. მე არ მომწონს.

–ეგ ქალი არც მე მომწონს, – თქვა მისტერ ბენეტმა, – მიხარია, რომ მას არ შეაჩერდებით.

მისის ბენეტს მართალია, არაფერი უთქვამს, მაგრამ ისე იყო აღელვებული, რომ ბრაზი უმცროს ქალიშვილზე, ქითიზე გადმოანთხია:

–ოჰ, ღმერთო ჩემო, ქითი, როგორ ახველებ, ვერ ხედავ, ნერვები რა დღეში მაქვს, ცოტა მაინც დამინდე.

–ქითიმ სულ არ იცის მორიდება, ისე ახველებს, – დაუმოწმა მისტერ ბენეტმა.

–განა ძალით ვახველებ! – გაბრაზდა ქითი, – ლიზი, როდის მიდიხარ მეჯლისზე?

–ორი კვირის შემდეგ.

–კი, ასეა, – წამოიძახა მისის ბენეტმა, – და მისის ლონგი მხოლოდ წინააღმდეგ ჩამოდის, ამიტომ მისტერ ბინგლის გაცნობა, ცხადია, ვერ მოხდება.

–ამიტომ, ძვირფასო, შენი მეგობრის მოვალეობას შენ აიღებ შენს თავზე და შენვე გააცნობ.

–შეუძლებელია, ჩემო კარგო! შენ რა, დამცინი? მე ხომ თავად არ ვიცნობ მისტერ ბინგლის.

-ბარაქალა, შენს წინდახედულობას! ორკვირიანი ნაცნობობა მართლაც ცოტაა. აბა, ორ კვირაში როგორ შეიცნობ კაცის ხასიათს. მაგრამ, ძვირფასო, თუ ჩვენ არ გამოვიჩინოთ ფხას, სხვები გვაჯობებენ. მისის ლონგი და მისი ქალიშვილები ჩვენ არ დაგველოდებიან. ამიტომ, ვგონებ კეთილ საქმედ ჩამეთვლება თუ მე თვითონ მოვაგვარებ გაცნობის ორგანიზებას.

მისტერ ბენეტის ქალიშვილები მამას მიაჩერდნენ. მისის ბენეტმა, სისულელეაო, ჩაილაპარაკა.

-რა არის სისულელე? - იფეთქა მისტერ ბენეტმა, - გაცნობა მთელი თავისი მღელვარებითა და დამაბულობით სისულელეა? მაპატიე, მაგრამ ვერ დაგეთანხმები. აბა, მერი, შენ რას იტყვი, შენ ხომ ძალზე ჭკვიანი და წიგნიერი გოგო ხარ.

მერის რაღაც გონივრულის თქმა სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა.

-სანამ მერი ფიქრობს, მოდი ისევ მისტერ ბინგლის დავუბრუნდეთ.

-დავიღალე ამ მისტერ ბინგლის ხსენებით, - იფეთქა ცოლმა.

-ააჰ, დაიღალე? არ ვიცოდი, რატომ აქამდე არ მითხარი, ეს რომ მცოდნოდა, ამ დილით არ ვესტუმრებოდი. ოი, რა საწყენია. მაგრამ მე უკვე ვესტუმრე და მისი გაცნობა მაინც არ აგცდებათ.

ქალბატონები ისე განცვიფრდნენ, ცხადი იყო, რომ მისტერ ბენეტსაც ეს უნდოდა. მისის ბენეტმა ვერ დაფარა გაოცება და სიხარული და თქვა, რომ ამაზე ოცნებობდა.

-რა კეთილი ხარ, მისტერ ბენეტ! მე ხომ ვიცოდი, რომ დაგითანხმებდი. შენ ისე გიყვარს შვილები, რომ ამას ვერ უგულუბელყოფდი. ო, როგორ მიხარია! რა ხუმარა ხარ, ღმერთო ჩემო, დილით წასულხარ, მისტერ ბინგლი გაგიცვნია და ჩვენთვის ერთი სიტყვაც არ გითქვამს.

-აბა, ქითი, ახლა რამდენიც გინდა, იმდენი ახველე, - უთხრა მამამ ქითის და ცოლის ემოციებით დაღლილი ოთახიდან გავიდა.

-რა კარგი მამა გყავთ, შვილებო! არ ვიცი თუ ოდესმე შეძლებთ მშობლების სიკეთის გადახდას. ახლანდელ დროში მთლად სასიამოვნო როდია ვინმეს გაცნობა, მაგრამ თქვენთვის ყველაფერს გავაკეთებთ. ლიდია, ჩემო ტკბილო, შენ ხომ ყველაზე პატარა ხარ, მაგრამ აი, ნახე, თუ მისტერ ბინგლიმ შენთან არ იცეკვოს შემდეგ მეჯლისზე.

-ჰოდა, ძალიანაც კარგი, - წამოიძახა ლიდიამ, - ყველაზე უმცროსი კი ვარ, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველაზე მაღალიც ვარ.

დანარჩენი საღამო იმაზე საუბრობდნენ, თუ როდის ესტუმრებოდათ მისტერ ბინგლი და როდის მოეწვიათ სადილზე.

თავი მესამე

მართალია, მისის ბენეტმა და მისმა ქალიშვილებმა სცადეს მისტერ ბენეტისთვის ეთქმევიანებინათ, როგორია მისტერ ბინგლიო, – მაინც არაფერი გამოუვიდათ. თავს სხვადასხვაგვარი შეკითხვით დაესხნენ: პირდაპირაც ჰკითხეს, არაპირდაპირაც, შეფარვითაც, მაინც ვერაფერი დააცდენინეს და ბოლოს მეზობლის, ლედი ლუკასის ინფორმაციას დასჯერდნენ.

ამ ქალბატონის ქმარი მისტერ ბინგლის საკმაოდ მოეხიბლა. მისივე ცნობით, მისტერ ბინგლი ახალგაზრდა, სიმპათიური და სასიამოვნო ყმაწვილი გახლდათ. თურმე მომავალ მეჯლისზე გამოჩნდებოდა! ამაზე სასიხარულო რა უნდა ყოფილიყო! კაცს, რომელსაც ცეკვა უყვარს, ქალიც იოლად შეუყვარდება. ყოველ შემთხვევაში, გულში მაინც ჩაუვარდება.

–ოჰ, ღმერთო, ერთი ქალიშვილი მაინც რომ გახდეს ნეზერფილდის დიასახლისი და სხვებიც ასეთივე ბედში ჩავარდნენ, მეტი არაფერი მინდა, – შენატრა ქმარს მისის ბენეტმა.

რამდენიმე დღის შემდეგ მისტერ ბინგლი ბენეტებს ეწვია და მისტერ ბენეტის ბიბლიოთეკაში ათიოდე წუთი გაატარა. იმედოვნებდა, რომ გაიცნობდა ქალიშვილებს, რომელთა სილამაზის შესახებ ბევრი რამ სმენოდა. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ გოგონების მამას ხედავდა. გოგონებს, ალბათ, უფრო გაუმართლათ, რადგან ზემოთა ფანჯრიდან ჩუმად უჭვრეტდნენ მისტერ ბინგლის ლურჯ მოსასხამს და ეზოში ხედავდნენ შავ ცხენს, რომლითაც აქ მოვიდა.

მისტერ ბინგლი სადილზე არ დარჩა, რადგან მეორე დღეს ქალაქში უნდა წასულიყო. მისის ბენეტი ამის გამო უკმაყოფილო დარჩა, რადგან უკვე გეგმავდა, სადილზე რა კერძები გამოეტანა, რომ თავისი ხელმარჯვე დიასახლისობა ეჩვენებინა. მაგრამ ყველაფერი გადაიდო. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ ჰერთფორდში ჩამოსვლისთანავე მისტერ ბინგლის ქალაქში გამგზავრება მოუწევდა. შეშინდა კიდევ: იფიქრა, ალბათ, ასე იფრენს ერთი ადგილიდან მეორეზე და ნეზერფილდში არ დამკვიდრდებაო. ლედი ლუკასმა დაამშვიდა და უთხრა, ლონდონში გრანდიოზულ ბანკეტზე უნდა მისულიყო თორმეტი ქალბატონისა და შვიდი ბატონის თანხლებით, ამიტომ წავიდაო. გოგონებს ამდენი ქალბატონის გაგონება ეწყინათ, თუმცა მერე მაინც დამშვიდდნენ, რადგან სწორედ მეჯლისის წინა დღეს შეიტყვეს, რომ მისტერ ბინგლის თორმეტის ნაცვლად ექვსი ქალიშვილი უნდა ხლებოდა: ხუთი და და ერთი ბიძაშვილი. და ბოლოს, როცა მეჯლისის დროც მოვიდა, მისტერ ბინგლის მხოლოდ ოთხი ადამიანი ახლდა: ორი და, სიძე და კიდევ ერთ იყმაწვილი.

მისტერ ბინგლი მართლაც ძალზე სიმპათიური აღმოჩნდა. ნამდვილი ჯენტლმენი იყო. დახვეწილი და ძალდაუტანებელი მიხრა-მოხრა ჰქონდა. მისი დებიც მასავით დახვეწილი და თავდაჯერებულები იყვნენ. სიძე, მისტერ ჰერსტიც ღირსეული კაცი გახლდათ. მისმა მეგობარმა, მისტერ დარსიმ მოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება ახოვნებითა და მშვენიერი გარეგნობით, თუმცა მისი მოსვლიდან ხუთი წუთის განმავლობაში საუბრობდნენ არა მის დახვეწილ გარეგნობაზე, არამედ იმის შესახებ, რომ

წელიწადში ათი ათასი გირვანქა ჰქონდა შემოსავალი. მამაკაცებს მოეწონათ მისტერ დარსი, ქალებმა აღნიშნეს, რომ გარეგნობით მისტერ ბინგლისაც კი სჯობდა და მთელი საღამო თუ არა, ნახევარი მაინც მასზე იყო მიპყრობილი სტუმართა ყურადღება. მაგრამ ბოლოს ისეთი ამპარტავნობა გამოამჟღავნა, რომ მისდამი ინტერესი განელდა. ახლა უკვე დერბიშირის უზარმაზარი მამულიც კი ვეღარ იხსნიდა იმ ზიზღისგან, რაც მისმა ამპარტავნულმა ქცევამ გამოიწვია. მის მეგობართან შედარებით მართლაც აუტანელი იყო.

ხალისიანი და მეგობრული მისტერ ბინგლი ყველას გაეცნო, არც ერთი ცეკვა არ გამოუტოვებია და პირობა დადო, ნეზერფილდში მეჯლისს გავმართავთო. ეწყინა, რომ ეს მეჯლისი ძალიან მალე დასრულდა. ო, როგორ განსხვავდებოდნენ ის და მისი მეგობარი ერთიმეორისგან! ეს რა მეგობრული და უბრალო იყო! მისტერ დარსიმ მხოლოდ ერთხელ იცეკვა მისის ჰერსტთან და მის ბინგლისთან. სხვა ქალბატონების გაცნობა არ ისურვა. მთელი საღამო ბოლთას სცემდა და მხოლოდ თავის ნაცნობებს ესაუბრებოდა. ყველამ ამოიცნო მისი ხასიათი. გოროზი და უსიამოვნო კაცის შთაბეჭდილება დატოვა. უკვე აღარავის სურდა მისი ხელმეორედ ხილვა. მისის ბენეტი სულ გააცოფა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი ერთერთი ქალიშვილისადმი შეუფერებელი უპატივცემულობა გამოიჩინა.

ელიზაბეთ ბენეტს, ჯენტლმენტა სიმცირის გამო, ორი ცეკვის განმავლობაში ჯდომამ მოუწია და შემთხვევით იქვე შორიახლოს მდგარი ბინგლისა და დარსის საუბარს მოჰკრა ყური:

–კარგი, დარსი, გეყოფა! ცეკვა უნდა გაიძულო, ნუ დგახარ ასე სულელურად, ჯობია, იცეკვო.

–რავითარ შემთხვევაში! უცხოსთან არ ვიცეკვებ. ამ წვეულებაზე კი არავის გაცნობა არ მოგიწდება. შენი დები სხვებთან ცეკვავენ, სხვა ქალებთან ცეკვით კი თავს ვერ დავისჯი

–საიდან ასეთი ქედმაღლობა! ღმერთო ჩემო, – წამოიყვირა ბინგლიმ, – დღეს აქ იმდენი მშვენიერი გოგონაა, და ზოგი მათგანი მართლაც რომ უჩვეულოდ ლამაზია!

–ყველაზე სიმპათიურ გოგონასთან შენ ცეკვავ, – უთხრა დარსიმ და ბენეტების უფროს ქალიშვილს შეხედა.

–ის ხომ უმშვენიერესი ქმნილებაა! ჰო, მაგრამ მისი ერთერთი და სწორედ აქვე ზის, შენ უკან, ისიც ძალიან ლამაზია და მე ვიტყვოდი, ძალიან სანდომიანი. ნება მომეცი, გაგაცნო.

–რომელზე ამბობ? – და დარსი შებრუნდა, რომ ელიზაბეთისთვის შეეხედა. მერე ცივად წამოიძახა: –ჰო, არა უჭირს რა, მაგრამ ჩემი ცდუნებისთვის მეტია საჭირო. ქალებს, რომელთაც სხვა კაცები არ ეცეკვებიან, მე ვერაფერს ვუშველი. ჯობია შენს პარტნიორს დაუბრუნდე და მისი ღიმილით დატკბე, რადგან ჩემთან ლაპარაკით დროს კარგავ.

ეს თქვა თუ არა, დარსი გაერიდა ბინგლის, რომელიც მის რჩევას მიჰყვა. ელიზაბეთმა ყველაფერი გაიგონა და მეგობრებსაც სიცილ-კისკისით უამბო.

საღამომ მაინც სასიამოვნოდ ჩაიარა. უფროსმა ქალიშვილმა ყველა მოხიბლა. დედამისი, მისის ბენეტი ბინგლიმ ორჯერ აცეკვა. ეს მისმა დებმაც შეამჩნიეს და ძალიან ესიამოვნათ, თუმცა არაფერი უთქვამთ. მერიმ ყური მოჰკრა, მის ბინგლის როგორ უქეს მისი პიროვნება. ჯეინი და ელიზაბეთი ჩუმად ტკბებოდნენ ამ ყველაფრით. ხოლო უმცროს დებს, ქეთრინსა და ლიდიას ის უხაროდათ, რომ ცეკვა არ გამოუტოვებიათ. ლონგბერნში, თავიანთ სოფელში კარგ ხასიათზე დაბრუნდნენ. ამასობაში მისტერ ბენეტს არ ეძინა. წიგნის კითხვაში დრო ისე გაპარულიყო, ვერც გაეგო. ამჯერად ბენეტმა დიდი ინტერესი და ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა და ჰკითხა, როგორ ჩაიარა მეჯლისმაო. იფიქრა, ალბათ, ჩემს ცოლს ბინგლი არ მოეწონებაო, მაგრამ თურმე ცდებოდა.

–ოჰ, მისტერ ბენეტ, რა შესანიშნავი საღამო იყო! ნეტავ შენც იქ ყოფილიყავი. ყველა ჯეინს შეტრფოდა და ეთაყვანებოდა. მისტერ ბინგლიმ ორჯერ იცეკვა მასთან! ორჯერ წარმოგიდგენია, ძვირფასო! პირველად მის ლუკასი გამოიცეკვა. ისე გავლიზიანდი, თუმცა მისით სულაც არ მოხიბლულა. სულელი უნდა იყო, რომ იმ გოგონამ მოგხიბლოს! ჯეინმა აღაფრთოვანა. იკითხა, ვინ არისო და მეორედაც გაიწვია. მის კინგთან იცეკვა რამდენიმე წამს და მარია ლუკასთან. მერე ლიზისთან და ბულანგერებთანაც...

–ოჰ, სულ არ ვეცოდები, თორემ ამდენს არ იცეკვებდა! შემიბრალე, ძვირფასო, და ნუღარ ახსენებ, კიდევ ვისთან იცეკვა მისტერ ბინგლიმ! პირველივე ცეკვისას რატომ ფეხი არ მოსტყდა!

–ოჰ, ძვირფასო, როგორ მომწონს, რა მშვენიერი ყმაწვილია! რა მომხიბვლელი დები ჰყავს. როგორ უზადოდ ეცვათ, ღმერთო ჩემო, ასეთი მშვენიერი კაბები ჩემს დღეში არ მინახავს. მისის ჰერსტის კაბის მაქმანი...

მაგრამ მისტერ ბენეტმა ისევ გააწყვეტინა. იგი ვერ იტანდა ვერავითარ აღწერილობას სამოსისა. ამიტომ ცოლმა თემა შეცვალა და ახლა ოდნავ გაღიზიანებული მისტერ დარსის უხემ მანერებზე ალაპარაკდა.

–იმ ვაჟბატონს თუ არ მოეწონა, ამით ლიზის არაფერი დაუკარგავს, რადგან უხამსი და საშინელი კაცია. ისეთი ამპარტავანია, რომ ერთ წამსაც ვერ აიტანს! აქეთ-იქით გაჯგიმული დადის, თავი დიდი ვინმე ჰგონია! ისეთი სიმპათიურიც არ არის, რომ მასთან ცეკვა მოგიხდეს. ნეტავ იქ ყოფილიყავი, ძვირფასო, რომ ერთი ჰკუა გესწავლებინა იმ თავხედი კაცისთვის!

თავი მეოთხე

ჯეინი და ელიზაბეთი რომ მარტო დარჩნენ, ჯეინმა აღფრთოვანება ვერ დამალა, ისე აქო მისტერ ბინგლი, თუმცაღა ადრე ცოტა თავს იკავებდა.

-იგი ახალგაზრდა კაცის იდეალია, ჭკვიანი, იუმორითა და სიცოცხლით სავსე. ადრე არასოდეს შემხვედრია ასეთი ყმაწვილი, რომელიც სხვებსაც ბედნიერებას ანიჭებს. რა თავისუფალი მანერები აქვს, რა კარგადაა აღზრდილი!

-სიმპათიურიცაა, - დაამატა ელიზაბეთმა, მამაკაცი სიმპათიურიც უნდა იყოს, ის ყოველმხრივ სრულყოფილია.

-მეორედ რომ გამიწვია საცეკვაოდ, ავლელი, რადგან ამას ნამდვილად არ ველოდი.

-მე კი ველოდი, რომ მეორედაც გაგიწვევდა. აი, რა განსხვავებაა ჩვენ შორის. შენ კომპლიმენტი გათრობს და გხიბლავს, მე კი არასოდეს. ეს ხომ ბუნებრივად მოხდა. მან დაინახა, რომ მეჯლისზე ყველაზე ლამაზი იყავი. ამისთვის მადლობა ნამდვილად არ ეკუთვნის. ძალიან მიმზიდველი კაცია და აირჩიე. ადრე სულ არაფრის მაქნისები მოგწონდა ხოლმე.

-კარგი, ლიზი!

-არა, დაო, შენ იოლად გხიბლავს ხალხი და ნაკლს ვერავისში ამჩნევ. შენს თვალებში მთელი სამყარო კეთილი და მომხიბვლელია. სიცოცხლეში არავისზე ცუდი არ გითქვამს.

-არ ვჩქარობ ადამიანის განსჯას და ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ. ვიცი და საოცარი თვისება გაქვს. თითქოს ბრმა ხარ, რომ სხვათა სიჩლუნგე ან სისულელე არ დაინახო. გულწრფელობა არც მიკვირს, მაგრამ ნამდვილი, უემშაკო გულწრფელობა მარტო შენ გაგაჩნია. შენ შეგიძლია ადამიანში მხოლოდ კარგი დაინახო, ცუდი საერთოდ ვერ შეამჩნიო და ის კარგი თვისებაც უფრო კეთილშობილად წარმოაჩინო. შენ მისი დებიც მოგწონს, ალბათ, არა? თუმცა ისინი ძმისწაირები მაინც არ არიან.

-ასეა, მაგრამ სასიამოვნოდ გესაუბრებიან, მის ბინგლი ძმასთან ცხოვრებას აპირებს. ამიტომ შევცდებით, თუ მასში მომხიბვლელ მეზობელს არ დავინახავთ.

ელიზაბეთი არ დაეთანხმა, მაგრამ ჩუმად უსმენდა. ბინგლის დების საქციელი მეჯლისზე მაინცდამაინც მომხიბვლელი არ ყოფილა. ელიზაბეთს, დისგან განსხვავებით, მეტი დრო ჰქონდა, რომ მოვლენებს უფრო ყურადღებით დაჰკვირვებოდა. დები მართლაც დახვეწილნი იყვნენ, არც იუმორს უჩიოდნენ და არც იმ მოხერხების ნაკლებობას, რომ ყველასთვის თავი სასიამოვნოდ მოეჩვენებინათ. ლიზიმ შეამჩნია, რომ ამასთანავე ამპარტავნები იყვნენ. პირმშვენიერ დებს დედაქალაქის უწარჩინებულეს სემინარიაში მიეღოთ განათლება. მათი წლიური შემოსავალი ოცი ათას გირვანქას შეადგენდა. ფულის ხარჯვა ძლიერ უყვარდათ. ასევე უყვარდათ გამოჩენილ ხალხთან ურთიერთობა. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონენი სხვებს ზემოდან უყურებდნენ. ჩრდილოეთ ინგლისის ერთერთი რესპექტაბელური ოჯახიდან იყვნენ და ეს ფაქტი უფრო ამპარტავნებდათ.

მისტერმა ბინგლიმ მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ასი ათასი გირვანქა. მამამისს მამულის ყიდვა სურდა, მაგრამ არ დასცალდა, რადგან ადრე გარდაიცვალა. მისტერ ბინგლიც იმავეს აპირებდა, მაგრამ რადგან უკვე უზრუნველყოფილი იყო კარგი სახლითაც და მამულითაც,

საექვო იყო მისი დარდიმანდული ხასიათის გამო, იცხოვრებდა თუ არა ნეზერფილდში. იქნებ, მამულის ყიდვა მომავალი თაობისთვის მიენდო.

დებს სურდათ, ძმას საკუთარი მამული ჰქონოდა. ნეზერფილდში რომ დაბინავდა, მის ბინგლის მამულის გაძღოლაზე უარი არ უთქვამს. არც მისის ჰერსტს, რომელიც არცთუ ისე მდიდარ კაცს გაჰყვა ცოლად. მაგრამ ეს კაცი მაღალ წრეებში საკმაოდ პოპულარული იყო. მისტერ ბინგლის შემთხვევით ურჩიეს ნეზერფილდის მამული მოენახულებინა. მოინახულა. ნახევარი საათი უყურა სახლს. შიგნითაც დაათვალიერა. ძალიან მოეწონა, პატრონმა რომ უქო და დაუყოვნებლივ შეიძინა.

დარსი და ბინგლი, განსხვავებული ხასიათის მიუხედავად, მეგობრები იყვნენ. ბინგლის მთელი სისავსითა და სიალალით უყვარდა დარსი და არავითარ უკმაყოფილებას არ ჰგვრიდა თავიანთი ხასიათების რადიკალური განსხვავება. დარსის ენდობოდა კიდევ და მის თვალსაზრისს პატივს სცემდა. დარსი ბინგლიზე ჰკვირიდა იყო და ეშმაკიც. ამავე დროს ის იყო გოროზი, თავშეკავებული, ქედმაღალი და კეთილშობილური აღზრდის მიუხედავად, კარგი მანერებით მაინც ვერ დაიკვებნიდა, ბინგლისგან განსხვავებით. ბინგლი ყველგან მოსწონდათ, სადაც კი წავიდოდა. დარსი ყოველთვის ანტიპათიას იწვევდა.

მერთონის მეჯლისზე საუბრობდნენ. ბინგლის ასეთი სასიამოვნო ხალხი და ამდენი მშვენიერი გოგონა ერთად არასოდეს ენახა. ყველა ყურადღებიანი იყო მისდამი. არავითარი დამაბულობა და სიყალბე არ ყოფილა ურთიერთობებში. მალე ყველას გაეცნო. მის ბენეტი ანგელოზივით ლამაზი იყო. დარსისთვის ეს იყო იმათი თავყრილობა, ვისაც მოდური მშვენიერება აკლდა. არავისადმი ყურადღება არ გამოუჩენია, არც სხვები დაინტერესებულან მისით. მის ბენეტი მართლაც მშვენიერი იყო, თუმცა, მისი აზრით, მეტისმეტად ხშირად ილიმებოდა.

მისის ჰერსტი და ორი დაც იმავეს ფიქრობდნენ, თუმცა მის ბენეტი მათაც ძალიან მოეწონათ და უფრო ახლოს გაიცნეს. მათი ძმა კი უნებლიეთ მაინც ფიქრობდა მის ბენეტზე, რომელმაც ყველა აღაფრთოვანა.

თავი მეხუთე

ლონგებერნში ბენეტების სახლიდან ოდნავ მოშორებით ცხოვრობდა ოჯახი, რომელთანაც მათ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. სერ უილიამ ლუკასს მერთონში არცთუ დიდი ხნის წინათ სავაჭრო ბიზნესი ჰქონდა, რითაც საკმაო ქონება დააგროვა და რაინდის წოდებაც მოიპოვა მეფისადმი ერთერთი მიმართვის დროს, მაშინ, როცა ქალაქის მერი იყო. ამან ისეთი ღირსება აგრძნობინა, რომ თავისი ბიზნესი და სავაჭრო ქალაქი უმაღლ მოიძულა. მერე ოჯახიანად მერთონიდან ერთი მილის მოშორებით მდებარე მამულში გადასახლდა, რომელსაც მას შემდეგ ლუკასის მამული დაერქვა. სერ ლუკასი სიამოვნებით ფიქრობდა

თავის ღირსებაზე და იმაზე, რომ ის საზიზღარი ბიზნესი არ ბორკავდა და ცივილური სამყაროს სრულყოფილებიანი წევრი იყო. წოდებითა და ტიტულით გაფუფუნებულს ქედმაღლობა აზრადაც არ მოსვლია. პირიქით: ყველასადმიმყურადღებიანი იყო. ისედაც ბუნებით თბილი და მეგობრული სერ ლუკასი სენტ ჯეიმზში გამოჩენამ კიდევ უფრო თავაზიანი გახადა.

ლედი ლუკასი კეთილი და ოდნავ თავქარიანი ქალი იყო. ბევრი შვილი ჰყავდათ. უფროსი, მგრძობიარე და განათლებული ოცდაშვიდი წლის ქალიშვილი ელიზაბეთის ახლო მეგობარი იყო. ლუკასებისა და ბენეტების ქალიშვილების შეხვედრა მეჯლისზე ისედაც გარდაუვალი იქნებოდა. მეჯლისის მეორე დღეს ლუკასები ბენეტებს ეწვივნენ.

–კარგად დაიწყეთ საღამო, შარლოტა, მისტერ ბინგლიმ პირველად თქვენ გამოგიწვიათ საცეკვაოდ, უთხრა მისის ბენეტმა და ეტყობოდა, რომ ემოციას მალავდა.

–ჰო, მაგრამ მეორე პარტნიორი უფრო მოეწონა.

–ოჰ, ჯეინი? ალბათ იმიტომ ამბობთ, რომ ორჯერ იცეკვა მასთან. არა, ნამდვილად ჩანდა, რომ ჯეინი მოეწონა, მჯერა, რომ მოეწონა, გავიგე რაღაც... მისტერ რობინსონის შესახებ.

–თქვენ ალბათ გულისხმობთ იმას, რაც მე გავიგონე, როცა ის და მისტერ რობინსონი საუბრობდნენ; თქვენთვის არ მითქვამს? მისტერ რობინსონმა ჰკითხა, როგორ მოგწონს მერთონის მეჯლისიო, ნახე, რამდენი ლამაზი გოგონაა დარბაზში და კიდევ, რომელი მათგანი უფრო მოგწონსო. მან კი დაუყოვნებლივ უპასუხა: რასაკვირველია, ბენეტების უფროსი ქალიშვილი, ამაზე ორი აზრი არ არსებობსო.

–ჰო, ასე იყო, თუმცა შესაძლოა, ეს არაფერს ნიშნავდეს.

–ჩემი ყურისგდება უფრო გამიზნული იყო, ვიდრე შენი, ელიზა, – უთხრა შარლოტამ, – მისტერ დარსის მოსმენას მისი მეგობრის მოსმენა მირჩევნია, მაგრამ შენ მეტად მომთმენი ხარ და ამისთვის ძალიან მეცოდები!

–გთხოვ არ ჩაუნერგო ლიზის ბრაზი იმ კაცისადმი, რომელიც ამის ღირსი არ არის. იგი იმდენად უსიამოვნოა, რომ უბედური იქნება ის ქალი, რომელიც მას მოეწონება. მისის ლონგმა მითხრა, ნახევარი საათი ლიზის გვერდით ეჯდა და ერთი სიტყვაც არ დასცდენიაო.

–დარწმუნებული ხართ, რომ ასეა? მე დავინახე, რომ დარსი ლიზის ელაპარაკებოდა, თქვა ჯეინმა.

–კი, ბოლოს ალაპარაკდა. ლიზიმ ჰკითხა, ნუხერფილდი თუ მოგწონსო. აბა, რას იზამდა, რაღაც ხომ უნდა ეთქვა. თუმცა გაბრაზებული ჩანდა, რომ გამოელაპარაკნენ.

–მის ბინგლიმ მითხრა, ბევრს არ ლაპარაკობსო. მხოლოდ ახლო ნაცნობებს ელაპარაკება და კეთილგანწყობილიც მხოლოდ მათ მიმართაა.

–არ მჯერა, ძვირფასო, ასეთი კეთილი რომ ყოფილიყო, მისის ლონგს გამოელაპარაკებოდა. ყველა ამბობს, უსაშველოდ ამაყი და ქედმაღალიაო. თურმე გაუგია, რომ მისის ლონგს ეტლი არ ჰყავს და მეჯლისზე ნაქირავები ეტლით მოვიდა.

–მისის ლონგს თუ არ დაელაპარაკა, კიდევ არაფერი, მაგრამ ელიზასთან უნდა ეცეკვა, – თქვა მის ლუკასმა.

–სხვა დროს ლიზი, შენს ადგილზე მასთან არასოდეს ვიცეკვებდი.

–ჰოდა, არც ვიცეკვებ, გპირდებით.

–ის, რომ ძალიან ამაყი და ქედმაღალია, სულაც არ მიკვირს. ისეთი ოჯახისა და იმდენი ქონების პატრონს, ბუნებრივია, თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდეს. უფლებაც აქვს, რომ ასე იფიქროს, – თქვა შარლოტამ.

–მართალია, დაეთანხმა ელიზაბეთი, – მეც მივუტევებდი, ჩემი თავმოყვარეობა რომ არ შეელახა.

–სიამაყე მრავალთა სენია, – შენიშნა მერიმ, რომელიც თავად გაამაყდა იმით, რაც თქვა, – წამიკითხავს, რომ ადამიანური ბუნება სიამაყისკენაა მიდრეკილი. მხოლოდ მცირეთაგანს თუ ძალუბთ არ გაამაყდნენ და გაამპარტავდნენ იმის გამო, რომ ამა თუ იმ თვისებას ფლობენ წარმოსახვითსა თუ რეალურს. ამპარტავნობა და სიამაყე სხვადასხვა რამეა, თუმცა ხშირად სინონიმებადაც იხმარება. კაცი შეიძლება ამაყი იყოს, მაგრამ არა ამპარტავანი. სიამაყე ის არის, რასაც ჩვენს თავზე ვფიქრობთ. ამპარტავნობა კი ის, რაც სხვებმა გვინდა, რომ ჩვენზე იფიქრონ.

–დარსივით მდიდარი რომ ვიყო, სიამაყეს არად დაგიდევდი, მონადირე ძაღლების ჯოგი მეყოლებოდა და დღეში ერთ ბოთლ ღვინოს დავლევდი! – წამოიძახა ლუკასების უმცროსმა ძმამ.

–მაშინ მეტსაც დალევდით, ვიდრე უნდა დაგელიათ, – შეესიტყვა მისის ბენეტი, და მე თუ დაგინახავდით, ბოთლს აუცილებლად წაგართმევდით.

ბიჭს ეს იდეა არ მოეწონა, რატომ წამართმევდითო. ის კი ჯიუტად იმეორებდა, წაგართმევდითო და ამ კამათს ბოლო არ უჩანდა, ვიზიტი რომ არ დასრულებულიყო.

თავი მეექვსე

ლონგბერნელი ქალბატონები ახლა ნეზერფილდელთა სტუმრობას ელოდნენ და ვიზიტმაც არ დააყოვნა. მის ბენეტმა ხომ მისის ჰერსტისა და მის ბინგლის კეთილგანწყობა მოიპოვა, თუმცა მისის ბენეტი ცოტა აუტანლად მოეჩვენათ და მართალია, უმცროს დებთან საუბარს ვერ ააწყობდი, მაგრამ მაინც მოგესურვებოდა, ბენეტების ოჯახი, უფროსი დების ხათრით,

ახლოს გაგეცნო. ჯეინს მათი ყურადღება ეამა, მაგრამ ელიზაბეთი მათ ქცევაში მაინც ერთგვარ ქედმაღლობას ხედავდა. მხოლოდ ჯეინისადმი იყო ეს ქცევა ოდნავ შერბილებული. ამიტომ ლიზის ისინი არ მოსწონდა. ჯეინისადმიც მათი გატაცება ალბათ ძმის გავლენა იყო. მათი ძმა ხომ ჯეინს ეთაყვანებოდა. ეს ყოველთვის ჩანდა, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ჯეინიც არ იყო გულგრილი ამ ყმაწვილისადმი, ხოლო აქედან შეყვარებამდე ერთი ნაბიჯია. თუმცა ჯეინი მალავდა თავის გრძნობებს და მისი თავშეკავებული და მხიარული ხასიათი არ უმჟღავნებდა ცნობისმოყვარე საზოგადოებას, რომ შეყვარებული იყო. ჯეინი მის ლუკასს გაენდო.

-შესაძლოა, კარგიც იყოს, საზოგადოებას მოაჩვენო, რომ არაფერი ხდება, თუმცა შენთვის უარესია. თუ ქალი შეყვარებულს უმაღლეს თავის გრძნობებს, მაშინ ის მისთვის მიუწვდომელი დარჩება. ქვეყნის თვალის ახვევაც უიმედოა. სიყვარულში იმდენი სხვადასხვა გრძნობაა ჩაქსოვილი მაღლიერებისა ან თუნდაც სიამაყისა, რომ ცალკეული მათგანის მარტო, თავის ნებაზე დატოვება დიდი სისულელეა. ბუნებრივი დასაწყისი აქვს სიყვარულს, მაგრამ მერე და მერე გამბედაობა არ გვეყოფნის, თამამად გვიყვარდეს. ქალმა, უმჯობესია, თავისუფლად გამოამჟღავნოს ის, რასაც გრძნობს. ბინგლის ჯეინი მოსწონს, მაგრამ ეს გრძნობა ასევე დარჩება და არ განვითარდება თუ შენმა დამ ხელი არ შეუწყო.

-მაგრამ ჯეინი ხომ ხელს უწყობს, რამდენადაც შეუძლია. სულელი უნდა იყოს კაცი, რომ ჩემი დის გრძნობა ვერ შეამჩნიოს.

-მან ხომ არ იცის, ჯეინი სინამდვილეში რას გრძნობს.

-კი მაგრამ, როცა ქალს კაცი მოსწონს და არც მალავს, კაციც უმაღლეს მიხვდება.

-უნდა მიხვდეს, თუ ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ჯეინი და ბინგლი ხომ ისე ხშირად მაინც არ ხვდებიან ერთმანეთს. ეს ძირითადად ხდება დიდ წვეულებებზე, სადაც წესიერად საუბრის დროც კი არა აქვთ. ჯეინმა ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მაინც უნდა მიიქციოს ბინგლის ყურადღება. ამით უფრო დარწმუნდება, თუ რაოდენ უყვართ ერთმანეთი.

-კარგი აზრია, შარლოტა, - უთხრა ლიზიმ, - მაშინ, როცა კარგად გათხოვების სურვილით ხარ შეპყრობილი, მართლაც გამოსადეგია შენი რჩევა. თუმცა ჯეინს ეს აზრადაც არ მოსვლია. ის წინასწარგამიზნულად არ მოქმედებს. მხოლოდ იმაშია დარწმუნებული, რომ უყვარს, ხოლო გონივრულია თუ არა მისი მოქმედება, ამაზე არასოდეს იფიქრებს. სულ ორი კვირაა, რაც ბინგლის იცნობს. ოთხჯერ იცეკვა მასთან მერიტონში, ოთხჯერ მოხვდა მასთან ერთად წვეულებაზე და ერთად ისადილეს. განა ეს საკმარისია იმისთვის, რომ მისი ხასიათი ამოიცნოს?

-მთლად ასეც არ არის საქმე. ეს მხოლოდ სადილობა როდია. ასე რომ ყოფილიყო, ჯეინი მხოლოდ იმას შეამჩნევდა, როგორი მადა აქვს ბინგლის. მათ ხომ ოთხი საღამო გაატარეს ერთად და ჩემი აზრით, ესეც საკმარისია.

-დიახ, და ამ ოთხმა სადამომ ორივე დაარწმუნა, რომ კარტის თამაში მაინც ყველაფერს ურჩევნიათ. თუმცა, ჩემი აზრით, ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოუმუქლავნებელი დარჩა.

-ჯეინს გულითადად ვუსურვებ ბედნიერებას, - თქვა შარლოტამ, - და ხვალვე რომ ცოლად გაჰყვეს, ისეთივე ბედნიერი იქნება მასთან, როგორც მაშინ იქნებოდა, დიდი ხანი რომ შეესწავლათ ერთმანეთი. ქორწინების ბედნიერება შემთხვევის წყალობით მოდის. დიდი ხნის ნაცნობობა არაფერ შუაშია. თუ ბედი არ სწყალობთ, ბოლოს მაინც არაფერი გამოუვათ. ჩემი აზრით, უმჯობესია, რაც შეიძლება ცოტა რამ იცოდეთ იმ ადამიანის ნაკლის შესახებ, რომელთანაც მთელი ცხოვრების გატარებას აპირებ.

-მაცინებ, შარლოტა, ეს ხომ საკითხისადმი არაბუნებრივი მიდგომაა. შენ ხომ ასე არასოდეს მოიქცეოდი.

ელიზაბეთი ისე იყო გართული თავისი დისა და ბინგლის ურთიერთობით, ვერც კი მიხვდა, რომ დარსის რაღაც ინტერესი გაუჩნდა მისდამი. დარსიმ პირველად სიმპათიურადაც არ მიიჩნია და ყურადღებაც კი არ მიაქცია. მეორედ შეხვედრისას კრიტიკული თვალთ უყურებდა. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა ამ კრიტიკის შემდეგ, რომ უცაბედად გოგონას თვალებიდან უმშვენიერესი სხივის კრთომა შეამჩნია იმის ნიშნად, რომ ლიზი ყველაფერს მიხვდა და მასაც კრიტიკულად შეხედა. მისდა საუბედუროდ, დარსიმ კიდევ ბევრი რამ შეამჩნია, რასაც მანამდე ვერ ხედავდა. სრულყოფილი სიმეტრიის არქონის მიუხედავად, გოგონას მაინც მშვენიერი ეთქმოდა. მოდური საზოგადოების მსგავსი მანერები არ ჰქონდა, მაგრამ მის თავისუფალ მიხრამობრაში იყო რაღაც ისეთი მიმზიდველი, რაც დარსის თვალს არ გამოჰპარვია. ლიზიმ არაფერი იცოდა დარსის ფიქრების შესახებ. მისთვის დარსი ერთი უსიამოვნო კაცი იყო, რომელმაც მასთან ცეკვა არ ისურვა.

დარსის სურდა მეტი რამ შეეტყო ლიზის შესახებ. ცდილობდა, თუმცა მასთან გამოლაპარაკებას ერიდებოდა. ეს ლიზიმ მაშინ შენიშნა, როცა სერ უილიამ ლუკასთან იყვნენ წვეულებაზე. ლიზიმ შარლოტას ჰკითხა, მისტერ დარსი ჩემს საუბარს უსმენდა, როცა პოლკოვნიკ ფორსტერს ვესაუბრებოდი და ეს რას უნდა ნიშნავდესო.

-ამას თავად დარსი გეტყვის, მეგობარო, უთხრა შარლოტამ.

-და თუ კიდევ გაიმეორებს იმავეს, მაშინ ვაგრძნობინებ, რომ მივხვდი, რასაც აკეთებს. დამცინავი თვალთ იყურება და თუ მეც იგივე ზომები არ მივიღე, მაშინ სულ მალე დარსის შიშაც გამიჩნდება.

მალე ამის შემდეგ, დარსი რომ მიუახლოვდათ, მის ლუკასმა გააფრთხილა ლიზი, რომ ასეთი რამ არ ეგრძნობინებინა დარსისთვის. მაგრამ ლიზი ამან კიდევ უფრო შეაგულიანა, დარსის მიუბრუნდა და უთხრა:

-როგორ ფიქრობთ, მისტერ დარსი, ჩემი სათქმელი ხომ კარგად ჩამოვაცალიბე, პოლკოვნიკ ფორსტერს როცა ვესაუბრებოდი, რომ წვეულება გამართოს მერიტონში.

-ძალიან მონდომებული იყავით. საერთოდ ასეთი თემა ქალს მონდომებას მატებს.

-ძალიან მკაცრი ხარტ ქალებისადმი.

-ახლა უკვე დარსის ჯერია, - ჩაილაპარაკა შარლოტამ და მერე ლიზის უთხრა, - ახლა ინსტრუმენტს გავხსნი და შენ იცი, ამას რაც მოჰყვება.

-მეგობრის კვალობაზე ძალიან უცნაურად იქცევი, შარლოტა! სულ გინდა, რომ დავუკრა და ვიმღერო ყველას წინაშე! ამპარტავანი რომ ვიყო, შენი შეხსენება არც დამჭირდებოდა, ისე დავუკრავდი, მაგრამ ეს ხალხი სრულყოფილ შემსრულებელთა მოსმენას არის მიჩვეული... თუმცა რატომაც არა, დაე, იყოს ისე, როგორც უნდა იყოს, თქვა ლიზიმ, და მისტერ დარსის სერიოზული სახით გადახედა, - ერთი ძველი ანდაზაა, როცა თვალის გახელაა საჭირო, გაახილეო! ჰოდა, მეც ასე მოვიქცევი.

ლიზიმ მშვენივრად დაუკრა, თუმცა არა უზადლოდ, და იმღერა კიდევ. მერე მისი და მერი მიუჯდა ინსტრუმენტს. მერი სილამაზით ვერ დაიკვებნიდა, ამიტომ ცოდნას დაეწაფა, რათა თავი სრულყოფილად წარმოეჩინა.

მერის ნიჭიც აკლდა და გემოვნებაც, მაგრამ მოხერხებისა და მონდომების წყალობით ერთგვარი ქედმაღალი იერი შეიძინა, რაც იმას მოგაჩვენებდა, რაც სინამდვილეში არ გააჩნდა. ელიზაბეთის ძალდაუტანებელ, უწყინარ შესრულებას ყველამ სიამოვნებით მოუსმინა. მერიმ კი ქება დაიმსახურა, თუმცა უფრო ძალით მოიპოვა. მისი უმცროსი დები და ლუკასების ქალიშვილები ოფიცრებთან ერთად ცეკვავდნენ.

დარსი ჩუმად იდგა და ეტყობოდა, რომ ეჯავრებოდა სადამოს ასეთი ფორმით გატარება. ისე გაერთო ფიქრებში, რომ ვერ გაიგო, სერ ლუკასი როგორ მიუახლოვდა. სერ ლუკასმა უთხრა:

-რა მშვენიერი სადამოა, მისტერ დარსი! რა კარგად ატარებენ დროს ახალგაზრდები. ცეკვა დახვეწილი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია.

-რა თქმა უნდა, სერ, და ცეკვა, სხვათა შორის, ნაკლებდახვეწილი საზოგადოებისთვისაც მოდაშია. ველურებიც ცეკვავენ.

სერ ლუკასმა მხოლოდ გაიღიმა, - თქვენი მეგობარი შესანიშნავად ცეკვავს და ეჭვი არ მეპარება, რომ ცეკვის ხელოვნება თქვენც გიტაცებთ, მისტერ დარსი.

-ალბათ მერთონში მნახეთ, სერ.

-რა თქმა უნდა, და ძალიანაც ვისიამოვნე. სენტ ჯეიმზშიც ხშირად ცეკვავთ?

-არასოდეს, სერ!

-და სურვილიც არ გქონიათ?

-არასოდეს მაქვს ამის სურვილი იქ, სადაც შემოდის ცეკვას თავი ავარიდო.

-ქალაქში ალბათ სახლი გაქვთ.

დარსიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

–ერთ დროს მეც მსურდა ქალაქში დავსახლებულიყავი, რადგან მაღალი საზოგადოების მოტრფიალე გახლავართ. თუმცა მერე მეუღლის გამო გადავიფიქრე, რომელსაც ლონდონის ჰაერი არ უხდება.

დარსიმ არაფერი უპასუხა. სერ ლუკასმა ამ დროს ელიზაზეთი დაინახა, მათკენ რომ მოდიოდა და მყისვე გადაწყვიტა, ეს ორი ახალგაზრდა ერთმანეთისთვის გაეცნო:

–ძვირფასო ელიზა, რატომ არ ცეკვავთ? მისტერ დარსი, ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მის ელიზა, რომელიც შესანიშნავად ცეკვავს. ცეკვაზე უარს ვერ იტყვით, როცა თავად მშვენიერებაა თქვენ წინაშე.

სერ ლუკასს სურდა ელიზას ხელი დარსის ხელში ჩაედო, რომ უცებ ლიზიმ უკან დაიხია და სერ ლუკასს მიუგო:

–ცეკვის სურვილი არა მაქვს და თქვენკენ ამ მიზნით არ წამოვსულვარ, სერ ლუკას!

ახლა დარსიმ სთხოვა ლიზის, მაგრამ უშედეგოდ. ლიზი მტკიცე უარზე დადგა. სერ უილიამიც ვერაფერს გახდა.

–ცეკვაში ბადალი არ გყავთ, მის ელიზა. ამ ჯენტლმენს სურდა თქვენთან ეცეკვა.

–მისტერ დარსი თავაზიანობად იქცა, – თქვა ელიზამ ღიმილით.

–ნამდვილად ასეა. მორიდების მიუხედავად, უარს ვინ იტყვის თქვენისთანა პარტნიორთან ცეკვაზე. ლიზიმ წარბი აზიდა და ჯენტლმენებს გაეცალა.

დარსი კიდევ უფრო ჩააფიქრა ლიზის ამ საქციელმა, როცა ამ დროს მის ბინგლი გამოეღაპარაკა:

–ვგონებ მივხვდი თქვენი ჩაფიქრების მიზეზს, დარსი.

–არა მგონია.

–თქვენ ალბათ იმაზე ფიქრობთ, რა სისულელეა ასეთი სადამოები. მეც გეთანხმებით. ნაწყენიცი ვარ! რა მოწყენილობაა და რა უგემოვნობა, თანაც ამდენი ხმაური ხალხისა, რომელიც არაფერს წარმოადგენს და მაინც კი რამხელა წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე! ერთი თქვენებური კრიტიკა მომასმენინა მათ მიმართ!

–თქვენ რაც გიფიქრიათ, მის ბინგლი, სრულიად შემცდარხართ. ჩემი გონება სხვა, უფრო სასიამოვნო ფიქრებმა დაიკავეს. მე იმ ქალის მშვენიერ თვალებზე ვფიქრობდი, კაცს რომ დიდ სიამოვნებას ჰგვრის მათი შეხედვა.

მის ბინგლიმ დარსის თვალებში შეხედა და სცადა ამოეცნო, რომელ ქალზე ლაპარაკობდა. დარსიმაც არ დააყოვნა და საკმაოდ დაუფარავად და გაბედულად უთხრა:

-ეს ქალი მის ელიზაბეთ ბენეტია.

-გაოცებული ვარ, - თქვა მის ბინგლიმ. - თქვენ ხომ არ მოგწონდათ, როდიდან გახდა თქვენი ფავორიტი? გთხოვთ, ისიც მითხრათ, როდის მოგილოცოთ ბედნიერება?

-მაგ კითხვას ველოდი თქვენგან, მის ბინგლი. ქალები სწრაფად აზროვნებთ. გატაცებას სიყვარული მოსდევს, სიყვარულს კი ოჯახის შექმნა. ვიცი, რომ ბედნიერებას მისურვებთ.

-არა, თუ მართლა სერიოზულად ამბობთ, მაშინ ჩავთვლი, რომ საქმე მოგვარებულია. შესანიშნავი სიდედრი გეყოლებათ, რომელიც მუდამ თქვენთან ყოფნას მოისურვებს.

დარსიმ ყურადღება არ მიაქცია მის ბინგლის სიცილს. ამით დაარწმუნა, რომ მისთვის მის ბინგლის ჭკუამახვილობა აბსოლუტურად სულერთი იყო.

თავი მეშვიდე

მისტერ ბენეტის ქონება შედგებოდა მამულისგან, რომელიც წელიწადში ორი ათას გირვანქას იძლეოდა, მაგრამ ვაჟი მემკვიდრის არყოლის გამო ამ მამულის ნაწილი ერთ შორეულ ნათესავს ერგებოდა. დედის, მისის ბენეტის ქონებაც ბევრი ვერაფერიშვილი იყო, რომ მისტერ ბენეტის ქონების დანაკლისი შეევესო. მისის ბენეტის მამა მერიტონში ადვოკატი ყოფილა და ქალიშვილს ოთხი ათასი გირვანქა დაუტოვა.

მისის ბენეტის და ვინმე მისტერ ფილიპსს ჰყავდა ცოლად, რომელიც მამამისის კლერკად მუშაობდა. მამა ლონდონში დასახლდა და ხელი ვაჭრობას მიჰყო.

ლონგბერნი მერიტონიდან ერთი მილის მოშორებით მდებარეობდა, რაც ხელსაყრელი მანძილია გოგონებისთვის, რომელნიც მოწადინებული არიან ხშირად ეწვიონ დეიდას და გზად საგალანტერიო მაღაზიაშიც შეიარონ. ორი უმცროსი და ქეთრინი და ლიდია ხშირად იყვნენ ამ საქმით დაკავებულნი, რადგან უფროს დებზე მეტად მოცლილები იყვნენ. ისინი ფეხით მისეირნობდნენ მერიტონისკენ, რათა საღამოს უკან მობრუნებულთ თავი სასიამოვნო ჭორაობით გაერთოთ. დეიდისგან ბევრ ახალ ამბავს იგებდნენ. ახლახან შეიტყვეს, რომ მათ სამეზობლოში სამხედრო რაზმი დაბანაკებულა და ძალზე უხაროდათ. მთელი ზამთარი სამხედრო შტაბი მერიტონში იქნებოდა.

მისტერ ფილიპსი ახლა უკვე ძალიან საინტერესო ამბებს ჰყვებოდა. ოფიცერთა სახელებსა და მათ ურთიერთობებზე უყვებოდა გოგონებს. სად სახლობდნენ, ესეც უკვე აღარ იყო საიდუმლო და მალე ოფიცრები თავადვე გაიცნეს. მისტერ ფილიპსი სტუმრობდა იმ ოფიცრებს და თავისი დისშვილებისთვის უკვე დაფარული არაფერი იყო. მხოლოდ ოფიცრებზე საუბრობდნენ. ისე ხშირად, რომ იმასთან შედარებით მისტერ ბინგლის საარაკო ქონების თემაც კი უფერული გახდა.

ერთ დილით მისტერ ბენეტმა, რომელიც ქალების საუბარს ისმენდა, ცივად შენიშნა:

–თქვენი საუბრიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ყველაზე სულელი გოგონები ხართ. ამაში ადრე ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ახლა დავრწმუნდი, რომ ასეა.

ქეთრინს ხასიათი წაუხდა და ენა ჩაუვარდა. ლიდიამ კი ვითომც აქ არაფერიაო, ისევ განაგრძო კაპიტან კარტერის ქება და იმედი გამოთქვა, მალე ვნახავო, რადგან კაპიტანი თურმე მეორე დილით ლონდონში მიდიოდა.

–განცვიფრებული ვარ, ძვირფასო, რომ საკუთარ შვილებს სულელებად თვლი, სხვისი შვილები მაინც იყვნენ, რომ ასე იფიქრო, – მიაგება ქმარს მისის ბენეტმა.

–სწორედ მაგაშია საქმე, ძვირფასო, მე უნდა ვიცოდე მათი სისულელის შესახებ.

–ჰო, მაგრამ ყველა მათგანი რომ ჭკვიანია!

–ეს ერთადერთი საკითხია, რომელშიც ვერ დაგეთანხმები, ძვირფასო, თუმცა კი მსურდა, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დამთხვეოდა.

–თუ ასეა, მაშინ ეს სულელი გოგონები დედ-მამის აზრს არად დაგიდევენ. ჩვენი ასაკისანი რომ გახდებიან, ოფიცრებზე აღარ იფიქრებენ. მახსოვს, ერთ დროს წითელი მოსასხამი როგორ მხიბლავდა. არ დაგიმალავ და, გულში ახლაც მხიბლავს. და თუკი ახალგაზრდა და ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელსაც წელიწადში ხუთი ან ექვსი ათასი აქვს შემოსავალი, ჩემი ქალიშვილის ხელს მთხოვს, უარს არ ვეტყვი. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პოლკოვნიკი ფორსტერი საკმაოდ სიმპათიური მეჩვენა იმ წვეულებაზე სერ უილიამთან.

–დედა, წამოიძახა ლიდიამ, დეიდა ამბობს, რომ პოლკოვნიკი ფორსტერი და კაპიტანი კარტერი ისე ხშირად თურმე აღარ დადიან მის უოტსონთან, როგორც ადრე დადიოდნენ. ახლა ისინი ხშირად ქლუარკის ბიბლიოთეკაში არიან.

მისის ბენეტს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს ლაქიამ ბარათი მოართვა მის ბენეტს ნეზერფილდიდან და დაელოდა, რომ პასუხი წაელო. მისის ბენეტს სიამოვნებისგან თვალები გაუბრწყინდა.

–ვისგანაა წერილი, ჯეინ. რას იტყობინებიან? გვითხარი, ჯეინ, თუ ღმერთი გწამს, ჩემო სიყვარულო.

–მის ბინგლი მწერს, თქვა ჯეინმა და წერილი ხმამაღლა წაიკითხა:

„ძვირფასო მეგობარო,

თუ დღეს ჩვენთან არ ისადილებთ, მაშინ მე და ლუიზა ერთმანეთს უცილობლად წავეჩხუბებით. როგორც კი მიიღებთ წერილს, გვესტუმრეთ. ჩემი ძმა და სხვა ჯენტლმენები ოფიცრებთან ერთად ისადილებენ.

თქვენი ერთგული,

ქეროლინ ბინგლი“.

-ოფიცრებთან სადილობსო! – წამოიძახა ლიდიამ, – მიკვირს, დეიდამ რომ არ გვითხრა.

-გარეთ სადილობა სულაც არ არის კარგი. – თქვა მისის ბენეტმა.

-ეტლით წავიდე? – იკითხა ჯეინმა.

-არა, ძვირფასო, ცხენით წასვლა სჯობს, რადგან გაწვიმდება და გარდა ამისა, მთელი ღამით იქ უნდა დარჩე.

-კარგი აზრია, მაგრამ იქნებ სახლში მათ გამოამგზავრონ, ჩაერთო ლიზი.

-ჯენტლმენები მერიტონში იქნებიან და ჰერსტებს ცხენები არ ჰყავთ.

-მე ეტლით წავიდოდი.

-ჰო, მაგრამ მამაშენს ცხენები ფერმაში სჭირდება, არა, მისტერ ბენეტ?

-ფერმაში ცხენები ხშირადაა საჭირო, მაგრამ ხშირად ვერ ვქირაობ.

-დღეს თუ დაგჭირდათ, დედაჩემი კმაყოფილი იქნება, უთხრა ელიზაბეთმა.

მამამ ბოლოს აღიარა, რომ ეტლის ცხენები დაკავებული იყო. ამიტომ ჯეინს ცხენზე მჯდომს მოუწევდა წასვლა. დეიდამ კარამდე მიაცილა დაბევრი მხიარული პროგნოზიც გამოთქვა. მართლაც, ჯეინს ზღურბლზე არ გადაებიჯებინა, რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა. დები მოიღუმნენ, მაგრამ დედა გახარებული იყო. მთელი საღამო იწვიმა და ცხადია, ჯეინი იმ დღეს შინ ვეღარ დაბრუნდებოდა.

-რა იღბლიანი იდეა მომივიდა! – რამდენჯერმე გაიმეორა მისის ბენეტმა, თითქოს წვიმაც მას წამოეყვანოს. რა იცოდა თუ რა ცუდი სიურპრიზი ელოდა. მეორე დილით საუზმისას მსახურმა წერილი მოუტანა ნეზერფილდიდან, რომელშიც ეწერა:

„საყვარელო ლიზი, გუმინ გზაში ძლიერ დავსველდი და ამ დილით შეუძლოდ გავხდი. ჩემი მეგობრები არ მიშვებენ, სანამ არ გამოვკეთდები. სურთ, რომ მისტერ ჯოუნსი ვნახო. არ აღელდე, თავისა და ყელის ტკივილი მალე გამივლის, შენი დაიკო ჯეინი“.

-ჰო, ჩემო ძვირფასო, თუ ჩვენი ქალიშვილი ამ ამბავს შეეწირა, მაშინ შენ მაინც მშვიდად უნდა იყო, ეს ხომ მისტერ ბინგლის გულისთვის მოხდა. თანაც შენი თაოსნობით, – უთხრა მეუღლეს მისტერ ბენეტმა.

-გაცივებით ხალხი არ კვდება. იქ კარგად მოუვლიან. თანაც, იქ დარჩენა მასვე წაადგება.

-ეტლი რომ მყავდეს, წავიდოდი, – უპასუხა მისის ბენეტმა.

ელიზაბეთი ძალიან ღელავდა და გადაწყვიტა ჯეინის სანახავად წასულიყო. ცხენზე ჯდომა არ იცოდა, ამიტომ ფეხით წასვლა ამჯობინა და განაცხადა კიდეც ამის შესახებ.

-ასეთი სულელი როგორ ხარ, ამ ტალახში ფეხით როგორ წახვალ, იქ მისვლისას ვერავის დაენახვები, - უთხრა დედამ.

-ჯეინს ხომ დავენახვები, დედა, და მეც მეტი არაფერი მინდა.

-ლიზი, ცხენებს მოვაცვანინებ, უთხრა მამამ.

-არა, მამა, ფეხით სიარული მირჩევნია. გზა არცთუ ისე გრძელია, როცა იცი, სად და რატომ მიდიხარ. სამი მილი არაფერია. სადილისთვის უკან დავბრუნდები.

-შენი კეთილშობილება მხიბლავს, ლიზი, - შენიშნა მერიმ, - მაგრამ ყოველი ქმედება აზრიანი უნდა იყოს. ასეთი მონდომება ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტია.

-ჩვენ კი შენთან ერთად ყველგან წამოვალთ, ლიზი, - უთხრეს დას ქეთრინმა და ლიდიამ.

ელიზაბეთს უარი არ უთქვამს და სამივენი გზას გაუდგნენ.

-თუ ვიჩქარებთ, - თქვა ლიდიამ, - შესაძლოა, კაპიტანი კარტერიც ვნახოთ.

მერიტონში რომ ჩავიდნენ, ლიზის უმცროსი დები ერთერთი ოფიცრის მეუღლესთან დაბინავდნენ, ლიზიმ კი გზა განაგრძო. სწრაფი ნაბიჯებით გადაიარა მინდვრები, პატარა გუბურებს ახტებოდა, ღობეებზე გადადიოდა და ბოლოს დაღლილი და წინდებგაჭუჭყიანებული მიადგა დანიშნულების ადგილს. ლოყები ასწითლებოდა.

ლაქია სასტუმრო ოთახში შეუძღვა, სადაც ჯეინის გარდა ყველა იყო. გაუკვირდათ მისი მისვლა. მან ხომ სამი მილი გამოიარა ამ წყალტალახში, თანაც მარტოდმარტომ. დაუჯერებლად მოეჩვენათ მისის ჰერსტსა და მის ბინგლის. ელიზაბეთმა იფიქრა, ალბათ ამის გამო შემიძულეხენო. რაც უნდა იყოს, თავაზიანად მიიღეს, უფრო კარგადაც, ვიდრე ლიზი ელოდა. სიკეთეს ასხივებდნენ. მისტერ დარსიმ რაღაც თქვა, მისტერ ჰერსტს კი საერთოდ არაფერი უთქვამს. დარსი ქალიშვილის ანთებულმა სახემ მოხიბლა და ამასთანავე ჭოჭმანობდა მოსწონებოდა თუ არა მისი აქ მარტო მოსვლა. მისტერ ჰერსტი მხოლოდ საუზმეზე ფიქრობდა.

დის შესახებ რომ იკითხა, უთხრეს, ცუდად ეძინა, სიცხეც ჰქონდა და ახლა თავის ოთახშიაო. ელიზაბეთმა მასთან წაყვანა ითხოვა. ჯეინს უსაშველოდ სურდა, ლიზი მასთან მისულიყო, თუმცა წერილში თავი შეიკავა და არაფერი უთხოვია დისთვის. ახლა კი მასთან მისული რომ ნახა, გაიხარა. ცოტას ლაპარაკობდა და როცა მის ბინგლიმ მარტო დატოვა ორივე, ჯეინმა დას უთხრა, თუ როგორი მადლიერი იყო ამ ოჯახისა, რომელიც ასე კარგად მოექცა.

საუზმის შემდეგ დები ოჯახის წევრებთან გამოვიდნენ. ელიზაბეთს მოეწონა ეს ხალხი, არაფერს რომ არ იშურებდნენ ჯეინისთვის. ექიმი მოვიდა, ჯეინი გასინჯა და თქვა, ძლიერ გაცივებულაო და ლოგინში ჩაწოლა ურჩია. წამალიც იქვე მოუმზადა, რადგან ჯეინს თავის ტკივილმა და სიცხემ უმატა. ელიზაბეთი წუთით არ მოსცილებია დას. სხვებიც იქვე იყვნენ

და ყურადღებას არ იშურებდნენ. ჯენტლმენებს კი საქმე არაფერი ჰქონდათ და ეზოში სეირნობდნენ.

სამ საათზე ელიზაბეთმა წასვლა გადაწყვიტა. მის ბინგლიმ კარეტა შესთავაზა და ლიზისაც ბევრი ხვეწნა არ დასჭირდებოდა, მაგრამ ჯეინს ისე დასწყდა გული, ლიზი რომ უნდა წასულიყო, რომ მის ბინგლი იძულებული გახდა ლიზისთვის ეთხოვა, დარჩიო ელიზაბეთი სიხარულით დასთანხმდა. ლონგბერნში მსახური გაგზავნეს იმის შესატყობინებლად, რომ ლიზი ნეუერფილდში რჩებოდა და ცოტა ტანსაცმელი კიდევ დასჭირდებოდა.

თავი მერვე

ხუთ საათზე ორივე ქალიშვილი ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიდა და ექვსის ნახევარზე ელიზაბეთი სადილზე იხმეს. ჯეინის შესახებ გამოჰკითხეს. ამაში განსაკუთრებით მისტერ ბინგლი აქტიურობდა. ჯეინი თავს ისევ შეუძლოდ გრძნობდა. ეს რომ დებმა გაიგეს, დამწუხრდნენ იმის გამო, რომ ჯეინი ასე გაცივდა. თავადაც გამოცდილი ჰქონდათ გაცივების სუსხი. შემდეგ ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ ჯეინი და ამან ელიზაბეთს, ცოტა არ იყოს, გული გაუცივა მათდამი.

თუმცა მათი ძმა ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც სიყვარულს იმსახურებდა. იგი მართლა წუხდა ჯეინის გამო, ელიზაბეთსაც მეტად ყურადღებით ექცეოდა, რაც ამ უკანასკნელს ძალზე სიამოვნებდა. ამიტომ თავს უცხოვად აღარ გრძნობდა ამ სახლში. მის ბინგლი მისტერ დარსიმ გაიტაცა. მისტერ ჰერსტი, ელიზაბეთის გვერდით რომ იჯდა, მეტად უსიცოცხლო ვინმე იყო, რომელსაც მხოლოდ ჭამასმა და კარტის თამაში იტაცებდა. ლიზიმ უბრალო კერძი, რაგუ რომ არჩია, მაშინაც კი არაფერი უთქვამს.

სადილის შემდეგ ლიზი ჯეინთან დაბრუნდა. მის ბინგლიმ ლიზის ზურგს უკან მასზე ლაპარაკი დაიწყო. რა ცუდი მანერები აქვს, ამაყი და თავხედიანო; არც ლამაზია, არც სტილი აქვს და არც ლაპარაკი იცისო. მისის ჰერსტიც იმავეს ფიქრობდა და დაამატა:

–ვერაფრით შეაქებ, გარდა იმისა, რომ მშვენიერი მოსიარულეა. ამ დილით მისი გაღაჟღაჟებული სახე არ დამავიწყდება. ველურს ჰგავდა.

–ჰო, ჰგავდა, ლუიზა. თავი ძლივს შევიკავე, რომ არ გამცინებოდა და საერთოდ, აქ რას მოდიოდა! აქეთ-იქით უნდა იწანწალოს მხოლოდ იმის გამო, რომ დას სურდო აქვს? მერე და თმა! როგორი აწეწილი ჰქონდა!.

–და მისი ბოლოკაბა! ღმერთო! სულ ტალახში ამოესვარა. მოსასხამით ლამობდა მის დაფარვას.

–შენი აღწერილობა ალბათ ზუსტია, ლუიზა, თუმცა მე არც ერთი მათგანი არ შემინიშნავს, – უთხრა ბინგლიმ, – პირიქით, ელიზაბეთ ბენეტი ბრწყინვალედ გამოიყურებოდა ამ დილით, აქ რომ მოვიდა და მისი ტალახიანი ბოლოკაბა სულ არ შემიმჩნევია.

–თქვენ მაინც შენიშნავდით, მისტერ დარსი, დარწმუნებული ვარ, – უთხრა დარსის მის ბინგლიმ, – და მჯერა, არასოდეს მოისურვებდით, თქვენი და ასეთ დღეში გენახათ.

–არა, რას ამბობთ.

–სამი, ოთხი თუ ხუთი მილი ტალახიან გზაზე ფეხით იარა, თანაც მარტომ! რას ფიქრობდა, ნეტა? ამით საოცრად თავხედურად მოიქცა, რომ დაემტკიცებინა, თუ რაოდენ, დამოუკიდებელია. არავითარი მორიდება, არავითარი ეტიკეტი, ღმერთო ჩემო!

–ჩანს, და ძალიან უყვარს, რაც მახარებს, – თქვა ბინგლიმ. – მისტერ დარსი, ალბათ ამ თავგადასავალმა მისი მშვენიერი თვალები უკვე დაგავიწყათ, – ნახევრად ჩურჩულით უთხრა მის ბინგლიმ.

–სულაც არა, მიუგო დარსიმ, – ეს თვალები უფრო აინთნენ ამ დილით დიდი ხნის სიარულის შემდეგ.

მერე ცოტა ხნით ღუმილი ჩამოვარდა და მისის ჰერსტმა ისევ დაიწყო:

–მე ჯეინ ბენეტი ძალიან მომწონს! ის ნამდვილად კარგი გოგონაა და გულით ვუსურვებ ბედნიერებას. მაგრამ ასეთი დედ-მამისა და დების პატრონს, ალბათ, ბედი არ ექნება.

–მგონი, თქვენ თქვით, რომ მაგათი ბიძა მერიტონში ადვოკატია.

–დიახ, და კიდევ ჰყავთ ერთი ბიძა, რომელიც სადღაც ჩიფსაიდთან ახლოს ცხოვრობს.

–ანუ დედაქალაქში, – თქვა ერთერთმა დამ და ორივემ გულიანად გაიცინეს.

–მთელ ჩიფსაიდში რომ ბიძები ჰყავდეთ, ეს ფაქტი იოტისოდენითაც ვერ დაამცირებს ამ გოგონებს! – წამოიძახა ბინგლიმ.

–მაგრამ შეამცირებს კი მათ შანსს, გაჰყვენენ წესიერ კაცს მაღალი წრიდან, – უპასუხა დარსიმ.

ამაზე ბინგლის არაფერი უთქვამს. მისმა დებმა კი დარსის თანხმობის ნიშნად ისევ მდარე ნათესავებზე წამოიწყეს საუბარი.

შემდეგ ჯეინის ოთახში შევიდნენ და იქ ისხდნენ, სანამ ყავის დალევის დრო არ მოვიდა. ჯეინი თავს სუსტად გრძნობდა და ელიზაბეთი საღამომდე ოთახიდან არ გამოსულა, სანამ ჯეინს არ ჩაეძინა. ლიზიმ იგრძნო, რომ არ სურდა, მაგრამ ზრდილობა მოითხოვდა ქვემოთ, ოჯახის წევრებთან ჩასულიყო. სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე დაინახა, რომ ყველანი ბანქოს თამაშობდნენ და ისიც მიიწვიეს, მაგრამ უარი განაცხადა, მირჩევნია, ცოტა ხანი წიგნი წავიკითხოო. მისტერ ჰერსტმა გაოცებით შეხედა.

-კარტის თამაშს წიგნის კითხვა გირჩევნიათ? რა უცნაური ხართ.

-მის ბენეტს სძულს კარტი. სულ კითხულობს და კითხულობს და მარტო ეს სიამოვნებს.

-არც ასეთ ქებას ვიმსახურებ და არც ასეთ გაკიცხვას, - შეეპასუხა ელიზაბეთი, - დიდი მკითხველი სულაც არა ვარ და კითხვის გარდა სხვა რამეებიც მსიამოვნებს.

-თქვენი დის მოვლა ხომ გსიამოვნებთ, იმედია, მალე გამოჯანსაღდება, - უთხრა ბინგლიმ.

ელიზაბეთმა ბინგლის გულითადი მადლობა გადაუხადა და მერე იმ მაგიდისკენ გაემართა, სადაც წიგნები ელაგა. ბინგლიმ უმაღვე შესთავაზა, ჩემი ბიბლიოთეკიდან სხვა წიგნებსაც მოგიტანთო.

-ვისურვებდი და ვიამაყებდი, კიდევ უფრო დიდი ბიბლიოთეკა რომ მქონდეს; თუმცა ზარმაცი გახლავართ, ნახევარზე მეტი არც გადამიშლია.

ელიზაბეთმა დაარწმუნა, ეს წიგნებიც კმარა, აქ რომ აწყვიტაო.

-განცვიფრებული ვარ, - თქვა მის ბინგლიმ, - მამაჩემმა ასე ცოტა წიგნები რად დაგვიტოვა. ფემბერლიში რა დიდებული ბიბლიოთეკა გაქვთ, მისტერ დარსი!

-კარგი რატომაც არ იქნება, მრავალი თაობის დანატოვარია, უპასუხა დარსიმ.

-თქვენც ხომ ბევრი წიგნი შემატეთ, თქვენც გიყვართ წიგნების ყიდვა.

-არ მესმის, ოჯახმა როგორ უნდა უგულუბელყოს ბიბლიოთეკა.

- უგულუბელყოს! თქვენ არაფერს უგულუბელყოფთ, რაც ამ მშვენიერ ადგილს, რასაც საოჯახო ბიბლიოთეკა ჰქვია, უფრო მეტ მშვენიერებას შემატებს. ჩარლზ, სახლს რომ ააშენებთ, მსურს ფემბერლივით სასურველი იყოს.

-მეც ასე მსურს.

-გირჩევთ იყიდოთ ის მამული და ფემბერლის მოდელით ააშენოთ. დერბიშირზე უკეთესი საგრაფო ინგლისში არ არსებობს.

-გულით მინდა. ის კი არა, ფემბერლისაც ვიყიდდი, დარსი თუ გაყიდის.

-მე მართლა გეუბნებით, ჩარლზ.

-გეფიცებით, ქეროლანინ, მირჩევნია ფემბერლი შევიძინო, ვიდრე მისი იმიტაცია შევქმნა.

ელიზაბეთი ყურს უგდებდა და წიგნი სულ დაავიწყდა. მალე გვერდზე გადადო, ბანქოს მაგიდასთან მივიდა და თამაშს თვალი მიადევნა.

-მის დარსი გაზაფხულის მერე ძალიან გამაღლდა, მგონი, მალე ჩემსავით მაღალი იქნება, - თქვა მის ბინგლიმ.

–დიახ, ასეა; ახლა მის ელიზაბეთის სიმადლისაა, ანდა ვგონებ, უფრო მაღალიც.

–ო, როგორ მომენატრა! ასეთი მშვენიერი გოგონა არსად მინახავს. როგორი სახე აქვს, როგორი მანერები! ასაკთან შედარებით მეტისმეტად განვითარებულია! ფორტეპიანოზე უბადლოდ უკრავს.

–ყოველთვის მოცებდა ამ გოგონების საოცარი მოთმინება, ასევე დახვეწილობა ყველა მათგანისა.

–ყველა მათგანისა? ძვირფასო ჩარლზ, რას გულისხმობთ?

–დიახ, ყველა მათგანისა! ისინი ყველანი ხატავენ, ქარგავენ, ხელიდან ყველაფერი გამოსდით. იშვიათად შემხვედრია ვინმე, რომ ხელმარჯვე არ იყოს. პირველად რომ ქალიშვილს გაგაცნობენ, მასზე აუცილებლად იტყვიან, თუ როგორი დახვეწილია.

–ჰო, მაგრამ შენ სწორედ ხელსაქმისა და ხელმარჯვეობის მიხედვით აფასებ მათ, ჩარლზ, – უთხრა დარსიმ, მე კი ვერ დაგეთანხმები ქალთა საერთო შეფასებაში. მე მხოლოდ რამდენიმეს ვიცნობ ისეთს, ვისაც ნამდვილად სრულყოფილი ეთქმის.

–მეც ასევე, – დაეთანხმა მის ბინგლი.

–მაშინ სრულყოფილებაში ალბათ ბევრ რამეს გულისხმობთ, – შენიშნა ელიზაბეთმა.

–დიახ, ბევრ რამეს.

–ოჰ, რა თქმა უნდა, წამოიძახა მის ბინგლიმ, სრულყოფილი ქალი მიღებულ სტანდარტებს არა მარტო უნდა აკმაყოფილებდეს, არამედ კიდევ აღემატებოდეს. ქალიშვილმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს მუსიკა, მღეროდეს, ხატავდეს, ცეკვავდეს, ფლობდეს უცხო ენებს, რათა სრულყოფილებას მიაღწიოს. ამ ყველაფრის გარდა სიარული, საუბრის მანერა და გამომეტყველება მომხიბვლელი უნდა ჰქონდეს.

–დიახ, ეს ყოველივე უნდა ჰქონდეს და ამას გარდა ბევრს კითხულობდეს, რათა გონება გამოაწროს, – შენიშნა დარსიმ.

–ადარ მიკვირს, მხოლოდ ექვს სრულყოფილ ქალს რომ იცნობ, დარსი! მე ის უფრო მიკვირს, საერთოდ რომ მიიჩნევ ვინმეს სრულყოფილად. ნუთუ საკუთარი სქესისადმი ისეთი მკაცრი ხარ, რომ მათ სრულყოფილებას ეჭვქვეშ აყენებ?

–მე ასეთი ქალი ჯერ არ შემხვედრია. არავინ ვიცი, ვისაც ყველაფერი ჰქონდეს ერთად: ნიჭიც, გემოვნებაც, გარეგნობაც, დახვეწილობაც... – თქვა ელიზაბეთმა.

მისის ჰერსტმა და მის ბინგლიმ წყენა ვერ დამალეს ლიზის მიერ გამოთქმული ეჭვის გამო. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბევრ ასეთ ქალს იცნობდნენ. ისე ახმაურდნენ, რომ მისტერ ჰერსტმა ქალებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. საუბარი დასრულდა თუ არა, ელიზაბეთმა სასტუმრო ოთახი დატოვა.

-ელიზაბეთ ბენეტი ერთერთი იმ ქალიშვილთაგანია, რომელიც მამაკაცებს თავს იმით აწონებს, რომ ქალთა სქესს არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს. ზოგ მამაკაცთან ეს მართლაც ჭრის. მაგრამ ჩემი აზრით, ეს უსუსური და მდარე ხერხია მამაკაცთა ცდუნებისა... – აღნიშნა მის ბინგლიმ, მას შემდეგ, რაც ლიზი ოთახიდან გავიდა.

-რასაკვირველია, ასეა, უპასუხა დარსიმ, რომელმაც იგრძნო, რომ ეს შენიშვნა მისი მისამართით იყო ნათქვამი, საერთოდ ქალები მიწამდე ეშვებიან და უკადრის ხერხებს იყენებენ მამაკაცთა გულის მოსაგებად. ყველა ეშმაკური ხრიკი კი ზიზღის მომგვრელია.

მის ბინგლი იმდენად ვერ დააკმაყოფილა დარსის პასუხმა, რომ საუბარი გაეგრძელებინა.

ელიზაბეთი დაბრუნდა, მაგრამ მხოლოდ იმის სათქმელად, რომ მისი და უფრო ცუდად იყო და ვერ მიატოვებდა. ბინგლიმ ექიმი გამოიძახა. დებმა კი გადაწყვიტეს, სოფლის ექიმი საქმეს ვერ უშველისო და ქალაქიდან ცნობილი მკურნალის მოწვევა განიზრახეს.

გადაწყდა, რომ დილით ადრე მისტერ ჯონსს მოიწვევდნენ, თუ მის ბენეტი ისევ ცუდად იქნებოდა. ბინგლი ისე წუხდა, რომ ადგილს ვერ პოულობდა. დებიც ამბობდნენ, რომ ძალიან განიცდიდნენ, თუმცა ვახშმის შემდეგ გული სიმღერით დაიმშვიდეს. ამ დროს კი მისტერ ბინგლი ისევ შეწუხებული იყო და განკარგულება გასცა, მოსამსახურეებს მთელი ყურადღება მის ბენეტისა და მისი დისთვის მიექციათ.

თავი მეცხრე

ელიზაბეთმა ღამის უმეტესი ნაწილი დის ოთახში გაატარა, ხოლო დილით შეატყობინა ბინგლის ოჯახს, რომელმაც პირისფარეში გამოგზავნა ამბის გასაგებად, ჯეინი უკეთ არისო. ამის მიუხედავად, ელიზაბეთმა ლონგბერნში წერილი გაგზავნა, რომ დედამისი წამოსულიყო ჯეინის სანახავად. მისის ბენეტი ორ უმცროს ქალიშვილთან ერთად სწორედ საუზმის შემდეგ ჩავიდა ნეზერფილდში.

ქალიშვილს რომ რაიმე საფრთხე დამუქრებოდა, მაშინ მისის ბენეტი ცუდ დღეში იქნებოდა, მაგრამ ახლა უხაროდა კიდევ, რომ ქალიშვილის ყოფნა ნეზერფილდში დაყოვნდა. ამიტომ ჯეინს შინ წაყვანაზე უარი უთხრა. ამავე აზრისა იყო მკურნალიც, რომელმაც დედის რჩევა მოიწონა. ცოტა ხანს ქალიშვილის ოთახში იჯდა მისის ბენეტი, მერე კი მის ბინგლიმ სასტუმროში გაიყვანა. ბინგლი იმედოვნებდა, რომ მის ბენეტი უარესად არ შეიქნებოდა.

-უარესადაა, – უთხრა ბინგლის მისის ბენეტმა, – მისი წამოდგომა არ შეიძლება. მისტერ ჯონსიც ამავე აზრზეა. ცოტა ხნით თქვენთან უნდა დარჩეს, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

-რას ბრძანებთ, პირიქით, მე წინააღმდეგი ვიქნები, რომ წაიყვანოთ. ასევე ჩემი დაც. არა, დაო?

-დიახ, მის ბენეტი ჩვენთან დარჩება და ყურადღების ქვეშ იქნება, - ცივი თავაზიანობით წარმოთქვა მის ბინგლიმ.

მისის ბენეტი ძალზე მაღლიერი იყო.

-ასეთი შესანიშნავი მეგობრები რომ არა, როგორც თქვენ ხართ, არ ვიცი, ჩემს ქალიშვილს რა მოუვიდოდა. ის ძალიან იტანჯება, მაგრამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი მოთმინება აქვს. ჩემს ვერც ერთ ქალიშვილს ჯეინს ვერ შევადარებ. რა მშვენიერი ოთახი გაქვთ, მისტერ ბინგლი, ფანჯრიდან მშვენიერი ხედი მოსჩანს. ნეზერფილდზე უკეთესი ადგილი ქვეყნად არ მეგულება. მართალია, ცოტა ხნით გაქვთ დაქირავებული, მაგრამ აჩქარებით არ უნდა დატოვოთ აქაურობა.

-მე ყველაფერს აჩქარებით ვაკეთებ, მისის, და თუკი ნეზერფილდიდან წასვლას მოვიწადინებ, ამისთვის სულ ხუთი წუთი დამჭირდება. ამჟამად კი აქაურობა ისე მომწონს, არსად ვაპირებ წასვლას.

-მეც სწორედ ეს ვიფიქრე, უთხრა ელიზაბეთმა.

-თქვენ ჩასწვდით ჩემს ფიქრებს, არა? - ჰკითხა ბინგლიმ.

-დიახ, მე კარგად მესმის თქვენი.

-ამას კომპლიმენტად ჩავითვლიდით, მაგრამ რადგან ასე ცხადად ხედავთ ჩემს ფიქრებს, ჩემი თავი მეცოდება.

-მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ღრმა და რთული პიროვნება მეტნაკლებად უფრო პატივსაცემია, ვიდრე თქვენ, ბინგლი.

-ლიზი, დაგავიწყდა, რომ საკუთარ სახლში არა ხარ და მეტი თავაზიანობა გმართებს? - შენიშნა მისის ბენეტმა.

-არ ვიცოდი, რომ ხასიათზე დაკვირვება და მათი შესწავლა ძალგიძთ. ალბათ ძალიან საინტერესო და გასართობი რამ არის, უთხრა ბინგლიმ.

-რთული პიროვნების შესწავლას თავისი უპირატესობა აქვს. საინტერესოა.

-ჰო, მაგრამ სოფლად ასეთი შესწავლისთვის ხელსაყრელი პირობები არ არის. სოფელში ძირითადად ერთი ტიპის ხალხი ცხოვრობს.

-მაგრამ ადამიანები ხომ ერთმანეთს არ ჰგვანან და ყველა მათგანში ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენ.

-ჰო, ასეა, - წამოიძახა მისის ბენეტმა, რომელიც შეურაცხევს იმით, რომ სოფელი ახსენეს, - ასეთი რამის გაკეთება სოფელშიც შეიძლება.

ყველა უხერხულად შეიშმუშნა. დარსიმ გვერდზე გაიხედა. მისის ბენეტს ეგონა, დარსიზე გავიმარჯვეო და ლაპარაკი განაგრძო:

–ლონდონი არაფრით სჯობს სოფელს, გარდა იმისა, რომ იქ ბევრი მაღაზია და თავშეყრის ადგილია. სოფელი უფრო სასიამოვნოა, არა, მისტერ ბინგლი?

–როცა სოფელში ვარ, აქედან წასვლა არ მინდა, ხოლო როცა ქალაქში ვარ, მაშინ ქალაქის დატოვება არ მსურს. სოფელსაც და ქალაქსაც თავისი უპირატესობა აქვს. მე თავს აქაც და იქაც ბედნიერად ვგრძნობ.

–იმიტომ, რომ თქვენ კეთილგანწყობილი ხართ, ის ბატონი კი სოფელს არაფრად მიიჩნევს, თქვა მისის ბენეტმა და დარსის შეხედა.

–ასე არ არის დედა, თქვენ დარსიზე არასწორად ფიქრობთ. დარსიმ მხოლოდ ის თქვა, რომ ქალაქში ხალხი უფრო ჭრელია და მრავალგვარი, ვიდრე სოფლად, ასე არ არის? - გაწითლდა ლიზი.

–ასეა, ძვირფასო, მაგრამ აქ ხომ მხოლოდ ოცდაოთხი ოჯახი ცხოვრობს, მეტი არა.

ბინგლიმ თავი შეიკავა, რომ არ გასცინებოდა, მაგრამ მისი და ნაკლებად დელიკატური აღმოჩნდა და დარსის მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა. ელიზაბეთმა, თემა რომ შეეცვალა, დედას ჰკითხა, შარლოტა ლუკასი ხომ არ მოსულა ლონგბერნშიო.

–დიახ, გუშინ მამამისთან ერთად გვესტუმრა. რა შესანიშნავი კაცია სერ უილიამი, არა, მისტერ ბინგლი, რა თავაზიანი და სასიამოვნოდ მოსაუბრე! ყოველთვის იცის, რა თქვას. ეს კარგი ოჯახიშვილობის ნიშანია, ხოლო ის კაცები, ვისაც თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ და ერთი სიტყვის თქმას არ იკადრებენ, ვერაფერი შვილები არიან.

–შარლოტა სადილზე დარჩა?

–არა, წავიდა, მგონი ღვეზელები უნდა გამოეცხო. მე, ჩემდათავად, მისტერ ბინგლი, ამ საქმისთვის მოსამსახურეები მყავს. ჩემი ქალიშვილები სხვაგვარად აღვზარდე. თუმცა ლუკასების ქალიშვილები კარგები არიან, სილამაზით ვერ გამოირჩევიან. შარლოტას შესახედავად არა უშავს. ის ჩვენი განსაკუთრებული მეგობარია.

–ძალიან სასიამოვნო ქალიშვილი ჩანს.

–ძალიან, მაგრამ შეუხედავია. თავად ლედი ლუკასიც ამას ამბობს და შურს ჯეინის სილამაზე. მე კი არ ვტრაბახობ, მაგრამ ჯეინისთანა ლამაზი ბარე ორი არ არის. ყველა ამას ამბობს. მე მარტო როდი ვფიქრობ ასე. თხუთმეტი წლის რომ იყო, ჩემი ძმის, გარდინერის ნაცნობს ისე შეუყვარდა, რომ ჩემი რძალი დარწმუნებული იყო, ჯეინის ხელს გთხოვთო. მაგრამ არ უთხოვია. ალბათ ძალიან პატარად მოეჩვენა. თუმცა მშვენიერი ლექსები დაუწერა.

–და ასე დასრულდა ეს ამბავი, ვეღარ მოითმინა ელიზაბეთმა, კიდევ ბევრი იყო ალბათ, ვინც ლექსი მიუძღვნა. ნეტავ ვინ იყო ის ბრძენი, ვინც სიყვარულის განსაკურნად თუ განსადევნად პოეზია მოიგონა?!

–მე პოეზიას სიყვარულის საკვებად ვთვლი, – თქვა დარსიმ.

–ჰო, მსუქან, ჯანსაღ სიყვარულს გამოკვებავს. სიძლიერე თვითონ კვებავს თავს. მაგრამ თუ სუსტი, მბჟუტავი გრძნობაა, მაშინ ერთი კარგი სონეტი ისე დაამშვეს, რომ საერთოდ გაქრება მისი ხსენება.

დარსის გაეღიმა. მერე დუმილი ჩამოვარდა და ელიზაბეთს შეეშინდა, დედამ ისევ არ ამოიღოს ხმაო. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა. მერე მისის ბენეტმა ისევ დიდი მადლობა გადაუხადა მისტერ ბინგლის, რომ ჯეინისადმი ასეთი სიკეთე გამოიჩინა და ბოდიშიც მოიხადა, შეგაწუხეთო. მისტერ ბინგლიმ თავაზიანად უპასუხა, ის, რასაც ეტიკეტი მოითხოვდა. მის ბინგლიც ისევე მოიქცა. ბოლოს მისის ბინგლიმ ეტლი გამოიძახა. ამის გაგონებაზე ლიზის უმცროსმა დამ მისტერ ბინგლის შეახსენა, თქვენ ხომ ნეზერფილდში წვეულების მოწყობას დაგვპირდითო.

ლიდია თხუთმეტი წლისა იყო, პუტკუნა და მხიარული. დედას განსაკუთრებით უყვარდა, ამიტომ საზოგადოებაშიც საკმაოდ ადრე გამოიყვანა. ბავშვური სიანცითა და ამავე დროს სიამაყით ოფიცერთა ყურადღებაც კი მიიქცია. ბინგლის ძალზე თამამად მიმართა მეჯლისის თაობაზე და დაპირებული შეახსენა. უთხრა, სირცხვილი იქნება თუ დანაპირებს არ შეასრულებთო. ბინგლის პასუხი მისის ბენეტს ძალიან ეამა:

–მზად ვარ, დანაპირები შევასრულო და როგორც კი თქვენი და გამოჯანმრთელდება, შეგიძლიათ ნებისმიერი დღე დაასახელოთ, რომელიც თქვენ გნებავთ. ოღონდ ჯერ თქვენი და უნდა გამოკეთდეს.

ლიდიამ კმაყოფილება ვერ დაფარა.

–ოჰ, დიახ, რა თქმა უნდა, ჯერ გამოკეთდეს და იმ დროისთვის კაპიტანი კარტერიც მერიტონში იქნება. მერე იმათაც ვთხოვ, წვეულება გამართონ. პოლკოვნიკ ფორსტერს ვთხოვ.

ამის შემდეგ მისის ბენეტი ქალიშვილებთან ერთად გაემგზავრა, ელიზაბეთი კი ჯეინთან დაბრუნდა და მისი ოჯახის წევრების საქციელის განსჯა მისტერ დარსის და ბინგლის დებს მიანდო. მის ბინგლიმ მშვენიერ თვალთა შესახებ ირონიული ლაპარაკი წამოიწყო, თუმცა დარსი ვერ აიყოლია და ელიზაბეთზე ცუდი ვერ დააცდენინა.

თავი მეათე

ის დღევ ჩვეულებრივად დასრულდა. მისის ჰერსტმა და მის ბინგლიმ რამდენიმე საათი ავადმყოფის საწოლთან გაატარეს, რომელიც ნელნელა ჯანსაღდებოდა. საღამოს ელიზაბეთი მათ სასტუმრო ოთახში შეუერთდა. ბანქოს მაგიდა არსად ჩანდა. მისტერ დარსი წერდა, ხოლო მის ბინგლი მის გვერდით იჯდა და რაღაცებს კარნახობდა. მისტერ ჰერსტი და ბინგლი პიკეტს თამაშობდნენ და მისის ჰერსტი მათ თამაშს თვალყურს ადევნებდა.

ელიზაბეთმა საქარგავი აიღო და დარსის ყურს უგდებდა. მის ბინგლი შენიშვნებს აძლევდა: ასობის სისწორე დაიცავიო. ხან წერილის მოცულობაზე გამოთქვამდა თავის აზრს, ხან აქებდა დარსის, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა მის შექებას და მათი დიალოგი საინტერესო მოსასმენი იყო.

–როგორ გაუხარდება მის დარსის, ამ წერილს რომ მიიღებს!

დარსიმ პასუხი არ გასცა.

–ძალიან სწრაფად წერთ.

–ცდებით, პირიქით, ძალიან ნელა ვწერ.

–ალბათ რამდენ ასეთ წერილს დაწერთ მთელი წლის განმავლობაში! მათ შორის ბიზნესწერილიც რამდენი იქნება. ბევრს ალბათ აუტანლად მივიჩნევდი.

–მაშინ კარგია, რომ ჩემს ხელში გაივლის და არა თქვენსაში.

–მისწერეთ თქვენს დას, რომ მენატრება.

–უკვე მივწერე.

–მგონი, კალამი არ მოგწონთ. იქნებ შევაკეთო. კარგად გამომდის.

–არა, გმადლობთ, მე თვითონ.

–ასე თანაბრად წერას როგორ ახერხებთ?

დარსი დუმდა.

–მისწერეთ თქვენს დას, რომ ძალიან მიხარია, ქნარზე რომ კარგად უკრავს და ისიც უთხარით, რომ ძლიერ აღმაფრთოვანა მისმა ნაქარგმა. მის გრანთლისაც კი აჯობა.

–გთხოვთ, მადროვოთ, რომ მოვისაზრო, როგორ დავწერო თქვენი აღფრთოვანების შესახებ, თორემ კარგად არ გამომივა.

–ოჰ, არა უშავს, თქვენს დას იანვარში შევხვდები. თქვენ კი მაინც როგორ ახერხებთ ასე გრძელი და ლამაზი ასობის წერას, დარსი?

–გრძელი ნამდვილად არის, მაგრამ ლამაზია თუ არა, მე ვერ შევაფასებ.

-ვისაც გრძელი ასოები იოლად გამოჰყავს, ის უშნოდ ვერ დაწერს.

-ეს კომპლიმენტი დარსის არ ეხება, ქეროლაინ, შენიშნა ბინგლიმ, ის იოლად სულაც ვერ წერს და სულ ოთხმარცვლიანი სიტყვების ძებნაშია. არა, დარსი?

-წერის ჩემეული სტილი შენეულისგან განსხვავდება.

-ოჰ, ჩარლზი ხომ დაუდევრად წერს, ნახევარ სიტყვებს ტოვებს, დანარჩენს ჯღაბნის და შლის!.. – წამოიძახა მის ბინგლიმ.

-აზრები ისე სწრაფად მომდის, რომ მათ ჩაწერას ვერ ვასწრებ, ამიტომ ჩემს წერილს ვერ იგებენ.

-თქვენი თავმდაბლობა, ბინგლი, ყოველგვარ კრიტიკას გადაწონის, უთხრა ელიზაბეთმა.

-თავმდაბლობა ყალბი მოჩვენებითობაა და ზოგჯერ არაპირდაპირი ბაქიაობაც... – შენიშნა დარსიმ.

-და ჩემს მოკრძალებას იმ ორიდან რომელს მიაკუთვნებ?

-შეფარულ ბაქიაობას. შენ გეამაყება ის, რომ წერაში შეცდომებს უშვებ, რადგან მიგაჩნია, რომ მეტისმეტად სწრაფად აზროვნებ, რათა ჩაწერა მოასწრო. ეს კი შენვე მოგწონს და საკმაოდ საინტერესო თვისებადაც მიგაჩნია. სწრაფი ქმედება მოქმედს ყველაზე მეტად მოსწონს და იმას კი არ უკვირდება, რომ ის ქმედება არაზუსტი ან არასრულყოფილია. ამ დილით რომ თქვი, ნეზერფილდიდან ხუთ წუთში წავიდოდი, თუ მოვისურვებდიო, ამით შენს თავს ხოტბა შეასხი. განა რა სახარბიელოა აჩქარება, თუ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვან?

არა, ეს მეტისმეტია, რატომ უნდა გამიხსენო სადამოს, რა სისულელე ვთქვი დილით და ვგონებ, რაც ვთქვი საკუთარ თავზე, სიმართლეა. ახლაც ამას ვადასტურებ. თუმცა ამ თვისების გამომჟღავნება გოგონებთან სულაც არ მინდოდა

-მჯერა, რომ დაუფიქრებლად მაინც არ მოიქცეოდი და თუ ცხენზე შემჯდარს მეგობარი გთხოვდა, ერთი კვირით დარჩიო, შენ, ალბათ, ერთი თვით მაინც დარჩებოდი.

-ამით იმას ადასტურებთ, რომ ბინგლი კეთილია და მხოლოდ საკუთარ სურვილებს არ ემორჩილება. ახლა თქვენ უფრო შეაქეთ ის, ვიდრე მან საკუთარი თავი, – უთხრა ელიზაბეთმა.

-გმადლობთ, მის ბენეტ, რომ ჩემი მეგობრის ნათქვამი ჩემდამი კომპლიმენტად გადააქციეთ. მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი მეგობარი ამას სულაც არ გულისხმობდა. მას ის უფრო გაუხარდებოდა, ახლა პირდაპირ ცხენზე რომ შევჯდე და უკანმოუხედავად გავაჭენო.

-თქვენი აზრით, დარსი ფიქრობს, რომ ჯიუტი ხართ და მეტი არაფერი?

-ეს დარსის უნდა ჰკითხოთ.

-ნუ მკითხავთ, რადგან ეგ, რაც თქვენ თქვით, სულაც არ მიგულისხმია. გახსოვდეთ, მის ბენეტ, რომ ასეთი კაცი მეგობრის რჩევით კი არ დარჩა, არამედ თავად სურდა ასე და იმიტომ. ერთხელაც არ უკითხავს, რატომ უნდა დავრჩე ან მიზანშეწონილია თუ არა, რომ დავრჩეო.

-მეგობრის რჩევას რომ კაცი დაუყოვნებლივ მიიღებს, ის კაცია საქები და არა მისი მეგობარი.

-ჰო, მაგრამ თუ არგუმენტის გარეშე მიიღებს, მაშინ ორივეს ქცევა გაუგებარია ჩემთვის.

-ჰო, მაგრამ, მისტერ დარსი, თქვენ გავიწყდებათ, რომ ამ მეგობრებს ერთმანეთი უყვართ და ენდობიან და ამ შემთხვევაში ყოველგვარი არგუმენტი ზედმეტად მიმაჩნია. ახლა მაინცდამაინც მისტერ ბინგლის საქციელზე ნუ გავამახვილებთ ყურადღებას. დაველოდოთ და მხოლოდ დრო გვიჩვენებს, ფრთხილია თუ თავქარიანი. მაგრამ, ზოგადად მეგობრებს რაც შეეხება, აქ უკვე არგუმენტებზე ლაპარაკი, ვიმეორებ, სრულიად ზედმეტია.

-მაგრამ, სანამ ამ საგანზე საუბარს გავაგრძელებთ, მეგობრული სიყვარულის გარდა უცილობლობის ხარისხიც გავითვალისწინოთ.

-რასაკვირველია, - წამოიძახა ბინგლიმ, - მოდი, ყველა დეტალი მოვისმინოთ და არაფერი გამოგვრჩეს, რადგან ამას კამათში უფრო მეტი წონა აქვს, მის ბენეტ, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. გარწმუნებთ, დარსი რომ ასეთი დიდი და მაღალი არ იყოს ჩემთან შედარებით, არაფრად ჩავაგდებდი, მაგრამ ვაცხადებ: დარსის სუბიექტი შიშისმომგვრელია ცალკეულ დროსა და ადგილას, განსაკუთრებით საკუთარ სახლში კვირა საღამოს, როცა მოცლილია და საქმე არაფერი აქვს.

დარსიმ გაიღიმა, თუმცა ელიზაბეთმა იფიქრა, ბინგლის ეწყინაო და ღიმილი შეიკავა. მის ბინგლიმ თბილად დატუქსა ძმა და უთხრა, რა სისულელეს ლაპარაკობო.

-მე ვხვდები შენს ჩანაფიქრს, მეგობარო, უთხრა დარსიმ, შენ იმ ფაქტს მაღავე, რომ კამათი არ გიყვარს.

-შესაძლოა, ასეც იყოს. კამათი მართლაც არ მიყვარს. თუ შენ და მის ბენეტი უჩემოდნი კამათებთ, მადლობელი ვიქნები და რაც გინდათ, ის თქვით ჩემზე.

-რასაც თქვენ ითხოვთ, სულ ადვილია, - თქვა ელიზაბეთმა, - ოღონდ მისტერ დარსიმ სჯობია წერილი დაასრულოს.

დარსიმ რჩევა ყურად იღო და წერილი დაასრულა. საქმეს რომ მორჩა, მის ბინგლისა და ელიზაბეთს სთხოვა, რამე დაგვიკარითო. მის ბინგლი ფორტეპიანოსკენ გაემართა და, თხოვნის შემდეგ, ჯერ ელიზაბეთმა დაუკრასო და მან კი თავაზიანად უარი უთხრა, ინსტრუმენტს მიუჯდა.

სანამ მისის ჰერსტი დასთან ერთად მღეროდა, ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ დარსის თვალები მისკენ ხშირად იყურებოდნენ. ვერ წარმოედგინა თუ ამ დიდებულ კაცს მოეწონებოდა, ხოლო თუ არ მოსწონდა, მაშინ რაღაზე უყურებდა? ალბათ ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ

მისტერ დარსის ცოტა სხვაგვარად ესმოდა ავიცა და კარგიც. ამის გამო ელიზაბეთს გული არ სტკენია. არ მოსწონდა დარსი და არც ის აინტერესებდა, მასზე რას იფიქრებდა.

მის ბინგლიმ ჯერ იტალიური სიმღერები იმღერა, მერე კი შოტლანდიურ მელოდიაზე გადავიდა. ამასობაში დარსი ელიზაბეთს მიუახლოვდა და უთხრა:

–მის ბენეტ, რილს ხომ არ იცეკვებთ?

ელიზაბეთმა მხოლოდ გაიღიმა. დარსიმ შეკითხვა გაუმეორა და ცოტა გაოცებული ჩანდა.

–ოჰ, გავიგონე, დარსი, რაც მკითხეთ, მაგრამ არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა. ალბათ გასურდათ დაგთანხმებოდით და მერე ჩემი გემოვნებისთვის დაგეცინათ, მაგრამ ასეთ რამეებს წინასწარ ვხვდები და ადამიანის ზიზღნარევი დაცინვას ძირშივე აღმოვფხვრი ხოლმე. ამასთანავე მსურს, გითხრათ, რომ რილის ცეკვა საერთოდ არ მინდა და ახლა გაბედეთ და შემძულეთ.

–ვერ გავბედავ.

ელიზაბეთი დარსის კეთილშობილურმა პასუხმა შეაცბუნა. აპირებდა, დარსი დაემცირებინა, მაგრამ ბუნებით კეთილს, ამას რომც ცდილიყო, არ გამოუვიდოდა. დარსი თავის მხრივ არც ერთ ქალს ასე არ გაუოცებია, როგორც ელიზაბეთს. ალბათ შეუყვარდებოდა კიდევ, რომ არა ელიზაბეთის საშინელი ოჯახის წევრები.

მის ბინგლი ეჭვიანობდა და ახლა, როცა ჯეინი გამოკეთდა, უნდოდა ელიზაბეთი თავიდან მოემორებინა.

დარსის ცდუნება სცადა, რომ ელიზაბეთზე ცუდი რამ ეთქვა და ერთ დღეს სეირნობისას დარსის უთხრა:

–თქვენ და ლიზი რომ იქორწინებთ და ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდება, სჯობს სიდედრს აგრძნობინოთ, რომ ენა უნდა დაიმოკლოს. თუ ამას მიაღწევთ, იქნებ მისი დებიც იხსნათ, რომ ოფიცრებს აღარ გამოეკიდონ და თქვენს ლედის ის ქედმაღლობა და სითავხედე მოაშლევინოთ.

–კიდევ რას მირჩევდით ჩემი ოჯახური ბედნიერებისთვის?

–ოჰ, კიდევ, ფემბერლის გალერეაში ბიძათქვენისა და მისი მეუღლის სურათები მსაჯული ბიძის გვერდით გამოფინეთ. პროფესიები მაინც ერთი აქვთ, თუმცა ოდნავ განსხვავებული, ხოლო ელიზაბეთის პორტრეტს ნურავის დაახატვინებთ. იმ მშვენიერ თვალებს მაინც ვერავინ დახატავს.

–მართლაც ვერავინ დახატავს, თუმცა მათი გამომეტყველების, ფერისა და ფორმის და ასევე წამწამების კოპირება შესაძლებელია.

ამ დროს გზად მეორე მხრიდან მომავალი მისის ჰერსტი და ელიზაბეთი შემოხვდნენ.

-არ ვიცოდი, თქვენც თუ სეირნობდით, დაიბნა მის ბინგლი, იფიქრა, ჩვენი საუბარი ხომ არ ესმოდათო.

-ასე რატომ მოგვექეცით, უთხრა მისის ჰერსტმა, არც გითქვამთ, რომ სეირნობას აპირებდით.

მერე დარსის მკლავი მკლავში გაუყარა და ელიზაბეთი მიატოვა. ბილიკი ვიწრო იყო და მხოლოდ სამს იტევდა. დარსიმ შენიშნა ქალების უზრდელობა და თქვა:

-ჯობს, ფართო ადგილზე გავიდეთ, აქ ვერ ვეტევით ყველანი.

ელიზაბეთს არ სურდა მათთან დარჩენა და სიცილით უთხრა:

-არა, არა, აქ დარჩით. ერთად მშვენიერი სანახავი ხართ და ეს მშვენიერება მეოთხემ არ უნდა დაარღვიოს. ნახვამდის.

ეს თქვა თუ არა, მხიარულად გაეშურა სახლისკენ იმის ფიქრით ბედნიერი, რომ ერთ-ორ დღეში ამ სახლიდან წავიდოდა. ჯეინი თავს ისე კარგად გრძნობდა, რომ საღამოს ორი საათით ოთახიდან გამოვიდა.

თავი მეთერთმეტე

სადილის შემდეგ ელიზაბეთი დასთან გაიქცა და რომ ნახა, კარგად იყო, სასტუმრო ოთახში ჩამოუძვრა, სადაც ქალები დიდი სიამოვნებით შეხვდნენ. ელიზაბეთს ისინი ასეთი სასიამოვნონი მანამდე არ ენახა. ლაპარაკით არ იღლებოდნენ, ჰყვებოდნენ სახუმარო ამბებს, ანეკდოტებს და გულიანად იცინოდნენ.

მამაკაცები რომ შემოვიდნენ, ჯეინიდან საუბარი სხვა თემაზე გადაიტანეს. მის ბინგლი დარსის უყურებდა და რაღაცის თქმას ლამობდა. დარსი მის ბენეტს მიესალმა. მისტერ ჰერსტიც ასე მოიქცა, თავი დაუკრა და უთხრა, მოხარული ვარო. მაგრამ ბინგლი სითბოთი და სიყვარულით იყო გაჟღენთილი და ყველაზე მეტად უხაროდა ჯეინის გამოჯანმრთელება. ბუხარში ცეცხლი დაანთეს, რომ ჯეინს არ შესცივებოდა. ბინგლის თხოვნით ჯეინი ბუხრის მეორე მხარეს დაჯდა, რომ კარისგან შორს ყოფილიყო. მერე ბინგლი გვერდით მიუჯდა ჯეინს და მის გარდა თითქმის არავის დალაპარაკებია. ელიზაბეთი ოთახის მეორე კუთხეში იჯდა და სიამოვნებით უცქერდა ამ სანახაობას.

ჩაის სმა რომ დაასრულეს, მისტერმა ჰერსტმა მის ბინგლის კარტის თამაში შეახსენა, თუმცა უშედეგოდ. ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ მისტერ დარსის კარტის თამაში არ სურდა. ყოველ შემთხვევაში, არავის სურვილი არ გამოუთქვამს. ამიტომ მისტერ ჰერსტი სავარძელში ჩაწვა და ჩაეძინა. დარსიმ წიგნი აიღო. მის ბინგლიმაც მას მიჰბაძა. მისის ჰერსტი სამაჯურებსა და ბეჭდებს ათამაშებდა და თან ძმისა და მის ბენეტის საუბარს უსმენდა.

მის ბინგლი დარსის უფრო უყურებდა, ვიდრე იმ წიგნს, რომელიც წასაკითხად აიღო. რაღაცებს ეკითხებოდა კიდევ დარსის და მის წიგნშიც იყურებოდა, თუმცა ლაპარაკში ვერ გამოიწვია. დარსი უგულოდ პასუხობდა და მერე კითხვას აგრძელებდა. ბოლოს მის ბინგლი დაიღალა, დაამთქნარა და თქვა: რა სასიამოვნოა საღამოს ასე გატარება! კითხვაზე უკეთესი გასართობი არ არსებობს. კითხვა არასოდეს მოგბეზრდება. ჩემი სახლი რომ მექნება, მშვენიერ ბიბლიოთეკას მოვაწყობო.

არავინ შეჰპასუხებია. მის ბინგლიმ ისევ დაამთქნარა, მერე წიგნი გვერდზე მოისროლა და ოთახს თვალი მოავლო იმ იმედით, რაიმე გასართობს ვიპოვიო. მისი ძმა წვეულების შესახებ ესაუბრებოდა მის ბენეტს. უცებ ძმას მიუბრუნდა და უთხრა:

–ჩარლზ, კარგი ერთი, მართლა აპირებ ნეზერფილდში მეჯლისის მოწყობას? გირჩევ აქ დამსწრე საზოგადოებასაც ჰკითხო. ალბათ ზოგიერთ მათგანს, ჩემი ჩათვლით, ეს იდეა არ მოეწონება.

–თუ დარსი გყავს მხედველობაში, მას შეუძლია მეჯლისის დაწყებამდე დასაძინებლად წავიდეს, მაგრამ რაც შეეხება მეჯლისს, ის აუცილებლად მოეწყობა. ეს უკვე გადაწყვეტილია.

–მეჯლისები უმეტესად მოსაწყენია ხოლმე. უფრო რაციონალური იქნებოდა, წინასწარ დაგეგმილიყო.

–რაციონალურს, ძვირფასო ქეროლან, მეჯლისთან საერთო არაფერი აქვს.

მის ბინგლის არაფერი უთქვამს. ადგა და ოთახში გაიარა. კარგი აღნაგობა ჰქონდა და კობტად დადიოდა, მაგრამ დარსი წიგნს ჩაშტერებოდა და მის ბინგლისთვის არ შეუხედავს. ამიტომ მის ბინგლიმ ელიზაბეთს მიმართა:

–მის ბენეტ, გთხოვთ მე მომბადოთ და ოთახში იაროთ. დამერწმუნეთ, ამდენი ჯდომის შემდეგ გავლა კარგია.

ელიზაბეთი გაოცდა, მაგრამ დასთანხმდა. ამან გასჭრა, დარსიმ კითხვას თავი მიანება და ქვეცნობიერად წიგნი დახურა. მის ბინგლიმ ისიც მოიხმო, შენც იარეო, მაგრამ უარი მიიღო. დარსიმ უთხრა, ორი მოტივი არსებობს, რისთვისაც თქვენ ორნი ოთახში მიდი-მოდიხართ, ამიტომ ხელს არ შეგიშლითო.

–ნეტავ, რა იგულისხმა დარსიმ? – იკითხა მის ბინგლიმ. ელიზაბეთმა უთხრა, არ ვიცი რა იგულისხმა, მაგრამ ალბათ დაგვცინის, ამიტომ იმედი გავუცრუოთ და არაფერი ვკითხოთო.

მაგრამ მის ბინგლი ხომ იმედს ვერ გაუცრუებდა დარსის, ამიტომ იმ ორი მოტივის შესახებ ჰკითხა.

–ახლავე მოგახსენებთ, - მიუგო დარსიმ, - პირველი ის არის, რომ შესაძლოა რაღაც საიდუმლო გაქვთ და ერთმანეთში უნდა მოითათბიროთ, ხოლო მეორე მოტივი ისაა, რომ იცით, მშვენიერი აღნაგობა გაქვთ და სიარული გშვენით. პირველ შემთხვევაში საუბარში მეც ჩაგერთვებით, მეორეში კი ცეცხლის პირას ვიჯდები და სიამოვნებით გიმზერო.

-ოჰ, ღმერთო, - წამოიყვირა მის ბინგლიმ, - ასეთი საშინელი რამ ჯერ ჩემს ყურებს არ გაუგონია. როგორ დავსაჯოთ?

-მისი დასჯა იოლია. დავცინოთ, გამოვაჯავროთ, თქვენ ხომ ახლო მეგობრები ხართ, ჰოდა, უკეთ გეცოდინებათ, როგორ მოიქცეთ.

-ჰო, მაგრამ, რომ არ ვიცი! მასთან დაახლოებამ ვერაფერი მასწავლა. გამოჯავრება ვერ გაჭრის, ძალზე მშვიდი ხასიათი და ძლიერი გონება აქვს. არა, ამ შემთხვევაში ის გვაჯობებს. სიცილს რაც შეეხება, უმიზეზოდ ხომ არ ვიცინებთ. მერე ის გაიცინებს ჩვენზე.

-დარსის დაცინვა შეუძლებელია? - წამოიძახა ელიზაბეთმა, - კი მაგრამ, ეს ხომ უჩვეულო უპირატესობაა. ღმერთმა დამიფაროს, მაგისტანა ნაცნობები მყავდეს. მე ხომ სიცილი ყველაფერს მირჩევნია!

-მის ბინგლის ჩემი შექება გამოუვიდა, ჩაერია დარსი, მაგრამ გარწმუნებთ, ბრძენსაც დასცინებს ის, ვისთვისაც დაცინვა ამქვეყნად უპირველესი საქმიანობაა.

-დიახ, ასეთი ხალხიც არსებობს, თქვა ელიზაბეთმა, მაგრამ მე იმათ რიცხვში არ ვწერივარ. არასოდეს დავცინი კარგსა და კეთილს. ხოლო სისულელე და უაზრობა სიცილად არ მყოფნის. თქვენ, დარსი, ეს უკანასკნელი ნამდვილად არ გეხებათ.

-მე მთელი ცხოვრება ვცდილობდი ისეთი სისუსტის დათრგუნვას, რომელიც მართლა დაცინვის ღირსია.

-მაგალითად, სიამაყე და ამპარტავნობა.

-დიახ, ამპარტავნობა სისუსტეა. მაგრამ სიამაყეს რაც შეეხება, ასატანია, თუ მას ძლიერი გონება მართავს.

ელიზაბეთი შებრუნდა, რადგან ღიმილი ვერ დამალა.

-მისტერ დარსის შესწავლა ხომ დაამთავრეთ, - უთხრა ლიზის მის ბინგლიმ, - ახლა გთხოვთ, მითხრათ, რა დასკვნა გამოიტანეთ?

-დავრწმუნდი, რომ დარსი უნაკლოა და არც არავითარ ნიღაბს არ ატარებს.

-არა, - თქვა დარსიმ, - მე ასეთი პრეტენზია არ გამომითქვამს. ნაკლი ბევრი მაქვს, მაგრამ არ ჩანს. ჩემი ხასიათიც არასანდოა. სხვათა მიერ მოყენებულ წყენას იოლად ვერ ვივიწყებ. არც სხვათა ნაკლისადმი ვარ ღმობიერი. ჩემი გრძნობები იოლად არ ფოფინდებიან და ხასიათითაც გოროზი ვარ. ერთხელ თუ განვიხიბლე, მერე ჩემი მოხიბვლა ძნელია.

-ეს დიდი ნაკლი გქონიათ, - თქვა ელიზაბეთმა, - უღმობელი ზიზღი ხასიათის გამოუსწორებელი ნაკლია და ჩრდილს აყენებს თვით პიროვნებას. მაგრამ ამის გამო ვერ დაგცინებთ. ჩემგან დაცული ხართ.

– ყველა ხასიათში დევს მიდრეკილება რაღაც დემონურისა და ეშმაკისეულისკენ და თუ ეს ბუნებრივი ნაკლია, მაშინ საუკეთესო განათლებაც ვერ უშველის.

– თქვენი ნაკლი ისაა, რომ ვერავის იტანთ.

– და თქვენი ნაკლი ისაა, – გაეღიმა დარსის, – რომ ხალხზე არასწორი წარმოდგენა გაქვთ.

– მოდი, ცოტა მუსიკა მოვისმინოთ, – წამოიძახა მის ბინგლიმ, უარყოფილმა იმით, რომ დიალოგში მონაწილეობა ვერ მიიღო, – ლუიზა, შეიძლება მისტერ ჰერსტი გავაღვიძო?

ლუიზას თითქმის არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და მის ბინგლიმ ფორტეპიანო გახსნა. დარსის შიში შეეპარა, რომ ელიზაბეთს მეტისმეტად დიდ ყურადღებას აქცევდა.

თავი მეთორმეტე

დები შეთანხმდნენ და მეორე დილით ელიზაბეთმა დედას წერილი მისწერა, ეტლი გამოგვიგზავნეო. მაგრამ მისის ბენეტს სურდა ჯეინი და ლიზი ერთი კვირით დარჩენილიყვნენ ნეზერფილდში. ამიტომ შეატყობინა ქალიშვილებს, რომ ეტლს სამშაბათამდე ვერ გაუგზავნიდა. წერილის ბოლოში ეწერა, თუ მისტერ ბინგლი და მისი და დარჩენას გთხოვენ, დარჩითო. მაგრამ ელიზაბეთმა მტკიცედ გადაწყვიტა, მეტხანს აღარ დარჩენილიყვნენ და ჯეინს უთხრა, მისტერ ბინგლის ეტლი ვთხოვოთო. ნეზერფილდიდან წასვლა დილითვე გადაწყდა.

ამან საერთო აღელვება გამოიწვია, დებს სთხოვეს, მეორე დილამდე მოეცადათ. მის ბინგლი ნაწყენი დარჩა, რომ წასვლა მეორე დილისთვის გადაიდო, რადგან მართალია, ჯეინი ძალიან მოსწონდა, მაგრამ ელიზაბეთი თვალში სულაც არ მოსდიოდა.

სახლის პატრონს ეწყინა, მათი მალე გამგზავრების ამბავი რომ შეიტყო და არწმუნებდა მის ბენეტს, ჯერ მთლად კარგად არ ხართ იმისთვის, რომ ასე მალე გაემგზავროთო. მაგრამ ჯეინს უკვე წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მისი გადაწყვეტილება მტკიცე იყო მაშინ, როცა გრძნობდა, რომ სწორად მოქმედებდა.

დარსის არ სწყენია, ელიზაბეთი ხომ საკმაო ხანს იყო ნეზერფილდში. ეს აშინებდა კიდევ. მის ბინგლიც არცთუ თავაზიანად ექცეოდა მის ბენეტს და მისი საქციელი უფრო შემაწუხებელი იყო, ვიდრე ოდესმე. გადაწყვიტა, საკუთარი გრძნობები საგულდაგულოდ ისე მიეჩქმალა, რომ ელიზაბეთს არავითარი იმედი არ ჰქონოდა მასზე ზემოქმედებისა და მეტი სიფრთხილე გამოეჩინა, რათა თუ ასეთ რამეს შეამჩნევდა, ძირშივე აღმოეფხვრა. ამ აზრით შეპყრობილს ორი სიტყვაც არ უთქვამს ელიზაბეთისთვის, მთელი შაბათი დღე ისე გავიდა. და როცა მთელი ნახევარი საათით მარტო დარჩნენ, დარსიმ თავი წიგნში ჩარგო და ლიზისთვის ერთხელაც არ შეუხედავს.

კვირას, დილით, როგორც იქნა, განშორების ჟამი დადგა. მის ბინგლი ახლა ძალზე თავაზიანად იქცეოდა, ხოლო ჯეინისადმი სიყვარულს ვერ მალავდა. როცა ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, მის ბინგლიმ ლიზის ხელიც კი ჩამოართვა და უთხრა, კვლავაც მოხარული ვიქნები გნახოთ ან ლონგბერნში, ან ნეზერფილდშიო. ელიზაბეთმა სიამოვნებით დატოვა მასპინძლები.

დედა დიდი სიხარულით არ დახვედრიათ. გაუკვირდა მათი მოსვლა და ჯეინს უთხრა, ალბათ ისევ გაცივდებოდით. მისტერ ბენეტმა ქალიშვილების ნახვისას ძალზე ლაკონიურად გამოხატა თავისი გრძნობები. იგრძნო, როგორ დააკლდა ისინი. სალამოს, როცა ყველანი ერთად იკრიბებოდნენ, ჯეინისა და ელიზაბეთის გარეშე საუბარიც კი უფერული იყო.

მერი ისევ მეცადინეობაში იყო ჩაფლული. სწავლობდა მუსიკასა და ადამიანის ბუნებას. რაღაც დაკვირვება ამოეწერა და მორალზე გაცვეთილ ფრაზებს იმეორებდა. ქეთრინსა და ლიდიას მათთვის ახალი ამბავი ჰქონდათ. თურმე სამხედრო შტაბში მათი აქ არყოფნისას რა არ მომხდარა. რამდენიმე ოფიცერს ამათ ბიძასთან უსადილია და იქ მინიშნებით უხსენებიათ, რომ პოლკოვნიკი ფორსტერი მალე დაქორწინდებოდა.

თავი მეცამეტე

–იმედი მაქვს, ძვირფასო, უთხრა მეორე დილით მისტერ ბენეტმა მეუღლეს, როცა საუზმობდნენ, დღეს კარგი სადილი გვექნება, რადგან სტუმარი გვეყოლება.

–ვის გულისხმობ, ძვირფასო, მე არავის ველოდები. შეიძლება შარლოტა ლუკასმა შემოიაროს და ჩემი სადილები მისთვის მეტისმეტად კარგია. ის კი არა, ასეთი სადილი მათ სახლში ხშირად არა აქვთ.

–არა, ჩვენი სტუმარი უცნობი ჯენტლმენი იქნება.

მისის ბენეტს თვალეზი გაუბრწყინდა:

–ალბათ მისტერ ბინგლის გულისხმობით, ძალიან გამიხარდება მისი მოსვლა, მაგრამ ო, ღმერთო, თევზი გაგვითავდა. ლიდიამ, საყვარელო, ზარი დარეკე, ამის თაობაზე ჰილს უნდა დაველაპარაკო.

–არა, მისტერ ბინგლი კი არა, უცნობი კაცია, რომელსაც არც მე ვიცნობ. ამან ყველა განაცვიფრა და მისის ბენეტსა და გოგონებს დიდი ცნობისმოყვარეობა აღუძრა.

–დაახლოებით ერთი თვის წინ ეს წერილი მივიღე. ორი კვირის წინ პასუხი მივწერე, რადგან ძალზე დელიკატურ საქმედ მომეჩვენა. წერილი ჩემმა ბიძაშვილმა, მისტერ ქოლინზმა მომწერა. თქვენ იცით, ალბათ, მე რომ მოვკვდები, ამ სახლს მისტერ ქოლინზი დაეპატრონება და თავისუფლად შეუძლია გაგყაროს აქედან.

–ო, ღმერთო, წამოიძახა მისის ბენეტმა, არ გამაგონო იმ საშინელი კაცის სახელი. ის შენს შვილებს მამულს წაართმევს. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, დიდი ხნის წინ რამეს ვიღონებდი.

ჯეინმა და ელიზაბეთმა სცადეს დედისთვის აეხსნათ ნაანდერძევი ქონების არსი, თუმცა უშედეგოდ, მისის ბენეტს არაფრის გაგონება არ სურდა და ისევ იმასვე იმეორებდა.

–მართლაც დიდი სიმუხთლეა ასეთი რამ, მაგრამ ლონგბერნის მამული მისტერ ქოლინზს უანდერძეს და ამ ცოდვისგან თავს არ დაიხსნის. მაგრამ თუ მის წერილს ყურს დაუგდებთ, მაშინ მასზე გული შემოგიბრუნდებათ, დაამშვიდა მისტერმა ბენეტმა.

–არასოდეს! რა თავხედია, რომ წერილის მოწერა გაგიბედა. რა ფარისევლობაა, ღმერთო. ასეთ სიყალბეს ვერ ვიტან. რატომ განსვენებულ მამამისივით არ გედავება?

–აი, წერილს მოისმენ და ნახავ, რომ მგონი ცოტა სინდისი მაინც გააჩნია, – თქვა მისტერ ბენეტმა და წერილის კითხვა დაიწყო:

„ძვირფასო სერ,

თქვენსა და განსვენებულ მამაჩემს შორის წარმოქმნილი უთანხმოება ძალიან მალეღებდა და მას მერე, რაც მამა გარდაიცვალა, ხშირად ვფიქრობდი, როგორ მეშველა ამ საქმისთვის. მაგრამ თავს ვიკავებდი, რადგან მიმაჩნდა, რომ მამის შეურაცხყოფა იქნებოდა, თუ მამასთან უმძრახად მყოფს შევურიგდებოდი, - აჰა, ესეც თქვენ, მისის ბენეტ, - ახლა სასულიერო პირად მაკურთხეს და ბედნიერი ვარ, რომ თავად პატივცემული ლედი ქეთრინ დებურგი მმფარველობს. ლედი ქეთრინი სერ ლუის დებურგის ქვრივია და სამრევლოს მწყემსადაც მანვე დამადგინა. ამიტომ თავს მოკრძალებულად ვუხრი მის უსათნოესობა ლედის და მზად ვარ ინგლისის ეკლესიის კანონები პირნათლად შევასრულო. როგორც სასულიერო პირი, თავს ვალდებულად ვთვლი, ყველა ოჯახში კურთხევა შევიტანო. ამიტომ ჩემი ამჟამინდელი შემოთავაზება მგონი შექების ღირსია და იმედია, გამოწვდილ ხელს ჩამომართმევთ. თქვენი ქალიშვილების წყენა გულში არ მიდევს, ამიტომ მათ წინაშე ჩემს დანაშაულს გამოვასწორებ. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, გესტუმრებით **18** ნოემბერს, ორშაბათს, ოთხ საათზე და შაბათამდე თქვენი მონამორჩილი სტუმარი ვიქნები. ლედი ქეთრინს არაფერი აქვს საწინააღმდეგო ჩემს წამოსვლასთან დაკავშირებით. ცოტა ხნით სხვა მღვდელი შემცვლის. გადაეცით ჩემი თავაზიანი მოკითხვა თქვენს მეუღლესა და ქალიშვილებს, თქვენი ერთგული მეგობარი, უილიამ ქოლინზი“.

–ეს მშვიდობისმოყვარე ჯენტლმენტი ოთხ საათზე მობრძანდება, დასძინა მისტერ ბენეტმა და წერილი დაკეცა, თავაზიანი ახალგაზრდა ჩანს და ალბათ მისი გაცნობაც სასიამოვნო იქნება. მით უფრო, თუ ლედი ქეთრინი ინებებს და მეორედაც გამოუშვებს ჩვენთან.

–გოგონებზე გულისხმიერად ლაპარაკობს, დანაშაულს გამოვისყიდი მათ წინაშეო და თუ ასე მოიქცევა, მე ხელს როდი შევუშლი.

–ძნელია მიხვდე, თუ როგორ აპირებს დანაშაულის გამოსყიდვას, – თქვა ჯეინმა.

ელიზაბეთი გააოცა იმ კაცის მეტისმეტმა მოკრძალებამ ლედი ქეთრინისადმი და მანაც, თუ რა მოწადინებით ამბობდა წერილში, ყველა ოჯახში კურთხევას შევიტანო, ლბათ ნათლობას, ქორწინებასა და წესის აგებას გულისხმობდა.

–რაღაც უცნაურად ლაპარაკობს, ვერ გავუგე, წერის სტილიც როგორი პომპეზური აქვს. ნეტავ რას გულისხმობს, ბოდიშს რომ იხდის იმის გამო, რომ რიგით შემდეგი მემკვიდრეა. თქვენ როგორ ფიქრობთ, მამა, ჭკვიანი კაცი ჩანს? – ჰკითხა ელიზაბეთმა.

–სულაც არა, პირიქით, მგონი რაღაც მონური მორჩილებისა და ქედმაღლობის უჩვეულო ნაზავია. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ.

–წერილს რაც შეეხება, არა უშავს, ხელის ჩამორთმევის გაცვეთილ მეტაფორას კარგად იყენებს.

ქეთრინსა და ლიდიას სულ არ აინტერესებდათ არც წერილი და არც მისი დამწერი. ვერ წარმოედგინათ, რომ მათი ბიძაშვილი მეწამული მოსასხამით უნდა მისულიყო. მათსულ სხვაგვარ სამოსიან მამაკაცთა საზოგადოება იზიდავდა. მისის ბენეტს გული ისე მოუღება იმ კაცისადმი, რომ დიდის ამბით ელოდა მის გამოჩენას, რამაც ცოტა არ იყოს, ოჯახის წევრები გააკვირვა.

მისტერ ქოლინზი ზუსტად ოთხზე მოვიდა. ოჯახმა იგი დიდი პატივისცემით მიიღო. მისტერ ქოლინზი ბევრს ლაპარაკობდა, რაშიც ქალები უფრო აჰყვნენ, ვიდრე მისტერ ბენეტი. ეს უკანასკნელი უფრო დუმდა და უსმენდა. ქოლინზი ოცდახუთი წლისა იყო, მაღალი და პირქუში გამომეტყველებით. მეტისმეტად ფამილიარულად იქცეოდა. მისის ბენეტი შეაქო, რა მშვენიერი ოჯახის დიასახლისი ბრძანდებითო. თქვენზე ბევრი მსმენოდა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო. ველოდი, ყველა ქალიშვილი საქორწინო ასაკისა იქნებოდითო. ეს ნათქვამი მაინცდამაინც არ მოეწონათ მის მსმენელთ, მაგრამ მისის ბენეტმა, რომელსაც კომპლიმენტები უყვარდა, უთხრა:

–ძალიან კეთილი ხართ, მისტერ ქოლინზ, ამაში დარწმუნებული ვარ, თორემ რა ეშველებოდათ ჩემს გოგონებს, სრულიად უქონელნი დარჩებოდნენ.

–თქვენ ალბათ მემკვიდრეობას გულისხმობთ.

–დიახ, მისტერ!.. ჩემი საწყალი გოგონები. თუმცა ეს თქვენი ბრალი სულაც არ არის, ამქვეყნად ყველაფერს ბედი განაგებს. მემკვიდრეობის საქმე ძალზე რთულია და ბევრი არეულობა მოჰყვება.

–მე მესმის, მისის, რა მდგომარეობაში არიან ჩემი ბიძაშვილები და ბევრი რამის თქმა მინდა, თუმცა არ ავჩქარდები. მინდა კი იცოდნენ ჩემმა მშვენიერმა ბიძაშვილებმა, რომ მე მათ სასიკეთოდ ჩამოვედი. ამჯერად მეტს არაფერს ვიტყვი. მერე კი, როცა ერთმანეთს უკეთ გავიცნობთ...

ამასობაში სადილის დროც მოვიდა. გოგონებმა ერთმანეთს ღიმილით გადახედეს. ქოლინზს მარტო გოგონები არ შეუქია. იგი აღაფრთოვანა სასადილო ოთახმა და ავეჯმა, იქ რომ იდგა. მისის ბენეტს სხვა დროს ეამებოდა ასეთი რამ, მაგრამ ახლა ის გაიფიქრა, ალბათ ქოლინზი ამ სახლს უკვე როგორც საკუთრებას, ისე უყურებსო. ქოლინზს სადილიც მოეწონა და იკითხა, გოგონებიდან რომელმა მოამზადა ესოდენ მშვენიერი კერძებიო, რაზეც მისის ბენეტმა, ცოტა არ იყოს ნაწყენმა უთხრა, ჩვენ ამისთვის მზარეული გვყავს და ჩემს გოგონებს სამზარეულოში არაფერი ესაქმებათო. ამაზე კი ქოლინზმა მისის ბენეტს ბოდიში მოუხადა, გაწყენინეთო. მისის ბენეტი მოლბა, ნაწყენი სულაც არა ვარო, მაგრამ ქოლინზი მაინც ნახევარი საათის განმავლობაში უხდიდა ბოდიშს.

თავი მეთოთხმეტე

სადილობისას მისტერ ბენეტი ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ როცა მსახურები დაითხოვეს, გადაწყვიტა სტუმართან ისეთ თემაზე ესაუბრა, რაც კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინდა მის თვისებებს, მით უფრო, რომ მისტერ ქოლინზი დიდად ამაყობდა ლედი ქეთრინის მფარველობით. სწორედ ამ თემაზე გააბა საუბარი და არც შემცდარა. სტუმარი ლედი ქეთრინის ქებადიდებას მოჰყვა და მერე ისიც აღნიშნა, რომ თავის სიცოცხლეში ასეთი დიდებული ქალბატონის მსგავსი მეგობრული და კეთილი ადამიანი არ ენახა. თურმე ლედი ქეთრინი ორჯერ დაესწრო მის ქადაგებას და ორივეჯერ მოიწონა. ასევე ორჯერ მიუწვევია თავისთან სასადილოდ, ხოლო წინა შაბათს კადრილის წვეულებაზე დაუპატიჟებია. სხვები ლედი ქეთრინს ქედმაღალ ქალბატონად მიიჩნევდნენ. მაგრამ ქოლინზს მასში გულითადობის მეტი არაფერი შეუმჩნევია. თურმე ჯენტლმენივით ესაუბრებოდა. იოტისოდენი შენიშვნაც კი არ გამოუთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ქოლინზი თავისი ნათესავების მონახულებას აპირებდა. ის კი არა, ქოლინზისთვის ურჩევია, რაც შეიძლება მალე დაქორწინდი და საცოლე ფრთხილად აირჩიეო. ერთხელ თურმე სახლშიც ესტუმრა და რჩევაც მისცა, აქ თაროები გააკეთეო.

–რა კარგი ქალბატონი ყოფილა, თქვა მისის ბენეტმა, ნეტავ ყველა დიდებული ქალი ასეთი იყოს. თქვენი მეზობელია?

–დიახ, მხოლოდ ერთი ხეივანი გვყოფს.

–ქვრივიაო, ახსენეთ, შვილი თუ ჰყავს?

–ერთი ქალიშვილი ჰყავს, რომელიც როზინგის მამულის ერთადერთი მემკვიდრეა.

–ოჰ, რა მდიდარი ყოფილა! წამოიძახა მისის ბენეტმა, როგორი გოგონაა, ლამაზია?

–ძალიან მომხიბვლელი ქალიშვილია. თავად ლედი ქეთრინიც შენიშნავს ხოლმე. მასში იგრძნობა, რომ კეთილშობილი წარმომავლობისაა. თუმცა სუსტი ჯანი აქვს, რის გამოც ბევრი

რამ ვერ შეისწავლა. კეთილი ქალიშვილია და ხშირად ჩემს მოკრძალებულ მამულთან ეტლში მჯდარი ჩაივლის ხოლმე.

–სასახლეში წარადგინეს? რაღაც არ მახსოვს მისი სახელი.

–სამწუხაროდ, ჯანმრთელობა ხელს არ უწყობს, რომ ხშირად იყოს ლონდონში და მე ვუთხარი ლედი ქეთრინს, ამის გამო სასახლეს ერთი უბრწყინვალესი მარგალიტი მოაკლდა*მეთქი. ლედის ეს აზრი ძალიან მოეწონა. მე მიხარია, რომ შემიძლია დროდადრო ასეთი კომპლიმენტებით შევამკო მისი უსათნოესობა. ხშირად მითქვამს ლედი ქეთრინისთვის, რომ მისი მშვენიერი ქალიშვილი დაბადებულია იმისთვის, რომ ჰერცოგის მეუღლე გახდეს. ასეთი საუბარი ლედის ძალიან ახარებს. ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლი, ასეთი ყურადღებიანი ვიყო.

–გონივრულად სჯით, – უთხრა მისტერ ბენეტმა, – და დელიკატური პირფერობის ნიჭიც გქონიათ. საინტერესოა, ასეთი სახოტბო სიტყვები იმწუთას მოგდით თავში, თუ ამაზე წინასწარ ფიქრობთ?

–ძირითადად იმწუთას იბადებიან ხოლმე, თუმცა ხშირად წინასწარ ვფიქრობ, როგორ ვასიამოვნო და ვცდილობ ისე გამოვხატო, რომ წინასწარ დამუშავება არ ეტყობოდეს.

მისტერ ბენეტი ყველაფერს მიხვდა. ეს კაცი სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ელოდა უაზრო და სასაცილო და ახლა უკვე გასართობად უსმენდა, თუმცა სახის მიმიკა იოტისოდენადაც არ შეუცვლია. ეგ იყო, რომ ზოგჯერ ელიზაბეთს გადახედავდა ხოლმე. ძალიან კი გაერთო.

ჩაის დალევის დრო რომ მოვიდა, მისტერ ბენეტმა სტუმარი სასტუმრო ოთახში შეიყვანა და შემდეგ სთხოვა, ქალბატონებს ხმამაღლა წაუკითხეთ რამეო, რაზეც მისტერ ქოლინზი სიხარულით დაეთანხმა. როცა რომანი მიაწოდეს, ბოდიში მოიხადა, რომანებს არ ვკითხულობო. ქეთრინმა და ლიდიამ გაოცება ვერ დაფარეს. შემდეგ, როგორც იქნა, ქადაგებათა წიგნი ამოირჩია და კითხვა დაიწყო, მაგრამ სამი გვერდიც არ ექნებოდა წაკითხული, რომ ამ დროს ლიდიამ წამოიძახა:

–დედა, იცი, რომ ბიძია ფილიპი რიჩარდის გაშვებას აპირებს და მაშინ პოლკოვნიკი ფორსტერი დაიქირავებს მას. ამის შესახებ დეიდამ მითხრა შაბათს. ხვალ ფეხით წავალ მერიტონში, რომ უფრო მეტი რამ შევიტყო და ისიც გავიგო, მისტერ დენი როდის ბრუნდება ქალაქიდან.

ლიდია ამისთვის უფროსმა დებმა დატუქსეს და გაჩუმება უბრძანეს, მაგრამ მისტერ ქოლინზმა თავი ისე შეურაცხყოფილად იგრძნო, რომ წიგნი გვერდზე გადადო და თქვა:

–ხშირად მინახავს ახალგაზრდა გოგონები როგორ კითხულობენ სერიოზულ წიგნებს, რომლებიც მათთვის გასაგებ ენაზეა დაწერილი. ვაღიარებ, რომ ეს ძალიან მხიბლავს. მითითებები მათთვის ძალზე სასარგებლოა, თუმცა ჩემს პატარა ბიძაშვილს თავს მეტად აღარ მოვაბეზრებ.

შემდეგ ქოლინზი მისტერ ბენეტს მიუბრუნდა და უთხრა, ნარდი ვითამაშოთო. მისტერ ბენეტი დასთანხმდა და იფიქრა, კარგია, ახლა გოგონებს თავს აღარ მოაბეზრებსო. მისის ბენეტმა და უფროსმა გოგონებმა ქოლინზს ბოდინი მოუხადეს ლიდის საქციელის გამო და აღუთქვეს, ეს აღარასოდეს განმეორდება, თუკი ისევ ინებებთ წაკითხვასო. მისტერ ქოლინზმა ამაზე უპასუხა, ლიდის საქციელი ოდნავადაც არ მწყენია და გულში არ ჩამიდვიაო. მერე კი ნარდის მაგიდას მიუჯდა მისტერ ბენეტთან ერთად.

თავი მეთხუთმეტი

მისტერ ქოლინზი დიდი ჭკუის პატრონი არ იყო, ამიტომ ვერც განათლებამ უშველა და ვერც მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობამ. მთელი ბავშვობა გაუთლელი, ძუნწი მამის ხელში გაატარა. უნივერსიტეტშიც ვერავითარ ცოდნას ვერ დაეუფლა. მამამისი მონურად ექცეოდა და ამის გამო მონური თავმდაბლობის თვისებები გამოჰყვა. მაგრამ უტვინო თავი ქედმაღალიც გაუხდა იმის გამო, რომ მემკვიდრეობით ქონება ერგებოდა. მერე ამას ისიც დაემატა, რომ რაღაც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ლედი ქეთრინის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა და როცა მღვდლად აკურთხეს და მრევლი ჩააბარეს, ქოლინზი სიამაყისა და ამავე დროს მონური მორჩილების გროვად გარდაიქმნა.

კარგი სახლი და საკმარისი შემოსავალი ჰქონდა, ამიტომ დაქორწინება გადაწყვიტა. თავის ლონგბერნელ ნათესავებთან შერიგებაც იმიტომ სურდა, რომ ფიქრობდა, ერთ-ერთ ქალიშვილს ცოლად შევირთავო. სწორედ ამას გულისხმობდა იმ დანაშაულის გამოსყიდვაში, წერილში რომ ახსენა. ეს გეგმა ჰქონდა და თავადაც მოსწონდა, რადგან მიიჩნევდა, რომ ეს ერთგვარი სიკეთის გამოხატულება იყო.

გოგონები ძალიან მოეწონა. უფროსი და გულში ჩაუვარდა და გადაწყვიტა, ის ამოერჩია. თუმცა მისის ბენეტთან პირისპირ საუბრისას გამოირკვა, რომ ჯეინს საქმრო ჰყავდა, რომელიც სავარაუდოდ, სულ მალე დანიშნავდა. ამიტომ არჩევანი ჯეინიდან მის მომდევნო დაზე, ელიზაბეთზე შეაჩერა.

ასე რომ, ახლა თვალი ელიზაბეთს დაადგა. მისის ბენეტი ამაში ხელს არ უშლიდა. პირიქითაც კი იყო. ელიზაბეთი თავის უფროს დას არ ჩამოუვარდებოდა არც ჭკუით და არც სილამაზით. ეს იმთავითვე შეამჩნია.

მისის ბენეტს უხაროდა, მალე ორ ქალიშვილს ერთად გავათხოვებო. გუშინ ეს კაცი დასანახად ეჯავრებოდა, დღეს კი მისდამი ძალზე კეთილად განწყობილიყო.

არც ლიდის სურვილი დავიწყებიათ, მერითონში წასვლა რომ სურდა. მისტერ ბენეტმა ქოლინზს სთხოვა, გოგონებს მერითონში წაჰყევო, უნდოდა როგორმე თავიდან მოეშორებინა, რათა მარტო დარჩენილიყო თავის ბიბლიოთეკაში. საუზმის შემდეგ რომ იქ შეჰყვა, მას მერე რაღაც ნაწერებში ფუთფუთებდა, ვითომ აინტერესებდა, სინამდვილეში,

მისტერ ბენეტს ესაუბრებოდა ჰანსფორდის მამულის შესახებ. ამან მისტერ ბენეტი მწყობრიდან გამოიყვანა, რადგან ბიბლიოთეკა მისთვის ერთადერთი მოსასვენებელი ადგილი იყო. ელიზაბეთს უთხრა, ამ კაცის სისულელეს ყველგან ავიტან, ოღონდ არა ჩემს ბიბლიოთეკაში. ამიტომ თავაზიანად სთხოვა მისტერ ქოლინზს, გოგონებს გაჰყევი მერიტონში, რაც ქოლინზს, კაცმა რომ თქვას, ძალიან გაუხარდა, რადგან წიგნის კითხვას სიარული ერჩინა.

გზაში ისევ თავის ქედმაღლურ სისულელებს აფრქვევდა ქოლინზი. გოგონები კი თავაზიანად ეთანხმებოდნენ. ბოლოს მერიტონსაც მიაღწიეს. უმცროსი დები თვალს აცეცებდნენ, იქნებ ოფიცრებს მოვკრათ თვალიო და მაღაზიებში გამოფენილი ნაირნაირი ქუდეები აღაფრთოვანებდათ.

მოულოდნელად გოგონების ყურადღება ერთმა ახალგაზრდა კაცმა მიიქცია, რომელიც ადრე არასოდეს ენახათ. ოფიცერთან ერთად მოაბიჯებდა. ეს ოფიცერი სწორედ ის მისტერ დენი გახლდათ, რომლის ლონდონიდან ჩამოსვლა ასე აინტერესებდა ლიდიას. მან თავი დაუკრა ქალიშვილებს. უცხო კაცმა ყველა დააინტერესა. ქითიმ და ლიდიამ გადაწყვიტეს გამოერკვიათ, ვინ იყო ის კაცი და შორიახლო გაჰყვნენ, ვითომ მაღაზიის ვიტრინებს ათვალიერებდნენ. უცებ იმ ჯენტლმენებს შეეფეთნენ. მისტერ დენიმ გოგონებს უცხო მამაკაცი წარუდგინა, მისტერ ვიკჰემი, რომელიც ლონდონიდან წინააღმდეგ დაბრუნებულიყო, რათა სამხედრო დანაყოფში ემსახურა. ახალგაზრდის სამხედრო სამოსმა ქალიშვილები მოხიბლა. მშვენიერი ყმაწვილი იყო, თავაზიანი, კარგი აღნაგობა ჰქონდა. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ სასიამოვნო საუბარი წამოიწყეს. ამ დროს ცხენების ფეხის ხმა მოისმა და დაინახეს დარსი და ბინგლი, რომლებიც მათ მიუახლოვდნენ. ბინგლიმ მის ბენეტს უთხრა, სწორედ ლონგბერნში მოვდიოდით თქვენს სანახავადო. დარსი ცდილობდა ელიზაბეთისთვის თვალი აერიდებინა, როცა უცნობმა ახალგაზრდამ მისი ყურადღება მიიქცია. ელიზაბეთმა შეამჩნია როგორ შეხედეს ერთმანეთს დარსიმ და იმ ახალგაზრდამ, მისტერმა ვიკჰემმა, და სახის ფერი როგორ ეცვალათ. ერთი გათეთრდა, მეორე კი გაწითლდა. რას ნიშნავდა ეს?

მისტერ ბინგლი, ვითომ არაფერი შეუმჩნევია, ისე დაემშვიდობა გოგონებს და დარსის გაჰყვა.

მისტერ დენიმ და მისტერ ვიკჰემმა ქალიშვილები მისტერ ფილიპსის სახლამდე მიაცილეს და მასპინძლების გულითადი მიპატიჟების მიუხედავად დაემშვიდობნენ და წავიდნენ.

მისის ფილიპსს ყოველთვის უხაროდა მმისშვილების ნახვა. განსაკუთრებით ჯეინი და ელიზაბეთი მოენატრა და უთხრა, არაფერი მეცოდინებოდა ჯეინის ავადმყოფობის შესახებ, მისტერ ჯონსის აფთიაქარს რომ არ ეთქვა, მისტერ ჯონსი აღარ გაგზავნიდა წამალს ნეზერფილდში, რადგან ჯეინი უკეთაა და ლონგბერნში ბრუნდებაო. შემდეგ ჯეინმა მისის ფილიპსს მისტერ ქოლინზი გააცნო. მისის ფილიპსი განსაკუთრებით თავაზიანი იყო ქოლინზისადმი, რომელიც ამის გამო უაღრესად კმაყოფილი დარჩა და ასეთი მოულოდნელი სტუმრობისთვის ბოდიში მოიხადა. თუმცა მისის ფილიპსის ასეთი თავაზიანობა იმასაც

მიაწერა, შორეული ნათესავი რომ იყო მისი ძმისშვილებისა. მისის ფილიპსს ჯერ არსად ენახა ასეთი თავმდაბალი და თავაზიანი ყმაწვილი. მერე ყურადღება იმ უცნობ ყმაწვილზე გადაიტანა და გოგონებს ის უთხრა, რაც უკვე მათაც იცოდნენ, რომ მისტერ ვიკჰემი მისტერ დენიმ ჩამოიყვანა ლონდონიდან და ერთ-ერთ მხარეში მას ლეიტენანტის მისია უნდა შეესრულებინა. ქეთი და ლიდია ფანჯარაში იყურებოდნენ, იქნებ კიდეც მოვკრათ თვალი იმ უცნობსო, თუმცა იქ რამდენიმე შეუხედავი ოფიცრის გარდა ვერავინ შენიშნეს. ზოგ მათგანს ფილიპსების ოჯახთან უნდა ესადილა მომდევნო დღეს. გოგონებმა დეიდას სთხოვეს და ისიც დაჰპირდა, მეუღლეს ვეტყვი, მისტერ ვიკჰემიც დაჰპატიჟოსო. შემდეგ იმაზე ალაპარაკდა, სადამოს კარგი ვახშამი გველოდება და ასევე ლატარიის ბილეთებსაც გავათამაშებთო. ამ ამბავმა ყველა ძალიან გაახარა. შემდეგ ერთმანეთს დაემშვიდობნენ. მისტერ ქოლინზი წამოსვლისას ისევ ბოდიშებად დაიღვარა, რის გამოც მისის ფილიპსმა დაამშვიდა და დაარწმუნა, რომ საბოდიშო არაფერი ჰქონდა.

სახლში რომ მიდიოდნენ, ელიზაბეთმა ჯეინს უთხრა, დავინახე, როგორი თვალებით შეხედეს ერთმანეთს დარსიმ და ვიკჰემმაო, თუმცა ამის მიზეზი ვერაფრით აეხსნა.

მისტერ ქოლინზმა შინ დაბრუნებისთანავე მისის ფილიპსი ცაში აიყვანა, რითაც მისის ბენეტს დიდად ასიამოვნა. იქვე აღნიშნა, რომ თუ ლედი ქეთრინსა და მის ქალიშვილს არ ჩათვლიდა, მისის ფილიპსისთანა დახვეწილი ქალი არსად ენახა, რომელმაც არა მარტო გულთბილად მიიღო, არამედ სადამოს წვეულებაზეც დაჰპატიჟა, თითქოს უკვე დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ. ალბათ თქვენი ნათესავი რომ ვარ, ამანაც იმოქმედა, თუმცა ასეთი პატივისცემა და ყურადღება ჩემს სიცოცხლეში არავისგან მიგრძნიაო.

თავი მეთექვსმეტე

რადგანაც გადაწყდა, ახალგაზრდები დეიდას უნდა სწვეოდნენ და მისტერ და მისის ბენეტებსაც საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, რომ მისტერ ქოლინზი მხოლოდ ერთი სადამოთი განშორებოდა მათ, ამიტომ მერიტონში ეტლით წავიდნენ ექვსივენი. გოგონებს დეიდამ ახარა, რომ მისტერ ვიკჰემმა მოწვევა მიიღო და უკვე მათთან იმყოფებოდა.

როცა დასხდნენ და მისტერ ქოლინზმა ირგვლივ მიმოიხედა, გაოცება ვერ დამალა, ისე მოეწონა ბინაც და ავეჯიც. თქვა, თავი როზინგში მგონიაო. პირველად ამას არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია, მაგრამ მერე, როცა მისის ფილიპსს თავად ქოლინზმა აუწყა როზინგი რა იყო და ვის ეკუთვნოდა, მაშინლა მიხვდა ამ კომპლიმენტის ძალას, მით უმეტეს, როცა ქოლინზისგან შეიტყო, ლედი ქეთრინის ბუხრის საკვამური რვაასი გირვანქა ღირსო.

ქოლინზმა მისის ფილიპსს დაწვრილებით აღუწერა ლედი ქეთრინის მამული და შიგადაშიგ თავისასაც აქებდა ხოლმე. მისის ფილიპსი ძალიან ყურადღებით უსმენდა. გოგონები კი ბიძაშვილს სულაც არ უსმენდნენ, პიანინოს ნატრობდნენ და ამასობაში ბუხრის თავზე

შემოწობილი ფაიფურის ნაკეთობას უყურადღებოდ სინჯავდნენ. დრო ძალიან ნელა გადიოდა. ბოლოს ჯენტლმენებიც გამოჩნდნენ. მისტერ ვიკჰემი რომ ოთახში შემოვიდა, ელიზაბეთს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს პირველად ხედავდა. დანარჩენი ოფიცრები პატივცემული ჯენტლმენები იყვნენ, თუმცა მისტერ ვიკჰემი მაინც ყველას სჯობდა გარეგნობით. მისტერ ფილიპსი ფართოსახიანი, მსუქანი კაცი იყო, პირიდან პორტვეინის სუნი ამოსდიოდა. იგი სტუმრებს ოთახში შემოუძღვა.

მისტერ ვიკჰემმა ყველა ქალის ყურადღება მიიქცია, თუმცა მაინც ელიზაბეთის გვერდით დაჯდა. ისეთი კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა, რომ ელიზაბეთი მიხვდა: თვით ყველაზე უინტერესო და მოსაწყენ თემაზეც კი შეიძლება საინტერესოდ ისაუბრო.

მისტერ ქოლინზს იმდენი მეტოქე გამოუჩნდა, რომ დაიჩრდილა. ქალები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ მისის ფილიპსი უსმენდა და მანვე შესთავაზა ყავა და ფუნთუშები. ბანქოს სათამაშო მაგიდა რომ გაშალეს, ქოლინზმა მისის ფილიპსი ვისტის სათამაშოდ მიიწვია.

–კარგად ვერ ვთამაშობ, – უთხრა მისის ფილიპსს, – მაგრამ მალე ვისწავლი, ჩემი მდგომარეობის გამო ბანქოს არცოდნა არ მეკადრება.

მისის ფილიპსს ბოლო წინადადება მთლად ჭკვიანურად არ მოეჩვენა.

მისტერ ვიკჰემი ვისტს არ თამაშობდა, ამიტომ ელიზაბეთმა და ლიდამ დიდი სიამოვნებით მიიწვიეს თავიანთ მაგიდასთან. ლიდამ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ მერე ლატარიის ბილეთებმა ისე გაიტაცა, რომ სხვა არავინ და არაფერი ახსოვდა. მისტერ ვიკჰემმა ელიზაბეთთან გააბა საუბარი და ეს უკანასკნელიც სიამოვნებით უსმენდა, თუმცა ვიკჰემს დარსისთან ურთიერთობის დეტალები არ დასცდენია. ელიზაბეთს დარსი არც უხსენებია და უცებ ვიკჰემმა თავად წამოიწყა ამ თემაზე საუბარი. მან იკითხა, შორსაა თუ არა ნეზერფილდი მერიტონისგანო და როცა ელიზაბეთმა უპასუხა, ვიკჰემმა სწრაფად ჰკითხა: რამდენი ხანია, რაც დარსი იქ არისო.

–ერთი თვე იქნება, – უპასუხა ელიზაბეთმა და განაგრძო, – დერბიშირში დიდი მამული აქვს დარსის.

–დიახ, ცნობილი მამულია, ათიათას გირვანქიანია წელიწადში. ჩემზე უკეთ ეს არავინ იცის, რადგან დარსის ოჯახთან ბავშვობის დროინდელი ურთიერთობა მაკავშირებს.

ელიზაბეთი გაოცდა.

–ალბათ გაოცდით, მის ბენეტ, იმის გამო, რომ გუშინ მე და დარსი საკმაოდ ცივად შევხვდით ერთმანეთს. დიდი ხანია, რაც მას იცნობთ?

–ვაი, რომ ასეა, ოთხი დღე ერთ სახლში გავატარეთ და ძალიან უსიამოვნო კაცი ჩანს.

–მე ჩემს აზრს ამის თაობაზე ვერ მოგახსენებთ, უსიამოვნო კაცია დარსი თუ, პირიქით, სასიამოვნო. მას უკვე იმდენი ხანია ვიცნობ, რომ მისი შეფასება არ ძალმიძს, რადგან

მიუკერძოებელი ვერ ვიქნები. მაგრამ დამიჯერეთ, რაც თქვენ თქვით მასზე, ბევრს გააოცებს და არსად არც უნდა თქვათ, გარდა თქვენი ოჯახისა.

– დარსი ჰართფორდშირში სულაც არ მოსწონთ. გეფიცებით, ყველას ეზიზღება მეტისმეტი სიამაყის გამო და არც სხვები ლაპარაკობენ მასზე ალტაცებით.

– რომ გითხრათ, ამის გამო ძლიერ ვწუხვარ-მეთქი, მოგატყუებთ, – უთხრა ვიკჰემმა, – ადამიანი როგორც იმსახურებს, ისე უნდა შეაქონ. თუმცა დარსის შემთხვევაში ასე არ ხდება. ხალხს აბრმავეებს მისი სიმდიდრე და კეთილშობილური მანერები. ამიტომ ისე ხედავენ მას, როგორც თავად მას სურს.

– ცუდი ხასიათის კაცია... – თქვა ელიზაბეთმა.

ვიკჰემმა თავი გააქნია.

– მაინტერესებს, აქ დიდხანს დარჩება თუ არა.

– არ ვიცი. თუმცა მგონი წასვლასაც არ აპირებს. ვიმედოვნებ, გეგმები არ ჩაგეშლებათ მისი მეზობლობის გამო.

– ოჰ, არა, დარსი მე ვერ გამაძევებს. თუ ჩემი ნახვა გულზე არ ეხატება, დაე, თვითონ წავიდეს. ჩვენ მეგობრები აღარ ვართ და მისი ნახვა ყოველთვის მტკივნეულია ჩემთვის, სწორედ იმის გამო, როგორც არის. მამამისი, განსვენებული მისტერ დარსი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. ამიტომ მისი მოგონებითაც ვიტანჯები. დარსის საქციელი სკანდალური იყო, მაგრამ მე მაინც მივუტყვევებლად ვიყავი. თუმცა მან მამის ხსოვნა შეურაცხყო და მისი იმედები გააცრუა.

ელიზაბეთი ყურადღებით უსმენდა, თუმცა კითხვების დასმას მოერიდა. შემდეგ ვიკჰემმა საუბარი სხვა თემებზე გადაიტანა. თქვა, რომ კმაყოფილი იყო აქ ჩამოსვლით და ეს საზოგადოებაც ძალიან მოსწონდა.

– კარგი საზოგადოების ძიებამ აქამდე მომიყვანა. ეს სამხედრო შტაბიც ფრიად რესპექტაბელურია. ჩემმა მეგობარმა დენიმ მირჩია მერთონში ჩამოსვლა. მე მარტოსული კაცი ვარ და საზოგადოებაში ტრიალი ჩემთვის აუცილებელია. სამხედრო ცხოვრებისთვის არ გავჩენილვარ, მაგრამ მდგომარეობამ ასე მოიტანა. მე სასულიერო პირი უნდა გავმხდარიყავი და კარგადაც მეცხოვრა.

– დიახ!

– განსვენებული მისტერ დარსი ჩემი ნათლია იყო და ძალიან ვუყვარდი. მე მის სიკეთეს ვერასოდეს გადავიხდი. მან თავის ანდერძში ქონება დამიტოვა, თუმცა ეს ანდერძი არ შესრულდა.

– ღმერთო ჩემო! – წამოიძახა ელიზაბეთმა, – ანდერძის შეუსრულებლობა როგორ იქნება? რატომ კანონით არ მოითხოვეთ?

-ანდერძი ისეთი არაფორმალური ტერმინებით იყო სავსე, რომ კანონის იმედი ვერ მექნებოდა. პატიოსანი კაცი ექვს არ შეიტანდა იმ ანდერძში, მაგრამ დარსიმ ექვი შეიტანა. მისი აზრით, ეს იყო რაღაც პირობითი რეკომენდაცია და მე ყველაფერი გავაყალბე. სწორედ ორი წლის წინ გაბათილდა ანდერძი, როცა მე იმ ასაკისა გავხდი, როცა შემემძლო ქონების მიღება. ქონება სხვას გადასცეს. მე არ დამიმსახურებია მისი დაკარგვა. მართალია, მსუბუქი ხასიათი მაქვს, მაგრამ ფიცხიც ვარ და შემძლია რასაც ვფიქრობ, პირდაპირ ვუთხრა დარსის. ამიტომ ვძულვარ ასე.

-რა საშინელებაა! ასეთი ადამიანი საჯარო შერცხვენას იმსახურებს!

-ალბათ ოდესმე ასეც მოუწევს, მაგრამ ამას მე ვერასოდეს ჩავიდენ, მამამისის ხსოვნის ხატრით.

ელიზაბეთი კიდევ უფრო აღფრთოვანდა ვიკჰემით, ასე თავისუფლად რომ გამოხატავდა თავის გრძნობებს

-კი მაგრამ, ასე საშინლად რისთვის მოიქცა? მიზეზი რა იყო?

-იმისთვის, რომ საშინლად ვძულვარ და ამის მიზეზი ექვიანობაა. მამამისს რომ უფრო ნაკლებად ვყვარებოდი, მაშინ დარსი ჩემი მეგობარი იქნებოდა. მაგრამ მამამისს უზომოდ ვუყვარდი და ეს ბავშვობიდან აღიზიანებდა, რომ უპირატესობას მე მანიჭებდა.

-დარსი არასოდეს მომწონდა, მაგრამ ასეთი საშინელი კაცი თუ იყო, რას ვიფიქრებდი. თუ ასეთ სიმდაბლემდე დაეცემოდა, ასეთ შურისძიებამდე და არაადამიანობამდე. ერთხელ, მახსოვს, ნეზერფილდში იკვებნიდა თუ ვინმე შევიძულე, აღარასოდეს ვაპატიებო. ალბათ საშინელი ხასიათის კაცია

-მე ვერაფერს ვიტყვი, რადგან მიუკერძოებელი ვერ ვიქნები, უთხრა ვიკჰემმა.

ელიზაბეთი ჩაფიქრდა და მერე აღნიშნა:

-ასე მოექცე მამის ნათლულსა და მეგობარს, ეს ხომ საშინელებაა, თანაც თქვენ, რომელსაც სახეზე გაწერიათ, რომ კეთილი ხართ. ასე მოექცე ბავშვობის მეგობარს, ხომ თქვით, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდითო?

-დიახ, ერთად გავიზარდეთ, ერთი სახლის ბინადარნი ვიყავით, ერთად ვთამაშობდით. მამაჩემს ბიძათქვენ ფილიპსის პროფესია ჰქონდა, მაგრამ ყველაფერი მიატოვა აწ განსვენებული მისტერ დარსის სამსახურისთვის ფემბერლის მამულში. მისტერ დარსის უახლოესი მეგობარი იყო, ამიტომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მამას ჩემზე ზრუნვა აღუთქვა, რომ ქონებით უზრუნველმყოფდა. თავს მამაჩემის მოვალედ თვლიდა და მეც ძალიან ვუყვარდი.

-რა უცნაურია! - თქვა ელიზაბეთმა, - სიამაყემ ასე როგორ დააბრმავა, რომ უპატიოსნო საქციელი ჩაიდინა.

-საოცარია, რომ ყველა მისი ქმედება სიამაყითაა განპირობებული. სიამაყე მისი საუკეთესო მეგობარია. ამას ბევრი ღირსებად უთვლის. თუმცა სიამაყეზე უფრო ძლიერი იმპულსები ამოძრავებს.

-კი მაგრამ, ასეთ საშინელ სიამაყეს რა სიკეთე მოაქვს მისთვის? ეს ღირსება როგორღაა?

-როგორ და სიამაყე აიძულებს, იყოს მეტად მოწყალე და კეთილი სხვების თვალში, ფული უხვად გასცეს, გულითადი მასპინძლობა გამოიჩინოს. თავის მოიჯარადრებს დახმარება გაუწიოს, ღარიბ-ღატაკთ ხელი გაუწოდოს. ამას სხვების დასანახად აკეთებს. დისადმიც აქვს ძმური სიამაყე. დაზე უდიდეს მზრუნველობას იჩენს, რომ მერე ყველამ თქვას, რა შესანიშნავი ძმიაო.

-როგორი გოგონაა მის დარსი?

-მერჩივნა, კარგი ყოფილიყო, მაგრამ ისიც თავის ძმასავით უსაშველოდ ამაყია. ბავშვობაში მოსიყვარულე გოგონა იყო და ძალიან ვუყვარდი. მაგრამ ახლა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. თხუთმეტი-თექვსმეტი წლის გოგონაა, კარგი გარეგნობა აქვს და ძალიან განათლებულია. მამის სიკვდილის შემდეგ ლონდონში ცხოვრობს ლედისთან ერთად, რომელიც ზედამხედველობს მის განათლებას.

სხვა თემაზე საუბარიც სცადა ელიზაბეთმა, მაგრამ არ გამოუვიდა და ისევ ამ თემას დაუბრუნდა:

-მიკვირს, ბინგლის რა საერთო აქვს დარსისთან. როგორ მეგობრობს მასთან?! იცნობთ ბინგლის?

-არა!

-ბინგლი კეთილი და მომხიბვლელი კაცია. ალბათ დარსის შესახებ არაფერი იცის.

-ალბათ, მაგრამ რომც იცოდეს, დარსი მაინც ყველგან თავისას გაიტანს. ვინც მას სჭირდება, იმასთან მეგობრობს და განსხვავებულ თვისებებსაც იჩენს. სიამაყის-გრძნობა არასოდეს ტოვებს ნაკლებად წარმატებულებთან დამოკიდებულებაში, ხოლო მდიდრების თვალში სამართლიანი, ლიბერალური, გულწრფელი და სასიამოვნო კაცი ჩანს.

ბანქოს თამაში რომ დასრულდა, მისტერ ქოლინზი ელიზაბეთსა და მისის ფილიპსს შორის ჩადგა, როცა ამ უკანასკნელმა ჰკითხა, ბანქოში გიმართლებდათ თუ არაო. ქოლინზმა უთხრა, არ მიმართლებდა და ამიტომ ინტერესი დავკარგეო. ამის გამო მისის ფილიპსი შეწუხდა, მაგრამ ქოლინზმა დაამშვიდა, წაგებულ ფულს და ასეთ წვრილმანებს არაფრად ვაგდებო.

-ვიცი, რომ ბანქოს ფულის მოსაგებად თამაშობენ, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ვიცი, სხვები ასე არ იტყვიან, მაგრამ ლედი ქეთრინის წყალობით მე ამის საჭიროება არა მაქვს.

მისტერ ვიკტორმა ქოლინზის შესახებ ჰკითხა ელიზაბეთს, ლედი ქეთრინს მართლა იცნობს თუ არაო.

–ლედი ქეთრინს დიდი წყალობა გამოუჩენია მისდამი. არ ვიცი, ვინ გააცნო, მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც იცნობს, - უპასუხა ელიზაბეთმა.

–იცით, რომ ლედი ქეთრინი და განსვენებული ენ დარსი დები იყვნენ? ასე რომ, ლედი ქეთრინი დარსის დეიდაა.

–არა, არ ვიცოდი, მისი არსებობის შესახებ მხოლოდ გუშინ შევიტყვე.

–ლედი ქეთრინის ქალიშვილი დიდი ქონების მემკვიდრეა და ამბობენ, დარსიზე დაქორწინებას უპირებენ, რომ მამულები გააერთიანონო.

ელიზაბეთს გაეღიმა. საწყალი მის ბინგლი, რა ამოდ ცდილობს დარსის ყურადღება მოიპოვოს, რა ამოდ ცდილობს მის დას დაუმეგობრდეს. თურმე დარსის სხვა საბედო ჰყოლია!

–ქოლინზი ხოტბას ასხამს ლედი ქეთრინსა და მის ქალიშვილს, თუმცა მისი სიტყვებიდან ადვილად მიხვდები, რომ ლედი საშინლად ამპარტავანი და თავკერძა ქალია, - თქვა ელიზაბეთმა.

–დიახ, ასეა, უთხრა ვიკტორმა, უკვე დიდი ხანია არ მინახავს, მაგრამ მახსოვს, არასოდეს მომწონდა. მბრძანებლური და სხვათა დამამცირებელი მანერები აქვს. საკმაოდ საზრიანი და ჭკვიანი ქალის სახელით სარგებლობს, თუმცა ეს სახელი ნაწილობრივ მისი საარაკო ქონებისა და მბრძანებლური ხასიათის შედეგია.

ელიზაბეთი და ვიკტორი შეხმატკბილებულად საუბრობდნენ. შემდეგ ვახშმის დროც დადგა და ვიკტორი სხვა ქალბატონებსაც ესაუბრა. კარგი მანერებითა და დახვეწილი მეტყველებით ყველას ყურადღება მიიქცია და მოწონება დაიმსახურა. ელიზაბეთი რომ შინ დაბრუნდა, მხოლოდ ვიკტორზე ფიქრობდა. სახლისკენ მიმავალ გზაზე არც ქოლინზი გაჩერებულა და არც ლიდია. ლიდია ლატარიის ბილეთებზე ლაპარაკობდა და იმაზე, თუ რამდენი სათამაშო კოჭი მოიგო და მერე ისევ წააგო. მისტერ ქოლინზი ფილიპსებს ასხამდა ხოტბას და ისიც თქვა, ბანქოს წაგება სულ არ მწყენიაო. მერე ვახშამზე მორთმეულ კერძებზეც ალაპარაკდა. ბიძაშვილებს ბოდში მოუხადა, შეგავიწროეთო, მერე კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამასობაში ეტლი ლონგბერნის სახლთან გაჩერდა.

თავი მეჩვიდმეტე

ელიზაბეთმა ჯეინს უამბო ის, რაც მისტერ ვიკტორმა უთხრა დარსის შესახებ. ჯეინი ყურადღებით უსმენდა დას და ვერ დაეჯერებინა, რომ ბინგლის ასეთი მეგობარი ჰყავდა.

ვიკჰემი შეეცოდა, რადგან დიდი უსამართლობა გადაიტანა. თუმცა ვერც ერთ მათგანს ვერ განსჯიდა, რადგან საქმის ნამდვილი ვითარება არ იცოდა.

–ალბათ ორივენი მოტყუვდნენ, – თქვა ჯეინმა, – ჩვენ არ ვიცით, ვინ მართალია და ვინ მტყუანი და ვარაუდიც კი არ შეგვიძლია.

–ჰო, მაგრამ, ჯეინ, ვინმე ხომ უნდა იყოს დამნაშავე, ის, ვისაც ამ საქმეში რაღაც ინტერესი ამოძრავებდა. თუ ყველა უდანაშაულო და პატიოსანია, მაშინ ამ ორი ჯენტლმენის ერთმანეთისადმი გაუცხოება რამ გამოიწვია?

–ლიზი, მაგ მსჯელობით აზრს მაინც ვერ გადამათქმევინებ. წარმოიდგინე, რა ცუდ მდგომარეობაში აყენებს ამისთანა საქციელი მისტერ დარსის. ჩემი აზრით, შეუძლებელია დარსი ასე მოქცეულიყო! არც ერთი ჭკუათამყოფელი ასე არ მოიქცევა, არავინ ამას არ იზამს, თუ ოდნავ მაინც პატივს სცემს საკუთარ თავს. ნუთუ მისი მეგობრები ასე ცდებიან მასში? ოჰ, არა ლიზი, აქ რაღაც გაუგებრობაა.

–ალბათ ბინგლი მოატყუა და დააჯერა თავის პატიოსნებაში. აბა, მისტერ ვიკჰემი ასეთ ამბავს ხომ არ გამოიგონებდა. სახელები, ფაქტები, ყველაფერი ემთხვევა და მერე რა მართალი მზერა ჰქონდა ვიკჰემს, როცა ლაპარაკობდა.

–საშინელებაა, არ ვიცი, რა ვიფიქრო.

–მაპატიე, ჯეინ, მაგრამ მე ვიცი, რაც უნდა ვიფიქრო.

მაგრამ ჯეინი მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა. თუ მისტერ ბინგლი მოატყუეს, მაშინ დარსის ამბის გამჟღავნებისთანავე, მისი რეპუტაციაც შეილახება.

უცაბედად გზაზე ეტლი გამოჩნდა. მისტერ ბინგლი და მისი დები ბენეტებს ესტუმრნენ იმის შესატყობინებლად, რომ ნეზერფილდის წვეულება სამშაბათს გაიმართებოდა. ბინგლის დებს მეგობრის ნახვა ძლიერ გაუხარდათ. თბილად მოიკითხეს. ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ელიზაბეთს. შემდეგ უცებ ადგნენ და საჩქაროდ წავიდნენ, თითქოს მისის ბენეტის თავაზიანობას გაურბიანო.

ნეზერფილდის წვეულების ამბავმა მთელი ოჯახი გაახარა. მისის ბენეტი ფიქრობდა, რომ ეს ყოველივე ჯეინის პატივსაცემად ეწყობოდა. გაუხარდა, რომ ბინგლი თავად მოვიდა ამბის შესატყობინებლად და წერილი არ გამოგზავნა. ჯეინმა უკვე წინასწარ წარმოიდგინა მომავალი მეჯლისი, სადაც მეგობრების გარემოცვაში, ბინგლისთან იცეკვებდა. ელიზაბეთს ვიკჰემთან ცეკვა სწყუროდა. ქეთრინი და ლიდიაც გახარებული იყვნენ. მათთვის ვინმე განსაკუთრებულ პერსონას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მართალია, ვიკჰემთან ცეკვა მათაც სურდათ, მაგრამ მეჯლისი მაინც მეჯლისი იყო. მერიც კი დაინტერესდა და თქვა:

–დილით ვმეცადინებო ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ საღამოს მეჯლისზე წასვლა ცუდი როდია. საზოგადოებაში გასვლა და გართობა დროდადრო სასურველიც კია.

ელიზაბეთი იმდენად გახარებული იყო, რომ ქოლინზს ჰკითხა, თქვენც წამოხვალთ თუ არა საცეკვაოდო და გაკვირვებული დარჩა, როცა მას უარი არ უთქვამს, პირიქით, თამამად განაცხადა: არც მთავარეპისკოპოსის რისხვისა მეშინია და არც ლედი ქეთრინისა, რომ საცეკვაოდ წამოვიდეო და დასძინა:

–კეთილი ჯენტლმენის მიერ მოწყობილი მეჯლისი ცუდი რატომ უნდა იყოს. თანაც ცეკვა მიყვარს. ბედნიერი ვიქნები თუ ჩემი ბიძაშვილები ჩემთან იცეკვებენ. განსაკუთრებით თქვენთან ცეკვა მსურს, მის ელიზაბეთ, ალბათ ჯეინი მაპატიებს ამ საქციელს და უპატივცემულობაში არ ჩამომართმევს.

ელიზაბეთს გული დასწყდა. ვიკჰემთან ცეკვა სურდა, ახლა კი ქოლინზს უარს ვერ ეტყოდა. გუნება მოეშხამა, მაგრამ რას იზამდა. ცოტა უნდა მოეთმინა. მეტიც, ელიზაბეთი მხოლოდ ახლა მიხვდა ქოლინზის ჩანაფიქრს, რომ ჰანსფორდის მამულის დიასახლისობას უპირებდნენ. ეს ეჭვი კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა შეატყო, რომ ქოლინზი სწორედ მისდამი იჩენდა განსაკუთრებულ თავაზიანობას და ქება-დიდებათა და კომპლიმენტებით ავსებდა. ამის მერე დიდი დრო არ გასულა, რომ მისის ბენეტმაც მიანიშნა, თუ ქოლინზი ხელს გთხოვს, გამიხარდებო. მაგრამ ელიზაბეთმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს დედას მინიშნებას ვერ მიუხვდა. მისგან ნებისმიერ პასუხს შეეძლო კამათი გამოეწვია და იქნებ ქოლინზი სულაც არ აპირებდა მისთვის ხელი ეთხოვა. მაშინ კამათი ხომ უაზრობა იქნებოდა.

წვიამიანი დღეები ერთმანეთს ისე გადაება, რომ ქალიშვილებმა მერიტონში წასვლა ერთხელაც ვერ მოახერხეს. ამიტომ მომავალ მეჯლისზე საუბრით შეიქციეს თავი. ვერც დეიდას ნახავდნენ, ვერც ოფიცრებს და ახალ ამბავსაც ვერ შეიტყობდნენ. ელიზაბეთს გული სწყდებოდა და მოთმინება ეკარგებოდა იმის გამო, რომ ვიკჰემთან ურთიერთობის გაგრძელება გადაიდო. ქითი და ლიდიაც მოუთმენლად ელოდნენ სამშაბათ დღეს, როცა იცეკვებდნენ, ამიტომ მანამდელი დღეები შედარებით ასატანი იყო მათთვის.

თავი მეთვრამეტე

ელიზაბეთს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ წვეულებაზე ვიკჰემიც იქნებოდა, მაგრამ შეცდა. მოუსვლელიობის მიზეზებზე არც კი დაფიქრებულა. წვეულებისთვის საგულდაგულოდ მოემზადა და მოირთო. თუმცა მერელა მიხვდა, როცა წვეულებაზე მივიდა, რომ დარსის გავლენით ბინგლი ალბათ არც კი მოიწვევდა ვიკჰემს. დენიმ ლიზის უთხრა, რომ ვიკჰემი რაღაც საქმეზე გაემგზავრა ლონდონში და ჯერ არ დაბრუნებულიყო. მერე ღიმილით დაამატა: არა მგონია მართლა რაიმე სერიოზული საქმე ჰქონოდა, უბრალოდ, დარსისთან შეხვედრას გაურბისო.

ამ ნათქვამმა ელიზაბეთზე ძლიერ იმოქმედა და დარსისადმი ბრაზი გაუღვივდა. ამიტომ, როცა ეს უკანასკნელი მიუახლოვდა და მოიკითხა, ელიზაბეთმა დიდი მოთმინებითა და

თავშეკავებით უპასუხა. დარსისადმი კეთილგანწყობის გამოჩენა ვიკჰემის ღალატი იქნებოდა. გადაწყვიტა, საერთოდ არ დალაპარაკებოდა დარსის. ბინგლიზეც გული მოუვიდა, ასე რამ დააბრმავაო. მაგრამ ელიზაბეთს კეთილი ბუნება ჰქონდა და წყენამ მალე გაუარა. თუმცა სწყინდა, რომ ვიკჰემს ვერ შეხვდებოდა. გული შარლოტა ლუკასს გადაუშალა. მერე კი იძულებული გახდა, ბიძაშვილს დასთანხმებოდა, როცა მან საცეკვაოდ გამოიწვია. მაგრამ ძალზე დაიტანჯა მასთან ცეკვით. მოუქნელი ქოლინზი უფრო ბოდიშს იხდიდა, ვიდრე ცეკვავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცეკვა დამთავრდა და მისგან თავი დაიხსნა.

შემდეგ ერთ ოფიცერთან იცეკვა, რომელსაც ვიკჰემის შესახებ გაუბა საუბარი. მიხვდა, ვიკჰემი უკლებლივ ყველას მოსწონდა. ცეკვის შემდეგ ელიზაბეთი შარლოტასთან საუბრით გაერთო. ამ დროს, უცაბედად დარსი მიუახლოვდა და საცეკვაოდ გაიწვია. ელიზაბეთი ისე დაიბნა, რომ ცეკვაზე დასთანხმდა. შარლოტამ ლიზის უჩურჩულა:

–აი, ნახავ, თანდათან თუ არ მოგეწონოს.

–ღმერთმა დამიფაროს! რას ამბობ, საძულველი კაცის მოწონება ხომ დიდი ბოროტებაა!

–ნუ ხარ სულელი, – უთხრა შარლოტამ ლიზის, – იმ ვიღაც ვიკჰემის გულისთვის მაგ კაცს შენზე შთაბეჭდილებას ნუ წაუხდენ!

ელიზაბეთმა არაფერი უთხრა და დარსის საცეკვაოდ გაჰყვა. ორივენი მდუმარედ ცეკვავდნენ. ელიზაბეთმა იფიქრა, დარსის ლაპარაკი არ უყვარს, ამიტომ იმით დავსჯი, რომ საუბარს გავუბამო. ამიტომ ცეკვის შესახებ რაღაც შენიშვნა გააკეთა და მერე დარსის უთხრა:

–ახლა თქვენი ჯერია, რომ რამე თქვათ, მისტერ დარსი! მე ცეკვაზე ვისაუბრე, ახლა თქვენ ოთახზე ან თუნდაც აქ მყოფ მოცეკვავეებზე უნდა თქვათ რაიმე.

დარსიმ გაიღიმა და თქვა, რასაც მოისურვებთ, იმას ვიტყვიო.

–კარგი პასუხია, – უთხრა ელიზაბეთმა, – მგონი კერძო წვეულებები უფრო სასიამოვნო ჩანს. ახლა კი შეგვიძლია ჩუმი ვიყოთ.

–ესე იგი, თქვენ თავს მოვალედ თვლით, ცეკვის დროს ხმა ამოიღოთ?

–დიახ, რაღაც ხომ უნდა თქვა. ნახევარი საათი ხომ არ დადუმდები. თუმცა ზოგიერთები საუბარს ისე წარმართავენ ხოლმე, რომ სხვას აიძულებენ, რაღაც თქვას.

–თქვენს თავს გულისხმობთ, თუ მე?

–ორივე ჩვენგანს, კეკლუცად თქვა ელიზაბეთმა, რადგან შევამჩნიე, რომ ორივეს ერთნაირი გონება გვაქვს. არც ერთ ჩვენგანს ლაპარაკი არ გვიყვარს და მაშინ ვიტყვით ხოლმე რამეს, როცა დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ნათქვამი ყველას მოხიბლავს და მერე არაკად ქცეული მომავალ თაობას გადაეცემა.

-ეს თქვენ არ შეგფერით, დარწმუნებული ვარ. ხოლო რაც შეეხება იმას, ეს გამოთქმა მესადაგება თუ არა, ამაზეც დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი. თუმცა, მგონი, თქვენ გჯერათ, რომ ნამდვილი პორტრეტი დახატეთ.

-ნამდვილი დახატე თუ არა, ამას მე ვერ განვსჯი.

მცირე ხნით გაჩუმდნენ. შემდეგ, ცეკვა რომ დასრულდა, დარსიმ ელიზაბეთს ჰკითხა, მერიტონში ხშირად დადიხართ თუ არა ფეხითო, რაზეც პირველმა დადებითად უპასუხა და დასძინა:

-თქვენ რომ შეგვხვდით, იმ დღეს ერთი ვიღაც გავიცანით.

დარსის სახეზე უსიამოვნება გამოეხატა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე კი შენიშნა:

-მისტერ ვიკჰემი იოლად უმეგობრდება ადამიანს, ამის ნიჭი აქვს, თუმცა მეგობრობის შენარჩუნებაში საკმაოდ მოისუსტებსო.

-ჰო, რასაკვირველია, ეს მისი სისუსტეა, მან ხომ თქვენ დაგკარგათ, როგორც მეგობარი და ამას მთელი ცხოვრება ინანებს.

დარსიმ პასუხი არ გასცა და თემის შეცვლა მოიწადინა. სწორედ ამ დროს სერ უილიამ ლუკასი მიუახლოვდათ, დარსის თავი დაუკრა და კომპლიმენტი არ დაიშურა მისთვის, რომ ისეთ შესანიშნავ პარტნიორთან ცეკვავდა, როგორც ლიზი იყო.

-ძალიან მსიამოვნებს, თქვენ რომ გხედავთ. ასეთ დახვეწილ ცეკვას ხშირად როდი ნახავს კაცი. თქვენი მშვენიერი პარტნიორიც შესანიშნავად ცეკვავს და გვერდს გიმშვენებს. ალბათ ასე იქნება მაშინაც, როცა ერთი სასიხარულო ამბავი მოხდება, ძვირფასო ელიზა (და სერ ლუკასმა ბინგლისა და ჯეინისკენ გაიხედა). აი, მაშინ კი მოგილოცავთ! მაპატიეთ, დარსი, რომ ამ მშვენიერ არსებასთან საუბარი გაგაწყვეტინეთ. მისი შუქმფენი თვალები ამჟღავნებენ, რომ ჩემზე ნაწყენია.

დარსის გულში ჩარჩა ბინგლიზე ნათქვამი სიტყვები და იქით გაიხედა, სადაც ბინგლი და ჯეინი ცეკვავდნენ. მერე ლიზის უთხრა:

-სერ უილიამმა სრულიად გადამავიწყა, რაზე ვსაუბრობდით.

სულაც არ ვსაუბრობდით. ანდა რაზე უნდა გვესაუბრა. ვცადეთ კი, მაგრამ არ გამოგვივიდა. ამიტომ ახლა რაღა უნდა ვთქვათ, წარმოდგენა არა მაქვს.

-წიგნები გიყვართ? – ჰკითხა დარსიმ ღიმილით.

-წიგნები? დარწმუნებული ვარ, ამაზე ერთი აზრი არ გვექნება.

-ვწუხვარ, რომ ასე ფიქრობთ, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც შეგვიძლია ზოგადად ვისაუბროთ და აზრები შევაჯეროთ.

-მეჯლისზე როცა ვარ, წიგნებზე ვერ ვისაუბრებ. თავში სულ სხვა რამ მიტრიალებს.

-თქვენს თავში მხოლოდ აწმყო ასეთ დროს, არა?

-დიახ, ასეა, - უპასუხა ელიზაბეთმა ისე, რომ არც კი დაფიქრებულა. ახლა მისი ფიქრი სულ სხვაგან იყო. მერე უცებ დარსის უთხრა:

-მახსოვს, ერთხელ თქვით, მისტერ დარსი, რომ არავის არაფერს აპატიებთ და თუ ვინმე შეგჯავრდათ, სამუდამოდ შეგჯავრდებით. ამიტომ, ალბათ ფრთხილობთ, რომ ვინმე არ შეიჯავროთ.

-დიახ! მტკიცე ხმით უპასუხა დარსიმ.

-და ცრუ წარმოდგენებით არასოდეს ბრმავდებით, არა?

-არა მგონია.

-ეს განსაკუთრებით იმათ ეხებათ, ვინც აზრს არასოდეს იცვლის, ამიტომ გარანტია უნდა ჰქონდეს, რომ პირველივე ჯერზე სწორად შეაფასებს.

-ამას რატომ ამბობთ?

-თქვენი ხასიათის ილუსტრირებას ვახდენ, ელიზაბეთი შეეცადა ნაკლებად სერიოზული სახე ჰქონოდა, ვცდილობ, გამოვიცნო.

-და ამით რას მიაღწევთ?

-არაფერს და არც არაფრის მიღწევას ვცდილობ! უბრალოდ, თქვენზე იმდენი განსხვავებული აზრი მესმის, რომ ძალიან დავიბენი.

-ჩემზე ყველა ერთი აზრისა ვერ იქნება და ძალიან გთხოვთ, ჩემს ხასიათს თქვენს წარმოდგენაში ნუ დაანაწევრებთ, რადგან ასეთი მოქმედება არც ერთ ჩვენგანს არ წაგვადგება.

-ჰო, მაგრამ თუ ახლა თქვენსავით არ მოვიქცევი და მოქმედებით თქვენ არ დაგემსგავსებით, მაშინ ასეთი შესაძლებლობა, ვინ იცის, როდის მომეცემა.

-მაშინ ისიამოვნეთ, მე ხელს არ შეგიშლით!.. - უთხრა დარსიმ ცივად და დაშორდა.

ორივე უკმაყოფილი და ნაწყენი იყო ერთმანეთზე, თუმცა დარსის გულში გრძნობა მაინც ღვიოდა.

უცებ ელიზაბეთს მის ბინგლი მიუახლოვდა და დაცინვით უთხრა:

-რაო, მის ელიზა, ჯორჯ ვიკჰემი ძალიან მოგწონთ, არა? თქვენმა დამ მკითხა მასზე. ალბათ ვიკჰემს თქვენთვის იმის თქმა დაავიწყდა, რომ მამამისი დარსის მამულის ეკონომად მუშაობდა. ნება მიბოძეთ, გირჩიოთ, რომ ყველა მის ნათქვამს ნუ ენდობით. დარსი არ მოქცევია მას უპატიოსნოდ, პირიქით, ვიკჰემი მოექცა დარსის მუხანათურად. მე საქმის

დეტალები არ ვიცი, მაგრამ დაბეჯითებით გეტყვით, რომ დარსი ცამდე მართალია და ჯორჯ ვიკჰემის ხსენებაც არ უნდა. ჩემმა ძმამ ისიც დაპატიჟა სხვა ოფიცრებთან ერთად, რადგან ვერ გამოტოვებდა, თუმცა ბინგლიმ ძალიან გაიხარა იმით, რომ ვიკჰემმა მოწვევა არ მიიღო და არც მოსულა. აქ ჩამოსვლაც კი არ უნდა გაეხდებოდა, მაგრამ უსაშველოდ თავხედი. მეცოდებით, მის ელიზა, რომ ამდენი სამწუხარო რამ შეიტყვეთ თქვენი რჩეული ვიკჰემის შესახებ. თუმცა მისი მდაბიური ხასიათიდან გამომდინარე, უარესსაც უნდა მოელოდეთ.

–მდაბიო მხოლოდ იმიტომია, რომ დარსის მამულში მოსამსახურედ მუშაობდა? მხოლოდ ეს არის მისი დანაშაული თქვენს თვალში, არა, მის ბინგლი? სხვათა შორის, ამის შესახებ თქვენამდეც ვიცოდი. თავად ვიკჰემმა მითხრა.

–ბოდიშს გიხდით, ეს ყოველივე კარგი განზრახვით გითხარით, - უთხრა მის ბინგლიმ დამცინავი სახით და გაშორდა.

–თავხედი გოგო! – ჩაილაპარაკა თავისთვის ელიზაბეთმა, – ძალიან ცდები, თუ ასეთი უსუსური ლაპარაკით ჩემს გადაბირებას შეეცდები. ეს ყოველივე სწორედ შენს უგუნურებასა და დარსის ბოროტებაზე მეტყველებს.

შემდეგ ელიზაბეთი ჯეინისკენ გაემართა, რომ თავისი შთაბეჭდილება გაეზიარებინა, მაგრამ ჯეინი ისეთი ბედნიერი იყო და სახეზე ისეთი ღიმილი ეფინა, რომ ლიზიმ თავი შეიკავა. დის ბედნიერებამ ყველაფერი დაავიწყა.

–მინდა ვიცოდე, ღიმილით უთხრა დას ლიზიმ, რა შეიტყვე მისტერ ვიკჰემის შესახებ. თუმცა ალბათ ამის დრო არც გქონდა, ბოდიშს გიხდით.

–არა, ვიკჰემი არ დამვიწყებია, - უთხრა ჯეინმა, - მაგრამ სამწუხაროდ, დარსიმ არაფერი იცის იმ ამბის შესახებ, რამაც ასე გაანაწყენა. თუმცა ბინგლიმ დაბეჯითებით ის იცის, რომ დარსი პატიოსანი კაცია და ვიკჰემს უფრო მეტი პატივი მიაგო, ვიდრე ის ამას იმსახურებდა. ბინგლი ამბობს, რომ ვიკჰემი გაიძვერა და პატივისცემის ღირსი არ არის. ცუდად მოქცეულა, რისთვისაც დარსიმ გარიყა კიდევ.

–ბინგლი იცნობს ვიკჰემს?

–არა, არ იცნობს, მხოლოდ ერთხელ ნახა მერიტონში იმ დღეს, ჩვენ რომ შეგვხვდნენ.

–მაშასადამე, დარსის ნათქვამით განსჯის. ახლა მივხვდი. მემკვიდრეობის საკითხზე რა თქვა?

–არ იცის ზუსტად, მაგრამ ამის შესახებაც, ვგონებ, დარსიმ უთხრა. ამბობს, რომ ეს მხოლოდ პირობითი მემკვიდრეობა იყო, სხვა არაფერი.

–მისტერ ბინგლის პატიოსნებაში იოტისოდენადაც არ დავეჭვდები. მაგრამ ბინგლის ნათქვამი საკმარისი როდია. თანაც, საქმის დეტალები არ სცოდნია. ამიტომ ისევ იმასვე ვფიქრობ, რასაც აქამდე.

ჯეინი მაინც ბინგლის ნათქვამს ენდობოდა. შემდეგ მათთან მისტერ ბინგლი მივიდა და ელიზაბეთს მის ლუკასისთვის უნდოდა გული გადაეშალა, რომ ამ დროს ქოლინზი გამოჩნდა და აღფრთოვანებულმა ელიზაბეთს უთხრა:

-სწორედ ახლა, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ აქ თურმე ლედი ქეთრინის უახლოესი ნათესავი იმყოფება. რა მშვენიერი დამთხვევაა! ვინ იფიქრებდა, რომ აქ ლედი ქეთრინის ძმისშვილი იქნებოდა. მადლობელი ვარ, რომ დროულად აღმოვაჩინე ეს ამბავი, რათა დროულადვე პატივი მივაგო მას და მადლობა ვუთხრა, რომ დეიდამისი ასე მოწყალეა ჩემდამი. თან ბოდიშიც მოვუხადო, რომ მხოლოდ ახლაღა შევიტყვე.

-დარსის გაცნობას აპირებთ?

-რა თქმა უნდა! პატიებას ვთხოვ, ამდენ ხანს არ ვიცოდი, რომ თურმე აქ ბრძანდება. თანაც ვეტყვი, რომ ლედი ქეთრინი თავს მშვენივრად გრძნობს.

ელიზაბეთმა ქოლინზის გადარწმუნება სცადა, უთხრა, ამას დარსი ქედმაღლობად ჩაგითვლით, რომ ასე წინასწარი გაცნობის გარეშე მიმართავთ, თანაც გაცნობის ინიციატივა დარსის ეკუთვნის, თავისი რანგისა და წოდების მიხედვით და არა თქვენო, რაზეც მისტერ ქოლინმა ელიზაბეთს უთხრა:

-ძვირფასო მის ელიზაბეთ, მე თქვენს რჩევას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ნება მიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ სასულიერო პირს სახელმწიფოში მაღალი წოდება და რანგი გააჩნია, რაც უფლებას აძლევს, ინიციატორი იყოს ამა თუ იმ საქმისა, თუმცა, რასაკვირველია თავმდაბლობის ჩარჩოებში. თანაც, ნება მიბოძეთ, ჩემს გულისთქმასა და სინდისს ვუსმინო და არა თქვენს რჩევას, რომელიც სხვა დროს, გარწმუნებთ, ჩემი წინამძღოლი იქნება. თუმცა კი ახლა ჩემი განათლება და ცოდნა უფრო გამომადგება, ვიდრე ახალგაზრდა ლედის რჩევა.

ქოლინზმა თავი დაუკრა ელიზაბეთს და დარსისკენ გაეშურა. ელიზაბეთი შორიდან ადევნებდა თვალყურს, რა მოხდებოდა. დარსის სახეზე გაოცება გამოიხატა, როცა ქოლინზმა მიმართა. ელიზაბეთს სიტყვები არ ესმოდა, მაგრამ ქოლინზის ტუჩების მოძრაობით მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი ბოდიშს უხდიდა დარსის და ჰანსფორდის მამულსა და ლედი ქეთრინს ახსენებდა. ლიზი გააღიზიანა ქოლინზის ქცევამ, რომელიც ლაპარაკით არა და არ დაიღალა. დარსის სახეზე გაოცება თანდათან ზიზღიანმა გამომეტყველებამ შეცვალა. რაღაც ნაძალადევი თავაზიანობით უპასუხა, თავი დაუკრა და გაეცალა. მისტერ ქოლინზი გახარებული დაბრუნდა ელიზაბეთთან:

-მინდა გითხრათ, რომ ძალზე კმაყოფილი ვარ მისტერ დარსის თავაზიანობით. ისიც კი მითხრა, დეიდაჩემი არ წყალობს იმათ, ვინც ამას არ იმსახურებსო. ძალიან ლამაზი ნათქვამია, არა? ძალიან კმაყოფილი ვარ.

ელიზაბეთმა ახლა მთელი ყურადღება ბინგლისა და ჯეინზე გადაიტანა და ისეთი სასიამოვნო ფიქრი აეკვიატა, რომ სახეზე ბედნიერების ღიმილი მოეფინა. ჯეინი ბინგლის გაჰყვება და იმ მშვენიერ სახლში დაიდებს ბინას. ამ შემთხვევაში ელიზაბეთი ბინგლის

დებსაც როგორმე შეეგუება. დედამისიც გაიხარებს, რადგან ლედი ლუკასიც ესაუბრებოდა იმის შესახებ, რომ ალბათ ჯეინი მალე გათხოვდება ბინგლიზე. ო, რამდენ სიკეთეს მოუტანდა მათ ოჯახს ეს ქორწინება. ბინგლი მშვენიერი ყმაწვილია, თანაც, ძალიან მდიდარი. ბინგლის დებს ჯეინი ძალიან უყვართ და ალბათ ძმას დიდი სიამოვნებით ურჩევნ მის შერთვას. ეს ჯეინის უმცროს დებს დიდ გასაქანს მისცემს საიმისოდ, რომ ისინიც მდიდარ კაცებს მისთხოვდნენ. მისის ბენეტი მოისვენებს და გოგონების ჯავრი არ ექნება. მერე უკვე ეტიკეტის გამო კი არ წავა წვეულებაზე, არამედ სიამოვნებისთვის. მისის ბენეტმა ლედი ლუკასსაც უსურვა ქალიშვილების ბედნიერება, თუმცა გულში ფიქრობდა, რომ მათ ასეთი ბედნიერების შესაძლებლობა ნაკლებად ჰქონდათ.

ელიზაბეთმა დედას უთხრა, ცოტა ჩუმი ილაპარაკეო, რადგან მიხვდა, რომ ამ ლაპარაკის ნახევარზე მეტი გვერდით მჯდომმა დარსიმ გაიგონა. დედამისმა ელიზაბეთი დატუქსა.

– ვინ არის მისტერ დარსი, რომ მისი მეშინოდეს? ის სულაც არ იმსახურებს ჩვენგან თავაზიანობას, რომ არ ვთქვათ ის, რაც მას არ მოეწონება.

– ღმერთო, დედა, ჩუმი ილაპარაკეთ. მისტერ დარსის გაბრაზება რა ხელს მოგცემთ? თუ ასე მოიქცევით, მის მეგობარსაც შესძულდებით!

ელიზაბეთის სიტყვებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. დედამისი მაინც ხმამაღლა ლაპარაკს აგრძელებდა. ელიზაბეთმა, მისდა სავალალოდ, შეამჩნია, რომ დარსი დედამისს ყურს უგდებდა და სახეზე ზოგჯერ ზიზღი, ზოგჯერ კი მწუხარება გამოეხატებოდა ხოლმე.

ბოლოს, როგორც იქნა, მისის ბენეტი დადუმდა და ლედი ლუკასს გაეცალა, რომელიც ისე დაღალა მეგობრის ლაპარაკმა, რომ მთქნარება აუტყდა. ელიზაბეთი გამოცოცხლდა.

ვახშმის შემდეგ მერის სთხოვეს, იმღერეო. ელიზაბეთმა თვალებით სთხოვა მერის და მრავალჯერ მიანიშნა, არ გინდა, გადათქვიო, მაგრამ უშედეგოდ. მერიმ ეს მინიშნებები ვერც გაიგო. მას წარმოჩენა სურდა, ამიტომ სიმღერა დაიწყო. ელიზაბეთმა ამის გამო ერთი სიკვდილი გაათავა და ელოდა, როდის დაასრულებდა სიმღერას, რომელმაც აღფრთოვანება ვერ გამოიწვია. მერი ნამდვილად ვერაფერი მიმღერალი იყო. სუსტი ხმა ჰქონდა და ყალბი მანერები. ელიზაბეთი დაიტანჯა, როცა მერიმ მეორედ იმღერა. ჯეინს შეხედა, აბა, რას ფიქრობსო, მაგრამ ჯეინი ამ დროს ბინგლისთან საუბრით იყო გართული. ბინგლის დები დამცინავი ჟესტებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და დარსის. მერე ელიზაბეთმა მამას შეხედა და თვალებით სთხოვა, იქნებ შენ ჩაერიო და გააჩერო მერი, თორემ მთელი ღამე ასე იმღერებსო. მამა მიუხვდა ელიზაბეთს და მეორე სიმღერის დასრულებისთანავე ხმამაღლა უთხრა:

– შვილო, შენ საკმარისად გვასიამოვნე, ახლა დაე, სხვა ქალიშვილებმაც წარმოაჩინონ თავი.

მერი ნაწყენი დარჩა და ამან ელიზაბეთი დაამწუხრა.

– მე რომ სიმღერის ნიჭი მქონდეს, შენიშნა მისტერ ქოლინზმა, ბედნიერი ვიქნებოდი, მუსიკა ყველაზე უწყინარი გასართობია ამქვეყნად და სასულიერო პირსაც შეეფერება. მაგრამ

დრო მარტო მუსიკას როდი უნდა დავუთმოთ, მის გარდა ბევრი საინტერესო რამ არსებობს. მღვდელს ბევრი საქმე აქვს. ამიტომ დრო ისე უნდა გაანაწილოს, რომ არავინ გაანაწყენოს. ქადაგებები თავად უნდა შეადგინოს. მღვდელს ცოტა დრო აქვს. თავისი საცხოვრებლის კეთილმოწყობაზეც უნდა იზრუნოს, რაც ცოდვად არ ჩაეთვლება. ცხადია, ყველასადმი კეთილი და ყურადღებიანი უნდა იყოს, განსაკუთრებით მისი კეთილისმყოფლისადმი, ნათესავებზეც იზრუნოს.

ქოლინზი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, ყველამ გაიგონა. ბევრი უსმენდა, ბევრს ეღიმებოდა. მაგრამ არავინ ისე ძალუმად არ გაერთო, როგორც მისტერ ბენეტი. მისის ბენეტმა სერიოზულად შეაქო მისტერ ქოლინზი ამგვარი საზრიანობისთვის და ლედი ლუკასს უჩურჩულა, ჭკვიანი და კეთილი კაციყო.

ელიზაბეთი დედისა და დის საქციელს ძალიან განიცდიდა, თუმცა გაუხარდა, რომ ზოგიერთი რამ ბინგლის არც დაუნახავს და არც შეუმჩნევია და ასეც რომ ყოფილიყო, მის გრძნობებს იოტისოდენიც არ მოაკლდებოდა. ბინგლის დებსა და დარსის კი მათი საქციელი სიცილად არ ეყოთ.

ქოლინზი ისევ სთხოვდა ელიზაბეთს, ვიცეკვოთო, მაგრამ ვერ დაიყოლია. ელიზაბეთმა სთხოვა, სხვა გოგონებს გაგაცნობ და იმათთან იცეკვეო, მაგრამ ქოლინზმა უთხრა, ცეკვა კი არ მხიბლავს, უბრალოდ მსურს, მთელი საღამო თქვენ გვერდით გავატაროო. ამ დროს, ბედად, მის ლუკასი მიუახლოვდათ და ელიზაბეთმა მას გადააბარა ქოლინზთან საუბარი.

დარსი ელიზაბეთთან არც მისულა და არც გამოლაპარაკებია. ალბათ მისტერ ვიკჰემის გამო, რამაც ლიზი ძალიან გაართო.

წვეულება რომ დასრულდა, ბენეტების ოჯახმა ყველაზე ბოლოს დატოვა იგი. მისის ბენეტს ასეთი მანევრი ჰქონდა: ნახევარი საათის განმავლობაში უცდიდა ეტლს და ამასობაში აკვირდებოდა, დამშვიდობების ცერემონიალი რამდენად გულთბილი იქნებოდა ოჯახებს შორის. მისის ჰერსტსა და მის დას ხმა არ ამოუღიათ. მხოლოდ ის თქვეს, რომ საშინლად დაიქანცნენ და მარტო დარჩენა სურდათ. თავი აარიდეს მისის ბენეტს, რომელსაც ლაპარაკი სურდა. ყველა ძალიან დაღალა ქოლინზის გაუთავებელმა ლაქლაქმა, ბინგლისა და მის დებს ხოტბას რომ ასხამდა ასეთი გულითადი მასპინძლობისთვის. დარსი ჩუმად იყო. არც მისტერ ბენეტი იღებდა ხმას და ჩუმად ტკბებოდა სანახაობით. ბინგლი და ჯეინი ერთად იდგნენ ცოტა მოშორებით და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. ელიზაბეთმა დადუმება ამჯობინა. ლიდია ისე დაიქანცა, რომ ლაპარაკის თავი არ ჰქონდა და მარტო ამას იმახდა:

–ოჰ, ღმერთო, როგორ დავიღალე! – და ამთქნარებდა.

ბოლოს, როცა წასასვლელად მოემზადნენ, მისის ბენეტმა გულითადად და თავაზიანად დაპატიჟა ბინგლები ლონგბერნში. მისტერ ბინგლის სთხოვა, ბედნიერი ვიქნები თუ სადილზე გვეწვევით და თავს შინაურულად იგრძნობთო. ბინგლი დაჰპირდა, როგორც კი ლონდონიდან ჩამოვალ, სადაც მცირე ხნით მივდივარ, მაშინვე სიამოვნებით გესტუმრებითო.

მისის ბენეტი გახარებული წავიდა, სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ სამ ან ოთხ თვეში ჯეინი ნეზერფილდის ბინადარი გახდებოდა. მისტერ ქოლინზზეც სერიოზულად ფიქრობდა და სურდა, მისთვის ელიზაბეთი მიეთხოვებინა, რომელიც შვილებს შორის მაინცდამაინც გამორჩეულად არ უყვარდა. მისი აზრით, ელიზაბეთს სწორედ ქოლინზისთანა კაცი შეეფერებოდა. თუმცა ეს ყოველივე ბინგლისა და ნეზერფილდზე ფიქრმა სრულიად დაჩრდილა.

თავი მეცხრამეტე

მომდევნო დღეს ლონგბერნში ასეთი რამ მოხდა: მისტერ ქოლინზმა ელიზაბეთს ხელი სთხოვა. დროის დაკარგვა არ სურდა, რადგან მომდევნო შაბათს შინ უნდა გამგზავრებულიყო, ამიტომ ყველა წესისა და ეტიკეტის დაცვით ოფიციალური განცხადება გააკეთა. საუზმის შემდეგ მისის ბენეტსა და გოგონებს მიმართა, ელიზაბეთთან ცოტა ხნით მარტო დამტოვეთო.

ელიზაბეთი გაწითლდა. მისის ბენეტმა დანარჩენი ქალიშვილები ოთახიდან გაიყვანა. ელიზაბეთს ამ კაცთან მარტო დარჩენა არ სურდა და დედას უთხრა:

–დედა, გთხოვთ, არ წახვიდეთ, მაპატიეთ, მისტერ ქოლინზ, მაგრამ შეგიძლიათ ჩემი ოჯახის თანდასწრებით მითხრათ. მე აქ არ დავრჩები.

–არა, ლიზი, შენ აქ დარჩები და მისტერ ქოლინზს მოუსმენ.

ელიზაბეთმა უარი ვედარ უთხრა. ამასთანავე გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება სწრაფად და წყნარად დაესვა წერტილი ამ ყველაფრისთვის. ამიტომ იქვე დაჯდა სასოწარკვეთილი. მისტერმა ქოლინზმა დაიწყო:

–მის ელიზაბეთ, მენდეთ, თქვენი მოკრძალება უფრო მეტ ღირსებას გმატებთ ჩემს თვალში. ამიტომ მომწონს თქვენი ამგვარი ქცევა. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ სწორედ დედათქვენის ნებართვით მოგმართავთ. ალბათ მიხვდით, რისი თქმაც მსურს, რადგან ასე დაიბენით და გაწითლდით. ამ სახლში შემოსვლისთანავე თქვენ აგირჩიეთ ჩემი ცხოვრების თანამგზავრად. ახლა ჩემი გრძნობები ჩემს კონტროლს აღარ ექვემდებარება, ამიტომ სჯობს ქორწინებაზე ავლაპარაკდე.

მისტერ ქოლინზის სერიოზულმა სახემ და გრძნობების უკონტროლობამ ელიზაბეთი სიცილის გუნებაზე დააყენა. ქოლინზმა განაგრძო:

–დაქორწინება მსურს, რადგან პირველ რიგში, მღვდელმა უნდა იქორწინოს, რათა სხვებს მაგალითი მისცეს. მეორე რიგში, ვფიქრობ, ქორწინება გამაბედნიერებს და ამავე დროს, ასე მირჩია დიდებულმა ლედი ქეთრინმა, რომელსაც ჩემს მფარველს ვუწოდებ. ორჯერ ინება მოწყალება (ისე რომ, მე არც მითხოვია!) და რჩევა მომცა. სწორედ ამიტომ წამოვედი. მან

მიტხრა: -მისტერ ქოლინზ, თქვენ უნდა დაქორწინდეთ. ფრთხილად აარჩიეთ კარგი მეუღლე, რომელიც გამოგადგებათ და ცოტა შემოსავალიც ექნება. აი, ჩემი რჩევა. იპოვე ასეთი ქალი, მოიყვანე ჰანსფორდში, მერე მე გესტუმრები და ვნახავო. ნება მიბოძეთ, გითხრათ, მშვენიერო ბიძაშვილო, რომ ლედის რჩევა ძვირფასია ჩემთვის. ის მე მმფარველობს. ვფიქრობ, მოეწონებით. ახლა იმასაც გეტყვით, ამ მიზნისთვის ლონგბერნის რატომ ავირჩიე. ჩემს სამეზობლოშიც არიან სათნო გოგონები. მაგრამ, რადგან პატივცემული მამათქვენის სიკვდილის შემდეგ ეს მამული მე მეკუთვნის (დაე, დიდხანს იცოცხლოს), გადავწყვიტე მის ერთერთ ქალიშვილზე მექორწინა, რათა დანაკარგი და ზარალი, რაც შეიძლება მცირე ყოფილიყო. ეს იყო ჩემი მიზანი და ახლა ისღა დამრჩენია, რომ ჩემს ღრმა სიყვარულში დაგარწმუნოთ. მე ქონება არ მაინტერესებს და არც არაფერს მოვითხოვ მამათქვენისგან, რადგან ვიცი, რომ ხელმოკლეაა. იმ ათას გირვანქაზე, თქვენ მხოლოდ დედის სიკვდილის მერე რომ მიიღებთ, ხმას არასოდეს ამოვიღებ. არც მერე, როცა დავქორწინდებით.

ახლა კი დრო იყო, ელიზაბეთს გაეჩერებინა:

-თქვენ აჩქარდით, ჯერ ჩემი პასუხიც არ მოგისმენიათ. ჰოდა, დროს არ დავკარგავ. მადლობას გიხდით მრავალი კომპლიმენტისა და შემოთავაზებებისთვის. დიდი პატივია ჩემთვის, მაგრამ შეუძლებელია, უარი არ გითხრათ.

-მე ვიცი, რომ ქალიშვილები ასე იქცევიან. პირველად ისინი უარზე არიან. გულში კი თანხმობის მიცემა სურთ. ზოგჯერ მეორედ და მესამედ გამეორებაც სჭირდებათ. ამიტომ თქვენი ნათქვამი მხნეობას უფრო მმატებს, რომ სულ მალე საკურთხეველთან მიგიყვანთ.

-გეფიცებით, ძალიან მიკვირს თქვენი ნათქვამი იმის შემდეგ, რაც ამწუთას მოგახსენეთ. გარწმუნებთ, იმ ქალთა რიცხვს არ ვეკუთვნი (ან თუ არიან საერთოდ ასეთი ქალები), ვინც მამაკაცს მეორედ გაამეორებინებ და პირველად ნათქვამ შემოთავაზებას და ამით რისკის ქვეშ დააყენებდა საკუთარ ბედნიერებას. მე სრულიად სერიოზული უარი გითხარით. თქვენ მე ვერ გამაბედნიერებთ და ვერც მე გაგაბედნიერებთ. ლედი ქეთრინი რომ მიცნობდეს, ალბათ, ამასვე გეტყოდათ.

-ლედი ქეთრინს რომ მართლა ასე ეთქვა... მაგრამ არა მგონია, არ მოეწონოთ. როცა ვნახავ, თქვენს მოკრძალებასა და სხვა კეთილ თვისებებზე ვესაუბრები.

-ჩემი შექება საჭირო არ არის, მისტერ ქოლინზ! გთხოვთ დამიჯეროთ, რასაც გეუბნებით. ბედნიერებას გისურვებთ და მჯერა, ასეც იქნება. ხელი რომ მთხოვეთ, დიდი პატივია ჩემი ოჯახისთვის, ამის მერე თქვენ შეგიძლიათ წაიღოთ ლონგბერნის მამული ისე, რომ სინდისმა არ შეგაწუხოთ, რადგან ძალიან თავაზიანად მოგვექეცით. მე ვფიქრობ, საქმე მოგვარებულია...

და ელიზაბეთმა ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ ქოლინზმა უთხრა:

–ამის შემდეგ თქვენგან სასურველ პასუხს მოველი. ვიცი, ქალებს ასე მოქცევა გჩვევიათ, ამიტომ თქვენს საქციელს სიმკაცრეს ვერ დავარქმევ. თქვენმა ნათქვამმა გამბედაობა შემმატა და სურვილი უფრო გამიღვივა.

–მაოცებთ, მისტერ ქოლინზ! თუ იმან, რაც ახლა ვთქვი, თქვენ სურვილი უფრო გაგიღვივათ, მაშინ აღარ ვიცი, ჩემი სათქმელი რა ფორმით გამოვხატო.

–ნება მიბოძეთ, ვიფიქრო, ძვირფასო ბიძაშვილო, რომ თქვენი უარი მხოლოდ სიტყვებია და მეტი არაფერი. ასე იმიტომ ვფიქრობ, რომ ვიცი: ჩემი შემოთავაზება ხელსაყრელია თქვენთვის და ცოტა ქონებაც არა მაქვს. ლედი დებურგთან ჩემი მეგობრობა ხომ დიდ რამეს ნიშნავს. უნდა დაფიქრდეთ, რომ მიუხედავად თქვენი მომხიბლაობისა, შესაძლოა, ხელი აღარავინ გთხოვოთ, რადგან ძალიან ღარიბი ხართ და სიღარიბე თქვენს მშვენიერებასაც დაჩრდილავს. ამიტომ ვფიქრობ, რომ თქვენი უარი, რომელიც ნამდვილი და სერიოზული არ არის, მიზნად ისახავს იმას, რომ დროის ასე გაწელვით კიდევ უფრო შემიყვარდეთ. დახვეწილ ქალებს ასე სჩვევიათ.

–გარწმუნებთ, სერ, რომ მე ისე დახვეწილი როდი ვარ, პატივცემულ კაცს ტანჯვა მივაყენო. მსურს გულწრფელად მიიჩნიოთ. კვლავ მადლობას გიხდით ასეთი პატივისა და შემოთავაზებისთვის, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ მივიღებ, რადგან გული საწინააღმდეგოს მეუბნება. მგონი გასაგებად ვლაპარაკობ. დახვეწილ ქალად ნუკი ჩამთვლით, რომელსაც თქვენი დატანჯვა სურს, არამედ გონიერ არსებად, რომელიც სიმართლეს მთელი გულით ამბობს.

–ღვთაება ხართ! – წამოიძახა ქოლინზმა, – და მჯერა, რომ თქვენი შესანიშნავი მშობლების ნებართვით უარს არ იტყვით ჩემს წინადადებაზე.

ამ კაცს დაჟინებით სურდა თავის მოტყუება, ამიტომ ელიზაბეთი ადგა და ოთახი დატოვა. იფიქრა, თუ კიდევ ჩამაცივდა, მამას ვეტყვი და ის მიშველისო. მისტერ ბენეტი გადამწყვეტ სიტყვას იტყვის და მისი მტკიცე უარი მისტერ ქოლინზს დახვეწილი ქალის კეკლუცობაში აღარ აერევია.

თავი მეოცე

მისის ბენეტი ვესტიბიულში დაზოზინებდა, როცა ამ დროს კარი გაიღო და ელიზაბეთი ოთახიდან გამოვიდა. მისის ბენეტი მისტერ ქოლინზისკენ გაემართა, რომ მიელოცა. მისტერ ქოლინზმა მილოცვა მიიღო, თუმცა საუბრის დეტალებიც მოუყვა და უთხრა:

–კმაყოფილი ვარ, რადგან ეს უარი სწორედ მისი მოკრძალებული ბუნებიდან მოდისო.

მისის ბენეტი ამ ცნობამ შეაშინა. მას სურდა, მართლაც ასე ყოფილიყო, მაგრამ ვერ დაიჯერა. უთხრა კიდევ:

–ამის გამო, მისტერ ქოლინზ, ლიზი ჭკუას ისწავლის. დაუყოვნებლივ დაველაპარაკები, რადგან ჯიუტი და სულელი გოგოა და საკუთარ ინტერესებზე არ ფიქრობს, მაგრამ ახლავე ვაიძულებ, რომ იფიქროს.

–მაპატიეთ, მისის, მაგრამ თუ მართლა ჯიუტი და სულელია, მაშინ იქნებ ჩემი შესაფერისი სულაც არ არის და თუ მართლა უარს ამბობს, მაშინ იქნებ არც ღირს დააძალოთ. ასეთი ხასიათის ქალი მე ვერ გამაბედნიერებს.

–მისტერ, თქვენ არასწორად გაიგეთ ჩემი ნათქვამი, ლიზი მხოლოდ ასეთ ვითარებაშია ჯიუტი, თორემ საერთოდ საუკეთესო ხასიათის გოგონაა. ახლავე მისტერ ბენეტს ვთხოვ, ეს საქმე მოაგვაროს.

ამ სიტყვებით მისის ბენეტი ბიბლიოთეკისკენ გაემართა.

–ოჰ, მისტერ ბენეტ, შენ უნდა აიძულო ლიზი, ცოლად გაჰყვეს მისტერ ქოლინზს. იჩქარე, მისტერ ბენეტ, თორემ მისტერ ქოლინზი გადაიფიქრებს.

მისტერ ბენეტმა წიგნიდან აიღო თავი და თვალები წყნარად მიაპყრო მეუღლეს.

–ვერ გავიგე, ძვირფასო, რაზე ლაპარაკობ?

–ლიზი მისტერ ქოლინზზე უარს აცხადებს და მალე მისტერ ქოლინზიც ასე მოიქცევა, თუ რამეს არ იღონებ.

–და მე რა უნდა ვქნა?

–დაელაპარაკე ლიზის, უბრძანე...

–აქ მოიხმე, ჩემს აზრს ვეტყვი, - უთხრა ცოლს მისტერ ბენეტმა.

მისის ბენეტმა ზარი დარეკა და ელიზაბეთი ბიბლიოთეკაში იხმეს.

–აქ მოდი, შვილო, მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრა, - უთხრა მისტერ ბენეტმა, – გავიგე, რომ მისტერ ქოლინზმა ხელი გთხოვა. მართალია?

ელიზაბეთმა უპასუხა, მართალიაო.

–მაშ, კარგი და შენ უარი უთხარი?

–დიახ, სერ.

–კარგი. ახლა ასე გადავწყვიტოთ. დედაშენი მოითხოვს, რომ ქოლინზს გაჰყვე ცოლად, არა, მისის ბენეტ?

–დიახ, ასეა, თუ არა და მისი დანახვაც არ მინდა.

-დიდი არჩევანის წინაშე დგახარ, ელიზაბეთ. დღეიდან ერთერთი მშობელი დაგემდურება. დედაშენი მაშინ მოიქცევა ასე, თუ შენ მისტერ ქოლინზს უარს ეტყვი, მე კი პირიქით, თუ ცოლად გაჰყვები, მაშინ დაგემდურები.

ელიზაბეთმა გაიღიმა, რომ ასეთი უსიამოვნო საქმე ასე სასიამოვნოდ დამთავრდა. მისის ბენეტს იმედი გაუცრუვდა.

-რას გულისხმობ, მისტერ ბენეტ, შენ ხომ შემპირდი, რომ ლიზის აიძულებდი, მას

-ძვირფასო, უთხრა ქმარმა, - ორი თხოვნა მაქვს შენთან. პირველი: ნება მიბოძე, თავად განვსაჯო, რა როგორ სჯობს; და მეორე: გთხოვ, ჩემს ბიბლიოთეკაში მომასვენო.

მისის ბენეტმა ფარხმალი არ დაყარა და ლიზის ისევ ამ საგანზე ეკამათებოდა. ხან მოთაფვლით ცდილობდა მის გადაბირებას, ხან ემუქრებოდა. მერე ჯეინის აყოლიებაც სცადა, მაგრამ ჯეინი არ ჩაერია. ელიზაბეთი ხან მხიარულად, ხან კი სერიოზულად პასუხობდა მისის ბენეტის შემოტყვევებს, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

მისტერ ქოლინზი მომხდარის შესახებ ფიქრობდა. თავზე ისეთი დიდი წარმოდგენა ჰქონდა, რომ ვერ მიხვდა, რატომ უარყო ბიძაშვილმა. სიამაყე შეელახა. მისი გრძნობა ელიზაბეთისადმი წარმოსახვითი და ყალბი იყო და დედამ რომ დატუქსა ლიზი, ამის გამო დიდად არ შეწუხებულა.

ამასობაში შარლოტა ლუკასი ესტუმრათ. მას ლილია მიეგება და ჩურჩულით უთხრა:

-კარგია, რომ მოხვედი, აქ ისეთი სასაცილო რამე ხდება. ამ დილით მისტერ ქოლინზმა ლიზის ხელი სთხოვა და უარი მიიღო.

მერე შარლოტას ქითიმაც იგივე უთხრა და როცა სასადილო ოთახში შევიდნენ, მისის ბენეტმა შარლოტასაც შესჩივლა თავისი გასაჭირი და სთხოვა, იქნებ ლიზის გადაათქმევინო.

-გთხოვთ, მის ლუკას, თქვენ მაინც მომეშველეთ, ხომ ხედავთ, ყველა ჩემს წინააღმდეგაა. არავის ვენაღვლები.

ამ დროს ოთახში ჯეინი და ელიზაბეთი შემოვიდნენ.

--ჰა, მოვიდა, - თქვა მისის ბენეტმა ელიზაბეთზე, - ჩვენზე სულ არ ფიქრობს და არ ვედარდებით. დამოუკიდებელი ქალივით იქცევა. მაგრამ, მის ლიზი, თუ ასე გააგრძელებს და ყველა კაცს უარი უთხარი, მაშინ ქმარს საერთოდ ვერ იშოვი და მაინტერესებს, ვინ შეგინახავს, როცა მამაშენი ცოცხალი აღარ იქნება. დღეიდან შენი დანახვაც აღარ მინდა. საერთოდ აღარავის დანახვა აღარ მინდა. ჩემი ნერვების გამო ლაპარაკიც არ მსურს. არავინ იცის, როგორ ვიტანჯები. რომ არაფერს ვამბობ და ჩუმი ვარ, ამიტომ არავის ვეცოდები.

ქალიშვილები მდუმარედ უსმენდნენ დედას, რადგან ხმის ამოღებით კიდევ უფრო გააღიზიანებდნენ, მისის ბენეტი კი არ გაჩერებულა, სანამ ოთახში მისტერ ქოლინზი არ

შემოვიდა. მისის ბენეტმა გოგონებს უთხრა, თქვენი ხმა არ გავიგო, მისტერ ქოლინზთან საუბარი მსურსო.

ელიზაბეთი წყნარად გავიდა ოთახიდან. მას ჯეინი და ქითიცი გაჰყვნენ. ლიდია და

შარლოტა დარჩნენ, რათა საუბარი მოესმინათ. მისის ბენეტმა დამწუხრებული ხმით წამოიწყო:

–ოჰ, მისტერ ქოლინზ!..

–მისის, შეაწყვეტინა ქოლინზმა, გთხოვთ ნურაფერს მეტყვიოთ. მსურს, ეს საკითხი აღარ ვახსენოთ. რაც მოხდა, მოხდა, გარდაუვალ ბოროტებას უნდა დავნებდეთ. ეს ჩემისთანა მაღალი მდგომარეობის კაცსაც შეჰფერის. ჰოდა, ვნებდები. ალბათ ჩემს მშვენიერ ბიძაშვილს ეჭვი შეეპარა ჩემს ბედნიერებაში და ეჭვი ბედნიერებასაც სხვაგვარად მოგაჩვენებს. მისის ბენეტ, ალბათ უპატივცემულობაში არ ჩამომართმევთ იმას, რომ თქვენ და თქვენს მეუღლეს არ გთხოვთ, ელიზაბეთზე გავლენა მოგეხდინათ. მაგრამ შეცდომა დავუშვი და მომიტევეთ. ნამდვილად კეთილი განზრახვა მამომრავებდა. მსურდა კარგი საცოლე შემერჩია ისე, რომ თქვენი ოჯახისთვისაც სასიკეთო ყოფილიყო და თუ არასწორად მოვიქეცი, ბოდიშს ვითხოვ.

თავი ოცდამეერთე

ქოლინზის წინადადებაზე საუბარი შეწყდა, თუმცა მისის ბენეტი მაინც მწარედ შეახსენებდა ხოლმე ქალიშვილს ამის შესახებ, რაც ელიზაბეთისთვის მტკივნეული იყო.

ქოლინზს რაც შეეხება, თავის გრძნობებს ქედმაღლური დუმილით ამჟღავნებდა. ელიზაბეთს თითქმის არ ელაპარაკებოდა და ახლა მთელი დღეების განმავლობაში მის ლუკასისადმი იჩენდა ყურადღებას. მის ლუკასიც წყნარად და თავაზიანად უსმენდა, რაც მთელი ოჯახისთვის შვება იყო, განსაკუთრებით კი ელიზაბეთისთვის.

მისის ბენეტის გაღიზიანება არა და არ ჩაცხრა. თანაც თავს შეუძლოდ გრძნობდა. ელიზაბეთმა იფიქრა, ქოლინზი ახლა მაინც დიდხანს აღარ დარჩებაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მაინც შაბათიდან შაბათამდე რჩებოდა. საუზმის შემდეგ გოგონები მერიტონში წავიდნენ, რათა შეეტყვოთ, მისტერ ვიკჰემი ჩამოვიდა თუ არა. ვიკჰემს რომ შეხვდნენ, უთხრეს, გული დაგვწყდა, წვეულებაზე არ იყავითო. ვიკჰემმა ელიზაბეთს უთხრა: იქ მოსვლისთვის თავი აუცილებლად უნდა ამერიდებინაო.

–მერჩივნა, მისტერ დარსის არ შევხვედროდი. მასთან ერთად ერთ წვეულებაზე ყოფნას ვერ ავიტანდი, ამიტომ იქ ყოფნას მოვერიდე. ელიზაბეთმა შეაქო ვიკჰემის მოთმინება და სასიამოვნო საუბარი გააბეს. შემდეგ ვიკჰემმა ერთ მეგობარ ოფიცერთან ერთად გოგონები ლონგბერნში გამოაცილა. სიარულისას ვიკჰემი უფრო მეტად ელიზაბეთს ელაპარაკებოდა.

ელიზაბეთს მისი გამოყოლა ეამა და თანაც საშუალება ეძლეოდა, ვიკჰემი მშობლებისთვის გაეცნო.

მის ბენეტის სახელზე ნეზერფილდიდან წერილი მოვიდა. კონვერტი ახალდალუქული იყო. ლამაზი მოყვანილობის ქაღალდს ეტყობოდა, რომ ქალის მშვენიერმა ხელმა დაწერა. ჯეინმა წერილი რომ წაიკითხა, სახე შეეცვალა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და საერთო საუბარში მხიარულად ჩაერთო. მაგრამ ელიზაბეთი ამ ფაქტმა ააღელვა ისე, რომ ვიკჰემიც დაავიწყდა. როცა ეს უკანასკნელი წავიდა, ჯეინმა ელიზაბეთს ანიშნა და თავის ოთახში ავიდნენ. ჯეინმა წერილი აიღო და დას უთხრა:

–ეს წერილი ქეროლაინ ბინგლიმ მომწერა და ძალზე გამაოცა. მთელი ოჯახი ლონდონში წავიდა. მთელი ზამთარი იქ უნდა გაატარონ. აი, წაგიკითხავ.

ჯეინმა წერილის დასაწყისი ხმამაღლა წაიკითხა, სადაც ატყობინებდნენ, რომ დებმა გადაწყვიტეს ძმის კვალს გაჰყოლოდნენ და ლონდონში წასულიყვნენ, ხოლო გზად გროსვენერის ქუჩაზე, მისტერ ჰერსტის სახლში ესადილათ. წერილში ეწერა: „არაფრის გამო არ ვნანობ, რაც ჰართფორდშირში დავტოვე, თქვენ გარდა, ჩემო ძვირფასო მეგობარო. მაგრამ იმედი მაქვს, მომავალში ისევ გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა. მანამდე კი განშორება რომ არ ვიგრძნოთ, ხშირად მივწეროთ ერთმანეთს“.

ელიზაბეთი ცოტა არ იყოს, უნდობლად უსმენდა და თუმცა საკვირველი გამოდგა მათი ასე უცაბედი გამგზავრება, სამწუხარო და დასაღონებელი მაინც არაფერი იყო. მისტერ ბინგლი შესაძლოა ჩამოსულიყო ნეზერფილდში. ჯეინისთვის ესეც საკმარისი იქნებოდა.

–ცუდია, რომ გამგზავრებამდე ვერ ნახე შენი მეგობრები, თუმცა შესაძლოა სულ მალე დასავით ჩაგიხუტებს. მისტერ ბინგლის ისინი ქალაქში ვერ დააყოვნებენ.

–ქეროლაინი ამბობს, რომ ერთ-ერთი მათგანი ჰართფორდშირში დაბრუნდება ამ ზამთარს. აი, უსმინე, რას წერს: „გუშინ ჩემი ძმა ლონდონს გაემგზავრა რაღაც საქმეზე, რაც ეგონა სამოთხ დღეში დასრულდებოდა, მაგრამ, რადგან იმ საქმეს დრო სჭირდება, ჩვენც გადავწყვიტეთ, გავემგზავროთ. ბევრი ჩემი ნაცნობი ზამთარს ლონდონში ატარებს. მსურდა, თქვენც წამოსულიყავით, ძვირფასო ჯეინ, თუმცა ვიცი, ამას არ მოისურვებთ. ბედნიერ შობას წინასწარ გილოცავთ! დაე, ისე ბედნიერად გაგეტარებინოთ, რომ ჩვენი მანდ არყოფნა სრულიად ვერ იგრძნოთ“. – ჩანს, ბინგლი ამ ზამთარს აღარ ჩამოვა, თქვა ჯეინმა.

–მაგ წერილიდან მხოლოდ ის ჩანს, ჩემო კარგო, რომ მის ბინგლის არ უნდა, მისი ძმა აქ ჩამოვიდეს.

–რატომ ფიქრობ ასე? ეს ალბათ თავად ბინგლიმ გადაწყვიტა. ის თავისი თავის სრული ბატონპატრონია. მაგრამ შენ ჯერ კიდევ არ იცი ყველაფერი და არც დაგიმაღავ. იმ ნაწყვეტს წაგიკითხავ, რომელმაც გული მატკინა და ჯეინმა კითხვა დაიწყო: „დარსის ერთი სული აქვს, დას როდის ნახავს. ასევე ჩვენც. ჯორჯიანა დარსის მართლაც ბადალი არ ჰყავს არც სილამაზეში და არც განათლებაში. მე და ლუიზას ისე გვიყვარს, რომ ვისურვებდით, მალე

ჩვენი ოჯახის წევრი გამხდარიყო. ადრე ამაზე თქვენთან არ მისაუბრია, მაგრამ ახლა, რადგან მივემგზავრებით, მინდა ყველაფერი გაგანდოთ და ვგონებ, ეს აზრი თქვენც მოგეწონებათ. ჩემი ძმა ჯორჯიანას აღმერთებს და ახლა ისინი უფრო და უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. მის ნათესავებსაც სურთ ეს კავშირი. დის პოზიციიდან ვიტყვი, რომ ჩარლზი ნებისმიერი ქალის გულს დაიპყრობს. ამიტომ იმედი მაქვს, მალე მოხდება ის, რაც ყოველ ჩვენგანს ბედნიერებას მოგვანიჭებს“. - ამაზე რას იტყვი, ლიზი? ჰკითხა ჯეინმა, განა აქ ნათლად არ წერია, რომ ქეროლაინს მე არ ვუნდივარ რძლად და რომ, აბსოლუტურად დარწმუნებულია, მის ძმას არ ვუყვარვარ. თუკი ეჭვი აქვს, რომ მე მიყვარს, მაშინ (მსუბუქად და კეთილად) ცდილობს გამაფრთხილოს. განა სხვაგვარი ახსნა შესაძლებელია?

-დიახ, შესაძლებელია, - უთხრა ელიზაბეთმა, - თუ მოისმენ, გეტყვი.

-ერთი სული მაქვს, მოვისმინო.

-მაშინ მოკლედ ვიტყვი: მის ბინგლი ხედავს, რომ მის ძმას უყვარხარ და სურს მის დარსი მოიყვანოს ცოლად. ლონდონში იმიტომ მიჰყვება, რომ ძმა იქ დააყოვნოს. ცდილობს შენ დაგარწმუნოს, რომ ბინგლის არ უყვარხარ.

ჯეინმა თავი გააქნია.

-ჯეინ, დამიჯერე! ვინც შენ და ბინგლი ერთად გნახათ, ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ უყვარხარ. მათ შორის არც მის ბინგლის, რომელიც სულელი სულაც არ არის. მისტერ დარსის მისდამი მაგის ნახევარი გრძნობა რომ გამოეჩინა, მის ბინგლი საქორწილო კაბას შეუკვეთდა. საქმე ის არის, რომ ჩვენ მათთვის ღარიბები ვართ და ბინგლის დებს ურჩევნიათ, მათმა ძმამ მის დარსი შეირთოს. ძმის წარმატებული ქორწინება მასაც სარფიანად გათხოვების შესაძლებლობას მისცემს და სინამდვილეშიც ასე იქნებოდა, ლედი ქეთრინი ხელს რომ არ უშლიდეს. ჯეინ, რადგან მის ბინგლი გეუბნება, რომ მის ძმას მის დარსი უყვარს, ამიტომ განა აუცილებლად უნდა დაიჯერო? ანდა ამით ბინგლის მართლა შეაყვარებს იმ გოგონას?

საქმე ის არის, რომ მე სხვაგვარი შეხედულება მაქვს მის ბინგლიზე. ასე რომ არ იყოს, მაშინ ყველაფერი გასაგები იქნებოდა. ქეროლაინს არ შეუძლია ვინმე მოატყუოს. ამიტომ შემიძლია ვიფიქრო, რომ მხოლოდ თავის თავს ატყუებს.

-მართალია, სწორედ ასეა. ამიტომ, ჯეინ, ნულარ ინაღვლებ.

-ჰო, მაგრამ, დაო, როგორ მიხაროდეს, როცა მის დებსა და ნათესავებს სურთ, ბინგლიმ მის დარსი შეირთოს.

-შენ თავად გადაწყვიტე და თუკი მიხვდები, რომ ბინგლის დები მასთან ქორწინებას ჩაგიშხამებენ, მაშინ ბინგლის უარი უთხარი.

-არა, ელიზაბეთ, შესაძლოა მის დებს არ ვუნდოდე, მაგრამ ბინგლი თუ ხელს მთხოვს, მაშინვე დავთანხმდები.

-სწორედ ეგ ვიცი და ამიტომ გირჩევ, არ დაღონდე.

-რომ არ დაბრუნდეს ამ ზამთარს, მაშინ ვერც ხელს მთხოვს და გარდა ამისა, ამ ხნის განმავლობაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

ელიზაბეთი ჩაფიქრდა იმაზე, ბინგლი მართლაც რომ არ დაბრუნებულიყო. მაგრამ მის ბინგლი, რაც უნდა ეცადოს, ძმაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ბინგლი ყველასგან დამოუკიდებელია.

ამის შესახებ ელიზაბეთმა დას უთხრა და დააჯერა. ამრიგად, ჯეინი გამხიარულდა და იმედი მიეცა. თუმცა ზოგჯერ უიმედო ფიქრიც გაჰკრავდა ხოლმე.

ჯეინი და ელიზაბეთი შეთანხმდნენ, მისის ბენეტს წერილის შესახებ არაფერს ეტყოდნენ და მხოლოდ იმას აცნობებდნენ, რომ მათი მეგობრები ლონდონში გადაბარგდნენ. თუმცა ამ ცნობამ მისის ბენეტი უაღრესად დაამწუხრა და დაასევდიანა. მაგრამ მერე ცოტა დამშვიდდა იმით, რომ მისტერ ბინგლი მალე ეწვეოდათ სადილად, ამიტომ გადაწყვიტა, განსაკუთრებული სადილი მოემზადებინა.

თავი ოცდამეორე

ელიზაბეთმა მადლობა გადაუხადა მის ლუკასს, რომ ასე მოთმინებით უსმენდა მისტერ ქოლინზს. აღარ ბრაზობს და ამის გამო მადლობას გიხდი, უთხრა შარლოტას, რომელმაც უპასუხა, მსიამოვნებს, თუ რამეში გამოგადგებიო. თუმცა ელიზაბეთს აზრადაც არ მოსვლია, რომ შარლოტას უფრო შორს გამიზნული ჩანაფიქრი ამომრავებდა. მას ქოლინზის გულის დაპყრობა სურდა და როცა სადამოს ის და ქოლინზი ერთმანეთს გამოეთხოვნენ, შარლოტა უკვე გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ სულ არ ელოდა, რომ დილაადრიან ქოლინზი ბენეტების სახლიდან ჩუმად გამოიპარებოდა მასთან შესახვედრად და ფეხებში ჩაუვარდებოდა. ქოლინზს არ სურდა ბიძაშვილებს შეემჩნიათ მისი სახლიდან გამოსვლა, რადგან კითხვებით აიკლებდნენ, სად მიდიხარო, მას კი არ სურდა წინასწარ გაემჟღავნებინა თავისი მიზანი; ვინცობაა, შარლოტას ელიზაბეთით უარი ეთქვა მისთვის. ამიტომ თავის თავში მთლად დარწმუნებული არ იყო, მაგრამ შარლოტამ იგი გადაჭარბებული ყურადღებით მიიღო და ხეივანში შეეგება, თუმცა რა იცოდა, რომ ქოლინზი სიყვარულად და მჭევრმეტყველებად დაიღვრებოდა.

ყველაფერი სულ მალე გადაწყდა და სახლში რომ შევიდნენ, ქოლინზმა მის ლუკასს სთხოვა, გემუდარები, დაასახელე დღე, როცა გამაბედნიერებო და შარლოტამაც არ გააწბილა. ყველა ქალი ასე ფიქრობს: სულელი კაცის ფლირტი რაც მალე დასრულდება, მით უკეთესი. ქოლინზი კი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა სისულელით. მის ლუკასს კი მხოლოდ გათხოვების სურვილი ამომრავებდა. სხვაგვარად მისი ფიქრები უანგარო იყო.

სერ უილიამმა და ლედი ლუკასმა დიდი სიხარულით მისცეს თანხმობა. უხაროდათ, რომ მათი ღარიბი ქალიშვილი ასეთ შეძლებულ კაცს მიჰყვებოდა ცოლად. ამას გარდა, მომავალში

ქოლინზი უფრო მეტი ქონების პატრონი გახდებოდა. ის კი არა, ლედი ლუკასმა იმის ანგარიშიც დაიწყო, რამდენ წელიწადში მოკვდებოდა მისტერ ბენეტი. მისტერ ლუკასმა მეუღლეს ისიც კი უთხრა, როგორც კი ქოლინზი ლონგბერნის მამულს დაისაკუთრებს, სენტ ჯეიმზში წარდგენის შესაძლებლობაც გვექნებაო. მოკლედ, მთელი ოჯახი გახარებული იყო ამ ამბით. შარლოტას უმცროსი დები იმედოვნებდნენ, რომ ამიერიდან შეძლებდნენ საზოგადოებაში იმაზე ადრე გამოსვლას, ვიდრე აქამდე. ძმებს კი უკვე აღარ ადარდებდათ ის, რომ მათი და შინაბერად მოკვდებოდა. თავად შარლოტა სრულიად კმაყოფილი იყო. მიზანს მიაღწია და დამშვიდდა. მართალია, ქოლინზი არც ჭკვიანი იყო, არც სასიამოვნო, თავსაც მოგაბეზრებდა და ამასთანავე მისი სიყვარულიც მოჩვენებითი იყო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, შარლოტას ქმარი ეყოლებოდა, რაც იყო კიდევ მისი საბოლოო მიზანი. შარლოტა ოჯახის შექმნის საქმეს მაღალფარდოვნად არასოდეს უყურებდა. მისი მიზანი გათხოვება იყო, მეტი არაფერი და თუ მასთან ბედნიერი არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში შიმშილით მაინც არ მოკვდებოდა. ის ხომ ძალიან ღარიბი იყო. თანაც, უკვე ოცდაშვიდი წლისა შესრულდა და სიმპათიურიც არ ეთქმოდა. სწორედ ამიტომ მიიჩნევდა, რომ გაუმართლა. თუმცა ელიზაბეთი რომ შეიტყობდა ამ ამბავს, ძალიან გაუკვირდებოდა. ელიზაბეთი მისი უახლოესი მეგობარი იყო და ძალიან აფასებდა. ალბათ შარლოტას გაამტყუნებს და გაკიცხავს, რაც ამ უკანასკნელს ტკივილს მიაყენებს. გადაწყვიტა, თავად ეთქვა ელიზაბეთისთვის ამ ამბის შესახებ და ქოლინზი გააფრთხილა, არავის არაფერი უთხრაო. ქოლინზი დაჰპირდა და დაპირებაც შეასრულა, თუმცა ძალიან გაუჭირდა, რადგან ბენეტების ცნობისმოყვარეობა დიდი იყო და ამბის ართქმას დიდი მოხერხება სჭირდებოდა. ამავე დროს, თავადაც სურდა, თავისი ბედნიერების ამბავი ყველასთვის გაეზიარებინა.

როცა მოსაღამოვდა, ქოლინზი ბიძაშვილებს გამოეთხოვა, რადგან უკვე დილით მიემგზავრებოდა მათგან. მისის ბენეტმა მთელი გულით უთხრა ქოლინზს, ბედნიერი ვიქნებით, თუ მალე გვესტუმრებითო, რაზეც ქოლინზმა უპასუხა:

–მვირფასო მისის ბენეტ, თქვენს მოპატიჟებას დიდი სიხარულით ვიღებ და ვეცდები, რაც შეიძლება მალე გინახულოთ.

ამ პასუხმა ყველა გააკვირვა. მისტერ ბენეტმა ქოლინზს უთხრა: კი მაგრამ, მისტერ ქოლინზ, ჩვენი გულისთვის ლედი ქეთრინს ნუ გაანაწყენებთ და რისკის ქვეშ ნუ დააყენებთ თქვენდამი მის კეთილგანწყობას.

ამაზე ქოლინზმა მისტერ ბენეტს უპასუხა:

–მვირფასო მისტერ ბენეტ, დიდად გმადლობთ ასეთი მეგობრული რჩევისთვის, რომ ლედი ქეთრინის თანხმობის გარეშე არ ჯერ არს რაიმე გადავწყვიტო.

–სჯობს, ლედი არ გაანაწყენოთ და თუ იგრძნობთ ამის საშიშროებას, მაშინ გირჩევნიათ შინ დარჩეთ. ჩვენ კი ამის გამო ნაწყენი არ დავრჩებით.

–დამიჯერეთ, უზომოდ ბედნიერი ვარ, ჩემდამი ასეთ ყურადღებას რომ იჩენთ. სულ მალე ჩემგან წერილს მიიღებთ, სადაც მადლობას გადაგიხდით ყველა იმ პატივისთვის, რაც

თქვენთან ყოფნისას მომაგეთ. ჩემს მშვენიერ ბიძაშვილებს კი, რასაკვირველია, მის ელიზაბეთსაც, ვუსურვებ ბედნიერებას, თუმცა ამის თქმის საჭიროება არ არის, რადგან ისევ მალე ჩამოვალ თქვენთან.

ქალიშვილები თავაზიანად გამოეთხოვნენ ქოლინზს და გაუკვირდათ, რომ სწრაფად დაბრუნებას გეგმავდა. მისის ბენეტმა იფიქრა, ალბათ აპირებს დანარჩენ ქალიშვილთაგან ერთერთს ხელი სთხოვოს და მერი უნდა ვაიძულო მის წინადადებას დასთანხმდესო. მისის ბენეტის აზრით, ქოლინზი საოცრად შეურყეველი ხასიათის კაცი იყო და ამის გამო პატივს სცემდა. თუმცა მასავით ჭკვიანი არ იყო, მაგრამ ცოტაოდენი წვრთნა სასიამოვნო კაცად აქცევდა. ასე ფიქრობდა მისის ბენეტი, მაგრამ მეორე დილამ მისი ფიქრები სრულიად გააცამტვერა. მის ლუკასი ნასაუზმევს მოვიდა და ელიზაბეთს ყველაფერი უამბო.

ელიზაბეთი ადრეც ფიქრობდა, რომ ქოლინზი შარლოტასადმი გულგრილი არ იყო, მაგრამ შარლოტა თუ დასთანხმდებოდა ცოლობაზე, ეს კი ვერაფრით წარმოედგინა. გაოცება იმდენად დიდი იყო, რომ ელიზაბეთმა წამოიძახა:

–მისტერ ქოლინზს მიჰყვები? შარლოტა, ძვირფასო, ვერ ვიჯერებ?!

შარლოტა დაიბნა. თუმცა უარესსაც ელოდა და ელიზაბეთს უთხრა:

–რატომ გიკვირს, მეგობარო, გგონია, რომ რადგან შენ უარი უთხარი მისტერ ქოლინზს, სხვა ქალს აღარ მოეწონება?

ელიზაბეთმა ახლა კი სერიოზული გამომეტყველება მიიღო და ბედნიერება უსურვა.

–ვხვდები, რასაც ფიქრობ, – უთხრა შარლოტამ, – გაოცებული ხარ, რადგან რამდენიმე დღის წინ შენ გთხოვა ხელი ქოლინზმა. მაგრამ მერე, როცა ღრმად დაფიქრდები, მიხვდები, რომ სწორად მოვიქეცი. მე რომანტიკოსი არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ. მე მხოლოდ მყუდრო სახლი მინდა და თუ მისტერ ქოლინზის ხასიათს, კავშირებსა და მდგომარეობას გავითვალისწინებთ, მაშინ ჩემი კმაყოფილების მიზეზი გასაგები იქნება.

ელიზაბეთი წყნარად დაეთანხმა და ცოტა ხნის შემდეგ ორივენი სასტუმრო ოთახში შევიდნენ. ამის მერე შარლოტა გამოეთხოვა და წავიდა. ელიზაბეთს დიდი დრო დასჭირდა, რომ ამ შეუფერებელ კავშირს შერიგებოდა. შარლოტას საქციელმა მისტერ ქოლინზის უცნაურობაც კი დაჩრდილა. მან ხომ სამ დღეში ორ ქალს სთხოვა ხელი. ელიზაბეთმა, მართალია, იცოდა, რომ ქორწინების შესახებ შარლოტას განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ბედნიერებას გაწირავდა რაღაც უსუსური მდგომარეობისთვის. შარლოტამ თავი დაიმცირა! მეტიც, თავის დამცირების გარდა ბედნიერებასაც გამოეთხოვა, რადგან საქმრო, რომელიც აირჩია, ბედნიერებას ვერ მოუტანდა.

თავი ოცდამესამე

ელიზაბეთი დედასთან და დებთან ერთად იჯდა და ფიქრობდა, ეამბნა თუ არა მათთვის შარლოტას ამბავი, რომ ამ დროს სერ ლუკასი ესტუმრათ, რომელიც მისმა ქალიშვილმა ახალი ამბის სათქმელად გამოგზავნა. ვერავინ დაიჯერა. მისის ბენეტმა სერ ლუკასს საკმაოდ უხეშად უთხრა, ალბათ ცდებითო. ლიდიამ წამოიყვირა:

–ღმერთო, სერ უილიამ, რას ამბობთ! არ იცით, რომ მისტერ ქოლინზმა ლიზის სთხოვა ხელი?

ასეთ მიმართვას ვერავინ მოითმენდა, თუმცა სერ უილიამის კეთილშობილურმა აღზრდამ დაიცვა ეს უკანასკნელი, რომ მშვიდად ეთქვა, გთხოვთ დამიჯეროთ, რასაც ვამბობ, მართალიაო.

ელიზაბეთი მიხვდა, რა ცუდ დღეში ჩავარდა სერ ლუკასი და იმის დასტურად, რომ ეს უკანასკნელი მართალს ამბობდა, მიულოცა შარლოტას გაბედნიერება და თქვა, ამის შესახებ თავად შარლოტამ მითხრაო. სერ უილიამს ჯეინმაც მიულოცა და აღნიშნა, მისტერ ქოლინზი შესანიშნავი კაცია და რა კარგია, რომ მისი მამული ჰანსფორდში ლონდონთან სულ ახლოსააო.

სერ უილიამი რომ წავიდა, მისის ბენეტმა იფეთქა. ჯერ თქვა, არ მჯერაო, მერე თქვა, მისტერ ქოლინზი მოატყუესო, მერე ერთად ბედნიერები მაინც ვერ იქნებიანო. დაბოლოს, დაასკვნა, ქორწინება ჩაიშლებაო. მერე ყველას მისამართით თქვა, საშინლად მომეჩქეცითო. მთელი დღე ამას იძახდა. ვერაფერმა დაამშვიდა. ერთი კვირა ლანძღავდა ელიზაბეთს, ერთი თვე სერ უილიამსა და ლედი ლუკასს არცთუ თავაზიანად ელაპარაკებოდა, რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ აპატია ელიზაბეთს მისი საქციელი.

მისტერ ბენეტი მშვიდად იყო და მშვიდად თქვა, რა კარგია, აღმოვაჩინე, რომ თურმე შარლოტა ლუკასი, რომელიც ჰკვიანი მეგონა, ჩემი ცოლივით სულელი ყოფილა და კიდევ უფრო სულელი, ვიდრე ჩემი ქალიშვილიო.

ჯეინი გოცების მიუხედავად, დანიშნულთ გულით უსურვებდა ბედნიერებას. ქითისა და ლიდიას მის ლუკასის სულაც არ შურდათ. ქოლინზი ხომ მღვდელი იყო. ეს კი მათთვის არაფერს ნიშნავდა. ლედი ლუკასი ტრიუმფის ნიშნად ხშირად სტუმრობდა მისის ბენეტს, რათა ეთქვა, თუ როგორი ბედნიერი იყო, რომ ქალიშვილი კარგად გაათხოვა, თუმცა მისის ბენეტის ბოროტი შენიშვნები და დაღვრემილობა საკმარისი იყო, გუნება გაჰფუჭებოდა.

ელიზაბეთმა იგრძნო, ის და შარლოტა ახლო მეგობრები ვეღარ იქნებოდნენ. შარლოტამ იმედი გაუცრუა. ამიტომ ელიზაბეთი ახლა დას, ჯეინს უფრო დაუახლოვდა. და რაკი იცოდა მისი უზადო თვისებების შესახებ, ოცნებობდა ბედნიერი ყოფილიყო, რასაც ჯეინი ნამდვილად იმსახურებდა. მაგრამ სამწუხაროდ, ბინგლისგან ჯერ არაფერი ისმოდა.

ჯეინმა ქეროლაინს მაშინვე გაუგზავნა წერილი და ახლა პასუხს ელოდა. ამასობაში მისტერ ქოლინზის სამადლობელი წერილიც მიიღეს, რომელშიც მისტერ ბენეტს მიმართავდა და

მათთან გატარებული თვეების გამო მადლობას უხდოდა. ამის შემდეგ, ქოლინზი ატყობინებდა, რომ მის ლუკასი დანიშნა და ამის გამო მათთან ჩამოვიდოდა სულ მალე, რათა საცოლესთან მეტი დრო გაეტარებინა. ამბობდა, რომ ლედი ქეთრინმა მოუწონა საქციელი და სურდა ქორწილიც მალე გადაეხადა. ამისთვის შარლოტას სთხოვა, დაეთქვა დღე, როცა უბედნიერეს კაცად აქცევდა.

მისის ბენეტს არ გახარებია, როცა შეიტყო, რომ მალე ქოლინზი ეწვეოდათ. უცნაური იყო, რომ მათთან დაბინავდებოდა და არა ლუკასებთან. თანაც, მისის ბენეტი თავს ცუდად გრძნობდა და სტუმრის ხსენება აღიზიანებდა, მით უმეტეს, შეყვარებული წყვილისა. ამას ისიც დაერთო, რომ მისტერ ბინგლი არაფერს ატყობინებდათ.

ცნობამ იმის შესახებ, რომ ბინგლი მთელი ზამთარი არ ჩამოვიდოდა, მისის ბენეტი მწყობრიდან გამოიყვანა და ამ საქციელს ყველაზე სკანდალური სიყალბე უწოდა.

ელიზაბეთსაც კი შეეშინდა, დების გავლენის ქვეშ არ მოექცეს ბინგლიო, თუმცა ჯეინისადმი მის სიყვარულში ეჭვი არ შეჰპარვია. იქნებ მისმა უგრძობმა დებმა, მისმა გავლენიანმა მეგობარმა, მის დარსის მომხიბვლელიობამ და თავად ლონდონის გასართობებმა შეასუსტეს ბინგლის გრძნობები ჯეინისადმი.

ჯეინი უფრო მეტად იტანჯებოდა, თუმცა მალავდა და ამ ფაქტს არ ახსენებდა. მაგრამ ასეთი სიფაქიზისგან შორს იყო მისის ბენეტი, რომელსაც, დღე არ გავიდოდა, ბინგლი არ ეხსენებინა. მოუთმენლად ელოდა მის ჩამოსვლას და ზოგჯერ ჯეინს იმასაც ეუბნებოდა, თუ ბინგლი არ ჩამოვა, უნდა აღიარო, მწარედ მოგატყუესო. ჯეინი დიდი მოთმინებით იტანდა დედის შემოტევებს.

მისტერ ქოლინზი დათქმულ დროს ჩამოვიდა, თუმცა ისე არ დახვედრიან ლონგბერნში, როგორც ადრე, მაგრამ იგი ისეთი ბედნიერი იყო, რომ ეს არც უგრძნია. მათდა საბედნიეროდ, ქოლინზი მთელ დღეებს ლუკასებთან ატარებდა და ამათთან მხოლოდ სადამოლობით ბრუნდებოდა, რომ ოჯახისთვის ბოდიში მოეხადა და დასაძინებლად წასულიყო.

მისის ბენეტი ძალზე შესაბრალის მდგომარეობაში იყო. ქორწინების ხსენება უსაშველო ტკივილს აყენებდა. მის ლუკასი შესჯავრდა და მის სტუმრობას ისე ხსნიდა, თითქოს შარლოტას ერთი სული ჰქონდა, მათ სახლს როდის დაეპატრონებოდა. ზოგჯერ შარლოტა მისტერ ქოლინზს რამეს ხმადაბლა რომ ეტყოდა, მისის ბენეტი დარწმუნებული იყო, ლონგბერნის მამულზე საუბრობდნენ და გეგმავდნენ, როდის გაემეგებინათ სახლიდან ის და მისი ქალიშვილები. მისის ბენეტმა ამის შესახებ მეუღლეს შესჩივლა.

–მისტერ ბენეტ, რა საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ ერთ დღეს შესაძლოა ამ სახლის პატრონი შარლოტა ლუკასი გახდეს!

–მვირფასო, ამოიგდე თავიდან ასეთი სევდიანი ფიქრები. მოდი, უკეთესზე ვიფიქროთ. ჯერ ხომ ცოცხალი ვარ.

ამან მისის ბენეტი ვერ დაამშვიდა და ისევ განაგრძო:

-მზარავს იმის გაფიქრება, რომ ამ მამულს ისინი დაეპატრონებიან. მემკვიდრეობის საქმე რომ არ იყოს, მაშინ საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა.

-რისი საწინააღმდეგო არ გექნებოდა?

-არაფრის.

-მოდის, მაგალითი ვიყოთ, რომ უგონობისა და განუსჯელობისგან შორს ხარ.

-როგორ ვიყო მაგალითი, მისტერ ბენეტი, როცა მემკვიდრეობის საქმე არსებობს. როგორ შეუძლია კაცს საკუთარ ქალიშვილებს მამული წაართვას, ვერ გამიგია და მისტერ ქოლინზს გადაულოცოს! მაინცდამაინც მას რატომ უნდა ერგოს ეს ბედნიერება?

-შენვე განსაჯე, მიუგო მისტერ ბენეტმა.

თავი ოცდამეოთხე

მის ბინგლის წერილმა ყოველგვარ ექვს წერტილი დაუსვა. იტყობინებოდა, ზამთარს მთელი ოჯახი ლონდონში გაატარებდა და ამიტომ წუხდა, მეგობრებს რომ ვერ გამოემშვიდობა.

ყოველგვარი იმედი გადაუწყდათ. მის ბინგლის წერილში ის სიყვარულიც აღარ იგრძნობოდა, რასაც უწინ ამჟღავნებდა. წერილის ნახევარი მის დარსის ქება იყო და ქეროლაინი სიამაყით წერდა, რომ მისი ძმისა და მის დარსის ურთიერთობა უფრო გამყარდა. იმედს გამოთქვამდა, რომ სულ მალე მისი ვარაუდი ახდებოდა. დიდი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ ბინგლი დარსის სახლში დაბინავდა და დარსი ახალი ავეჯის შეძენაზე ზრუნავსო.

ელიზაბეთი ჩუმი სიბრაზით ისმენდა წერილის შინაარსს. ჯეინი ისე უყვარდა, რომ მის გამო ყველასადმი წყენას გრძნობდა. ყურადღება არ მიუქცევია, ქეროლაინი რომ წერდა, ჩემს ძმას მის დარსი უყვარსო. ახლა ყველაზე მეტად დარწმუნდა, ვიდრე ოდესმე, რომ ბინგლის ჯეინი უყვარდა და ახლა ამ უკანასკნელზე ბრაზობდა. ასე როგორ დაიმორჩილა და დაიმონა დებისა და მეგობრის ახირებამ, რომ საკუთარ ბედნიერებაზე უარი ათქმევინაო. საქმე რომ მარტო ბინგლის ბედნიერებაში ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ საქმე ჯეინის ბედნიერებას ეხებოდა და ეს ალბათ, ბინგლიმაც კარგად იცოდა. ელიზაბეთს სხვა რამეზე ფიქრი არ შეეძლო. არავინ იცის, ბინგლის გრძნობა მოკვდა თუ მისმა ახლობლებმა მოკლეს; ანდა იცის თუ არა ბინგლიმ, რომ ჯეინს უყვარს. როგორც უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია: ჯეინი სიმშვიდეს ვერ პოულობს. რამდენიმე დღის შემდეგ ჯეინმა დას თავისი გრძნობები გაანდო. როცა მარტო დარჩნენ და მისის ბენეტი მორიგი კიცხვისა და მისტერ ბინგლის ხსენების შემდეგ ოთახიდან გავიდა, ჯეინმა დას უთხრა:

-ოჰ, დედამ რომ იცოდეს, როგორ გულს მტკენს ბინგლის ხსენებით! მაგრამ მე დარდი ვერ შემჭამს. ეს ტკივილი დიდხანს აღარ გაგრძელდება. მე დავივიწყებ მას და კვლავ უწინდებურად იქნება ყველაფერი.

ელიზაბეთს სახეზე განუზომელი მზრუნველობა გამოეხატა დისადმი. თუმცა არაფერი უთხრა.

-ალბათ არ გჯერა ჩემი, უთხრა ჯეინმა და ოდნავ გაწითლდა, დამიჯერე, გთხოვ. ის ჩემს მეხსიერებაში დარჩება როგორც ერთერთი სანდომიანი მამაკაცი. ეს არის და ეს. არც იმედი მაქვს, არც რაიმეს შიში და მით უმეტეს, სურვილი, ბინგლი გავკიცხო. მადლობა ღმერთს, ასეთ ტკივილებს გადავურჩი! ალბათ ცოტა დროც გავა და უკეთესს შევხვდები.

შემდეგ მტკიცე ხმით დაამატა:

-თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ეს ჩემი ფანტაზიის შეცდომა იყო და ამ შეცდომის სიმწარე მხოლოდ მე ვიწვნიე.

-ჯეინ, ძვირფასო, უთხრა ელიზაბეთმა, შენ მეტისმეტად კეთილი ხარ, შენი სიკეთე და უანგარობა ანგელოზის თვისებებს უტოლდება. არ ვიცი, რა გითხრა, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სიყვარული დაგაკელი.

ჯეინმა დას უთხრა, ასეთი ქება უფრო შენ გეკუთვნის, ვიდრე მეო.

-არა, ჯეინ, შენ მთელი ქვეყანა კეთილი გგონია და გული გტკივა, თუ ვინმეზე ცუდს ვიტყვი. ანგელოზი ხარ, შენ კი ამას უარყოფ. არ შეგეშინდეს, ზედმეტად არ შეგაქებ. არც გჭირდება. ძალიან ცოტა ადამიანია ამქვეყნად, ვინც მიყვარს და კიდევ უფრო ცოტა, ვისზეც კარგს ვფიქრობ. რაც უფრო ვაკვირდები ქვეყნიერებას, მით უფრო იმედგაცრუებული ვარ. ადამიანთა ვერაგობა და ორგულობა გულს მტკენს. ღირსება და სიკეთე თითქმის არ შემხვედრია. ბოლო დროს ორჯერ წავაწყდი ორგულობას. ერთს არ დავასახელებ, მეორე შარლოტას ქორწინებაა, რომელსაც ახლაც ვერ ვიჯერებ!

-ლიზი, ჩემო კარგო, ასეთ ფიქრებს ნუ მიეცემი, თორემ ბედნიერებას შეგირყევენ. შენ გავიწყდება, რომ სხვადასხვაგვარი ხასიათებიც ეგუებიან ერთმანეთს. მისტერ ქოლინზი რესპექტაბელურია, ხოლო შარლოტა წინდახედული. არც ის დაგავიწყდეს, რომ შარლოტა მრავალშვილიანი ოჯახის წევრია, ამიტომ მისთვის ხელსაყრელია ეს ქორწინება და დაიჯერე, რომ შარლოტა პატივს სცემს და მოსწონს ჩვენი ბიძაშვილი.

-შენი ხათრით ყველაფერს დავიჯერებ. თუმცა მერჩივნა შარლოტას კარგი წარმოდგენა არ ჰქონოდა ჩვენს ბიძაშვილზე, რადგან ახლა შარლოტა ჩემს თვალში უფრო დაკნინდა. ჯეინ, შენც იცი, რომ ქოლინზი საშინლად ამპარტავანი და გონებაშეზღუდული, სულელი კაცია და ალბათ იმასაც ხვდები, რომ ქალი, რომელიც ცოლად გაჰყვება, სწორედ მისნაირი უნდა იყოს. ნუ იცავ შარლოტას და ძალიან გთხოვ, ნუ ცდილობ დამარწმუნო, რომ ანგარება წინდახედულობაა და საფრთხის ვერშეგრძნება ბედნიერების გარანტია.

-ვფიქრობ, მკაცრი ხარ ორივესადმი, უთხრა ჯეინმა, და ამაში მალე დარწმუნდები, როცა მათ ბედნიერს ნახავ. თუმცა კმარა ამაზე ლაპარაკი. შენ წელან ადამიანთა ორგულობის ორი შემთხვევა ახსენე. მე ყველაფერს მივხვდი, ამიტომ გემუდარები, ლიზი, ტკივილს ნუ მომაყენებ და იმ ადამიანს ნუ დაადანაშაულებ. ნუ იტყვი, რომ ის შენს თვალში აღარაფერს წარმოადგენს. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ყოველთვის ფრთხილი და წინდახედული ვერ იქნება. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა მოხდა. ზოგჯერ ჩვენივე სიამაყე გვატყუებს. ქალებს სიყვარული იმაზე მეტი რამ ჰგონიათ, ვიდრე სინამდვილეში არის.

-მამაკაცების ბრალია, რომ ასე ჰგონიათ.

-თუ ყალბად მოაჩვენებენ, მაშინ ამას გამართლება არა აქვს. მაგრამ არა მგონია ქვეყნად მართლა იმდენი სიყალბე იყოს, როგორც ზოგი მიიჩნევს.

-მისტერ ბინგლის საქციელს სიყალბედ არ ვთვლი, ვფიქრობ, შეცდომა მოუვიდა ანდა მოატყუეს. ან კიდევ მისი საქციელი უყურადღებობასა და თავქარიანობას შეიძლება მივაწეროთ.

-და შენი აზრით, ამის ბრალია?

-დიახ, თავქარიანობის ბრალია. და თუ არ გსურს მოისმინო ჩემი აზრი შენს ქებულ ადამიანებზე, მაშინ ახლავე გავჩერდები.

-ვხვდები, რასაც გულისხმობ. იმის თქმა გინდა, რომ მისი დები გავლენას ახდენენ მასზე?

-მისი დებიც და მისი მეგობარიც.

-არ მჯერა! რაში სჭირდებათ. მათ ხომ მისი ბედნიერება სურთ. და თუ ვუყვარვარ, ბედნიერების წყარო ჩემ გარდა ვერც ერთი ქალი ვერ იქნება მისთვის.

-მისი ბედნიერების გარდა ბევრი რამ შეიძლება სურდეთ, მაგალითად ის, რომ კიდევ უფრო მდიდარი და გავლენიანი გახდეს. დებს სურთ, ძმამ ისეთი გოგონა შეირთოს, რომელსაც დიდი ფული ექნება და გავლენიანი ნათესავები ეყოლება.

-სურთ, მის დარსი შეირთოს, მაგრამ ეს ხომ მისი სიკეთისთვის სურთ. მის დარსის ჩემამდეც იცნობდნენ და რა გასაკვირია, თუ ჩემზე მეტად უყვართ. ძმის სურვილს წინ ვერ გადაელობებოდნენ. რომელ დას არ სურს ძმის სიკეთე. ბინგლის რომ მე ვყვარებოდი, მაშინ ისინი ხელს არ შეუშლიდნენ. ნუღარ მტანჯავ, ლიზი, მე არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ შემემალა. ასე უფრო იოლია ჩემთვის, ვიდრე ის ვიფიქრო, რომ ის და მისი დები ცუდები არიან. ვფიქრობ, სწორად განვსჯი.

ელიზაბეთს არაფერი უთქვამს და იმ წუთიდან მისტერ ბინგლის სახელის ხსენება შეწყდა.

მისის ბენეტი კი ისევ წუხდა, ბინგლი რატომ არ ბრუნდებაო. ელიზაბეთმა არაერთხელ სცადა აეხსნა მისთვის საქმის ვითარება, მაგრამ უშედეგოდ. ვერაფრით დააჯერა, რომ თურმე

ბინგლის გრძნობები ჯეინისადმი ისე არამყარი იყო, რომ მალე გაქრა. მისის ბენეტი თავს იმით იმშვიდებდა, რომ ბინგლი ზაფხულში ჩამოვიდოდა.

მისტერ ბენეტი ვითარებას თავისებური იუმორით მიუდგა:

–მაშ, ასე, ლიზი, – უთხრა ქალიშვილს, – შენს დას სიყვარულმა გული ატკინა. მოსალოცი ამბავია. გათხოვებამდე ცოტა ხნით ადრე ასე ხდება ხოლმე. ეს ჯეინს გამოარჩევს კიდევ სხვათაგან. და, ლიზი, შენი ჯერი როდის დადგება? ჯეინს არ უნდა ჩამორჩე. ახლა შენი დროა. მერთონში იმდენი ოფიცერია, რომ მთელი ქვეყნის ქალებს ეყოფათ გულის სატკენად. ვიკვებზე რას იტყვი? ის აირჩიე, სასიამოვნო კაცია და გულსაც იოლად გატკენს.

–გმადლობთ, მაგრამ ნაკლებსასიამოვნო კაცსაც დავჯერდები. ჯეინივით ყველას როდი უმართლებს.

–მართალია, მაგრამ თუ ასეთი რამ დაგატყდება თავს, შენი მოსიყვარულე დედის იმედი ნამდვილად უნდა გქონდეს.

ვიკვემი ხშირად სტუმრობდათ და ეს ერთგვარი შვება იყო ბენეტებისთვის. ვიკვემმა საჯაროდ გამოფინა თავისი პრეტენზიები დარსისადმი და ყველა, ვინც ეს ამბავი გაიგო, კმაყოფილი იყო იმით, რომ თურმე დარსიზე სწორი წარმოდგენა ჰქონიათ.

მხოლოდ ჯეინს ეპარებოდა ეჭვი. მისი აზრით, საქმე მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერი დარსის რომ ბრალდებოდა. პატიოსნება უკარნახებდა, რომ აქ რაღაც შეცდომა უნდა ყოფილიყო. თუმცა დარსის ჯეინის გარდა ყველა საზიზღარ კაცად მიიჩნევა.

თავი ოცდამეხუთე

მისტერ ქოლინზი ერთი კვირის განმავლობაში გეგმავდა თავის მომავალ ბედნიერებას და შარლოტას სიყვარულს უცხადებდა. ამის შემდეგ ცოტა ხნით უნდა დაშორებულიყვნენ, რათა ქოლინზი ქორწინებისთვის მომზადებულიყო. იმედოვნებდა, რომ ჰართფორდში დაბრუნებისთანავე დათქვამდნენ დღეს, როცა უბედნიერესი კაცი გახდებოდა. ლონგბერნელ ნათესავებს გამოეთხოვა, ბიძაშვილებს კვლავ ბედნიერება უსურვა და მისტერ ბენეტს კიდევ ერთ სამადლობელ წერილს დაჰპირდა.

მომდევნო ორშაბათს მისის ბენეტს ძმა და რძალი ესტუმრნენ, რომლებიც შობის გასატარებლად ლონგბერნში ჩამოვიდნენ. მისტერ გარდინერი ჭკვიანი ჯენტლმენი გახლდათ, რომელიც თავის დას ყველაფრით აღემატებოდა. ნეზერფილდელ ქალებს იმის დაჯერება უჭირდათ, რომ კაცი, რომელიც ვაჭრობით ცხოვრობდა, ასეთი კულტურული და სასიამოვნო შეიძლება ყოფილიყო. მისის გარდინერი მისის ბენეტსა და მისის ფილიპსზე ახალგაზრდა იყო. ინტელექტითა და ელევანტურობით გამოირჩეოდა. ბენეტების

ალიშვილებს ძლიერ უყვარდათ ბიცოლა. განსაკუთრებით ელიზაბეთი და ჯეინი ღმერთებდნენ და ხშირად რჩებოდნენ კიდეც მასთან ლონდონში.

მისის გარდინერმა მოსვლისთანავე საჩუქრები დაარიგა და მოდის ახალ ენდენციებზეც ალაპარაკდა. შემდეგ სხვებს უსმენდა. მისის ბენეტმა თავისი გასაჭირი ამბო, რომ ორი ქალიშვილი გათხოვების პირას იყო, მაგრამ ამ საქმიდან ბოლოს არაფერი გამოვიდა.

–ჯეინს არ ვაძანაშაულებ, – თქვა მისის ბენეტმა, – რადგან ნებისმიერ დროს გაჰყვება მისტერ ბინგლის, თუკი მოისურვებს. მაგრამ ლიზი! ოჰ, დაო! რა საშინელებაა იმაზე ფიქრი, რომ შეეძლო მისტერ ქოლინზის ცოლი გამხდარიყო, რომ არა მისი სიჯიუტე. უარი უთხრა. ამის შედეგად ის მოხდა, რომ ლედი ლუკასმა ჩემზე ადრე გაათხოვა ქალიშვილი და გარდა ამისა, ლონგბერნის მამულიც უფრო მეტი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ლუკასები მოხერხებული ხალხია, დაო. მიზნის მისაღწევად ყველაფერს აკეთებენ. ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ასეა. ასეთი მეზობლების ყოლა ძნელია. რომ იცოდე ჩემი საწყალი ნერვები რა დღეშია. რა კარგია, რომ სწორედ ახლა ჩამოხვედი და ისიც მიხარია, გრძელ სახელოებზე რომ გვიყვები.

მისის გარდინერმა ეს ყოველივე უკვე იცოდა ჯეინისა და ელიზაბეთის წერილებიდან, ამიტომ საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

მაგრამ შემდეგ, როცა ელიზაბეთთან მარტო დარჩა, ასე უთხრა:

–ეტყობა, კარგი საქმრო იქნებოდა ბინგლი ჯეინისთვის. ვწუხვარ, რომ ვერ დაქორწინდნენ. თუმცა ასეთი რამ ხშირად ხდება. ყმაწვილ კაცს ლამაზი გოგონა უყვარდება, მაგრამ გრძნობა მალე ქრება და გოგონას მალე ივიწყებს.

–თქვენი ლაპარაკი კაცს დაამშვიდებს, თუმცა ჯეინის შემთხვევა სხვა იყო. ხშირად სულაც არ ხდება ის, რომ მეგობრები ზეწოლას ახდენენ დამოუკიდებელ ახალგაზრდა კაცზე, რომელსაც გოგონა გაგიჟებით უყვარს.

–ჰო, მაგრამ გამოთქმა, გაგიჟებით უყვარს, გაურკვეველი, საეჭვო და არაფრისმთქმელია. ნახევარი საათის გაცნობილზე ხშირად უთქვამთ, გაგიჟებით შემიყვარდაო, მაგრამ ეს ხომ სერიოზული გრძნობა არ არის. ბინგლის ძალიან უყვარდა?

–ძალიან, ისე ძალიან, რომ ჯეინის გარდა აღარავინ ახსოვდა. მეჯლისზეც მხოლოდ ჯეინთან ცეკვავდა. ვთხოვე, ჩემთან იცეკვემეთქი და უარი მივიღე, განა სიყვარულის არსი თავაზიანობას ვერ იტევს?

–შესაძლოა დაიტოს, თუ ძლიერი სიყვარულია. საწყალი ჯეინი! როგორ განიცდის. სჯობდა შენ გადაგხდენოდა ასეთი რამ, ლიზი, შენ თავს იოლად გაართმევდი. ვფიქრობ, ჯეინი ლონდონში უნდა წამოვიდეს. ადგილის გამოცვლა კარგად იმოქმედებს მასზე.

ელიზაბეთს გაუხარდა ბიცოლას შემოთავაზება. ლონდონში წასვლა მართლაც კარგი იქნებოდა ჯეინისთვის.

–ვიმედოვნებ, რომ იმ ყმაწვილთან შეხვედრის შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან ჩვენ ქალაქის სხვა კუთხეში ვცხოვრობთ. თანაც სახლიდანაც იშვიათად გავდივართ. ამიტომ არა მგონია, ერთმანეთს შეხვდნენ, თუ ის თავად არ მოვიდა ჯეინის სანახავად.

–შეუძლებელია, მოვიდეს. თავისი მეგობრისა და მისის დარსის ტყვეობაშია. რა კარგად მოიფიქრეთ! მისტერ დარსის ალბათ გაუგია გრეისჩერჩის ქუჩის შესახებ, თუმცა იქ განზანა მაინც არ უშველის, იმდენი ცოდვა აქვს აკიდებული. ბინგლი კი დარსის გარეშე ნაბიჯს არ დგამს.

–ძალიან კარგი. მაშინ შეხვედრის საშიშროება არ არსებობს. თუმცა ჯეინს მის დასთან აქვს მიწერმოწერა.

–ჰო, მაგრამ ურთიერთობის გაწყვეტას აპირებს.

მიუხედავად ყველაფრისა, ელიზაბეთმა იცოდა, რომ ჯეინი და ბინგლი შეიძლება შეხვედროდნენ ერთმანეთს და ამის შედეგად ბინგლის გრძნობა უფრო გამდიერებულიყო. მაშინ ბინგლი ყურს არ ათხოვებს არც დებს და არც მისტერ დარსის.

ჯეინმა ლონდონში მიპატიჟება სიამოვნებით მიიღო. თანაც იცოდა, რომ ქეროლანტი მმასთან არ ცხოვრობდა, ამიტომ მასთან შეხვედრა თავისუფლად შეეძლო.

გარდინერები ჯეინთან ერთად ერთი კვირის შემდეგ გაემგზავრნენ ლონდონში. მაგრამ ამ ერთი კვირის განმავლობაში ბენეტებთან სტუმრიანობა არ შეწყვეტილა. უამრავი სტუმარი მოდიოდა, მათ შორის მისტერ ვიკჰემიც. მისის გარდინერს არ მოეწონა, რომ ელიზაბეთს განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ვიკჰემთან. ამიტომ გადაწყვიტა, ელიზაბეთს დალაპარაკებოდა და შეეხსენებინა მისთვის, რომ ასეთი დამოკიდებულება მალე სიყვარულში შეიძლება გადაიზარდოს და ფრთხილად იყავიო.

ათი თუ თორმეტი წლის წინათ, მისის გარდინერი დაქორწინებამდე დერბიშირის იმ კუთხეში ცხოვრობდა, საიდანაც ვიკჰემი იყო. ბევრი საერთო ნაცნობი ჰყავდათ და თუმცა ვიკჰემი დარსის მამის გარდაცვალების მერე იქ არ გაჩერებულა, მისის გარდინერმა მაინც ბევრი რამ იცოდა მის შესახებ. ინფორმაცია მეგობრებისგან მოიპოვა.

მისის გარდინერმა ფემბერლის მამულიც იცოდა და მისტერ დარსისაც კარგად იცნობდა. ახლა, ვიკჰემს რომ უსმენდა, უკვირდა, როგორი ზიზღით ჰყვებოდა ამ მამულის შესახებ. შემდეგ მისის გარდინერმა ისიც შეიტყო, მისტერ დარსი როგორ მოექცა ვიკჰემს. იმის შესახებაც სმენოდა, რომ ყმაწვილკაცობაში ფიცუილიამ დარსი ამაყი და ცუდი ხასიათის ბიჭი იყო.

თავი ოცდამეექვსე

მისის გარდინერი ელიზაბეთთან მარტო დარჩა თუ არა, უთხრა:

–ლიზი, შენ ძალიან გონიერი გოგო ხარ, ამიტომ ჩემი გაფრთხილება პირიქით არ იმოქმედებს. ჰოდა, არ მეშინია შენთან გულახდილი ვიყო. ფრთხილად იყავი ვიკჰემთან ურთიერთობისას. დაუფიქრებელ საქციელს ნუ ჩაიდენ. მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, საინტერესო მამაკაცია. ის ქონება რომ მიელო, რომელიც წესით ეკუთვნოდა, მაშინ შენთვის უკეთეს ქმარს ვერ ვისურვებდი, მაგრამ ახლა ოცნება ძლიერ ნუ გაგიტაცებს. ყველამ ვიცით, რომ გონიერი ხარ და ამ გონიერებას სწორად გამოიყენებ. მამაშენს შენი სჯერა და შენი იმედი აქვს. იმედს ნუ გაუცრუებ.

–ძვირფასო ბიცოლა, ჩვენ სერიოზული ურთიერთობა გვაქვს.

–ჰოდა, მეც შენგან სერიოზულობას მოველი.

–კარგი, ბიცოლა, გავფრთხილდები. თუ მე არ მოვიწადინებ, ვიკჰემი არ შემიყვარებს.

–ახლა აღარ ხარ სერიოზული, ელიზაბეთ.

–მაპატიე, თავიდან აგისხნი. ახლა ვიკჰემი არ მიყვარს, მაგრამ ყველაზე სანდომიანი კაცია, ვისაც კი შევხვედრივარ. თუმცა სჯობს, არ შემიყვაროს. უგუნურება იქნებოდა მისი შეყვარება. ოჰ, ის საშინელი დარსი! მამაჩემს ჩემზე ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს. მაფასებს, ამიტომ უსინდისო ვიქნები, თუ ამ წარმოდგენას გავუქარწყლებ. თუმცა მამაჩემს მოსწონს ვიკჰემი. მოკლედ რომ ვთქვა, ბიცოლა, გულს არ გატკენტ. თუმცა თუ სიყვარული ძლიერია, მაშინ წყვილს ქონების არქონა ვერ დააბრკოლებს. ბევრი ჩემი მეგობარი მოიქცა ასე, რადგან ცდუნებამ სძლია და მე განა მათზე ჰკვიანი ვარ? ანდა საიდან უნდა ვიცოდე, რომ ასეთი საქმისგან თავშეკავება ჰკვიანური საქციელია. გპირდები, რომ არ ავჩქარდები. კარგად უნდა დავრწმუნდე, რომ მისი გრძნობა ყალბი არ არის. მე არ ვეცდები, თავი შევავარო.

–აქ ასე ხშირად ნუ მოიწვევთ. ყოველ შემთხვევაში, დედაშენს არ შეახსენო, რომ ვიკჰემი დაპატიჟოს.

–იმ დღეს სწორედ ასე მოვიქეცი, გაიღიმა ელიზაბეთმა, თუმცა ვიკჰემი აქ არც ისე ხშირად მოდის. თქვენი ჩამოსვლის გამო მოვიწვიეთ. დედა ასე აკეთებს ხოლმე. მეგობრების გასართობად სტუმრებს იწვევს. ვეცდები, ჰკვიანურად მოვიქცე. კმაყოფილი ხართ?

–დიახ, – დაეთანხმა მისის გარდინერი და ელიზაბეთს გამოემშვიდობა.

გარდინერებისა და ჯეინის გამგზავრების შემდეგ მისტერ ქოლინზი ჰართფორდში დაბრუნდა. ლუკასებთან დაბინავდა და ამიტომ მისი სტუმრობა მისის ბენეტს არ სწყენია. პირიქით, მომავალი ქორწინების შესახებ საუბრობდა და ირონიულად ჩაურთავდა ხოლმე, ქოლინზსა და შარლოტას ბედნიერებას ვუსურვებო. ქორწილი ხუთშაბათისთვის დაინიშნა. ოთხშაბათს შარლოტა ბენეტებს ესტუმრა. ელიზაბეთს ისე რცხვენოდა დედის აგდებული

დამოკიდებულება ლუკასებისადმი, რომ შარლოტა გამოაცილა და მთელი გულით უსურვა ბედნიერება. შარლოტამ უთხრა:

-ხშირად მომწერე, ელიზა, გთხოვ.

-აუცილებლად მოგწერ.

-და კიდევ, ერთი რამ მინდა გთხოვო. ჩემს სანახავად ჩამოდი და მესტუმრე.

-ჰართფორდშირში ხომ შევხვდებით.

-მე კენტში დიდი ხნით დავრჩები, ამიტომ გთხოვ, ჩამოდი და მინახულე. ელიზაბეთმა უარი ვერ უთხრა და დაჰპირდა, ჩამოვალო.

-მარტში მამაჩემი და მარია ჩამოვლენ და იმათ გამოჰყევი. ძალიან გამიხარდება, ლიზი.

ქოლინზი და შარლოტა დაქორწინდნენ და ტაძრიდანვე გაემგზავრნენ კენტში. შარლოტამ მალე წერილი მოსწერა ლიზის. ელიზაბეთსა და შარლოტას შორის თუმცა ახლო მეგობრობა დასრულდა, მაგრამ მიმოწერა ჰქონდათ და შარლოტას ეს წერილი საინტერესო იქნებოდა იმ პირველი შთაბეჭდილებების გამო, რომელიც ახალ სახლში გადასვლამ გამოიწვია. როგორი სახლი ჰქონდათ, როგორი იყო ლედი ქეთრინი და ბედნიერი იყო თუ არა. შარლოტა სწორედ ისე წერდა, როგორც ელიზაბეთს წარმოედგინა: მხიარული და კმაყოფილი იყო და თავს არიდებდა ისეთი რამის ხსენებას, რაზეც აღფრთოვანებით ვერ ილაპარაკებდა. სახლი, ავეჯი, მეზობლები, გზები ყველაფერი მოსწონდა. წერდა, რომ ლედი ქეთრინი მეგობრული და თავაზიანი იყო. წერილში სიფრთხილეს იჩენდა, რომ არასაჭირო რამ არ ეთქვა. ალბათ ელიზაბეთს საკუთარი თვალით უნდა ენახა დანარჩენი.

ჯეინმა უკვე მოსწერა ლიზის, რომ ლონდონში იყო. თუმცა ბინგლების შესახებ არაფერს იუწყებოდა.

მეორე წერილში ჯეინი სწერდა, რომ უკვე ერთი კვირაა ლონდონშია და ბინგლები არ უნახავს. რომ ქეროლაინს მისწერა, მაგრამ მას არ უპასუხია. ალბათ წერილი გზაში დაიკარგა და მის ბინგლის არ მისვლია.

„ხვალ ბიცოლა ქალაქის იმ მხარეს მიემგზავრება და შესაძლებელია, გროსვენერზე შევუარო ქეროლაინს“, - წერდა ჯეინი.

ამის შემდეგ ელიზაბეთმა ჯეინისგან კიდევ ერთი წერილი მიიღო, რომელშიც წერდა, რომ მის ბინგლის შეხვდა. ქეროლაინი უხასიათოდ იყო, მაგრამ ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა. მისაყვედურა, რატომ წინასწარ არ მითხარი, ლონდონში თუ ჩამოდიოდიო. არ შევმცდარვარ, მგონი ჩემი წერილი მართლა არ მიუღია. მისტერ ბინგლის შესახებ ვკითხე. მითხრა, მისტერ დარსისთან ერთადააო. მის დარსის სადილზე ელოდნენ. ნეტავ მეც ვნახო. მალე წამოვედი, რადგან ქეროლაინი და მისის ჰერსტი სადღაც წასვლას აპირებდნენ. მალე ისევ შევხვდებით.

ელიზაბეთმა თავი გააქნია. მისტერ ბინგლი მიხვდება, რომ ჯეინი ქალაქშია. ოთხი კვირა გავიდა და ჯეინს ბინგლი არ უნახავს. თავს არწმუნებდა, არ ვნანობო, მაგრამ ასე არ იყო. თანაც მის ბინგლი უყურადღებობას იჩენდა მისდამი და ამაზე თვალს ვედარ დახუჭავდა. მოიწვია, მაგრამ ქეროლაინი არა და არ მოვიდა. ორი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, გამოჩნდა, მაგრამ ისეთი შეცვლილი ჩანდა, რომ ჯეინი ყველაფერს მიხვდა და ელიზაბეთს წერილი მისწერა:

„ლიზი, ჩემო კარგო, შენ გაიმარჯვე. მართალი იყავი, რომ მეუბნებოდი, მის ბინგლის არ ენდოო. ის ძალიან შეიცვალა ჩემდამი. ვერ გამიგია, რატომ დამიმეგობრდა, თუ მერე ასე მოიქცეოდა. მე იოლად მომატყუა. თუმცა ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე. ახლაც იოლად მოვტყუვდები. ორკვირიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, გუშინ გამოჩნდა. მანამდე კი არც ერთი სიტყვით არ უცნობებია მოუსვლელიობის მიზეზი. ფორმალურად მოიხადა ბოდიში და ისე წავიდა, რომ ჩემთან კვლავ შეხვედრის სურვილი არ გამოუთქვამს. ისე შეეცვალა ხასიათი, გადავწყვიტე მასთან ურთიერთობა გავწყვიტო. მეცოდება, მაგრამ რომ არ დავადანაშაულო, არ შემიძლია. ვიმეორებ, ვერ გამიგია, რატომ დამიმეგობრდა. მეცოდება, რადგან გრძნობს, რომ ცუდად მოიქცა. მეტს ვერაფერს გეტყვი. ძმისთვის ალბათ სიკეთე სურს და მისი საქციელიც ამით აიხსნება. თუ ასეა, მაშინ ბუნებრივად მოქცეულა. ვერ გამიგია, რატომ ფრთხილობს და ეშინია. მის ძმას რომ ვუყვარდე, აქამდეც შემხვდებოდა. იცის, რომ ქალაქში ვარ. ქეროლაინის საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თავის თავს არწმუნებს, ჩემს ძმას მის დარსი უყვარსო. აი, რა ვერ გამიგია. არ მინდა ვინმე მკაცრად განვსაჯო, მაგრამ ეს ორგულობაა და მეტი არაფერი. ახლა კი ასეთ მტკივნეულ ფიქრებს თავიდან მოვიშორებ და გავმხიარულდები, რადგან ვერდით ისეთი ძვირფასი ადამიანები მიდგანან, როგორიც შენ ხარ, ლიზი და ასევე ბიძია და ბიცოლა. მალე მომწერე. მის ბინგლიმ საუბარში ახსენა, თითქოს ნეზერფილდში არასოდეს დაბრუნდებიან, მაგრამ დარწმუნებით არ უთქვამს. მოდი, ეს საკითხი აღარასოდეს ვახსენოთ. მიხარია, რომ ჩვენი ჰანსფორდელი მეგობრები გეხმიანებიან. გთხოვ, წადი შარლოტას სანახავად სერ უილიამთან და მარიასთან ერთად. ვფიქრობ, იქაურობა მოგეწონება“.

ელიზაბეთს ამ წერილმა ტკივილი მოჰგვარა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჯეინი აღარ მოტყუვდება. ალბათ, მისტერ ბინგლი აღარ ნახავს ჯეინს და არც ჯეინი მოისურვებს მის ნახვას. მასზე საბოლოოდ დაეკარგა შთაბეჭდილება. ბინგლი დაისჯება იმით, რომ მის დარსის შეირთავს, ვინც არ უყვარს.

მისის გარდინერმა ელიზაბეთს პირობა შეახსენა და სთხოვა, მომწერეო. ლიზიმ მისწერა წერილი, რომელმაც მისის გარდინერი გაახარა. ვიკჰემი აღარ იჩენდა ლიზისადმი უწინდებურ ყურადღებას. თურმე ახლა ვიღაც სხვა ქალიშვილს ეტრფოდა. ელიზაბეთი ამას ამჩნევდა, მაგრამ გული არ სტკენია. ახლა უფრო დარწმუნდა, რომ ვიკჰემი მისი საბედო არ ყოფილა. იმ ქალიშვილს თურმე მემკვიდრეობით მიუღია ათი ათასი გირვანქა, რამაც ვიკჰემს ლიზიზე გული აუცრუა. თუმცა ლიზი ვიკჰემს არ ადანაშაულებდა. მან დამოუკიდებლობა აირჩია და ძალზე ბუნებრივად მოიქცა. ალბათ ვიკჰემი თავს მაინც ებრძოდა, სანამ ამ ნაბიჯს

გადადგამდა, მაგრამ ორივესთვის ჭკვიანური და მისაღები ნაბიჯი იყო. ამიტომ ლიზი მთელი გულით უსურვებდა ბედნიერებას.

ეს ყოველივე ლიზიმ მისი გარდინერს მისწერა და დასძინა: დავრწმუნდი, რომ არ მიყვარდა. სიყვარულს რომ გაემარჯვა ჩემზე, მაშინ ვიკვემის სახელიც კი შემჯავრდებოდა და ბედნიერებას ვერ ვუსურვებდი. ახლა კი არა მარტო გულით ვუსურვებ ბედნიერებას, არამედ მომწონს კიდევ მის კინგი. მასზე კარგს ვფიქრობ. თუმცა მათ შორის სიყვარული არ არსებობს. მე რომ ვიკვემი სიგიჟემდე მყვარებოდა, მაშინ ჩემს თანატოლებში საკმაოდ პოპულარული ვიქნებოდი. თუმცა გული არ მწყდება. ზოგჯერ პოპულარობა ძვირად უჯდებათ. ქითი და ლიდია ძალიან განიცდიან ვიკვემის საქციელს, რადგან გამოუცდელნი არიან და არ იციან ის მწარე სიმართლე, რომ მახინჯებსაც და ლამაზებსაც თანაბრად სჭირდებათ საარსებო წყარო.

თავი ოცდამეშვიდე

იანვარი და თებერვალი ისე გავიდა, ლონგბერნის ოჯახისთვის მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. მარტში ელიზაბეთი ჰანსფორდს უნდა სწევოდა. თავიდან არ სურდა იქ წასვლა, მაგრამ მერე და მერე, შარლოტას დაჟინებული თხოვნის შედეგად, გადაწყვიტა. თანაც, ამდენი ხნის უნახავი შარლოტა მოენატრა. სახლში დედასთან და დებთან გაჩერებაც აღარ შეეძლო. გზად ჯეინსაც ნახავდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შარლოტამ ჩაიფიქრა. ერთ ღამეს ლონდონში გაატარებდნენ.

ერთადერთი, რაც ელიზაბეთს აწუხებდა, მამასთან განშორება იყო. მამას ძალიან უყვარდა ქალიშვილი და სთხოვა, ხშირად მომწერეო. ელიზაბეთი მეგობრულად გამოემშვიდობა ვიკვემს, რომელსაც არ შეიძლება დაევიწყებინა, რომ მისი პირველი სიყვარული ლიზი იყო. ვიკვემმა დროის კარგად გატარება უსურვა და ლედი ქეთრინის შესახებაც მოუყვა. ვიკვემის საუბარში ისეთი გულწრფელი ზრუნვა იგრძნობოდა, რომ ლიზი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, ვიკვემი ყველაზე სანდომიანი კაცი იყო, ვინც კი შეხვედრია.

მომდევნო დღეს ლიზი სერ ლუკასთან და მარიასთან ერთად გაემგზავრა. მარია მამამისივით თავცარიელი გოგო იყო, ამიტომ მგზავრობა არც ისეთი საინტერესო აღმოჩნდა. ფაეტონის რახრახისთვის ჯობდა გესმინა, ვიდრე მარიასთვის. ელიზაბეთს სისულელეებიც იტაცებდა, მაგრამ სერ უილიამის სისულელეებს დიდი ხანია იცნობდა. რაინდის ტიტული რომ მიანიჭეს, ამის შესახებ საინტერესო ვერაფერი თქვა. თავაზიანობაც იმ ამბებივით გასცვეთოდა.

დანიშნულების ადგილამდე ოცდაოთხი მილი იყო, ამიტომ დილით ადრე გაემგზავრნენ და შუადღისთვის უკვე გრეისჩერჩსტრითზე იყვნენ, გარდინერებთან. ჯეინმა სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან დაინახა, რომ მოვიდნენ და გამოეგება. ელიზაბეთმა დას თვალებში ჩახედა და

გულით გაიხარა, რომ ჯეინი ასე ჯანმრთელი და მშვენიერი იყო, ვიდრე ოდესმე. კიბეზე პატარა გოგო-ბიჭები შემოეგებნენ, რომელთაც უზომოდ გაუხარდათ ბიძაშვილის ჩამოსვლა. დღემ სასიამოვნოდ ჩაიარა. დილით მაღაზიებში წავიდნენ, ხოლო საღამოს თეატრში.

ელიზაბეთი ბიცოლას გვერდით დაჯდა და ჯეინის შესახებ ჰკითხა. მისის გარდინერმა უთხრა, მართალია, ჯეინი თავს ებრძვის, მაგრამ ზოგჯერ ძალიან მოწყენილია. იმედი მაქვს, მალე გაუვლისო. მისის გარდინერმა ლიზის მის ბინგლის სტუმრობის შესახებაც უამბო და ისიც უთხრა, რომ ჯეინმა მის ბინგლისთან ურთიერთობა გაწყვიტა.

მისის გარდინერმა შეაქო ლიზი იმისთვის, რომ ვიკჰემს დაშორდა და ეს ყოველივე მშვიდად გადაიტანა.

–ძვირფასო ლიზი, ვინ არის მის კინგი? ვწუხვარ, რომ ვიკჰემი ანგარებიანი აღმოჩნდა.

–გთხოვ, ამიხსენით, – უთხრა პასუხად ლიზიმ, – როცა საქმე ქორწინებას ეხება, რა განსხვავებაა ანგარებასა და სიფრთხილეს შორის? სად მთავრდება სიფრთხილე და სად იწყება ანგარება? თქვენ გეშინოდათ, ცოლად არ გავყოლოდი ვიკჰემს, რადგან ეს დაუფიქრებელი საქციელი იქნებოდა. ახლა კი ამბობთ, რომ ის ანგარებიანია, რადგან იმ გოგოს შერთვა სურს, ვისაც სულ რაღაც ათი ათასი გირვანქა აქვს.

–მიტხარი, ვინ არის მის კინგი და გიპასუხებ.

–ძალიან კარგი გოგონაა. მის შესახებ ცუდი არავის სმენია.

–მაგრამ ვიკჰემი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მანამ, სანამ ბაბუამ ქონება არ დაუტოვა.

–არ აქცევდა? რატომ უნდა მიექცია? თუკი მე არ შემირთავდა იმის გამო, რომ ღარიბი ვარ, განა იმ გოგონას რა უპირატესობა ჰქონდა?

–ჰო, მაგრამ უხერხულია მისი საქციელი.

–კაცს, რომელსაც სხვა გამოსავალი არა აქვს, არც კი ეუხერხულება ასეთი საქციელი. თუმცა მის კინგს ხომ არაფერი უთქვამს და ჩვენ რა გვალაპარაკებს.

–არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს ვიკჰემს არ ამართლებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მის კინგი ნაკლებგონიერი და მგრძნობიარეა.

–კარგი, რაც გსურთ, ის იფიქრეთ, ერთი ანგარებიანია, მეორე სულელი.

–არა, ლიზი, გული ძალიან შემტკივა იმ ყმაწვილზე, რომელიც ასე დიდხანს ცხოვრობდა დერბიშირში.

–საერთოდ მე ცუდი აზრის ვარ დერბიშირელ მამაკაცებსა და მათ მეგობრებზე, რომელიც ჰართფორდშირში ცხოვრობენ. უკვე მომბეზრდა ყველა! მადლობა ღმერთს, ხვალ ისეთ

ადგილას მივდივარ, სადაც ერთ უინტერესო, უჭკუო კაცს ვიპოვი. ჯობია სულელ კაცს იცნობდე.

–ფრთხილად, ლიზი, მაგ ლაპარაკს იმედეგაცრუების სუნი ასდის.

სანამ წარმოდგენა დასრულდებოდა, ელიზაბეთმა შეიტყო, რომ ბიძა და ბიცოლა ზაფხულში სამოგზაუროდ წასვლას აპირებდნენ და სურდათ, ლიზიც მათთან ერთად წასულიყო. ძმისშვილი სიხარულით დაეთანხმა.

–ჯერ არ ვიცით, საით წავალთ, თქვა მისის გარდინერმა, მაგრამ ალბათ ტბებს მოვინახულებთ.

–ო, ძვირფასო ბიცოლა, როგორ მიყვარხარ! წამოიყვირა ლიზიმ, რა ბედნიერებაა, როგორ გამახარეთ! სამუდამოდ დავემშვიდობები იმედეგაცრუებებს. მთებთან და ტბებთან შედარებით კაცები რა სახსენებელია! ო, რა კარგ დროს გავატარებთ! და როცა დავბრუნდებით, სხვა მოგზაურებივით არ ვიქნებით, რომ ვერ გეტყვიან, სად იყვნენ და რა ნახეს. ჩვენ ყველაფერს აღვიბეჭდავთ გონებაში და ზუსტად აღვწერთ მთას, ტბას თუ მდინარეს და ეს ყველაფერი დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის.

თავი ოცდამერვე

მომდევნო დღეც საინტერესო აღმოჩნდა ელიზაბეთისთვის. მას ახარებდა, რომ ჯეინი კარგად იყო და მუდმივი სიამოვნების წყაროდ ეჩვენა ზაფხულში სამოგზაუროდ წასვლაზე ფიქრი.

ჰანსფორდისკენ რომ გაემგზავრნენ, ირგვლივ იყურებოდნენ, იქნებ პასტორის სახლს მოვკრათ თვალიო. როუზინგპარკს ხის ღობე ერტყა. ელიზაბეთს ღიმილი მოჰგვარა იმან, რაც სმენოდა როუზინგპარკის ბინადართა შესახებ.

ბოლოს პასტორის სახლი გამოჩნდა, სახლს ბაღი ჰქონდა და მწვანე ღობით იყო გარშემორტყმული. კართან მისტერ ქოლინზი და შარლოტა გამოჩნდნენ. ეტლი პატარა ჭიშკართან გაჩერდა. სახლისკენ ვიწრო, ქვიშიანი ბილიკი მიდიოდა. ყველანი გახარებული იყვნენ ერთმანეთის ნახვით. შარლოტამ დიდი სიხარულით მიიღო მეგობარი. ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ ქოლინზი ქორწინებამ ვერ შეცვალა. ისევ იმ ფორმალურ თავაზიანობას იჩენდა და ელიზაბეთს ოჯახის შესახებ გამოჰკითხა. შემდეგ ყველანი სახლში შევიდნენ. მისაღებში ქოლინზმა კვლავ მადლობა გადაუხადა, ჩემს მოკრძალებულ სახლში რომ მოხვედითო და სიტყვასიტყვით გაიმეორა, თუ რის შეცვლას აპირებდა მისი ცოლი.

ქოლინზი საუბრისას ელიზაბეთისკენ იყურებოდა, თითქოს ნიშნის მოგებით ეუბნება, აი, რამდენი რამ დაკარგე, ცოლად რომ არ გამომყევით. ქოლინზს მართლაც შესანიშნავი სახლი ჰქონდა, თუმცა ელიზაბეთს მაინც უკვირდა შარლოტას საქციელი და გაოცებული უყურებდა

მეგობარს იმის გამო, რომ შარლოტა ასეთი კაცის გვერდით ასე მხიარული იყო. ზოგჯერ ქოლინზი ისეთ აბსურდულ რამეს იტყოდა ხოლმე, რომ ელიზაბეთი შარლოტასკენ გააპარებდა მზერას. შეამჩნია, რომ შარლოტა თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არ გაუგონიაო. თუმცა ზოგჯერ ოდნავ წითლდებოდა კიდეც. სახლის დათვალიერების შემდეგ, ქოლინზმა სტუმრები ბაღში გაიწვია. დიდი ბაღი იყო. ქოლინზი თავად უვლიდა. ბაღში მუშაობა ძალიან უყვარდა. შარლოტა ამბობდა, რომ ბაღში მუშაობა სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. ქოლინზი ისე დეტალურად აღუწერდა ყველაფერს, რომ ელიზაბეთმა გარემოს სილამაზის აღქმა ვერ მოახერხა. ქოლინზმა ზუსტად იცოდა, რა მიმართულებით რამდენი მდელო და რამდენი ხე იყო, მაგრამ მაინც ვერაფერი შეედრებოდა როუზინგს, რომელიც ქოლინზის სახლის პირდაპირ მდებარეობდა. ეს იყო მაღლობზე მდგარი თანამედროვე, ლამაზი შენობა.

ამის შემდეგ მდელოზე უნდა გადასულიყვნენ, მაგრამ ქალბატონებს შესაფერისი ფეხსაცმელი არ ეცვათ, ამიტომ უკან მობრუნდნენ. სერ უილიამი ქოლინზს ამოუდგა გვერდით, ხოლო შარლოტამ მეგობრები სახლში შეიყვანა და ამაყოფა იმით, რომ ქმრის გარეშე შეეძლო ეჩვენებინა მათთვის ყველა წვრილმანი. პატარა სახლი იყო, მაგრამ მკვიდრად ნაგები და მყუდრო. სახლში ისეთი წესრიგი იდგა, რომ ელიზაბეთმა შარლოტა შეაქო. მისტერ ქოლინზის გარეშე თავი უფრო კომფორტულად იგრძნეს. ლიზიმ იცოდა, რომ ლედი ქეთრინი თავის მამულში იმყოფებოდა. როცა სადილად დასხდნენ, ქოლინზმა უთხრა:

-მის ელიზაბეთ, თქვენ საშუალება გექნებათ, ლედი ქეთრინი კვირას ტაძარში ნახოთ. ძალიან მოგეწონებათ. მეგობრული და თავმდაბალი ქალბატონია. ვიცი, რომ წირვის შემდეგ ყურადღებას მოგაქცევთ. ეჭვი არ მეპარება თავისთან მიგიწვევთ თქვენ და ჩემს დას, მარიას. ჩემი ძვირფასი შარლოტასადმი მისი ყურადღება განსაცვიფრებელია. ჩვენ კვირაში ორჯერ ვსადილობთ მასთან და ყოველთვის ეტლით გვაცილებს ხოლმე. ლედი ქეთრინის ერთი ეტლი სწორედ ჩვენ გვემსახურება. ვიმეორებ ერთი, რადგან ლედის განკარგულებაში რამდენიმე ეტლია.

-ლედი ქეთრინი მართლაც პატივსაცემი, ჭკვიანი ქალი და ყურადღებიანი მეზობელია, - თქვა შარლოტამ.

-მართალია, ძვირფასო, სწორედ ამას ვამბობ. ასეთი პატივცემული ლედია და ასეთი მეგობრული.

სადამო ჰართფორდშირზე საუბარში მიიღია, როცა ელიზაბეთი მარტო დარჩა თავის ოთახში, შარლოტას ბედზე ჩაფიქრდა. მოეწონა მისი თავდაჭერილობა, თუ როგორ უძღვებოდა ყველაფერს და ქმრის აბსურდულ საქციელს არ იმჩნევდა. ცოლქმარი ხვალ თავის ჩვეულ საქმეს გააგრძელებს, მერე როუზინგსაც ეწვევიან. ამ მოლოდინმა ელიზაბეთს სასიამოვნო ფიქრები აღუძრა.

მეორე დღეს, როცა ელიზაბეთი თავის ოთახში იყო და სასეირნოდ ემზადებოდა, ქვემოდან რაღაც ხმაური შემოესმა. ვიღაც კიბეზე ამორბოდა საოცარი სისწრაფით და მას ეძახდა. კარში მარია შეეჩხუბა, რომელიც მისკენ აქოშინებული მორბოდა:

–ოჰ, ძვირფასო ელიზა, სწრაფად ჩამოდით სასადილო ოთახში, იქ ისეთ რამეს ნახავთ! არ გეტყვით, რა არის. ჩქარა ჩამოდით.

სწრაფად ჩავიდნენ. სასადილო ოთახი ხეივანში გადიოდა და სწორედ ხეივანში იდგა ფაეტონი, რომელშიც ორი ქალბატონი იჯდა.

–სულ ეს არის, მარია? – იყვირა ელიზაბეთმა, – მე მეგონა, ბაღში ღორები შევიდნენ. ეს ხომ ლედი ქეთრინი და მისი ქალიშვილია.

–არა, ლიზი, ეს ლედი ქეთრინი არ არის, მისის ჯენკინსონია, რომელიც მათთან ცხოვრობს. აი, ის კი მის დებურგია. შეხედე, ლიზი, რა პატარა არსებია!

–რატომ სახლში არ შემოვა, შარლოტას ამ ქარში გარეთ რომ აყურყუტებს?

–თურმე ძალზე იშვიათად კადრულობს შემოსვლას.

–ასეც მოუხდება დარსის. ამ გოგოს ავადმყოფური გამომეტყველება და მკაცრი, მოქუფრული სახე აქვს. კარგია, კარგ ცოლობას გაუწევს.

ქოლინზი და შარლოტა ჭიშკართან იდგნენდა ქალბატონებს ესაუბრებოდნენ. სერ უილიამი კარში დამდგარიყო და სულელივით თავს უკრავდა მის დებურგს.

შემდეგ ფაეტონი წავიდა და ქოლინზები სახლში შემოვიდნენ. მისტერ ქოლინზმა დაინახა თუ არა გოგონები, მიულოცა ბედნიერება, რაც შარლოტამ ასე აუხსნა: მეორე დღეს მთელი ოჯახი, სტუმრებითურთ, მიწვეულნი იყვნენ როზინგში ლედი ქეთრინთან.

თავი ოცდამეცხრე

მისტერ ქოლინზს სურდა სტუმრებისთვის ეჩვენებინა, თუ რაოდენ დიადი მწყალობელი ჰყავდა ლედი ქეთრინის სახით და ეს სანატრელი დღეც დაუდგა.

–ვაღიარებ, თქვა ქოლინზმა, სულაც არ მიკვირს, როზინგში რომ ვართ მიწვეული. ვიცოდი, ასე მოხდებოდა, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ თქვენი ჩამოსვლისთანავე დაგვპატიჟებდა ლედი ქეთრინი (და თანაც ყველას ერთად)!

–არც მე მიკვირს, – თქვა სერ უილიამმა, – დიდი ადამიანები დიდსულოვნად იქცევიან. ასეთი რამ მაღალი წრის დახვეწილი ხალხისთვისაა დამახასიათებელი.

მთელი დღე ხვალინდელ სტუმრობაზე საუბრობდნენ. მისტერ ქოლინზმა წინასწარ აღუწერა ყველას ლედი ქეთრინის სახლი, სადაც უამრავი მოსამსახურე იყო, რომ წინასწარ სცოდნოდათ და იქ მისვლისას არ გაოცებულიყვნენ.

ქალბატონები რომ წასასვლელად ემზადებოდნენ, ქოლინზმა ელიზაბეთს უთხრა:

–არ დაიძაბოთ, ძვირფასო ღიზი, იმის გამო, რომ მდიდრული სამოსი არ გმოსავთ. ლედი ქეთრინი ამას ყურადღებას არ აქცევს. უბრალოდ, გირჩევთ, თქვენს კაბებს შორის რომელიც საუკეთესოა, ის ჩაიცვათ. ეს არის და ეს. უბრალო სამოსის გამო ის თქვენზე ცუდად არ იფიქრებს. პირიქით, უყვარს კიდევ, რანგობრივი განსხვავება სამოსითაც რომ გამოიხატებ

სანამ ქალბატონები იმოსებოდნენ, ქოლინზი რამდენჯერმე მოვიდა მათ კართან, რათა შეეხსენებინა, რომ ეჩქარათ, რადგან ლედი ქეთრინს დაგვიანება არ უყვარდა. ამ წინასწარმა გაფრთხილებებმა და წარმოდგენებმა ძალიან ააფორიაქა და შეაშინა მარია ლუკასი, რომელიც საზოგადოებაში ყოფნას ჩვეული არ იყო. მარია ისეთი გულის ფანცქალით ელოდა ლედი ქეთრინისა და მისი ქალიშვილის გაცნობას, როგორც მამამისი დელავდა სენტ ჯეიმზში წარდგინების წინ.

მშვენიერი ამინდი იდგა, ამიტომ პარკში ფეხით გაისეირნეს. ყველა პარკი თავისებურად ლამაზია. ელიზაბეთი მოიხიბლა ამ მშვენიერებით, თუმცა მისტერ ქოლინზის აღტკინება არ გადასდებია და არც მაშინ მიუქცევია მისთვის ყურადღება, სახლის ფანჯრების თვლა და იმაზე ლაპარაკი რომ დაიწყო, რა დაუჯდა სერ ლუის დებურგს მინების ჩასმა.

კიბეზე რომ აღიოდნენ, მარია აღელდა და არც მამამისი გამოიყურებოდა მშვიდად. ელიზაბეთი სრულიად მშვიდად იყო. ლედი ქეთრინს რაღაც განსაკუთრებული ტალანტი კი არა, ფული და მდგომარეობა წარმოაჩინდა და ეს უკანასკნელი ღიზისთვის არაფერს ნიშნავდა.

შესასვლელიდან, რომელიც არაჩვეულებრივი ორნამენტებით შეემკოთ, სტუმრებს მსახურები იმ ოთახისკენ გაუძღვნენ, სადაც ლედი ქეთრინი, მისი ქალიშვილი და მისის ჯენკინსონი ისხდნენ. ლედი მათ შესახვედრად წამოდგა. სტუმრები მისის ქოლინზმა გააცნო ლედი ქეთრინს. ის წინასწარ შეუთანხმდა ქმარს, რომ სტუმრებს თავად წარადგენდა. ამით შარლოტამ თავიდან აიცილა ის ზედმეტი ფორმლობები, რაც მის ქმარს ასახიათებდა.

სენტ ჯეიმზში ყოფნის მიუხედავად, სერ უილიამი ისე დააბნია ამ დიდებულებამ, რომ მისის დებურგს თავიც ძლივს დაუკრა და ისე დაჯდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მარიაც დაბნეული იყო, სკამის კიდეზე ჩამოჯდა და არ იცოდა, რომელ მხარეს გაეხედა. ელიზაბეთი მშვიდად იყო და მშვიდადვე ათვალთქვებდა მასპინძლებს. ლედი ქეთრინი მაღალი, ზორბა ქალი იყო. ეტყობოდა, ერთ დროს სიმპათიური უნდა ყოფილიყო. გოროზი მანერები ჰქონდა, სწორედ ისეთი, რომელიც სტუმრებს მათ რანგობრივ მდაბიობას შეახსენებდა. ისეთი ავტორიტარული ტონით ლაპარაკობდა, რომ თავის მნიშვნელოვანებას ხაზს უსვამდა. ელიზაბეთს ვიკჰემის ნათქვამი გაახსენდა. ლედი ქეთრინი სწორედ ისეთი იყო, ვიკჰემმა რომ აღუწერა: გოროზი და ქედმაღალი.

ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ ლედი ქეთრინი რაღაცით დარსისაც ჰგავდა. ამის შემდეგ თვალები მის დებურგს მიაპყრო და გაოცდა: მის დებურგი მეტისმეტად პატარა და გამხდარი იყო. დედაშვილი ერთმანეთს არ ჰგავდა. მის დებურგს მახინჯი არ ეთქმოდა, თუმცა უშნო კი იყო. ძალიან ცოტას და ხმადაბლა ელაპარაკებოდა მისის ჯენკინსონს, რომელიც ასევე

არაფრით გამოირჩეოდა გარდა იმისა, რომ ყურს უგდებდა მის დებურგს და მის მითითებებს ასრულებდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასპინძელმა სტუმრები ფანჯარასთან მიიწვია, რათა ხედით დამტკბარიყვნენ. მისტერ ქოლინზი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. ლედი ქეთრინმა უთხრა, რომ ეს ხედი ზაფხულში უფრო წარმტაცად გამოიყურებოდა.

სადილმა შესანიშნავად ჩაიარა. სტუმრებს უამრავი მსახური ემსახურებოდა. აუარებელი ჭურჭელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ. ქოლინზი, ლედი ქეთრინის სურვილისამებრ, სუფრის ბოლოში დაჯდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ამაზე დიდ ბედნიერებას ცხოვრებაში არ ელოდა. ხოტბას ასხამდა ყველა კერძს, რომელიც მსახურებს შემოჰქონდათ. სერ იულიამი, რომელიც ცოტა გამოფხიზლდა პირველი შოკისგან, სიძის ნათქვამს იმეორებდა. ლედი ქეთრინს ეტყობა უხაროდა ამ ხოტბის მოსმენა და კეთილად იღიმებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა რომელიმე კერძი სრულიად ახალი იყო სტუმრებისთვის. ბევრს არ ლაპარაკობდნენ. ელიზაბეთი მზად იყო, რამე ეთქვა, მაგრამ შარლოტასა და მის დებურგს შორის იჯდა. შარლოტა ლედი ქეთრინს უსმენდა, მის დებურგს კი მთელი სადილის განმავლობაში ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მისის ჯენკინსონი მის დებურგს სთავაზობდა კერძებს და შიშობდა, უქეიფოდ ხომ არ არისო. მარია ხმას არ იღებდა. კაცები კი კერძებს მიირთმევდნენ და ხოტბას ასხამდნენ.

როცა სასტუმრო ოთახში დაბრუნდნენ, ლედი ქეთრინმა საუბარი წამოიწყო და ყველა სმენად იქცა. ყველაფერზე ისეთი გადამწყვეტი ტონით ლაპარაკობდა, რომ ეტყობოდა, საწინააღმდეგო მოსაზრებებს ჩვეული არ იყო. შარლოტას ოჯახის შესახებ კი ძალზე ფამილიარულად და დაწვრილებით ლაპარაკობდა და რჩევასაც არ იშურებდა იმის შესახებ, თუ როგორ გასძლოლოდა ოჯახს და როგორ მოევლო შინაური პირუტყვისთვის.

ელიზაბეთი მიხვდა, რომ ლედი ქეთრინი ყველაფერში ერეოდა, რათა სხვებისთვის თავად ეკარნახა თუ როგორ მოქცეულიყვნენ. მარიას და ელიზაბეთსაც მრავალი რამ ჰკითხა. მაგრამ განსაკუთრებით ელიზაბეთით დაინტერესდა, რადგან არ იცნობდა. რამდენი და გყავსო, ჰკითხა, რამდენი წლისანი არიანო, როდის თხოვდებიანო, ლამაზები თუ არიანო. ისიც ჰკითხა, განათლება სად მიიღესო. მამათქვენს ეტლი თუ ჰყავს და დედათქვენის ქალიშვილობის გვარი რა არისო. ელიზაბეთს ზიზღი მოჰგვარა ამ კითხვების სითავხედემ, თუმცა პასუხებს თავშეკავებულად სცემდა. ლედი ქეთრინმა შენიშნა:

– ვიცი, რომ თქვენი მამული მისტერ ქოლინზს ეკუთვნის მემკვიდრეობით, – შემდეგ – შარლოტას მიუბრუნდა, რაც ძალზე მახარებს. თუმცა ქალიშვილებიან ოჯახში ეს არ უნდა ხდებოდეს. სერ ლუის დებურგის ოჯახში ასეთი რამ საჭიროდ არ მიიჩნეის. თუ უკრავთ ან მღერით, მის ბენეტ?

– არცთუ ისე კარგად.

– ოჰ, მაშინ ოდესმე მოგვასმენინეთ თქვენი შესრულება. საუკეთესო ინსტრუმენტი გვაქვს, თქვენი დები უკრავენ ან მღერიან?

-ერთი და მღერის.

-რატომ ყველამ არ ისწავლეთ სიმღერა. ყველას უნდა გესწავლათ. აი, ვებსების ქალიშვილები უკრავენ. მათი მამა მამათქვენზე ღარიბია, ხატავთ?

-რა.

-არც ერთი?

-არც ერთი!

-უცნაურია. ალბათ შესაძლებლობა არ მოგეცათ. დედათქვენს ლონდონში უნდა წაეყვანეთ მხატვართა სკოლაში.

-მამას სძულს ლონდონი.

-მასწავლებელმა მიგატოვათ?

-არც გვყოლია.

-რაო? მასწავლებელი არ გყავდათ? ასეთი რამ როგორ შეიძლება? ხუთი ქალიშვილი მასწავლებლის გარეშე აღზარდო, ასეთი რამ არც მსმენია. ალბათ დედათქვენი გასწავლიდათ.

-არა, - უთხრა ელიზაბეთმა და ღიმილი ძლივს შეიკავა.

-აბა, ვინ გასწავლიდათ? უსწავლელები ხართ?

ზოგიერთებთან შედარებით ასეცაა, თუმცა კითხვა გვიყვარს. ვისაც არ უყარს და ზარმაცია, ალბათ მასწავლებელიც იმას სჭირდება.

-დიახ, მაგრამ მასწავლებელი სწორედ სიზარმაცის დასაძლევადაა საჭირო. დედათქვენს რომ ვიცნობდე, ვურჩევდი, ერთი მასწავლებელი დაექირავებინა. მყარი და თანამიმდევრული ზედამხედველობის გარეშე განათლებას ვერ შეიძენ. ბევრ ოჯახს მე ვეხმარები. მიყვარს, ახალგაზრდები რომ კარგად მოიწყობენ ცხოვრებას. მისის ჯენკინსონის ოთხივე ძმისწული მე მოვაწყვე. ამას წინათ ერთ ახალგაზრდას კიდევ დავეხმარე. ერთ ოჯახში რეკომენდაცია გავუწიე. ოჯახი კმაყოფილია. მისის ქოლინზ, გითხარით თუ არა, რომ გუშინ ლედი მეთქაფი მეწვია მადლობის სათქმელად. მის პოპი საოცრად მოსწონს. ასე მითხრა, ნამდვილი საგანძურიაო. მის ბენეტ, თქვენი დები უკვე გამოვიდნენ საზოგადოებაში?

-დიახ, მისის, ყველა მათგანი.

-ყველა მათგანი? როგორ, ხუთივე ერთად?! რა უცნაურია! უფროსი დების გათხოვებამდე უმცროსების გამოყვანა. ალბათ, ძალიან პატარები არიან.

-ყველაზე უმცროსი თხუთმეტისაა. რატომ უნდა დაისაჯონ უმცროსი დები საზოგადოებაში გამოუსვლელილობით იმის გამო, თუ უფროსი და ადრე გათხოვებას არ აპირებს. ადრე

დაბადებულსაც და გვიან დაბადებულსაც თანაბარი უფლება აქვს და ამ მოტივით მათი დაბრკოლება, ვფიქრობ, არასწორია და დებს შორის სიყვარულსაც ხელს შეუშლის.

–რა ახალგაზრდა ხართ და აზრებს კი რა თამამად გამოთქვამთ. რამდენი წლის ხართ?

–ჩემი სამი უმცროსი და თუ უკვე ზრდასრულია, ადვილი მისახვედრია, რამდენის ვიქნები, თქვენო კეთილშობილება.

ლედი ქეთრინი განცვიფრდა, პირდაპირი პასუხი რომ ვერ მიიღო, ხოლო ელიზაბეთი მიხვდა, პირველი იყო, ვინც ამ ქედმაღალ და თავხედ ქალს არ შეეპუა.

–ოცზე მეტის არ იქნებით, ამიტომ ასაკის დამალვა არ გჭირდებათ.

–ჯერ ოცდაერთის არ ვარ.

როცა ჯენტლმენებიც შემოვიდნენ და ჩაის სმა დასრულდა, ბანქოს მაგიდები გაშალეს, რომელთაც ლედი ქეთრინი, სერ უილიამი და ქოლინზები მიუსხდნენ. მის დებურგმა კაზინოს თამაში ამჯობინა, ამიტომ მასთან ერთად დასხდნენ მისის ჯენკინსონი, ელიზაბეთი და მარია. სულელური მაგიდა იყო. ხმას მხოლოდ მაშინ იღებდნენ, როცა თამაში მოითხოვდა. სხვა დროს დუმდნენ. მისის ჯენკინსონი დროდადრო მის დებურგს ჰკითხავდა ხოლმე, ხომ არ სციოდა ან ხომ არ სცხელოდა, ან შუქი თუ იყო საკმარისი და კარგად თუ ხედავდა. მეორე მაგიდა უფრო აქტიური იყო. ძირითადად ლედი ქეთრინი ლაპარაკობდა. აღნიშნავდა დანარჩენი მოთამაშეების შეცდომებს ან რაიმე ანეკდოტს ჰყვებოდა. მისტერ ქოლინზი ლედი ქეთრინს ყველაფერში ეთანხმებოდა. მოგებული ქვისთვის მადლობას უხდოდა და ებოდიშებოდა მაშინ, თუსაკმაოდ ბევრ ქვას იგებდა. სერ უილიამი თითქმის ჩუმად იყო, მაგრამ ყველა ანეკდოტსა და დიდებულთა სახელს იმახსოვრებდა, რაზეც ლედი ქეთრინი ლაპარაკობდა.

შემდეგ, როცა ლედი ქეთრინსა და მის ქალიშვილს თამაში მოჰბეზრდათ, მაგიდები აშალეს. მისის ქოლინზს ეტლი შესთავაზეს. მანაც თავაზიანად მიიღო შემოთავაზება. შემდეგ ბუხართან მოიყარეს თავი, რომ ლედი ქეთრინისთვის მოესმინათ, როგორი ამინდი იქნებოდა ხვალ. ამასობაში ეტლიც მოვიდა. მისტერ ქოლინზი ისევ მადლობად დაიღვარა, ხოლო სერ უილიამი თავის დაკვრად. კარიბჭეს რომ გამოსცილდნენ, ქოლინზმა ელიზაბეთს ჰკითხა, რა შთაბეჭდილება დაგრჩაო და მანაც, შარლოტას გასახარად, დიდი კმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ ეს რასაკვირველია, ქოლინზისთვის სულაც არ იყო საკმარისი, ამიტომ ლედი ქეთრინის ხოტბა ისევ თავის თავზე აიღო.

თავი ოცდამეათე

სერ უილიამი ერთ კვირას დარჩა ჰანსფორდში, მაგრამ ერთმა კვირამაც საკმარისად დაარწმუნა, რომ ქალიშვილი კარგად მოეწყო, შესანიშნავი ქმარი ჰყავდა და ბრწყინვალე

მეზობელი. მისტერ ქოლინზი დილაობით ასეირნებდა ხოლმე სერ უილიამს და მიდამოს ათვალიერებინებდა. სერ უილიამის გამგზავრების შემდეგ ოჯახი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ქოლინზი დიდ დროს ბაღში ან ბიბლიოთეკაში ატარებდა. ქალბატონები სახლის უკანა ოთახში ისხდნენ ხოლმე და საუბრობდნენ. ელიზაბეთს ჯერ გაუკვირდა, რომ შარლოტამ ამ მიზნისთვის დიდი სასადილო ოთახი არ გამოიყენა, რომელსაც ფანჯრიდან უკეთესი ხედი ჰქონდა, მაგრამ მალევე მიხვდა ამის მიზეზს. მისტერ ქოლინზს თავის ოთახში რა გააჩერებდა, ქალბატონები რომ მხიარულ სასადილო ოთახში ყოფილიყვნენ. მათთან საუბარი მოუნდებოდა. ელიზაბეთს შარლოტას საზრიანობა მოეწონა.

მისტერ ქოლინზი ქალებს ატყობინებდა, თუ რამდენჯერ ჩაიარა მის დებურგის ფაეტონმა. მისი ოთახის ფანჯარა ხომ ხეივანს გაჰყურებდა. მის დებურგი ზოგჯერ შარლოტასთან სასაუბროდ ჩერდებოდა, მაგრამ ეტლიდან არასოდეს გადმოსულა. მისტერ ქოლინზი და შარლოტა თითქმის ყოველდღე მიდიოდნენ როუზინგში და ელიზაბეთს უკვირდა, რომ ცოლქმარი ამდენ დროს ხარჯავდა მისის დებურგთან ვიზიტზე, მაშინ, როცა სხვა მეზობლებიც ჰყავდათ. ლედი ქეთრინიც მოდიოდა ქოლინზებთან. მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა, ხან ავეჯის განლაგება არ მოსწონდა და რჩევას აძლევდა, რომ სხვაგვარად დაედგათ, ხან მსახურის უყურადღებობას შენიშნავდა და თუკი ოდესმე სადილზე დარჩენას იკადრებდა, იქაც შენიშვნას აძლევდა მისის ქოლინზს, რომ ხორცის ნაჭრები მეტისმეტად დიდი იყო.

ელიზაბეთი მიხვდა, რომ ეს ქალბატონი ამ სამრევლოს ბატონპატრონი იყო და წვრილმან თუ მსხვილმან საქმეებს განაგებდა, ვთქვათ, წყვეტდა დავას სოფლელთა შორის, თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია ჰქონდა, აჩუმებდა. ხოლო ლატაკთ ტუქსავდა და ხელსაც უმართავდა.

კვირაში ორჯერ როუზინგში სადილობდნენ ლედი ქეთრინთან და ძირითადად ბანქოს თამაშით ერთობოდნენ. ელიზაბეთი თავს ძალზე კომფორტულად გრძნობდა, რადგან ქოლინზი მშვიდი, წყნარი ცხოვრების მომხრე იყო. ელიზაბეთს შარლოტასთან საუბარი სიამოვნებდა და რადგან ამინდიც მშვენიერი იყო წლის ამ დროისთვის, ხშირად სეირნობდა კიდეც. მარტო სეირნობა უყვარდა. ერთი მშვენიერი ხეივანი აირჩია, რომელიც ისე იყო ხეებით გარშემორტყმული, რომ იქ მოსეირნეს ლედი ქეთრინი თვალს ვერ მიაწვდენდა. ამიტომ ის ბილიკი აირჩია და იქ სეირნობდა მაშინ, როცა დანარჩენები ლედის სტუმრობდნენ.

ორი კვირა გავიდა. აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა. ელიზაბეთმა შეიტყო, რომ ლედი ქეთრინს მალე დისწული, მისტერ დარსი ესტუმრებოდა. ეს ახარებდა ელიზაბეთს, რადგან მალე დაინახავდა, თუ რა უმწეოდ ცდილობდა მის ბინგლი დარსის გულის მონადირებას. ალბათ ლედი ქეთრინის სურვილით ირთავდა თავის დეიდაშვილს. ლედი ქეთრინი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა თავის დისწულზე და გაბრაზდა კიდეც, როცა გაიგო, რომ შარლოტა და ელიზაბეთი უკვე იცნობდნენ დარსის.

მისი ჩამოსვლის შესახებ მისტერ ქოლინზმაც იცოდა და დარსის შესაგებებლად დილითვე გაემურა, მერე კი გახარებული დაბრუნდა შინ დიდებული ამბის მისატანად. მეორე დილით

როუზინგში წავიდა დარსის თაყვანსაცემად. ლედი ქეთრინს დარსის გარდა მმისწვილიც ეწვია პოლკოვნიკი ფიცუილიამი, ლედის ძმის, ლორდის უმცროსი ვაჟი. მისტერ ქოლინზი რომ სახლში დაბრუნდა, დარსი და პოლკოვნიკიც თან ახლდნენ. ქოლინზმა ისინი მისაღებში შეიპატიჟა. შარლოტამ ამის შესახებ გოგონებს აცნობა და დაამატა:

–გმადლობთ, ელიზა, იმისთვის, რომ მისტერ დარსი ალბათ თქვენ გამო გვესტუმრა ასე უცებ.

ელიზაზეთმა უარის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ოთახში სამივე ჯენტლმენი შემოვიდა. პოლკოვნიკი ფიცუილიამი ოცდაათი წლის იყო. კარგი გარეგნობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ქცევით კი ნამდვილი ჯენტლმენი გახლდათ. მისტერ დარსი არ შეცვლილიყო.

თავაზიან კომპლიმენტებს არ იშურებდა შარლოტასადმი და ელიზაზეთსაც პატივისცემით შეხვდა. ელიზაზეთი რევერანსით მიესალმა ისე, რომ სიტყვა არ უთქვამს.

პოლკოვნიკი ფიცუილიამი თავისუფლად და სასიამოვნოდ საუბრობდა. დარსი კი დაჯდა და ხმა არ ამოუღია. ბოლოს თავაზიანად გამოჰკითხა ელიზაზეთს ოჯახის შესახებ. ელიზაზეთმაც ასევე თავაზიანად უპასუხა და მერე დაამატა:

–ჩემი უფროსი და უკვე სამი თვეა ლონდონშია. ხომ არ გინახავთ?

ელიზაზეთმა მშვენივრად იცოდა, რომ დარსის ჯეინი არ უნახავს, მაგრამ მისი გამომეტყველებიდან სურდა შეეტყო, სინამდვილეში რა ხდებოდა. დარსი მართლაც ცოტა დაიბნა და მერე უთხრა, მის ბენეტთან შეხვედრის ბედნიერება არ მქონიაო. ამის შემდეგ ჯენტლმენები მასპინძლებს გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

თავი ოცდამეთერთმეტე

პოლკოვნიკი ფიცუილიამი ყველას მოეწონა, განსაკუთრებით ქალბატონებს, რომელთათვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა მასთან ერთად დროის გატარება. ქოლინზები აღდგომის დღესასწაულზე მიიწვიეს როუზინგში. მაგრამ მანამდე პოლკოვნიკი რამდენჯერმე ესტუმრათ. დარსის კი მხოლოდ ტაძარში ხვდებოდნენ.

დათქმულ დღეს ლედი ქეთრინს ეწვივნენ. ლედიმ ისინი თავაზიანად მიიღო, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა ამათხე ღირსეული მეზობელი არ ჰყავდა, გამუდმებით ესაუბრებოდა დარსის.

პოლკოვნიკ ფიცუილიამს გაუხარდა სტუმრების დანახვა. განსაკუთრებით ლიზი მოეწონა. გვერდით მიუჯდა და ესაუბრებოდა კენტსა და ჰართფორდშირზე, წიგნებზე, მუსიკაზე. ისე, რომ ელიზაზეთი ძალიან გაერთო. ისეთი აღტაცებით საუბრობდნენ, რომ თავად ლედი

ქეთრინისა და დარსის ყურადღებაც კი მიიქცევს. დარსი ცნობისმოყვარეობით უყურებდა, ხოლო ლედი ქეთრინი არ მორიდებია, რომ წამოეძახა:

–რაზე საუბრობთ, ფიცუილიამ, რას უყვებით მის ბენეტს, მეც გამაგონეთ.

–მუსიკაზე ვსაუბრობთ, მისის, – უპასუხა ფიცუილიამმა, რადგან იცოდა, პასუხს თავს ვერ აარილებდა.

–მუსიკაზე? მაშინ, გთხოვ, ხმამაღლა ისაუბრე. მუსიკა ძალიან მიყვარს. ამიტომ მეც უნდა გავიგონო. ინგლისში ალბათ ცოტა ადამიანია, ვისაც ჩემსავით უყვარს მუსიკა ან ჩემისთანა გემოვნებიანია ამ საკითხში. რომ მესწავლა, ალბათ ახლა დიდი მუსიკოსი ვიქნებოდი. ჩემი ქალიშვილიც დიდი მუსიკოსი გამოვიდოდა, ჯანმრთელობა ხელს რომ არ უშლიდეს, მაგრამ მაინც მშვენივრად უკრავს. დარსი, ჯორჯიანა დაეუფლა თუ არა ინსტრუმენტს?

ამაზე დარსიმ უპასუხა, ჩემი და ნამდვილი პროფესიონალიაო.

–მიხარია, – თქვა ლედი ქეთრინმა, ჩემგან გადაეცი, ბევრი იმეცადინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულყოფილებას ვერ მიაღწევს.

–გარწმუნებთ, ჯორჯიანას ამის შეხსენება არ სჭირდება, რადგან სულ ინსტრუმენტთან ზის.

ასე ჯობია! მე ხშირად ვეუბნები ქალიშვილებს, რომ მუდმივი წვრთნა აუცილებელია. მის ბენეტსაც ვუთხარი, ბევრი უნდა იმეცადინოს, კარგად რომ დაუკრავს. მისის ქოლინზს ინსტრუმენტი არა აქვს, მაგრამ შეუძლია ჩემი ფორტეპიანო გამოიყენოს და ყოველდღე მოვიდეს როუზინგში. მისის ჯერკინსონის ოთახში იმეცადინებს. იქ კი ხელს არავის შეუშლის.

მისტერ დარსის შერცხვა დეიდის ასეთი არათავაზიანი ლაპარაკი და ხმა არ ამოუღია. ყავის სმა რომ დაამთავრეს, პოლკოვნიკმა ელიზაბეთს შეახსენა, ხომ დამპირდით, დაუკრავდითო და ელიზაბეთიც ინსტრუმენტს მიუჯდა. პოლკოვნიკმა სკამი მისკენ მისწია. ლედი ქეთრინმა ნახევარ სიმღერას მოუსმინა და შემდეგ დისშვილთან საუბარი გააბა. მაგრამ დარსი დეიდას თავაზიანად გაეცალა, ფორტეპიანოსთან მივიდა და ელიზაბეთის წინ ისე დადგა, რომ მისი სახისთვის შეეხედა. ელიზაბეთი მიხვდა დარსის საქციელს და წარბაზიდულს ღიმილით უთხრა:

–მაშინებთ, მისტერ დარსი, თუმცა არ შევშინდები. მიუხედავად იმისა, რომ თქვენი და შესანიშნავად უკრავს. სიჯიუტე არ მაძლევს უფლებას, შემეშინდეს, რაოდენ დიდი სურვილიც უნდა ჰქონდეს ვინმეს. პირუკუ ხდება. ვინმე რომ ჩემს შეშინებას ცდილობს, მხნეობა მემატება.

–მართალი ხართ, – მიუგო დარსიმ, – მაგრამ ასეთი რამ არც კი მიცდია. საკმაო ხანია გიცნობთ და ვიცი, რომ რაც თქვით, ასე ნამდვილად არ ფიქრობთ.

ელიზაბეთს გულიანად გაეცინა და პოლკოვნიკ ფიცუილიამს უთხრა:

–თქვენი ბიძაშვილი კარგად დაგმომდღვრავთ ჩემ შესახებ და გასწავლით, რომ ჩემი ერთი სიტყვაც არ დაიჯეროთ. მე არ გამიმართლა, რომ შევხვდი ადამიანს, რომელსაც შეუძლია ჩემი ნამდვილი სახე გამოამზეუროს იმ სამყაროში, სადაც იმედი მქონდა, წარმატებას მივალწევდი. მისტერ დარსი, თქვენ ბოროტად მოიქეცით, რომ ახსენეთ ყოველივე ის, რაც ჩემზე იცოდით. ეს ერთგვარ მხნეობას მმატებს, რათა საპასუხო იერიშზე გადმოვიდე და ისეთი რამეები ვთქვა თქვენ შესახებ, თქვენი ნათესავები შოკში ჩავარდებიან.

–მე არ მეშინია თქვენი, – თქვა დარსიმ ღიმილით.

–გთხოვთ, მის ბენეტ, თქვით, მასზე რა იცით. მსურს ვიცოდე, უცხო ხალხთან როგორ იქცევა, – თქვა პოლკოვნიკმა.

–მაშინ მოისმენთ. თუმცა გაფრთხილებთ, რომ ცუდის მოსასმენად უნდა მოემზადოთ. პირველად დარსის ჰართფორდშირში, მეჯლისზე შევხვდი. იცით რა გააკეთა? მხოლოდ ოთხჯერ იცეკვა. მიუხედავად იმისა, რომ იმ წვეულებაზე ცოტა ჯენტლმენი იყო. ქალიშვილები კი ისხდნენ და პარტნიორს ელოდნენ. მისტერ დარსი, ნუთუ ამას უარყოფთ?

–მე მაშინ არც ერთ ქალიშვილს არ ვიცნობდი.

–ჰოდა, რა თქმა უნდა, არც გაცნობა შეგეძლოთ. პოლკოვნიკო ფიცუილიამ, რა დავუკრა? ჩემი თითები თქვენს ბრძანებას ელოდებიან.

–ალბათ უმჯობესი იყო, მართლაც გამეცნო ვინმე, მაგრამ უცხო ადამიანების გაცნობა არ მეხერხება.

–მოდით, თქვენს მამიდაშვილს ამის მიზეზი ვკითხოთ, მიმართა ელიზაბეთმა პოლკოვნიკს, რატომ არ შეუძლია განათლებულ, გონიერ კაცს ვინმეს გაცნობა?

–მე გიპასუხებთ, თქვა ფიცუილიამ ისე, რომ დარსისკენ არც გაუხედავს, უბრალოდ, თავის შეწუხება არ სურს.

–არა, ნამდვილად არ მაქვს იმის ნიჭი, – თქვა დარსიმ, – თავისუფლად ვესაუბრო უცნობს. მე მათ ვერ ვუგებ და მათი ინტერესის საგანი არ მიზიდავს.

–ჩემი თითები პროფესიონალურად არ მოძრაობენ ამ ინსტრუმენტზე და კარგადაც ვერ უკრავენ, მაგრამ ჩემი ბრალია, რადგან თავს არ ვიწუხებ მეცადინეობით. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, ჩემს თითებს პროფესიონალურად მოძრაობა არ ძალუძთ, – თქვა ელიზაბეთმა.

დარსიმ გაიღიმა და უთხრა:

–სრულიად მართალი ხართ, მაგრამ თქვენ ხომ ჩვენთვის უკრავთ და არა უცხოთათვის. ჩვენ კი ამაზე მეტს არ ვითხოვთ.

ამ დროს საუბარი ლედი ქეთრინმა შეაწყვეტინა. უბრძანა, მეც გამაგებინეთ, რაზე მსჯელობთ. ელიზაბეთმა ისევ დაკვრა დაიწყო. ლედი ქეთრინი ინსტრუმენტთან მივიდა, ცოტა ხანს უსმინა და მერე დარსის უთხრა:

-მის ბენეტი რომ მეტს მეცადინეობდეს და ლონდონელი მასწავლებელი ჰყავდეს, ასე არ დაუკრავდა. თითებს ლამაზად ამოდრავებს, მაგრამ გემოვნებით ჩემს ქალიშვილს ვერ შეედრება. ენი ვირტუოზი იქნებოდა, ხელს სუსტი ჯანმრთელობა რომ არ უშლიდეს.

ელიზაბეთმა დარსის შეხედა, როცა ეს უკანასკნელი გულითადად დაეთანხმა ლედი ქეთრინს, დეიდაშვილი რომ შეუქო. თუმცა სიყვარულის ნიშანწყალიც კი ვერ აღმოაჩინა. ელიზაბეთი მიხვდა, დარსის დეიდაშვილი ენის მაგივრად მის ბინგლი რომ ყოფილიყო, დარსი მის შერთვას დააპირებდა. ლედი ქეთრინი კვლავ საუბრობდა ელიზაბეთის შესრულების მანერასა და გემოვნებაზე. ელიზაბეთი თავაზიანად უსმენდა და ჯენტლმენტა თხოვნით ფორტუპიანოსთან დარჩა მანამდე, სანამ სახლში წასვლის დრო არ მოვიდა.

თავი ოცდამეთორმეტე

მეორე დილით ელიზაბეთი წერილს სწერდა ჯეინს. მისის ქოლინზი და მარია სოფელში რაღაც საქმეზე იყვნენ წასული. კარზე ვიღაცამ დარეკა. ელიზაბეთი შეკრთა. ამკარად სტუმარი იყო, მაგრამ ეტლის ხმა არ გაუგონია. იფიქრა, ალბათ ლედი ქეთრინიაო და წერილი გადამალა, რომ ლედის უტიფარი კითხვებისთვის თავი აერიდებინა. კარი რომ გააღო, გაოგნდა: კართან მხოლოდ მისტერ დარსი იდგა. იგი ოთახში შემოვიდა.

ისიც გაოცებული იყო, რომ ელიზაბეთი მარტო დახვდა. უთხრა, მეგონა ყველანი შინ იყავითო.

ელიზაბეთმა თავაზიანად გამოჰკითხა, როზინგში როგორ არიანო. მერე უხერხული სიჩუმის თავიდან ასაცილებლად გაიხსენა, ბოლოს როდის ნახა დარსი ჰართფორდშირში და ჰკითხა:

-რა უცებ წახვედით ნეზერფილდიდან, მისტერ დარსი! ალბათ მისტერ ბინგლი გაოცდა კიდევ, ასე მალე რომ გაემგზავრეთ ყველანი.

-დიახ.

ელიზაბეთი მიხვდა, დარსი მეტს არაფერს იტყოდა და მცირე პაუზის შემდეგ დაამატა:

-ვფიქრობ, მისტერ ბინგლის არ სურს ნეზერფილდში დაბრუნება, არა?

-არა მგონია, ასე იყოს. თუმცა, ალბათ, ამიერიდან იქ მცირე დროს გაატარებს. ბევრი მეგობარი ჰყავს და ძალიან საქმიანია.

-თუ ასე აპირებს, მაშინ სჯობს საერთოდ წავიდეს ნეზერფილდიდან, რადგან მის მაგივრად სხვა ოჯახი მოვა, რომელიც იქ დამკვიდრდება.

-არ გამიკვირდება, თუ მალე გაყიდის.

ელიზაბეთმა არაფერი უთხრა. ეშინოდა ბინგლიზე ლაპარაკის და ახლა დიალოგის გაგრძელების ინიციატივა დარსის მიანდო. დარსი მიხვდა და წამოიწყო:

–რა კარგი სახლი აქვს მისტერ ქოლინზს. ალბათ ლედი ქეთრინი დაეხმარა, რომ ასე კარგად მოეწყო.

–დიახ და დიდსულოვნადაც მოიქცა.

–მისტერ ქოლინზს გაუმართლა, რომ ასეთი მეუღლე შეხვდა.

–დიახ, ძალიან გაუმართლა, რომ შარლოტა ცოლად გაჰყვა და გააბედნიერა. შარლოტა გონიერი ქალია, თუმცა არ მივიჩნევ, რომ მისტერ ქოლინზის ცოლობა ძალიან გონივრული საქციელი იყო, მაგრამ, ეტყობა, ბედნიერია და ეს ქორწინება მისთვის ხელსაყრელია.

–ძალიან სასიხარულოა, რომ ასე ახლოა თავის ოჯახთან და მეგობრებთან.

–არც ისე ახლოა, ორმოცდაათი მილი მაინც იქნება.

–ორმოცდაათი მილი სულაც არაფერია, თუ გზა კარგია. ნახევარი დღის სავალია. ჩემთვის ახლოა.

–მე კი ასე არ ვფიქრობ. თანაც, ქორწინების უპირატესობად მანძილს ვერ მივიჩნევ.

–თქვენ ისე გიყვართ ჰართფორდშირი, რომ ოდნავი მანძილიც კი შორს გეჩვენებათ.

დარსიმ ოდნავ გაიღიმა. ელიზაბეთმა იფიქრა, ალბათ ფიქრობს, ისევ ჯეინსა და ნეზერფილდზე ვდელავო. ამიტომ გაწითლდა და დარსის უთხრა:

–საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ქალი ოჯახთან ახლოს გათხოვდეს. საერთოდ შორს და ახლოს შედარებითი ცნებებია და გარემოებაზეა დამოკიდებული. თუ ბედნიერი ხარ, დიდ მანძილსაც ისე გაივლი, თითქოს მეზობელთან გადახვედი. მაგრამ მისტერ და მისის ქოლინზებს არცთუ ისე დიდი შემოსავალი აქვთ, რომ ხშირად იმგზავრონ. ამიტომ ეს მანძილი შარლოტასთვის მეტისმეტად დიდია.

მისტერ დარსიმ სკამი ოდნავ მისწია ელიზაბეთისკენ და უთხრა:

–ასე ძალიან არ უნდა მიეჯაჭვოთ ლონგბერნს. სულ იქ ყოფნა ხომ არ მოგიწევთ.

ელიზაბეთს გაუკვირდა დარსის ნათქვამი. დარსიმ სკამი ისევ უკან დასწია, მაგიდიდან გაზეთი აიღო და ცოტა ცივად უთხრა:

–კენტი მოგწონთ, არა?

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს და მათ საუბარს წერტილი შარლოტას მოსვლამ დაუსვა. შარლოტას გაუკვირდა დარსის მოსვლა, რომელმაც ბოდიში მოუხადა, არ ვიცოდი, თუ მის ბენეტი მარტო იყო, დაემშვიდობა და წავიდა.

-ეს რას ნიშნავს, ლიზი, მგონი, დარსის უყვარხარ, თორემ ასე შინაურივით არ მოვიდოდა,
-უთხრა შარლოტამ.

ელიზაბეთმა შარლოტა დაარწმუნა, ასე არ არისო. ალბათ იმიტომ მოვიდა, წლის ამ დროს ვერაფრით გაერთო. მდელოს სპორტის დრო არ იყო. სახლში კი ლედი ქეთრინი, წიგნები და ბილიარდის მაგიდა ხვდებოდა. კაცებს ხომ გარეთ გასვლა უყვართ. ამიტომ ორივე ჯენტლმენი ყოველდღე მოდიოდა მათთან. დილით მოდიოდნენ ხოლმე, ხან ერთად, ხან ცალცალკე. ზოგჯერ ლედი ქეთრინიც ახლდათ. პოლკოვნიკ ფიცუილიამს ძალიან სიამოვნებდა მათთან მოსვლა. ის და ელიზაბეთი კარგად უგებდნენ ერთმანეთს და როცა ვიკჰემს შეადარა, ელიზაბეთი მიხვდა, რომ პოლკოვნიკი ნაკლებმომხიბლავი, მაგრამ უფრო განათლებული იყო.

მაგრამ მისტერ დარსი რატომ დადიოდა მათთან ასე ხშირად? ელიზაბეთს ეს არ ესმოდა. სასაუბროდ არ მოდიოდა, რადგან დაჯდებოდა თუ არა, თითქმის ხმას არ იღებდა და როცა რამეს იტყოდა, ის აუცილებლობით იყო გამოწვეული და არა სურვილით. აღტაცებით არ ლაპარაკობდა. შარლოტა დააბნია მისმა საქციელმა. ფიქრობდა, დარსის ლიზი უყვარდა. ამიტომ დარსის აკვირდებოდა, თუმცა ვერაფერი შენიშნა. მართალია, დარსის თვალები ლიზისკენ ხშირად იყო მიმართული, მაგრამ თვალთა გამომეტყველებით ბევრს ვერაფერს მიხვდა. ეს იყო პირდაპირი, პატიოსანი მზერა, მაგრამ სიყვარულზე მიანიშნებდა თუ არა, ამის მიხვედრა ძნელი იყო. ზოგჯერ შარლოტას ეჩვენებოდა, რომ ასეთი მზერის დროს დარსი საერთოდ არ ფიქრობდა.

ერთ-იორჯერ უთხრა კიდეც ელიზაბეთს ამის შესახებ, რაც ამ უკანასკნელს სიცილიად არ ეყო. არც შარლოტას გაუგრძელებია ამ თემაზე საუბარი, რომ ამით მეგობრის მოლოდინი არ გამოეწვია, რაც შემდეგ, შესაძლოა, იმედგაცრუებით დამთავრებულიყო. როგორც კი ელიზაბეთი იგრძნობს, რომ დარსის უყვარს, მისი ანტიპათიაც ამ ჯენტლმენისადმი უმაღლესად გაქრება.

ზოგჯერ შარლოტას სურდა, ლიზი ფიცუილიამს გაჰყოლოდა ცოლად. ის ხომ შესანიშნავი პიროვნება იყო. ეტყობოდა, ლიზი მოსწონდა. თანაც, შეემლო სიმდიდრითაც დაეკვებნა. თუმცა მისტერ დარსის ამ მხრივ მაინც ვერ გაუტოლდებოდა.

თავი ოცდამეცამეტე

ელიზაბეთი პარკში სეირნობისას არაერთხელ შეხვდა დარსის, რაც ნამდვილად არ ესიამოვნა და სურდა თავი აერიდებინა ასეთი შემთხვევისთვის. უთხრა კიდეც, მარტო სეირნობა მიყვარსო. მაგრამ შეხვედრა მისდა გასაოცრად კვლავ არაერთხელ განმეორდა. დარსი არა მარტო მოიკითხავდა ხოლმე ელიზაბეთს, არამედ გზას მასთან ერთად აგრძელებდა. დარსი სიტყვაძვირი იყო. მაინცდამაინც არც ლიზის გამოუდვია თავი

ლაპარაკით, თუმცა დარსის კითხვებმა დააბნიეს. ჰანსფორდში ყოფნა თუ მოგწონთო, ჰკითხა. მერე ქოლინზების ოჯახურ ბედნიერებაზეც ალაპარაკდა. მერე ისიც უთხრა, აწი რომ ჩამოხვალთ კენტში, როზინგშიც დარჩითო. ალბათ მხედველობაში ფიცუილიამი ჰყავდა. ლიზიმ თავი უხერხულად იგრძნო და აჩქარდა, რომ თავი დაეხსნა მისგან.

ერთ დღეს ელიზაბეთი სეირნობდა და თან ჯეინის წერილზე ფიქრობდა, რომ უცებ გზად პოლკოვნიკი შეხვდა. ელიზაბეთმა ღიმილი მიაგება და უთხრა:

–არ ვიცოდი, აქ თუ სეირნობდით.

–ყოველ წელიწადს მთელ პარკში ვსეირნობ და შემდეგ პასტორს ვეწვევი ხოლმე. თქვენ საით მიდიხართ?

–ახლა ვაპირებდი უკან დაბრუნებას.

მობრუნდნენ და სახლისკენ გაემართნენ.

–შაბათს მიემგზავრებით? – ჰკითხა ელიზაბეთმა.

–დიახ, თუ დარსი ისევ არ გადადებს გამგზავრებას. მე კი მის განკარგულებაში ვარ.

–არჩევნის თავისუფლება სიამოვნებს მისტერ დარსის. არც მინახავს ვინმე, მასავით უხაროდეს ის, რომ რაც უნდა, იმას აკეთებს.

–დიახ, ასეა, – უთხრა ფიცუილიამმა, თუმცა ჩვენ ყველას გვსიამოვნებს ასეთი რამ. მხოლოდ ეგ არის, დარსი ძალიან მდიდარია და უფრო მეტად შეუძლია არჩევნის თავისუფლებით დატკბეს, ვიდრე სხვებს, რომლებიც მასთან შედარებით ღარიბები არიან. აი, უმცროსი ვაჟები კი უფრო დამოკიდებულნი არიან.

–ჩემი აზრით, გრაფის უმცროს ვაჟს მაგის არაფერი გაეგება. თქვენ რა იცით დამოკიდებულების შესახებ. როდის დაგიშალეს ფულის ან რაიმეს ქონა, რაც გასურდათ?

–არა მგონია, მსგავსი რამ განმეცადოს, თუ იშვიათად ფულის ნაკლებობას არ ჩავთვლით და გარდა ამისა, უმცროსი ვაჟი თავისი სურვილით ვერ დაქორწინდება.

–თუ მდიდარი ქალის შერთვას არ მოიწადინებს, რასაც ისინი ხშირად აკეთებენ.

–ფულის სიყვარული დამოკიდებულს გვხდის და ამიტომ ფულს ყურადღებას ვაქცევთ, როცა ვქორწინდებით.

ალბათ ეს ნათქვამი მე მეხებაო, გაიფიქრა ელიზაბეთმა და გაწითლდა. მერე კი მხიარული ხმით ჰკითხა:

–გთხოვთ, მითხარით, რა ღირს გრაფის ვაჟი? თუ უფროსი ძმა ავადმყოფი არ არის, მაშინ ორმოცდაათ ათას გირვანქაზე მეტი არ უნდა მოითხოვო, არა?

ფიცუილიამმაც ასევე ხუმრობით უპასუხა და ამ თემაზე საუბარი შეწყდა. უხერხული დუმილი რომ არ ჩამოვარდნილიყო, ელიზაბეთმა თქვა:

– ვფიქრობ, თქვენმა ბიძაშვილმა აქ იმისთვის ჩამოგიყვანათ, რომ ვინმე მისი რჩევით შეერთოთ. თავად კი დაქორწინებას აყოვნებს. ალბათ მალე მისი და გათხოვდება. დარსი ხომ მასზე ზრუნავს და გოგონაც მისი სურვილის მიხედვით მოიქცევა.

– არა, დარსი და მე ერთად ვზრუნავთ ჯორჯიანაზე.

– მართლა? მითხარით, მის დარსი გიჯერებთ? მისი ასაკის გოგონები ზოგჯერ ძნელი სამართავები არიან და თუ ჯორჯიანა მმას ჰგავს ხასიათით, მაშინ იმას გააკეთებს, რაც თავად სურს.

ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ ფიცუილიამი სერიოზული სახით უყურებდა. მერე ჰკითხა კიდევ, რატომ გგონიათ, რომ მის დარსი ასე იქცევაო და დაუმატა, ისე, რაც თქვით, მეტ-ნაკლებად სიმართლეაო. ამაზე ელიზაბეთმა უპასუხა:

– ნუ შეშინდებით. მსმენია, რომ კარგი და დამჯერი გოგონაა. მისის ჰერსტი და მის ბინგლი აღმერთებენ. მგონი იცნობთ მათ.

– მის მმას ვიცნობ, დარსის მეგობარია.

– დიახ, დიახ, მისტერ დარსი საოცარ მზრუნველობას იჩენს მისტერ ბინგლისადმი.

– ნამდვილად ასეა. აქ რომ მოვემგზავრებოდით, დარსიმ რაღაც მიაძო და ვფიქრობ, ბინგლი მისი მადლიერი უნდა იყოს, თუმცა დარსის ბინგლი არ უხსენებია და არ ვიცი, ეს ბინგლის ეხება თუ არა.

– რა გიამბოთ?

– გათხოვთ, მის ბენეტ, ეს ამბავი არავინ უნდა გაიგოს, რადგან თუ ლედი ქეთრინის ყურამდე მივიდა, ძალიან არ ესიამოვნება.

– შიში ნუ გაქვთ. ვერავინ გაიგებს.

– და იცოდეთ, რომ არ ვიცი, დარსიმ ბინგლი იგულისხმა თუ არა. ასე მითხრა, ერთი ჩემი მეგობარი ვიხსენი, რომ სულელურ ქორწინებაში თავი არ გაეყო.

– და ხელი რატომ შეუშალა, არ გითხრათ?

– მგონი ლედი ქეთრინი იყო წინააღმდეგი.

– და როგორ დააშორა ერთმანეთს?

– ეს არ უთქვამს. უბრალოდ, ასე მითხრა.

ელიზაბეთს გული აუდუღდა. ფიცუილიამმა ჩაფიქრების მიზეზი ჰკითხა.

–თქვენი ბიძაშვილის საქციელი არ მომეწონა. რა უფლებით მოიქცა მოსამართლესავით?

–ან არამკითხესავით, არა?

–რა უფლებით ჩაერია მეგობრის პირად გრძნობებში. იქნებ მისი მეგობარი ბედნიერი იყო, ელიზაბეთს არ უნდოდა თავი გაეცა და ცოტა ხნის შემდეგ თქვა თუმცა ჩვენ ხომ არ ვიცით, სინამდვილეში რა მოხდა, ამიტომ ნუ განვსჯით მისტერ დარსის. ალბათ იმ წყვილს ერთმანეთი არცთუ ძალიან უყვარდა.

–ბუნებრივი ვარაუდია, თუმცა ჩემს ბიძაშვილს მაინც ვერ ამართლებს.

ეს ხუმრობით თქვა ფიცუილიამმა. თუმცა დარსის ისეთი ნამდვილი სურათი წარმოჩნდა, რომ ელიზაბეთს არ სურდა ამაზე საუბარი, ვაითუ რამე წამომცდესო და თემა შეცვალა.

ამასობაში პასტორის სახლს მიადგნენ. ელიზაბეთი თავის ოთახში ჩაიკეტა და დიდხანს ფიქრობდა იმაზე, რაც ფიცუილიამისგან მოისმინა. ნამდვილად ბინგლი იქნებოდა, რადგან დარსის მასზე ძალიან დიდი გავლენა აქვს. შეუძლებელია სხვა იყოს. არადა მის ბინგლი ეგონა ყველაფერში დამნაშავე. თურმე ამ ამაყ, ქედმაღალ დარსის ჩაუდენია ეს ყოველივე, რის გამოც ჯეინი ასე დაიტანჯა. სწორედ დარსიმ წაართვა ჯეინის კეთილ, სიყვარულით სავსე გულს ყოველგვარი იმედი ბედნიერებისა და არავინ იცის, აწი კიდევ რამდენ ბოროტებას ჩაიდენს.

ალბათ ლედი ქეთრინი წინააღმდეგი იყო ჯეინის ბიძების გამო: ერთი ბიძა გამომძიებელი, ხოლო მეორე ბიზნესმენი იყო ლონდონში.

–მაგრამ თავად ჯეინის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონოდა. სრულქმნილი ანგელოზია! – წამოიძახა ელიზაბეთმა, – მამაჩემიც ისეთი საპატიო პიროვნებაა, რომ ასეთ პატივს დარსი ვერასოდეს ეღივებდა.

ელიზაბეთს დედა გაახსენდა და ამან ცოტა უხერხულობა მოჰგვარა. სხვა მნიშვნელოვანი მიზეზი არ არსებობს. უბრალოდ, ამაყ დარსის სურდა, მის მეგობარს ღირსეული კი არა, გავლენიანი ნათესავები შეეძინა. სიამაყე მართავს და კიდევ სურვილი იმისა, რომ მისტერ ბინგლი თავისი დისთვის შემოინახოს.

ელიზაბეთს თავი ასტკივდა ამდენი მღელვარებისა და ცრემლისგან. გადაწყვიტა როუზინგში აღარ წასულიყო. მისის ქოლინზმა შეამჩნია, რომ ლიზი მართლაც ცუდად იყო, ამიტომ წასვლა არ დააძალა. მისტერ ქოლინზი მაინც იმაზე წუხდა, ლედი ქეთრინს ეწყინება, სახლში რომ დარჩითო.

თავი ოცდამეთოთხმეტე

ქოლინზები რომ წავიდნენ, ელიზაბეთმა გადაწყვიტა ჯეინის ყველა ის წერილი გადაეკითხა, რომელიც კენტში ყოფნისას მიიღო. ჯეინს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია, რომ იტანჯებოდა. თუმცა წერილებს აკლდა ის სიხალისე, ჯეინს რომ ახასიათებდა. დარსიმ უდიდესი ცოდვა ჩაიდინა და ჩადენილით ამაყოფს კიდევ, ხოლო ჯეინი ასე იტანჯება. ელიზაბეთი იმედოვნებდა, რომ დარსი მალე გაემგზავრებოდა. ისიც ახარებდა, რომ სულ რამდენიმე დღეში ჯეინს ნახავდა და ამით ატკივებულ გულს დაიამებდა.

დარსისთან ერთად ფიცუილიამიც უნდა წასულიყო. ელიზაბეთისადმი რაიმე განზრახვა არ გამოუხატავს, ამიტომ არც მისი წასვლა ეწყინებოდა.

ამ ფიქრებში გართულს კარზე ზარის ხმა შემოესმა. იფიქრა, ფიცუილიამი მოვიდაო და ცოტა აფორიაქდა. მაგრამ ელიზაბეთი გაოცდა, როცა კართან დარსი იდგა. იგი ოთახში შემოვიდა, ელიზაბეთი მოიკითხა და უთხრა, სწორედ იმისთვის შემოვიარე, გამეგო, როგორ ხართო. ელიზაბეთმა ცივი თავაზიანობით უპასუხა. დარსი ცოტა ხანს დაჯდა, მერე ადგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ელიზაბეთს გაუკვირდა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს. უცებ დარსი მასთან მივიდა და უთხრა:

–სულ ტყუილად ვებრძოდი ჩემს თავს. მაინც არაფერი გამომდის. გრძნობას ვერაფერი მოვუხერხე. ნება მომეცით გითხრათ, რომ ძალიან მიყვარხართ.

ელიზაბეთის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. დარსის მიაშტერდა, გაწითლდა და დამუნჯდა. ამან დარსის მხნეობა შემატა და გულში დაგროვილი გრძნობა მდინარესავით გადმოედინა. კარგად ლაპარაკობდა. თუმცა არც სიამაყე დავიწყებია. ელიზაბეთის დაბალი წარმომავლობაც ახსენა და ოჯახიც, რომელიც დაბრკოლება იყო მისთვის, რომ არა ეს ძლიერი გრძნობა.

მიუხედავად იმისა, რომ დარსი არ მოსწონდა, ელიზაბეთს არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო იმისადმი, რაც ამ კაცმა უთხრა. შეეცადა კიდევ, თუმცა ბრაზმა თანაგრძნობა გაუქარწყლა. გადაწყვიტა, დალოდებოდა, როცა დარსი ლაპარაკს დაამთავრებდა და მერე უკლებლივ ყველაფერი ეთქვა მისთვის. დარსიმ სიტყვა იმით დაასრულა, რომ ელიზაბეთს უთხრა: ჩემი გრძნობა იმდენად ძლიერია, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვერიე და იმედია, ჩემს წინადადებას მიიღებთო. ეს რომ თქვა დარსიმ, ელიზაბეთმა შეამჩნია, მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ დადებით პასუხს მიიღებდა. გრძნობაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სახეზე გარანტირებული გამარჯვება ეწერა. ამან ელიზაბეთი კიდევ უფრო გააღიზიანა და როცა დარსი ლაპარაკს მორჩა, ლოყებაწითლებულმა უთხრა:

–ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მაღლიერების გამოხატვაა მიზანშეწონილი. მე რომ თქვენდამი მაღლიერებას ვგრძნობდე, მაშინ მაღლობას გეტყოდით, მაგრამ არ ვგრძნობ და არც არასოდეს მსურდა თქვენი კეთილგანწყობა მომეპოვებინა. ვწუხვარ, რომ ტკივილს მოგაყენებთ. თუმცა დიდხანს არ გასტანს და ამის შემდეგ გრძნობასაც ალბათ ადვილად მოერევი.

მისტერ დარსი არა მარტო გაოგნებული იყო, არამედ სიბრაზისგან გაფითრდა. ცდილობდა, არ შეემჩნია, ამიტომ დუმდა. ელიზაბეთისთვის ეს დუმილი აუტანელი იყო. ბოლოს დარსიმ ნამალადევი სიმშვიდით თქვა:

–და სულ ეს არის, მის ბენეტ? გთხოვდით აგეხსნათ, რატომ უარყოფთ, თუმცა აზრი არა აქვს.

–მე კი გთხოვდით, აგეხსნათ: თქვენ, რომელსაც ასე დიდი სურვილი გქონდათ დაგემცირებინეთ, მეუბნებით, რომ თქვენი სურვილის მიუხედავად გიყვარვართ? დამცინით? თქვენ ფიქრობთ, რომ ოდესმე შევიყვარებ კაცს, რომელმაც ჩემს საყვარელ დას ბედნიერება წაართვა?

დარსი შეკრთა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ელიზაბეთმა განაგრძო:

–თქვენ ბოროტი ხართ იმის გამო, რაც ჩაიდინეთ და თქვენს საქციელს ვერაფერი გაამართლებს. სწორედ თქვენ დააშორეთ ისინი ერთმანეთს. ერთიც გააუბედურეთ და მეორესაც იმედი მოუსპეთ. ელიზაბეთი წამით გაჩუმდა და დარსის შეხედა, რომლის სახეზე სინდისის ქენჯნის ნიშანიც ვერ შეამჩნია. პირიქით, დარსი ისეთი ღიმილით მისჩერებოდა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო. - თქვენ უარყოფთ, რომ ეს ჩაიდინეთ?

დარსიმ მშვიდად უპასუხა:

–მე არ უარყოფ, რომ ჩემი მეგობარი და თქვენი და ერთმანეთს დავაშორე. ვამაყობ კიდეც ამით. ბინგლისადმი უფრო კეთილი აღმოვჩნდი, ვიდრე საკუთარი თავის მიმართ.

–მაგრამ მარტო ამის გამო არ მძულხართ. დიდი ხანია გიცნობთ და თქვენი ხასიათი კარგად გამოჩნდა იმაში, რაც მისტერ ვიკჰემმა თქვენ შესახებ მაცნობა. ამაზე რას იტყვით, თავს როგორ იმართლებთ?

–ძალიან კი შეგტკივათ გული იმ ვიკჰემზე, - წყენა ვერ დამალა დარსიმ.

–რა უბედურებაც დაატეხეთ თავს, გული როგორ არ შემტკიოდეს.

–დიახ, მართლაც დიდი უბედურება დაატყდა! – თქვა დარსიმ ზიზლით.

–და სიღარიბეშიც თქვენ ჩააგდეთ. თქვენ მას ყველა ცხოვრებისეული სიკეთე გამოაცალეთ ხელიდან. თქვენ მას თავისუფლება წაართვით და ახლა დასცინით კიდეც!

–აი, თურმე რა ფიქრები გქონიათ ჩემ შესახებ! აი, თურმე როგორ კაცად მთვლით. გმადლობთ, რომ მითხარით. მაშ, თქვენი აზრით, მე მძიმე ცოდვები მაწევს, არა? თქვენ არც კი მოისურვებთ სიმართლე გცოდნოდეთ, მხოლოდ იმის გამო, რომ თქვენს სიამაყეს ჩემმა საქციელმა ჩრდილიმიაყენა. თქვენდამი ყალბი გრძნობა რომ მქონოდა, მაშინ მაგ ბრალდებასაც იოლად მოვერეოდი. მაგრამ ყოველგვარი სიყალბე მეზიზღება. ამიტომ არ ვნანობ, რომ სიყვარული გაგიმხილეთ. ეს ბუნებრივად მოხდა. თქვენ რა, გეგონათ დაგცინებდით იმის გამო, რომ ღარიბი ხართ? ან იმის გამო, რომ მდაბიო ნათესავები გყავთ?

ელიზაბეთმა იგრძნო, რომ სიბრაზისგან გული აუდუღდა. თუმცა თავშეკავებით უთხრა:

–თქვენ ცდებით, დარსი, თუ ფიქრობთ, რომ თქვენი სიტყვები ჩემზე ოდნავადაც კი იმოქმედებდნენ, უფრო ჯენტლმენურად რომ მოქცეულიყავით...

დარსი შეკრთა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ელიზაბეთმა განაგრძო:

–მაინც არასოდეს დაგთანხმდებოდით ცოლობაზე.

დარსის შეეტყო, რომ ძლიერ გაოცდა. სახეზე ტანჯვა გამოეხატა. არ სჯეროდა, რასაც ისმენდა.

–იმ დღიდანვე, როცა გაგიცანით, განაგრძო ელიზაბეთმა, თქვენმა საქციელმა დამარწმუნა, რომ ამპარტავანი, ქედმაღალი და ეგოისტი ხართ. სხვის გრძნობებს პატივს არ სცემთ. თქვენი გაცნობიდან ერთი თვის შემდეგ მივხვდი, რომ უკანასკნელი მამაკაცი ხართ, ვისთანაც ქორწინებასაც ვისურვებდი.

–თქვენ საკმარისად გამოხატეთ თქვენი სათქმელი, მის ბენეტ. გასაგებია თქვენი განცდები. მაპატიეთ. მართლა სამარცხვინოდ მოვიქეცი თქვენ წინაშე. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ.

ამ სიტყვებით დარსიმ სწრაფად დატოვა ოთახი და წავიდა.

ელიზაბეთმა ისეთი სისუსტე იგრძნო, რომ დარსის წასვლის შემდეგ ნახევარი საათი ტიროდა. გაოცდა, ასეთი რამ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ დარსიმ ცოლობა სთხოვა! თურმე ამდენი ხანია უყვარს! და თანაც ისე ძალიან, რომ მასზე დაქორწინება ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად გადაწყვიტა! ეს ხომ დაუჯერებელია! შეუცნობლად ასეთი ძლიერი გრძნობის შთაგონება სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მის საშინელ სიამაყეს სად წაუხვალ. თანაც რა უსირცხვილოდ აღიარა დანაშაული ჯეინისადმი. ბოდიშიც არ მოიხადა. თუმცა თავი არ გაუმართლებია, რა უგულოდ მოიხსენია ვიკჰემი და არც კი ცდილა, რომ თავი ემართლებინა. ამ ფიქრებმა ელიზაბეთს ის ოდნავი თანაგრძნობაც გაუქარწყლა, რაც დარსის ნათქვამმა წუთით აღუძრა. ამასობაში ქოლინზებიც მოვიდნენ ლედი ქეთრინის ეტლით და ელიზაბეთი მიხვდა, რომ შარლოტას გამოკითხვას ვერ გაუმღებდა და თავის ოთახში ჩაიკეტა.

თავი ოცდამეოთხეუთმეტე

ელიზაბეთს მეორე დილით იმავე ფიქრით დატვირთულს გაეღვიძა. ჯერ კიდევ კარგად ვერ გაეანალიზებინა, რა მოხდა. მხოლოდ ეს ფიქრი უტრიალებდა თავში და საუზმის შემდეგ გასეირნება გადაწყვიტა. სეირნობისას მოაგონდა, მისტერ დარსი რომ ხვდებოდა ხოლმე, ამიტომ პარკში არ შესულა და ხეივანს გაუყვა.

მაგრამ ისეთი მშვენიერი დილა იყო, რომ ელიზაბეთს ცდუნებამ სძლია პარკშიც შეეხედა. ამ ხუთი კვირის განმავლობაში, რაც ელისაბედი კენტში იყო, პარკი გამწვანდა და უფრო დამშვენდა. უცებ ვიღაც ჯენტლმენს მოჰკრა თვალი და იმის შიშით, მისტერ დარსი არ იყოსო, წასვლა დააპირა. მაგრამ ჯენტლმენმა შეამჩნია ელიზაბეთი, მისკენ წამოვიდა და დაუმახა კიდეც. დარსის ხმა იყო. ელიზაბეთს მიუახლოვდა და წერილი გადასცა, რომელიც ქალმა ინსტინქტურად გამოართვა. ხეივანში ვსეირნობდი, რომ თქვენ მენახეთ. გთხოვთ, ეს წერილი წაიკითხოთ, უთხრა ქალს დარსიმ, თავი დაუკრა და გაშორდა.

ელიზაბეთმა ცნობისმოყვარეობით გახსნა წერილი, რომელიც ორი ფურცლისგან შედგებოდა და ნატიფი ხელით დაეწერათ როუზინგში, დილის ათ საათზე. წერილში ეწერა:

„ნუ შეშინდებით, მის ბენეტ. ამ წერილში არ გადმოვაფრქვევ იმ გრძნობას, რამაც გუშინ ზიზღი გამოიწვია თქვენში. გულს არ გატკენტ. ჩემი დიდი სურვილი იყო, დამეწერა წერილი, რომელსაც თქვენ წაიკითხავდით და ამ სურვილს ვერ ვძლიე. მომიტევეთ, რომ ასე ძალიან მსურს, ამ წერილს გაეცნოთ.

თქვენ გუშინ ორი ცოდვა დამაბრალებთ. პირველი იყო ის, რომ მისტერ ბინგლი და თქვენი და, ჯეინი, ერთმანეთს დავაშორე და რომ ცხოვრება დავუნგრეე მისტერ ვიკჰემს, კაცს, რომელიც ჩვენს ოჯახში აღიზარდა. თითქოს მე მას ყველაფერი წავართვი. მაგრამ ამ წერილს რომ წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ ცდებოდით და მე მართალი ვიყავი. აუცილებლად უნდა მოგიყვებოდა ის, რასაც ახლა მოისმენთ და თუ გულს გატკენტ, მაშინ წინასწარ გთხოვთ პატიებას.

ჰართფორდში მივხვდი, რომ ბინგლის თქვენი და შეუყვარდა. შემდეგ ნეზერფილდის მეჯლისმა ეს ეჭვი უფრო განამტკიცა. ადრეც ყოფილა შეყვარებული, თუმცა იმ საღამოს უილიამ ლუკასისგან შევიტყვე, რომ ყველა ბინგლისა და ჯეინის ქორწინებას მოელოდა. სერ უილიამი ამის შესახებ დარწმუნებით ლაპარაკობდა, რომ ისინი აუცილებლად იქორწინებდნენ. იმ წუთიდან ჩემი მეგობრის ქცევას ვაკვირდებოდი და მივხვდი, რომ თქვენი და ძლიერად შეუყვარდა. თქვენი და ბუნებრივად იქცეოდა, ისე, რომ რაიმე მიზანი არ ჰქონია. თითქოს მის გულს გრძნობა არ ეკარებოდა. გარეგნულად ჯეინი მშვიდი და მეგობრული ჩანდა. თუ ამით, რასაც ახლა ვამბობ, გულს გტკენტ ან ვცდები, მომიტევეთ, მაგრამ მე ასე მომეჩვენა, რომ თქვენი და თამაშობდა, თითქოს გულგრილი იყო ბინგლის მიმართ. მე ამ ქორწინების წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ არა მარტო იმის გამო, რომ ჯეინი ღარიბია. ბინგლისთვის ეს ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემთვის. მე ვიგრძენი, რომ ოჯახური მდგომარეობა არაფერია იმასთან შედარებით, რაც დედათქვენს, თქვენს დებსა და მამათქვენსაც კი სურდათ: მდიდარი ქმარი ეშოვათ უფროსი ქალიშვილისთვის. მომიტევეთ, თუ გულს გტკენტ. თუმცა თქვენს ნათესავებზე რომ ვლაპარაკობ, არ შემიდლია თქვენ და თქვენს უფროს დას ხოტბა არ შეგასხათ, რადგან ორივენი ღირსეული და მგრძნობიარე ქალბატონები ხართ. იმ საღამოს მეჯლისის ხსენება შემძულდა და გადავწყვიტე, მეგობარი ამ ქორწინებისგან მეხსნა. ბინგლიმ მეორე დღესვე დატოვა ნეზერფილდი.

ალბათ, გასაგებია, ამ საქმეში რა როლი ვითამაშე ბინგლის დებთან ერთად, რომელთაც ასევე არ სურდათ, ეს ქორწინება შემდგარიყო და ყველანი ლონდონში წავედით. იქ კი ხელი მივყავი იმას, რომ ჩემი მეგობარი დავარწმუნე, ცუდ გზას ადექი-მეთქი. არა მგონია, ამას ბინგლიზე ოდნავადაც ემოქმედა, მისთვის რომ არ მეთქვა, ჯეინს არ უყვარხარ და მხოლოდ შენი გამოყენება უნდამეთქი. ბინგლი მორიდებული კაცია და ძალიან მენდობა. ამიტომ მისი დარწმუნება არ გამჭირვებია. დიდი ხანი დამჭირდა დამეთანხმებინა იმაში, რომ ჰართფორდშირში აღარ დაბრუნებულიყო. თავს არ ვიდანაშაულებ, მაგრამ ჩემი საქციელით არ ვამაყოფ, როცა ბინგლის დავუმალე, რომ ჯეინი ლონდონში იყო. მეშინოდა მათმა ხელახალმა შეხვედრამ ბინგლის არ გადააფიქრებინოს-მეთქი. ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მეგობრისთვის მოვიქეცი ასე. ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით. თუ ჯეინს გული ვატკინე, დამიჯერეთ, ეს შეუგნებლად ჩავიდინე, ამიტომ ვერ განვსჯი ჯეინის საქციელს.

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, რომ ვიკჰემს ცხოვრება დავუნგრე, ამისგან ახლავე თავს ვიმართლებ.

მისტერ ვიკჰემი ერთი ფრიად პატივსაცემი კაცის ვაჟია. მამაჩემმა მამამისს ფემბერლის მამულების მართვა ჩააბარა. ის წლების განმავლობაში ისე ერთგულად ემსახურებოდა მამაჩემს, რომ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მის ვაჟზე, ჯორჯ ვიკჰემზე ეზრუნა, რომელიც ამავედროულად მისი ნათლულიც იყო. მამაჩემმა ვიკჰემი სკოლაში შეიყვანა, შემდეგ კი კემბრიჯის სასწავლებელში უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა. ვიკჰემის მამას ამის საშუალება ცოლის ხუმტურების გამო არ ჰქონდა და შვილს განათლებასვერ მიაღებინებდა, რომ არა მამაჩემი. მამაჩემს შვილივით უყვარდა ვიკჰემი და სურდა, პასტორი გამხდარიყო. მე მრავალი წლის წინ დავრწმუნდი ვიკჰემის სიმუხთლეში. მამაჩემი ამას ვერ ხვდებოდა, მაგრამ ჩემს თვალს არ გამოჰპარვია მისი ბოროტი მიდრეკილებანი. არ გამომპარვია, რადგან ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და მე ვიკჰემს ყოველთვის ვხედავდი, მაშინაც კი, როცა სხვები ვერ ამჩნევდნენ. ალბათ, გულს გტკენთ, მის ბენეტ, ამას რომ გიყვებით, მაგრამ მისი ნამდვილი სახე უნდა დაგანახვოთ.

მამა ხუთი წლის წინ გარდამეცვალა. ანდერძში მამა მთხოვდა, რომ როგორც კი ვიკჰემი მღვდლად ეკურთხებოდა, ოჯახითა და ათასი გირვანქით უზრუნველმეყო. ვიკჰემის მამა რომ გარდაიცვალა, სულ მალე ვიკჰემმა წერილი მომწერა, რომელშიც მატყობინებდა, რომ მღვდლობა მისი საქმე არ არის და სურს სამართალი შეისწავლოს და რომ ათასი გირვანქა სრულიადაც არ არის საკმარისი ამ საქმისთვის. მე მსურდა, დამეჯერებინა მისთვის, ამიტომ დავთანხმდი. ვიცოდი, მისგან სასულიერო პირი არ დადგებოდა. საქმე გადაწყდა. მან უარი თქვა ეკლესიაში სამსახურზე და ამის სანაცვლოდ სამი ათასი გირვანქა მიიღო ჩემგან. ამის შემდეგ ჩვენ შორის კავშირი გაწყდა. ფემბერლიში არ ვიწვევდი, არც ლონდონში, სადაც ვიკჰემიც ცხოვრობდა. თუმცა იურისპრუდენციის შესწავლა აზრად არ მოსვლია. მთელ დღეებს უსაქმურობასა და მფლანგველობაში ატარებდა. სამი წელი არ გამოჩენილა, მაგრამ მერე, ფული რომ გაფლანგა, ისევ წერილი მომწერა. მწერდა, რომ ცუდ დღეში ჩავარდა. სამართალი არ შეისწავლა, რადგან გამოუსადეგრად მოეჩვენა და ახლა ისევ მღვდლად კურთხევა სურდა. მთხოვდა, მივხმარებოდი და რეკომენდაცია გამეწია. ამას რომ ვიზამდი,

აბსოლუტურად დარწმუნებული იყო. მე ხომ მის გარდა არავინ მყავდა სარჩენი და მისახმარებელი. განსვენებული მამაჩემის ანდერძიც შემახსენა. მე მის დახმარებაზე უარი ვთქვი, რამაც ვიკვები ისე გააბრაზა, რომ მრავალი ცილი დამწამა. ამის შემდეგ მისი სახელის გაგონება არ მინდოდა. როგორ გაჰქონდა თავი, არც ის ვიცი, მაგრამ გასულ ზაფხულს თავი ისევ მტკივნეულად შემახსენა.

ახლა უნდა მოგიყვებთ ის, რისი დავიწყებაც მწყურია და რომ არა ეს შემთხვევა, არც თქვენ გაგიმხელდით. მჯერა, რომ საიდუმლოს შემინახავთ. ჩემი და, ჯორჯიანა ჩემზე ათი წლით უმცროსია. მასზე ზრუნვა მე და ჩემს ბიძაშვილს, პოლკოვნიკ ფიცუილიამს გვავალია. ერთი წლის წინ სკოლა დატოვა და მასწავლებელთან ერთად რამსგეითში შევიდა. თურმე ვიკვემს გაუგია ჯორჯიანას იქ ყოფნის ამბავი და ისიც იქ მისულა. პირადად გაუცნია მისის იუნგი, რომელშიც ძალიან შევცდით, რომ ვენდეთ. სწორედ მისი შუამდგომლობით გაიცნო ჯორჯიანა, რომელსაც ვიკვები ბავშვური გულით შეუყვარდა და მასთან ერთად გაქცევაც დააპირა. ჯორჯიანა მაშინ თხუთმეტისა იყო, სრულიად ბავშვი და ეს გარკვეულწილად ამართლებს მის საქციელს. მე სრულიად შემთხვევით ვინახულე ჩემი და სწორედ დაგეგმილ გაქცევამდე ორი დღით ადრე. ჯორჯიანა მამასავით მიყურებს, ამიტომ ყველაფერი მიაჩნო. თქვენ ხვდებით ალბათ, რა დღეში ჩავვარდი და როგორ მოვიქეცი. მე ვაიძულე ვიკვები რამსგეითიდან წასულიყო, ხოლო მისის იუნგმა სამსახური დატოვა. ვიკვემს ჩემი დის ქონების, ოცდაათი ათასი გირვანქის ხელში ჩაგდება სურდა. თუმცა უფრო მეტად ჩემზე შურისძიება ეწადა. ეს რომ ჩაედინა, შურს მართლაც სასტიკად იძიებდა ჩემზე.

აი, მის ბენეტ, გული გადაგიშალეთ და გაიმბეთ ყოველივე და თუ გჯერათ ჩემი, მაშინ ამიერიდან ცილსაც აღარ დამწამებთ. არ ვიცი, თავი როგორ მოგაწონათ, როგორ მოგეპირფერათ, მაგრამ ასეთი რამ სჩვევია და არც მიკვირს. თქვენ ეს ამბები არ იცოდით და მასში ეჭვის შეტანა აზრადაც არ მოგივიდოდათ.

ალბათ გიკვირთ, რატომ გუშინ არ გითხარით ეს ყოველივე. მომიტევეთ, მაგრამ გუშინ ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი. აქ მონათხრობი რომ სრული სიმართლეა, ამაში პოლკოვნიკსაც დავიმოწმებ, რომელიც ღრმადაა ჩახედული ამ საკითხებში. ჩემს დაზე ჩემთან ერთად ზრუნავს და მამაჩემის ანდერძიც კარგად იცის. თუ ისე გძულვართ, რომ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ ჩემს ბიძაშვილს გაენდოთ, სანამ აქ არის. სწორედ ამიტომ მსურს ეს წერილი დილითვე გადმოგცეთ. გფარავდეთ ღმერთი, ფიცუილიამ დარსი“.

თავი ოცდამეთექვსმეტე

ელიზაბეთმა სიამოვნებით წაიკითხა დარსის წერილი, რომელმაც განსხვავებული გრძნობები აღუძრა. ალბათ დარსის მართლა შერცხვა თავისი საქციელისა, თუმცა ელიზაბეთმა ვერ დაიჯერა, რომ დარსის მართლა სწამდა ჯეინის გულგრილობა ბინგლისადმი. ელიზაბეთი გააღიზიანა დარსის გულახდილმა აღიარებამ, თუ რატომ

შეუშალა ხელი ჯეინისა და ბინგლის ქორწინებას. მით უმეტეს, რომ დარსი არავითარ სინანულს არ გრძნობდა ჩადენილის გამო. ასეც ფიქრობდა ელიზაბეთი. დარსიმ თავისი ნამდვილი სახე კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. მის ნაწერში სინანული კი არა, ქედმაღლობა და თავხედობა იგრძნობოდა.

ვიკჰემის შესახებ რომ წაიკითხა, ელიზაბეთს მასზე ყოველგვარი წარმოდგენა გაუქარწყლდა. თურმე რა ტკივილი მიუყენებია დარსისთვის! თუმცა დარსის გრძნობების ამოცნობა მაინც ძნელი იყო, მართალს ამბობდა თუ არა. ელიზაბეთი შიშმა და გაოცებამ შეიპყრო. სურდა ეყვირა:

–ეს ყოველივე სიყალბეა! ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო!

დაასრულა თუ არა წერილის ბოლო წინადადება, არც დაუხედავს, ისე ჩადო კონვერტში, რომ მეორედ აღარ მიჰბრუნებოდა მას.

გონებაარეულმა სეირნობა განაგრძო. მაგრამ რამდენიმე წამში წერილი ისევ გახსნა და ის ადგილი წაიკითხა, სადაც დარსი ვიკჰემზე უყვებოდა. ყველა წინადადება გამოწვლილვით შეისწავლა. ფემბერლის ოჯახთან ურთიერთობის შესახებ თავად ვიკჰემისგან იცოდა და ასევე ისიც სმენოდა, რომ განსვენებული მისტერ დარსი განსაკუთრებით კეთილი იყო ვიკჰემისადმი. დარსი სიმართლეს უყვებოდა, მაგრამ ანდერძის ამბავს ორივე სხვადასხვაგვარად განმარტავდა. ამიტომ ან ერთი იტყუებოდა, ან მეორე. ელიზაბეთმა ისურვა, ვიკჰემი მართალი ყოფილიყო, მაგრამ როცა თავიდან ყურადღებით გადაიკითხა წერილის დეტალები, შეყოყმანდა. ვიკჰემს ათასის ნაცვლად სამი ათასი გირვანქა მიუღია. ელიზაბეთმა წერილი დადო და კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა. შეეცადა რომელიმეს მიმხრობოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ორივე ჯენტლმენი თავისას ამტკიცებდა. ისევ წაიკითხა და მიხვდა, რომ მისტერ დარსის საქციელი კი არ იყო სამარცხვინო, არამედ ვიკჰემისა და რომ დარსი ამ საქმეში უდანაშაულო იყო. დარსის ვიკჰემზე არ უთქვამს, მფლანგველიაო, რამაც ელიზაბეთი ძლიერ გააოცა. ახლა უფრო დარწმუნდა დარსის სამართლიანობაში. არასოდეს სმენია, როდის გაწევრიანდა ვიკჰემი ერთერთი ოლქის სარეზერვო დანაყოფში. არც მისი ცხოვრების შესახებ იცოდა არავინ, გარდა იმისა, რასაც თავად ჰყვებოდა. ელიზაბეთს არასოდეს გასჩენია სურვილი, ვიკჰემის შესახებ უფრო მეტი რამ შეეტყო. ისეთი დამაჯერებელი ხმა და სახე ჰქონდა, რომ მის ღირსებაში ეჭვს ვერ შეიტანდა. ელიზაბეთი შეეცადა გაეხსენებინა ვიკჰემის რაიმე ისეთი საქციელი, რაც ოდნავ მაინც გაამართლებდა დარსის. ანდა დარსიმ რომ ახსენა, ბოროტი და უსაქმურიაო ამ სიტყვებში მაინც მოეძებნა რაიმე ისეთი, დარსის რომ გაამტყუნებდა. ამაოდ! ვერაფერი გაიხსენა, გარდა იმისა, რომ ვიკჰემი საერთო მოწონებას იმსახურებდა, მეზობლები კარგს ამბობდნენ მასზე და დარსის ლანძღავდნენ იმის გამო, რომ ასე საშინლად მოექცა ამ ყმაწვილს. ელიზაბეთმა წერილის კითხვა განაგრძო. ახლა უფრო გაოცდა! თურმე ვიკჰემს მის დარსის ხელში ჩაგდება სურდა! თანაც დარსი სთხოვდა, ჩემი თუ არ გჯერათ, პოლკოვნიკს ჰკითხეთო, რაც კიდევ უფრო არწმუნებდა იმაში, რომ დარსი მართალი იყო. ფიცუილიამმა თავად უთხრა ელიზაბეთს, ჩემი მამიდაშვილის საქმეებში ჩახედული ვარო. თანაც შეუძლებელია, პოლკოვნიკის პატიოსნებაში ეჭვი შეიტანო. ერთხელ დააპირა კიდევ, ფიცუილიამს მივმართავო, მაგრამ

მოერიდა. თანაც, იმასაც მიხვდა, რომ დარსი ხელს არ სთხოვდა, თავისი ბიძაშვილის დასტური რომ არ მიეღო.

ელიზაბეთმა ვიკჰემთან გამართული დიალოგი გაიხსენა. ახლაც მიხვდა, რა იოლად უახლოვდებოდა ვიკჰემი უცნობთ და ამ ფიქრმა შეზარა. რატომ აქამდე ვერ შეამჩნია. რა უტიფრად წარუდგა! რა ორგულად მოიქცა! როგორ ბაქიაობდა, დარსის არ მეშინია, მეტიც, მას ეშინია ჩემი და შეიძლება აქედან წავიდესო. თუმცა მერე ნეზერფილდის წვეულებაზე არ მოსულა. თანაც მარტო ელიზაბეთს მოუყვა თავის ამბავს. შუბლის ძარღვიც არ შესტოკებია, როცა დარსის სახელს ჩირქი მოსცხო. თუმცა მანამდე ელიზაბეთს არწმუნებდა, დარსის მამა ისე მიყვარდა, რომ მის ვაჟს ქვეყნის დასაცინად არ გავიმეტებო.

ელიზაბეთს თვალეები აეხილა. მის კინგიც ანგარების გამო შეირთო. სიხარბით შეპყრობილი ვაცია და ელიზაბეთის მცდელობა, ვიკჰემზე კვლავ კარგი ეფიქრა, გაფერმკრთალდა. ალბათ მისტერ ბინგლიმ დიდი ხანია უამბო ჯეინს ამის შესახებ. დარსის საქციელში ამორალური არაფერი იყო. ყველას უყვარდა. ვიკჰემიც კი ძმად მიიჩნევდა. თავის თავზე ისეთი სიყვარულით საუბრობდა, ასეთი ცოდვა რომ ჩაედინა ვიკჰემისადმი, ეს ხომ არ დაიმალებოდა, ყველას ეცოდინებოდა. ბოლოს და ბოლოს, მისტერ ბინგლი ხომ არ დაუმეგობრდებოდა დარსის, ბოროტი რომ ყოფილიყო.

ელიზაბეთს თავისი თავის შერცხვა. დარსისა და ვიკჰემისადმიც თურმე ბრმა იყო და მიკერძოებული.

-რა სულელი ვყოფილვარ! არადა ვამაყობდი კიდევ, ხასიათთა გამოცნობა შემძლია-მეთქი! თავი ყოვლისშემძლე მეგონა. ცილს ვწამებდი! ჩემი დის გულწრფელი ნდობა სასაცილოდ არ მყოფნიდა. ო, რა საშინლად დამამცირებელია ეს აღმოჩენა. თუმცა ასეც მომიხდება! შეყვარებული რომ ვყოფილიყავი, ასეთი ბრმა მაშინაც არ ვიქნებოდი! მაგრამ სიამაყემ, ამპარტავნობამ დამღუპა და შემაცდინა. ერთი რომ ყურადღებით მექცეოდა მეჯლისზე, მესიამოვნა, ხოლო მეორე მორიდებული ხასიათის გამო შევიზიზღე. თურმე უმეცრებას ვეკვლავებოდი. საღი აზრი გვერდზე მოვისროლე. თურმე დღემდე ჩემი თავი არ მცნობია! - ტკივილით ამოთქვა ელიზაბეთმა.

ელიზაბეთს მოეჩვენა, რომ ბინგლისა და ჯეინის ურთიერთობაში დარსის ახსნა არასაკმარისი იყო, ამიტომ წერილის ეს ნაწილი ისევ გადაიკითხა და გაოცდა. მეორე წაკითხვამ სხვა შედეგი გამოიღო. დარსი დარწმუნებული იყო, რომ ჯეინს ბინგლი არ უყვარდა. შარლოტას ნათქვამიც გაახსენდა. ჯეინი ხომ თითქმის არ გამოხატავდა თავის გრძნობას! და მეგობრული დამოკიდებულება სულაც ვერ მიახვედრებდა ვერავის, რომ შეყვარებული იყო.

ელიზაბეთს უფრო მეტად შერცხვა, როცა წერილში ისევ ამოიკითხა ის, თუ დარსი როგორ გულწრფელად საუბრობდა მის ოჯახზე. დარსი მართალი იყო. ელიზაბეთს ნეზერფილდის წვეულება გაახსენდა. დარსიმ ხომ მისის ბენეტის ნათქვამი მოისმინა!

სამაგიეროდ, დარსი მას და ჯეინს აქებდა, მაგრამ ოჯახის დანარჩენ წევრებს სამართლიანად აფასებდა. ელიზაბეთი მიხვდა, რომ სინამდვილეში ჯეინის უბედურების მიზეზი ოჯახის წევრები იყვნენ და საშინლად დანადვლიანდა. ელიზაბეთმა ხეივანში ორი საათი იხეტიალა. ამდენმა ფიქრმა ისე მოქანცა, რომ სახლში დაბრუნდა. შეეცადა მხიარული ყოფილიყო, რათა საუბრის დროს მოწყენა არ შესტყობოდა.

სახლში მისვლისთანავე აცნობეს, რომ როზინგიდან ორი ჯენტლმენი მოვიდა მის სანახავად, სანამ ხეივანში სეირნობდა. მისტერ დარსიმ სულ რამდენიმე წუთით გამოსამშვიდობებლად შემოიარა, ხოლო ფიცუილიამი თითქმის ერთი საათი ელოდა. ელიზაბეთს გული დასწყდა, რომ პოლკოვნიკს ვერ მოუხსწრო. თუმცა ამ ამბავმა გაახარა. მაგრამ ახლა ელიზაბეთი ფიცუილიამზე კი არა, ისევ იმ წერილზე ფიქრობდა.

თავი ოცდამეჩვიდმეტე

მეორე დილით დარსიმ და ფიცუილიამმა როზინგი დატოვეს. მისტერ ქოლინზი მათ გამოემშვიდობა და სახლში ამბავი მოიტანა, რომ ორივე ჯენტლმენი თავს კარგად გრძნობდა იმ მეღანქოლიური სცენის შემდეგ, რაც როზინგში მოხდა მათი გამგზავრების გამო. ქოლინზი ლედი ქეთრინისა და მისი ქალიშვილის დასამშვიდებლად წავიდა და ამბავი მოიტანა, რომ მისის დებურგი ისე უხასიათოდ იყო, რომ ქოლინზებს სადილზე იწვევდა.

ლედი ქეთრინს რომ მოესურვებინა, ახლა უკვე მისი რძალი იქნებოდა. ალბათ რაოდენ შესმაგდებოდა ელიზაბეთი.

ლედი ქეთრინმა წამოიწყო:

–მეგობრებთან განშორებას ძალიან განვიცდი, მაგრამ ეს ორი ჯენტლმენი განსაკუთრებით მიყვარს და მათაც ვუყვარვარ! წასვლა არ სურდათ! სულ ასე არიან. პოლკოვნიკი გრძნობებს ბოლო წუთამდე იკავებდა. დარსიმ კი შარშანდელზე მეტად გამოხატა აქაურობის სიყვარული.

აქ მისტერ ქოლინზმა კომპლიმენტი გამოთქვა დედაშვილისადმი და მათი ღიმილიც დაიმსახურა. ლედი ქეთრინმა სადილის შემდეგ შეამჩნია, რომ მის ბენეტი მოწყენილი იყო და უთხრა:

–ვფიქრობ, სახლში გამგზავრება არ გსურთ. თუ ასეა, წერილი მისწერეთ დედათქვენს, რომ აქ ცოტა ხანს კიდევ დარჩებით. ამით მისის ქოლინზსაც გაახარებთ.

–თქვენს კეთილშობილებას მადლობას ვუხდით რჩევისთვის, უთხრა ელიზაბეთმა, მაგრამ დარჩენა არ შემიძლია, რადგან ლონდონში მომდევნო შაბათს უნდა ვიყო.

-მაშინ აქ მხოლოდ ექვს კვირას გაატარებთ. მეგონა, ორ თვეს მაინც დარჩებოდით. მისის ქოლინზსაც ვუთხარი ამის შესახებ. ასე მალე წასვლის მიზეზი არ არსებობს. კიდევ ორი კვირა დარჩით.

-მამაჩემს სურს, რომ დავბრუნდე.

-ოჰ, მამათქვენი ნებას მოგცემთ, თუკი დედათქვენის თანხმობაც იქნება. ქალიშვილები მამისთვის ბევრს არაფერს ნიშნავს და თუ კიდევ ერთ თვეს დარჩებით, მაშინ ლონდონში მე წაგიყვანთ. იქ ივნისის დასაწყისში მივდივარ ერთი კვირით. ოთხადგილიანი ეტლით წავალთ. ორივეს წაგიყვანთ, თუ ამინდიც კარგი იქნება. რადგან მსუქნები არ ხართ, ორივე კარგად მოთავსდებით.

-რა კეთილი ხართ, მისის. თუმცა ჩვენ მაინც ჩვენი თავდაპირველი გეგმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

ლედი ქეთრინს ეწყინა:

-მისის ქოლინზ, მსახური გააყოლეთ. ვერ ვიტან, როცა ქალიშვილები მარტო მგზავრობენ. უწყობაა. ვინმე გააყოლეთ. ძალიან არ მიყვარს ასეთი რამ. ქალიშვილებს კარგი მოვლა და ზრუნვა სჭირდებათ. ჩემი დისწული ჯორჯიანა შარშან რამსგეითში წავიდა. ორი მსახური გავაყოლე. როგორ დავუშვებდი, რომ მის დარსი და ლედი ენი მარტო გამგზავრებულიყვნენ. მე ასეთი მოვლენებისადმი განსაკუთრებით ყურადღებიანი ვარ. ჯონი გააყოლეთ, მისის ქოლინზ. კარგია, რომ გამახსენდა. თქვენი სირცხვილი იქნება, თუ ასე არ მოიქცევით.

-მსახურს ბიძაჩემი გამოგვიგზავნის.

-ოჰ! ბიძათქვენი? მას მსახური ჰყავს, არა? მიხარია, რომ გყავთ ვიღაც, ვინც ასეთ რამეზეც ფიქრობს. ცხენებს სად შეცვლით? ოჰ! რა თქმა უნდა, ბრომლიში. ბელში თუ ჩემს სახელს ახსენებთ, კარგად მოგემსახურებიან.

ლედი ქეთრინმა მგზავრობასთან დაკავშირებით კიდევ მრავალი შეკითხვა დასვა, რომელთა უმეტესს ქოლინზები სცემდნენ პასუხს ელიზაბეთის ნაცვლად, რომელსაც ისე წაართვა თავი ფიქრმა, რომ დაავიწყდა კიდევ, სად იმყოფებოდა. მარტო რომ რჩებოდა ან სეირნობდა, ფიქრები მაშინაც თავს ესხმოდნენ.

დარსის წერილი იმდენჯერ წაიკითხა, რომ უკვე ზეპირად იცოდა და ამ წერილისადმი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებიც ჰქონდა. ზოგჯერ სძულდა დარსი, ზოგჯერ კი საკუთარი თავი. თანდათან დარსისადმი თანაგრძნობა გაუჩნდა. დარსის სიყვარული აღტაცებას, ხოლო თავად დარსი პატივისცემას იმსახურებდა. მაგრამ მისი წინადადების მიღება მაინც არ შეეძლო. არ ნანობდა, უარი რომ უთხრა. არც დარსის ნახვა სურდა. ჩადენილ საქციელს ნანობდა და ოჯახის წევრთა სულმოკლეობას განიცდიდა. ამას არაფერი ეშველება. მამას კი სიცილად არ ჰყოფნის მათი საქციელი. მაგრამ დების სიველურეს ვედარ მოთოკავს და დედამისს სრულიად არ ესმის, რომ სულმოკლეობისა და ბოროტების საწყისია. ელიზაბეთს ხშირად უფიქრია, მოდი, იქნებ მე და ჯეინმა დავაოკოთ ქეთრინი და ლიდიאו.

მაგრამ იმათ დედა უჭერდა მხარს და აბა, როგორ გამოსწორდებოდნენ? უნებისყოფო ქეთრინი ლიდის ემორჩილება, ხოლო თვითნება ლიდია ჩირად არ აგდებს უფროსი დების რჩევას. უმეცრები და ამპარტავნები არიან. მერიტონში ჩამოსულ ოფიცერს ეკეკლუცებიან. იქ ფეხით წასვლა არ ჰბეზრდებათ.

ელიზაბეთს ჯეინის დარდი აქვს. საშინელებაა, რომ ბინგლისნაირი კეთილი ადამიანი დაკარგა. ბინგლის გულწრფელად უყვარდა. ის დამნაშავე არ ყოფილა გარდა იმისა, რომ თავის მეგობარს, დარსის სრულიად მიენდო და რაოდენ სამწუხაროა იმაზე ფიქრი, რომ ჯეინს მოახლოებული ბედნიერება საკუთარმა ოჯახის წევრებმა წაართვეს, რომლებიც მუდამ სულელურად იქცევიან!

ამას ვიკჰემის საქციელიც დაემატა, რამაც ისე დაამწუხრა ელიზაბეთი, რომ მხიარულება სრულიად გაუქრა

ბოლო კვირის განმავლობაში როზინგს ხშირად სტუმრობდნენ. ლედი ქეთრინმა კვლავ გამოიკითხა გამგზავრების დეტალები, გასცა განკარგულება, ბარგი სწორედ ასე ჩაალაგეთო და ისე დაჟინებით მოითხოვდა ამას, რომ მისგან რომ დაბრუნდნენ, მარიამ თავი ვალდებულად ჩათვალა, ბარგი გაეხსნა და თავიდან ჩაელაგებინა.

გამომშვიდობებისას ლედი ქეთრინმა კარგი მგზავრობა უსურვა ქალიშვილებს და უთხრა, მომდევნო წელსაც გეპატიჟებით ჰანსფორდშიო. მის დებურგი ისე გაისარჯა, რომ ქალიშვილებს რევერანსი გაუკეთა და ხელიც კი ჩამოართვა.

თავი ოცდამეთვრამეტე

კვირა დილით მისტერ ქოლინზი და ელიზაბეთი საუზმეზე შეხვდნენ ერთმანეთს. მისტერ ქოლინზმა საჭიროდ მიიჩნია, რომ გამოსამშვიდობებელი სიტყვა უნდა ეთქვა:

–არ ვიცი, მის ელიზაბეთ, მისის ქოლინზმა უკვე გითხრათ თუ არა მადლობა თქვენი სტუმრობის გამო, მაგრამ თუ ასე არ მომხდარა, სულ მალე გეტყვით. თქვენი აქ ყოფნით ყველა გაგვახარეთ. ჩვენ კარგად ვიცით, რა ძნელია მოიპატიჟო ვინმე ამ მოკრძალებულ საცხოვრისში. ჩვენ უბრალოდ ვცხოვრობთ ამ პატარა სახლში და საზოგადოებაშიც იშვიათად გავდივართ. ამიტომ ჰანსფორდი თქვენისთანა ქალიშვილისთვის ალბათ მოსაბეზრებელიც კია. მადლიერნი ვართ, მის ბენეტ, რომ პატივი დაგვდეთ. ჩვენ რაც შეგვეძლო, ვცდილობდით, დრო კარგად გაგეტარებინათ.

ელიზაბეთმა ქოლინზი დაარწმუნა, დრო ძალიან ბედნიერად გავატარეო. ექვსი კვირა იყო ქოლინზებთან და შარლოტას სიკეთემ და ყურადღებამ ეს დრო სასიამოვნო გახადა. მისტერ ქოლინზს გაუხარდა, ელიზაბეთი რომ კმაყოფილი იყო და უთხრა:

-მიხარია, რომ დრო არცთუ ისე ურიგოდ გაატარეთ. ჩვენ ვცდილობდით, რომ ასე ყოფილიყო. გაგაცანით მისი კეთილშობილება ლედი ქეთრინი და დარწმუნებული ვართ, აქ ყოფნა არ მოგბეზრდებათ. ლედი ქეთრინთან ურთიერთობით ბევრი ოჯახი ვერ დაიკვებხნის. თქვენ ხედავთ, რა მყარია ეს ურთიერთობა და ვფიქრობ, ეს ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებს.

ქოლინზს სიტყვები არ ეყო თავისი გრძნობების გამოსახატავად და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

-თქვენ შეგიძლიათ ჰართფორდშირში ჩვენ შესახებ სასიხარულო ამბავი მიიტანოთ და ასეც იქნება. ლედი ქეთრინი დიდ ყურადღებას იჩენს მისის ქოლინზისადმი და ამის მოწმე თქვენც ხართ. ხედავთ, თუ როგორი ბედნიერია შარლოტა. მთელი გულით გისურვებთ ბედნიერებას. მე და ჩემი ძვირფასი შარლოტა ერთნაირად ვაზროვნებთ, ერთგვარი ხასიათები გვაქვს. ჩვენ ერთმანეთისთვის შეგვქმნა განგებამ.

ელიზაბეთმაც დაადასტურა ქოლინზის სიტყვები და მერე დაფიქრდა. შარლოტა შეეცოდა აქ, ამ ხალხთან მართო რომ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მან თავად აირჩია ასეთი ბედი და ეტყობოდა, კმაყოფილიც იყო. დიასახლისობას, შინაურ ფრინველს, ლედი ქეთრინს ეტყოდა მის თვალში ჯერ კიდევ ჰქონდა ხიზლი

ეტლი მოვიდა და ბარგი რომ ჩაალაგეს, მეგობრები სიყვარულით გამოეთხოვნენ ერთმანეთს. მისტერ ქოლინზმა ელიზაბეთს სთხოვა, კიდევ ერთხელ გადაუხადე ჩემგან მადლობა თქვენს ოჯახს კეთილი მასპინძლობისთვისო. შემდეგ ეტლში ჩასხდნენ ელიზაბეთი და მარია და კარი უნდა დაეკეტათ, რომ ამ დროს ქოლინზმა შეახსენა, როზინგში რამეს ხომ არ დამაბარებდითო.

-ალბათ დამავალებთ, რომ ლედი ქეთრინს მადლობა ვუთხრა თქვენგან, რომ ასე თბილად მიგიღოთ.

ელიზაბეთს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და ეტლიც დაიძრა.

-ღმერთო, ასე მგონია გუშინ ჩამოვედით და ამასობაში რამდენი რამ მოხდა, - წამოიძახა მარიამ.

-ძალიან ბევრი რამ მოხდა, - ამოიოხრა ელიზაბეთმა.

-ცხრაჯერ ვისადილეთ როზინგში, ორჯერ ჩაიზე მიგვიწვიეს! ო, რამდენ რამეს მოვეყვები შინ!

ელიზაბეთმა გაიფიქრა: „და მე რამდენ რამეს დავმალავ!“

მშვიდად იმგზავრეს და ოთხი საათის შემდეგ გარდინერების სახლს მიადგნენ, სადაც რამდენიმე დღე დარჩებოდნენ.

ჯეინი კარგად იყო, ამიტომ ელიზაბეთს არაფერი უკითხავს. თუმცა ლონგბერნში ერთად დაბრუნდებოდნენ და იქ საკმარისი დრო ექნებოდათ ერთმანეთის მოსაკითხად. თუმცა

ელიზაბეთს ერთი სული ჰქონდა, როდის მოუყვებოდა დას დარსის შესახებ. ალბათ ჯეინი გაოცდება, როცა გაიგებს, რომ დარსიმ ხელი სთხოვა. თუმცა ამის მოყოლა იოლი არ იქნება, რადგან ბევრ რამეში თავადაც ვერ გარკვეულა. თანაც, დარსიზე ლაპარაკს ბინგლის ხსენებაც მოჰყვება. ეს კი ჯეინს უფრო დაანაღვლიანებს.

თავი ოცდამეცხრამეტე

ქალიშვილები გარდინერების ოჯახიდან მაისის ერთ მშვენიერ დილას გაემგზავრნენ. გზად, პატარა სასტუმროში მისტერ ბენეტის ეტლი უნდა დახვედროდათ. სასტუმროს ზემოთა ფანჯრიდან ქითი და ლიდია იყურებოდნენ, რომელთაც უკვე მოასწრეს საგალანტერიო მაღაზიაში შესვლა, ახლა მეკარეს მისჩერებოდნენ და თან სალათასა და კიტრს კაზმავდნენ. დებს მხიარულად მიესალმნენ და გაშლილი სუფრა დაახვედრეს.

– დაგაპურებთ, – უთხრა ლიდიამ, – მაგრამ ფული უნდა გვასესხოთ, რადგან ჩვენ მაღაზიებში შემოგვეხარჯა.

შემდეგ დებს შენაძენი უჩვენეს:

– შეხედეთ, მე ეს ქუდი ვიყიდე. მთლად კარგი არ არის, ამიტომ სახლში რომ მივალ, დავარღვევ და გადავაკეთებ.

დებმა უთხრეს, უშნო ქუდიაო, ლიდიამ კი გულგრილად დასძინა:

– ოჰ, სხვა ქუდები ამაზე უშნო იყო. ლამაზი მაქმანი ვიყიდე, რომ ამას შემოვაკერო და ცოტა გავალამაზო. მგონი რაც ჯარისკაცებმა მერიტონი დატოვეს, უკვე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რას დაიხურავ.

– მართლა? – აღტაცებით წამოიძახა ელისაბეთმა.

– ბრაითონში მიდიან. მინდა, მამამ ამ ზაფხულს იქ წაგვიყვანოს. რა კარგი იქნება! ძვირიც არ დაჯდება. დედაც წამოვა. თორემ ამ ზაფხულს რა გაგვამლებინებს!

– ჰო, კარგი იქნებოდა, – გაიფიქრა ელიზაბეთმა, – ღმერთო! ერთი ბანაკი ჯარისკაცებით სავსე ბრაითონი. ჩვენ ხომ ჯარისკაცები ისედაც გარს გვებვივნენ. მერიტონში მეჯლისები ყოველთვიურად იმართება!

– თქვენთვის ახალი ამბავი მაქვს, უთხრა ლიდიამ, სუფრას რომ მიუსხდნენ, იმ ადამიანის შესახებ, ყველას რომ მოგვწონს!

ჯეინმა და ელიზაბეთმა ერთმანეთს გადახედეს. ოფიციალტი წავიდა თუ არა, ლიდიამ გაიცინა და თქვა:

–ოფიციალტი ისე გაუშვით, თითქოს აინტერესებდეს მე რას ვიტყვი! მისი ყური იმაზე უარეს ამბებს ისმენს, ვიდრე ახლა უნდა ვთქვა. უი, რა მახინჯია, კარგია რომ წავიდა, ასეთი გრძელი ნიკაპი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ჰო, მართლა, ახალი ამბავი ვიკვამს ეხება. მერი კინგს ცოლად ვერ შეირთავს, რადგან მერი ლივერპულში ბიძასთან წასულა დასარჩენად. ასე რომ, ვიკვამი გადარჩა.

–მერი კინგიც გადარჩა! – თქვა ელიზაბეთმა.

–სულელია! თუ უყვარდა ვიკვამი, რატომ წავიდა!

–იქნებ არც უყვარდათ ერთმანეთი, – თქვა ჯეინმა.

–ჩემი აზრით, ვიკვამს არ უყვარდა, ის გოგო ჩალად არ უღირდა. იმ საშინელ, ჭორფლიან გოგოს ვინ შეიყვარებს!

ელიზაბეთს, მართალია, არ მოეწონა, დამ რომ ასე უხეშად ახსენა მის კინგი, მაგრამ გულის სიღრმეში ესამოვნა კიდევ და ამ ფაქტმა შეაცბუნა.

ისადილეს თუ არა, ეტლიც მოვიდა. ბარგი ჩაალაგეს და გაემგზავრნენ.

–რა კარგია, რომ ყველა ერთად ჩავეტეთ, წამოიძახა ლიდამ, მიხარია, ის ქუდი რომ ვიყიდე. მოდი, ახლა გემრიელად მოგვალათდეთ და სახლამდე სულ ვიცინოთ. თქვენ კი მოგვიყევით, რა გადაგხდათ. ვინმე ხომ არ გაიცანით? ხომ არ შეგიყვარდათ? როგორი იმედი მქონდა, რომ ერთერთი თქვენგანი მაინც გათხოვდებოდა ამ მოგზაურობის დროს. ჯეინი მალე შინაბერა გახდება. უკვე ოცდასამი წლისაა! ღმერთო, როგორ შემცხვებოდა, ოცდასამი წლის ასაკში ისევ გასათხოვარი რომ ვყოფილიყავი! დეიდა ფილიპსს ისე უნდა თქვენი გათხოვება, რომ არ ვიცი. ასე ამბობს, ლიზი მისტერ ქოლინზს უნდა გაჰყოლოდაო. მე კი ასე არ მგონია. ღმერთო, როგორ მინდა თქვენ დაგასწროთ გათხოვება. მერე ყველა მეჯლისზე მე წაგიყვანთ. იმ დღეს რა კარგად გავერთეთ პოლკოვნიკ ფორსტერთან. მისის ფორსტერი დაგვიპირდა, ცეკვებიც იქნებაო (მისის ფორსტერი და მე დავმეგობრდით!). ჰარინგთონები დაპატიჟა, მაგრამ ჰარიეტი ავად იყო და ფენი მოვიდა. და მერე იცით, რა ვქენით? ჩემბერლინს ქალის სამოსი ჩავაცვით და ბევრი ვიცინეთ! მარტო პოლკოვნიკმა და მისის ფორსტერმა იცოდნენ... და მე და ქითიმაც. დეიდა ვერ მიხვდა. მოსასხამი მასვე ვეთხოვეთ. იცით, ქალის კაბაში რა კარგად გამოიყურებოდა! სხვა ჯენტლმენებმაც ვერ იცნეს. ღმერთო, რამდენი ვიცინეთ მე და მისის ფორსტერმა. სიცილისგან კინალამ მოკვდი. ამან მამაკაცები დააეჭვა და მერეღა მიხვდნენ. ასე სიცილ-კისკისით ჩავიდნენ ლონგბერნში.

ელიზაბეთი თითქმის არ უსმენდა მათ ლაპარაკს. გოგონები ხშირად ახსენებდნენ ვიკვამს. მისის ბენეტს გოგონების მოსვლა გაუხარდა. სადილზე მისტერ ბენეტმა ლიზის უთხრა:

–მიხარია, ლიზი, რომ სახლში ხარ.

სასადილო მაგიდას ლუკასებიც უსხდნენ, რადგან ისინი მარიას სანახავად მოსულიყვნენ. ბევრ თემაზე ისაუბრეს. ლედი ლუკასმა მარიას გამოჰკითხა შარლოტას ამბავი. ჯეინი მოდის

ახალი მიმართულებების შესახებ ჰყვებოდა, ხოლო მისის ბენეტი მის ნათქვამს სიტყვასიტყვით უმეორებდა ლუკასების უმცროს ქალიშვილებს. ლიდიაც ჰყვებოდა, დილით რომ მაღაზიებში იყვნენ ის და ქითი.

–ო, მერი, ნეტავ ჩვენთან ერთად წამოსულიყავი, რა კარგად გაერთობოდი! ქითი და მე ეტლში ჩავიმაღეთ და ასე ვაპირებდით მგზავრობას, ქითი ცუდად რომ არ გამხდარიყო. ჯორჯთან რომ მივედით, მგონი კარგად მოვიქცეთ, რომ ჩვენს უფროს დებს კარგი სადილით გავუმასპინძლდით. ნეტავ წამოსულიყავი. გზაშიც სულ ვიცინოდით, სიცილისგან კინაღამ მოვკვდი. ისე ხმამაღლა ვიცინოდით, რომ ჩვენს ხმას კილომეტრის მოშორებით გაიგონებდნენ! – წამოიძახა ლიდიამ.

მერიმ დას ბრძნული თავდაჯერებით უთხრა:

–თქვენ ისიამოვნეთ და გაერთეთ, ჩემო დაო, მაგრამ გართობა ჩემი საქმე არ არის. გართობას წიგნი მირჩევნია.

ლიდიას მერის ნათქვამი არ გაუგონია. საერთოდ არავის უსმენდა, მით უმეტეს, მერის. ნაშუადღევს ლიდიამ მერიტონში გამგზავრება მოისურვა, მაგრამ ელიზაბეთი წინააღმდეგი იყო. ფიქრობდა, ვინმე იტყვის, ბენეტების ქალიშვილები ოფიცრებს დასდევენო. გარდა ამისა, ვიკჰემის ნახვაც არ უნდოდა. ამიტომ უარზე დადგა. ორ კვირაში სამხედრო ბაზა მერიტონს დატოვებდა და ეს ფაქტი ელიზაბეთს განსაკუთრებით ახარებდა. ლიდიამ რომ ბრაითონში წასვლა ახსენა, ახლა ამაზე მისტერ და მისის ბენეტები საუბრობდნენ. ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ მამას ეს აზრი არ მოეწონა, მაგრამ ისეთ ორაზროვან, ბუნდოვან პასუხებს იძლეოდა, რომ ცოლმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა.

თავი მეორე

ელიზაბეთმა დას უამბო, დარსისთან რაც გადახდა. მის ბენეტი გაოცდა. თუმცა იმასაც მიხვდა, რომ ელიზაბეთიც არანაკლებ გაოცებული იყო. ჯეინმა თქვა, ვწუხვარ იმის გამო, რომ დარსის ტკივილს მიაყენებდი უარის თქმითო.

–იგი ალბათ დარწმუნებული იყო, რომ დათანხმდებოდი, თუმცა ეს თავდაჯერება არ უნდა შეემჩნია. ალბათ იმედი გაუცრუვდა!

–დიახ და ვწუხვარ მის გამო. არა უშავს, მალე გადაიტანს. ჯეინ, შენ ხომ არ მადანაშაულებ, უარი რომ ვუთხარი?

–გადანაშაულებ? არა, რას ამბობ!

–და ვიკჰემზე რომ ასე თბილად ვლაპარაკობდი?

–არა მგონია, ცდებოდი.

-მოციყვები, მეორე დღეს რაც მოხდა.

შემდეგ ელიზაბეთმა ჯეინს წერილის შესახებ აცნობა, რომელშიც ვიკჰემის სიმუხთლეზე იყო ლაპარაკი. ჯეინი სახტად დარჩა. რაოდენ დიდ სივერაგეს იტევს ადამიანის გული! ამან ჯეინს შვებაც მოჰგვარა, რადგან დარსის პატიოსნებაში ეჭვი არც მანამდე შეჰპარვია. ახლა ვიკჰემის შესახებ უთხრა დას, აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოსო.

-ასე როგორ იქნება, - უთხრა ელიზაბეთმა, - ჯეინ, შენ ცდილობს ორივე გაამართლო. როგორ შეიძლება ორივე მართალი იყოს. მათ შორის ისეთი განსხვავებაა, რომ ერთი მათგანი მართლა ღირსეული კაცია. ადრე ვიკჰემი მეგონა ასეთი, ახლა კი აზრი შევიცვალე. შენ კი ისე იფიქრე, როგორც გენებოს.

ჯეინს ღიმილი მოერია.

-ასეთი გაცხებული არასოდეს ვყოფილვარ. ნუთუ ვიკჰემი... ვერ ვიჯერებ. საწყალი დარსი! რა სიმწარე გადაუტანია, რა იმედგაცრუება! ამასთან ისიც იცოდა, რომ არასწორ წარმოდგენა გქონდა მასზე! რა საშინელებაა. ალბათ გრძნობ, არა?

-ვგრძნობ, ჯეინ, მაგრამ აღარ განვიცდი და არც მებრალება. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ შენ კარგად ხარ. დაე, შენ იფიქრე, რომ კარგი კაცია. მე კი გულგრილი ვიქნები და სულ მალე ჩემი გული ბუმბულივით ამსუბუქდება.

-საწყალი ვიკჰემი! არადა როგორი კეთილი, ალალი სახე აქვს! როგორი დახვეწილი მანერები!

-ალბათ, ეს ორივე ჯენტლმენი კარგად ვერ აღზარდეს. ერთი მართლა კეთილია, მეორე კი მხოლოდ თავს გიჩვენებს.

-მისტერ დარსი თავს არ გიჩვენებს!

-მე კი პირიქით ვფიქრობდი და უმიზეზოდ მძულდა. ზოგს ასეთი დამოკიდებულება აქეზებს კიდევ, რომ რაიმე გენიალური თქვას ან გააკეთოს. კაცს რომ დასცინი, ზოგჯერ ჭკვიანურიც წამოგცდება.

-ლიზი, პირველად რომ წაიკითხე წერილი, ამასვე გრძნობდი, რასაც ახლა?

-არა, მოსვენება დავკარგე, დავდარდიანდი. ვერც ვერავის გავანდობდი და შენ გარდა ვერავის ვეტყობდი, რომ არც ასეთი მიუხვედრელი მეგონა ჩემი თავი. შენ გნატრობდი, რომ გული გადამეშალა.

-რა ცუდია, რომ დარსისთან ასე გულითადად ისაუბრე ვიკჰემზე. თურმე რა კაცი ყოფილა!

-მე ხომ არასწორი შეხედულება მქონდა და შევცდი. შენი რჩევა მიხდა, ჯეინ. ვიკჰემის შესახებ ყველას შევატყობინო თუ არა, რომ გაიძვერა?

-არა მგონია, იმის საშუალება მოგეცეს, მასზე ეს თქვა.

–არა, მე ვფიქრობ, არ უნდა ვთქვა. დარსიმ მთხოვა, არავის უთხრაო. განსაკუთრებით მის დარსისთან დაკავშირებული ამბავი. მთხოვა საიდუმლოდ შეინახეო. ანდა ვინ დამიჯერებს. დარსიზე ხალხს ისე ცუდი წარმოდგენა აქვს, რომ მოკვდებიან და არ დაიჯერებენ ამ ამბავს. მალე ვიკვები გაემგზავრება და ყველას დაავიწყდება. მერე მაინც შეიტყობენ მისი სიმუხთლის ამბავს, ჩვენ კი ვიციებთ. ამჯერად კი არაფერს ვიტყვი.

–მართალი ხარ. ცხოვრება დაენგრევა. ვინ იცის, იქნებ განიცდის იმას, რაც ჩაიდინა. არ უნდა გავაწბილოთ.

ელიზაბეთი დასთან საუბარმა დაამშვიდა. გულიდან დიდი ტვირთი მოიშორა. ჯეინისთვის არ გაუმხელია ის, რაც დარსის წერილის მეორე ნახევარში ეწერა, როგორ შეაქო დარსიმ ჯეინი. ამის უკან რაღაც გრძნობა იმალებოდა. თუმცა ჯერ ვერ ეტყვის ჯეინს. ვაითუ, აზრი არ ჰქონდეს და მაშინ დას გულს უფრო ატკენს, ვიდრე გაახარებს. თუ სასწაული მოხდა და ბინგლიმ ინახულა ჯეინი, მაშინ ორივე გაიხარებს. თუ არა და, წინასწარ ჯეინის აფორიაქება არ ივარგებს.

ელიზაბეთი ჯეინს დააკვირდა და მიხვდა, რომ ჯეინი ბედნიერი არ იყო, რადგან ბინგლი ისევ უყვარდა. პირველი სიყვარულის კვალობაზე საკმაოდ მყარი გრძნობა ჩანდა. ბინგლი ისე ძლიერად უყვარდა, რომ სიყვარულმა მხნეობა შემატა და განშორების სევდა დააძლევინა. მეგობრებთან ჯეინი ძალიან ყურადღებიანი და მხიარული იყო და არც გულისტკივილს იმჩნევდა, რომ ვინმესთვის, მათ შორის თავისი თავისთვის, ზიანი არ მიეყენებინა.

–ლიზი, – უთხრა ერთხელ მისის ბენეტმა, – რას ფიქრობ ბინგლიზე. მე გადავწყვიტე, ამ თემაზე სიტყვა არ დავძრა. მგონი, ლონდონში ერთმანეთს არ შეხვედრიან. უღირსი კაცი აღმოჩნდა. ახლა ხელიც რომ სთხოვოს, ჯეინი უარს ეტყვის. ზაფხულში ნეზერფილდშიც აღარ ჩამოვა. ყველამ ასე მითხრა.

–არა, ნეზერფილდში აღარ იცხოვრებს.

–როგორც სურს, ისე მოიქცეს. არც არავის უნდა მისი აქ ჩამოსვლა. ჩემს ქალიშვილს სასტიკად მოექცა. მე რომ ჯეინი ვიყო, ამ ამბავს არ შევურიგდებოდი. მინდა, ჯეინს გული გაუსკდეს და მერე ბინგლიმ ინანოს, რაც ჩაიდინა.

ელიზაბეთს არაფერი უთქვამს.

–ლიზი, განაგრძო მისის ბენეტმა, – მაშ, ქოლინზები კარგად ცხოვრობენ, არა? არა მგონია, ამან დიდხანს გასტანოს. საჭმელი თუ აქვთ? შარლოტა კარგი დიასახლისია, ალბათ მომჭირნეობით ბევრ დანაზოგს აკეთებს. თუმცა განსაკუთრებული კერძები არ ექნებათ.

–არა, არა აქვთ.

–მომჭირნეობა და ყაირათიანობა! დიახ, ჩანს, ცდილობენ შემოსავალი არ გაფლანგონ. ალბათ ბევრს ლაპარაკობენ ლონგბერნზე, როგორც თავიანთ საკუთრებაზე, არა?

–არა, ჩემთან არ უხსენებიათ.

–შენთან არც ახსენებდნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს ამაზე ელაპარაკებიან. რა სამარცხვინოა! ეს ხომ კანონით არ ეკუთვნით. მე მათ ადგილას ნამდვილად შემრცხვებოდა

მერთონიდან სამხედრო დანაყოფი ერთ კვირაში წავიდოდა, რამაც ყველა ქალიშვილი დაანაღვლიანა. მხოლოდ ელიზაბეთი და ჯეინი იყვნენ მშვიდად. ქითისა და ლიდიას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როგორ შეეძლოთ მათ უფროს დებს ასე მშვიდად ყოფნა, როცა თავად მოსვენება დაკარგეს.

–ღმერთო, ოფიცრები რომ წავლენ, რა უნდა ვქნათ, რა გვეშველება. ლიზი, რა უგულო ხარ, გელიმება კიდევ?

მისის ბენეტიც უხასიათოდ იყო. გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა, როცა თავადაც იყო ოფიცერზე შეყვარებული.

–მახსოვს, ორი დღე ვტიროდი, პოლკოვნიკ მილერის დანაყოფმა ქალაქი რომ დატოვა. გული კინაღამ გამისკდა.

–მე ახლა გამისკდება, – უთხრა დედას ლიდიამ.

–ბრაითონში წასვლა კარგი აზრია! – თქვა მისის ბენეტმა.

–კარგი აზრია, მაგრამ მამას არ სურს.

–იქაური ჰავა ძალიან მომიხდება.

–დეიდა ფილიპსი ამბობს, შენც მოგიხდებაო, – უთხრა ქითიმ.

ასეთი სევდიანი იყო ლონგბერნის სახლი. ელიზაბეთი უმცროს დებს და დედას არ გაურბოდა, იქნებ გავერთოო, მაგრამ სინდისიც ქენჯნიდა. რცხვენოდა თავისი საქციელის გამო. ლიდიას სევდა მალე გაეფანტა. ოფიცრის ცოლმა, მისის ფორსტერმა ლიდია ბრაითონში დაჰპატიჟა. მისის ფორსტერი ძალიან ახალგაზრდა იყო. მან და ლიდიამ საერთო ენა უცებ გამონახეს და უკვე სამ თვეში ახლო მეგობრები გახდნენ.

ენა ვერ აღწერს, როგორ გაიხარა ლიდიამ, რომელიც დღედაღამ მისის ფორსტერს ასხამდა ხოტბას, როგორი სიამოვნება იგრძნო მისის ბენეტმა და როგორ დასევდიანდა ქითი, რომელიც ლიდიასთან ერთად არ დაჰპატიჟეს. ლიდია სიხარულისგან მთელ სახლში დაქროდა, ყველას ახარებდა ამ ამბავს და ბევრს იცინოდა. ქითი კი გაჯავრებით ამბობდა:

–რატომ მეც არ მიმიწვია მისის ფორსტერმა. მართალია, მისი მეგობარი არა ვარ, მაგრამ ლიდიაზე ორი წლით უფროსი ვარ.

ელიზაბეთმა და ჯეინმა ვერაფრით დაამშვიდეს ვერც ქითი და ვერც ლიდია. ელიზაბეთი ფიქრობდა, რომ ეს გამგზავრება ლიდიასთვის საშიში იყო. ლიდიას თავქარიანობიდან გამომდინარე, შესაძლოა სასიკვდილო განაჩენადაც ქცეულიყო. ამიტომ ელიზაბეთმა ფარულად მიმართა მამას, ლიდია არ გაუშვაო. უთხრა, რომ ლიდიას საქციელი აშფოთებს და

თანაც მისის ფორსტერთან ურთიერთობაც საშიშია, რადგან ეს უკანასკნელი ლიდისავით თავპარიანია. ბრაითონში მარტო იქნება, სადაც ცდუნებაც დიდია. მამამ ყურადღებით მოუსმინა ელიზაბეთს და უთხრა:

–ლიდია ვერ მოისვენებს, სანამ სადმე თავს არ გამოიჩენს და მგონი ამჟამინდელი ვითარება ნაკლებად საშიშია მისთვის.

–მამა, ლიდის უჭკუო ქცევა ჩვენ შეურაცხვეყოფს და თუ ამას გაითვალისწინებთ, მაშინ სხვაგვარად განსჯით. უკვე მოხდა კიდევ მსგავსი რამ.

–უკვე მოხდა? ლიდიამ შეყვარებული დაგიფრთხოთ? საბრალო ლიზი! მაგრამ გულს ნუ გაიტეხ. ისეთი შეყვარებული, რომელიც პატარა რამეზე ფრთხება, ფიქრადაც არ ღირს. აბა, მითხარი, ვინ დააფრთხო ლიდიამ.

–არა, მამა, არც არავინ! მე ზოგად შემთხვევაზე ვლაპარაკობ. ჩვენი ღირსება ლიდის საქციელით შეილახება. მაპატიეთ, მამა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: თუ თქვენ ლიდის არ მოთოკავთ და არ შეახსენებთ, რომ უღირსად იქცევა, მაშინ ცოტა ხანში გვიან იქნება. თქვენ მას ვერ დააოკებთ. ის ამას მიეჩვევა და ყველა კაცს ფლირტს გაუბამს. ოჯახს დაცინვის საგნად გაგვიხდის. ფლირტს გაუბამსო, რომ ვამბობ, ყველაზე მდარე და უზნეო საქციელს ვგულისხმობ. თავცარიელი და ქარაფშუტაა, ამიტომ თავად საკუთარი თავის დაცვას ვერ შეძლებს და ვერ მოიგერიებს იმ ზიზღს, რომლითაც ხალხი მის საქციელს შეხვდება. მას დაუოკებელი სურვილი აქვს, რომ ეტრფოდნენ. იმავე საშიშროების წინაშე დგას ქითიც. ის ლიდის ნაბიჯს გაიმეორებს და მათი ქცევა სრულიად უკონტროლო გახდება! ოჰ, მამა, ამის გამო მე და ჯეინსაც ლაფში ამოგვსვრიან.

მისტერ ბენეტმა ქალიშვილს ხელი დაუჭირა და უთხრა:

–ჩემო სიყვარულო, დამშვიდდი. ვინც შენ და ჯეინს გიცნობთ, ის არ შეცდება თქვენი ღირსების ამოცნობაში. სამი სულელი და ვერაფერს დაგაკლებთ. ახლა ლიდია რომ არ გავუშვა ბრაითონში, ჩვენ აქ მოსვენება არ გვიწერია. დაე, წავიდეს. პოლკოვნიკი ფორსტერი ჭკვიანი კაცია და ლიდის ხიფათს არ შეამთხვევს. საბედნიეროდ, შენი და ისეთი ღარიბია, რომ მისით არავინ დაინტერესდება. ბრაითონში ფლირტისთვისაც კი არავის ენდომება. ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს ვერ ჩაიდენს, რასაც აქ სჩადიოდა. ოფიცრებს მდიდარი ქალები მოსწონთ. თანაც, იქ ყოფნით მიხვდება, თუ რაოდენ უმნიშვნელოა. იმაზე უარესი მაინც არ გახდება, ვიდრე ახლაა და მისი სახლში გამომწყვდევა უარესია.

ელიზაბეთი მამის პასუხმა დააკმაყოფილა, თუმცა გონება მაინც იმავეს ეუბნებოდა. იმითაც კმაყოფილი იყო, რომ თავისი მოვალეობა შეასრულა. იმას, რაც აუცილებლად მოხდებოდა, მაინც ვერ შეცვლიდა.

მისის ბენეტსა და ლიდის რომ სცოდნოდათ ელიზაბეთისა და მამამისის საუბრის შესახებ, საშინელ ამბავს ატეხდნენ. ლიდის წარმოსახვაში ბრაითონში გამგზავრება ყველა მიწიერი სიამოვნების ზიარებას ნიშნავდა. წინასწარ ოცნებობდა იმ ოფიცრებზე, მას რომ დაუწყებდნენ

ყურებას. წინასწარ ტკბებოდა იმით, რომ ჯარისკაცთა ბანაკებს ნახავდა, რომელშიც ახალგაზრდა წითელფორმიანი ჯარისკაცები იყვნენ და სადაც რამდენიმე ოფიცერს ერთად გაუბამდა ფლირტს.

რომ სცოდნოდა, მისი და ცდილობდა მისი გამგზავრების ჩაშლას, რას იფიქრებდა! მხოლოდ დედა თუ გაუგებდა. მისის ბენეტიისთვის შვება იყო, რომ ლიდია მაინც მიდიოდა ბრაითონში, მას შემდეგ, რაც მისტერ ბენეტმა უარი თქვა იქ გამგზავრებაზე. მაგრამ დედაშვილმა არაფერი იცოდა და სიხარულისგან ცას სწვდებოდნენ.

ელიზაბეთს ვიკჰემი უკანასკნელად უნდა ენახა. ჩამოსვლის შემდეგ იშვიათად ნახულობდა. ისიც კი შეამჩნია, რომ ვიკჰემი სრულიად არ შეცვლილა და ელიზაბეთისადმი იმავე გრძნობებს იჩენდა. ურთიერთობის განახლება სურდა. ადრე ელიზაბეთი მოტყუვდებოდა, მაგრამ არა ახლა. ახლა დაცული იყო მისგან. ღმერთს მადლობდა, რომ ადრე ვიკჰემმა ყურადღება სხვა ქალიშვილზე გადაიტანა. ამან ბევრი რამ შეცვალა.

მერთონიდან გამგზავრების დღეს ვიკჰემმა ლონგბერნში ისაძილა. ელიზაბეთს იმდენად არ სურდა ვიკჰემის ყურადღება მიეპყრო, რომ მის კითხვაზე, თუ როგორ გაატარა დრო ჰანსფორდში, უპასუხა, იქ პოლკოვნიკ ფიცუილიამსა და მისტერ დარსის შევხვდი, სამი კვირა ერთად გავატარეთო. მერე ჰკითხა, პოლკოვნიკს თუ იცნობთო. ვიკჰემი შეცბა, მაგრამ არ დაიბნა და უთხრა, კი, ადრე რამდენჯერმე მინახავსო. ელიზაბეთს ჰკითხა, თქვენ თუ მოგეწონათო. ელიზაბეთმა პოლკოვნიკი აქო და თბილი სიტყვები არ დაიმურა.

-რამდენი ხანი იყო როზინგში?

-სამი კვირა.

-ხშირად ნახულობდით?

-დიახ, თითქმის ყოველდღე.

-მამიდაშვილისგან განსხვავდება.

-ძალიან, მაგრამ ვფიქრობ დარსი გამოსწორდა.

-მართლა? - წამოიძახა ვიკჰემმა. მერე კი თავი მოთოკა, - რაში გამოსწორდა, დამოკიდებულებაში? ადამიანებისადმი თავაზიანობაში? მთავარ ხასიათს მაინც არ შეიცვლიდა.

-ო, არა, თქვენ ვერ გამიგეთ. ის ზუსტად ისეთივეა, როგორც იყო.

ელიზაბეთი რომ ლაპარაკობდა, ვიკჰემმა არ იცოდა, მოსწონებოდა თუ შესჯავრებოდა. რაღაც ისეთი გამომეტყველება ჰქონდა ელიზაბეთს, ვიკჰემი აფორიაქდა.

-გამოსწორდა-მეთქი, რომ გითხარით, მისი გონების ან ხასიათის გამოსწორება არ მიგულისხმია. პირიქით, ის ვიგულისხმე, რომ მისი ხასიათი უკეთ გავიგე.

ვიკჰემი მთლად დაიბნა და რამდენიმე წუთით ხმა არ ამოუღია. მერე კი ელიზაბეთს მიუბრუნდა და უთხრა:

–თქვენ ხომ იცით, რას ვფიქრობ მისტერ დარსის შესახებ და მინდა გითხრათ, რომ მიხარია, თუ თავი მაინც მოგაჩვენათ, რომ კეთილი და კარგია. სიამაყეც ეხმარება, რომ ის, რაც მე გამიკეთა, სხვას არ გაუკეთოს. დეიდასთან სტუმრობისას სიფრთხილეს გამოიჩინდა. დეიდის აზრი მისთვის მნიშვნელოვანია. მალე ალბათ მის დებურგსაც შეირთავს, რომლის შერთვა გულით უნდა.

ელიზაბეთმა ამაზე ღიმილი ვერ შეიკავა. ვიკჰემს სურდა ძველი თემა განეახლებინა, მაგრამ ელიზაბეთმა მხარი არ აუბა. მთელი საღამო ცდილობდა ვიკჰემი, მხიარულად ყოფილიყო. თუმცა ელიზაბეთს აღარ დალაპარაკებია და როცა დაემშვიდობნენ ერთმანეთს, ორივეს სურდა, აღარასოდეს შეხვედროდნენ.

ლიდია მისის ფორსტერთან ერთად მერიტონში დაბრუნდა, საიდანაც დილით უნდა გამგზავრებულიყვნენ. საკმაოდ ხმაურიანი დამშვიდობება ჰქონდათ. ქითი სიბრაზისგან ტიროდა. მისის ბენეტს უხაროდა და ლიდიას არიგებდა, აბა, შენ იცი, კარგად გაერთეო. ამის თქმა ლიდიას ნამდვილად არ სჭირდებოდა.

თავი ორმოცდამეორე

ელიზაბეთისთვის რომ გეკითხათ მისი მშობლების ოჯახური ბედნიერების შესახებ, კარგს ვერაფერს გეტყვობათ. მამამისმა ცოლი სილამაზის გამო შეირთო, მაგრამ მისის ბენეტის ვიწრო თვალსაწიერმა წერტილი დაუსვა მის სიყვარულს. ცოლი აღარც უყვარდა და ვეღარც ენდობოდა. ოჯახურ ბედნიერებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მაგრამ მისტერ ბენეტი იმ ადამიანთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა, ჩადენილი სისულელის გამო კიდევ უფრო მეტ სისულელეს რომ სჩადიან და იმედგაცრუებას ამით იქარვებენ. მისტერ ბენეტმა შვება წიგნებში იპოვა. ცოლს იმაში მაინც ემადლიერებოდა, რომ მისი სისულელე და უმეცრება ართობდა. კაცი ასეთი რამით არ უნდა ერთობოდეს, მაგრამ ნათქვამია, ბრძენი იმითაც კმაყოფილია, რასაც განგება უბოძებსო.

ელიზაბეთს კარგად ესმოდა მამამისის საქციელი და გული სტკიოდა, მაგრამ იცოდა, რომ მამა ღირსეული კაცი იყო. ცდილობდა არ შეემჩნია, რომ ხშირად თავს არიდებდა ცოლთან ურთიერთობას. სწორედ ამის გამო იყო, რომ მისის ბენეტი ჯავრს საკუთარ შვილებზე იყრიდა. ახლავა მიხვდა ელიზაბეთი, რომ ასეთ შეუფერებელ ოჯახში აღზრდილი ბავშვები ყოველთვის იჩაგრებიან.

ელიზაბეთს ძლიერ გაუხარდა ვიკჰემის წასვლა, მაგრამ არც სახლში გრძნობდა თავს კარგად დედისა და დის გამუდმებული წუწუნის გამო. ქითი ოდნავ დამშვიდდა იმის შემდეგ, რაც სამხედრო გარნიზონი გაემგზავრა, მაგრამ ელიზაბეთს გონებიდან არ შორდებოდა ის, რომ

ლიდია საშიშროების წინაშე იქნებოდა იმ ქალაქში. ასე რომ, ელიზაბეთი სულიერ სიმშვიდეს ვერ ეღირსა და ცოტა დასამშვიდებლად ცდილობდა რაიმე სასიამოვნოზე ეფიქრა. გაახსენდა, რომ ბიძასთან და ბიცოლასთან ერთად ზაფხულში ტბებზე უნდა წასულიყვნენ.

ბედნიერი ვარ იმით, რომ ოცნება შემოდოდა, ფიქრობდა ელიზაბეთი, იმედი მაქვს, ოცნება ამიხდება და მოგზაურობა დიდ სიამოვნებას მომანიჭებს. ლიდია რომ წავიდა, დედას და დას დაჰპირდა, დაწვრილებით მოგწერთ ყველაფერსო, მაგრამ წერილებს იშვიათად წერდა და თანაც ძალიან მოკლეს, რომ ამა და ამ ოფიცერმა გაიცნო და რომ სადღაც ისეთი ლამაზი ორნამენტები ნახა, კინალამ გაგიჟდა. ახალი მოსასხამი იყიდა ან ახალი ქოლგა და იმ ქოლგას დაწვრილებით აღწერდა, მაგრამ ახლა ვერ შეძლებს, რადგან მისის ფორსტერი ემახის და უნდა წავიდეს. ბანაკში მიდიან. ქითისთვის გამოგზავნილ წერილებში ისეთი უხერხული სიტყვები ეწერა, რომ ვერავის წააკითხებდი.

სამი კვირის შემდეგ ლონგბერნის ოჯახი გამოცოცხლდა. მეზობელი ოჯახები ლონდონში გატარებული ზამთრის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. მისის ბენეტი აღარ წუწუნებდა. ივნისში ქითიმ მერიტონი ისე მოინახულა, რომ არ უტირია. ელიზაბეთს კი იმედი მიეცა, რომ მის დას საერთოდ დაავიწყდებოდა ოფიცრები, თუ რაღაც უბედური შემთხვევის წყალობით სამხედრო შტაბს ისევ არ მოიწვევდნენ.

ორ კვირაში სამოგზაუროდ წავიდოდნენ, მაგრამ მისის გარდინერმა ელიზაბეთს შეატყობინა, რომ რაღაც საქმის გამო ივლისამდე ვერ გაემგზავრებოდნენ და თანაც ერთ თვეში ისევ ლონდონში უნდა ყოფილიყვნენ. შორს ვერ იმოგზაურებდნენ და ტბების სანახავად ვერ წავიდოდნენ, ამიტომ ჩრდილოეთში, დერბიშირში გამგზავრება გადაწყვიტეს. მისის გარდინერის აზრით, დერბიშირში ბევრი სანახაობა იყო. თანაც, მისის გარდინერს იქაურობა უყვარდა, რამდენიმე წელი იქ იცხოვრა. ამიტომ მეთლოქზე, ჩათვორთზე, დავდეილსა და პიკზე ნაკლებად არ აინტერესებდა მისი ხელახლა ნახვა. ამ ცნობამ ელიზაბეთი დაასევდიანა. მას ტბების ხილვა სწყუროდა და დროც ეყოფოდათ, მაგრამ ბიცოლას სურვილს დაჰყვა.

დერბიშირში ფემბერლის მამული იყო დარსის სამფლობელო. თუმცა ელიზაბეთი ფიქრობდა, ისე მოვინახულებ იქაურობას, დარსი ვერც გაიგებს, რომ იქ ვიყავიო. ოთხი კვირის შემდეგ მისტერ და მისის გარდინერები ჩამოვიდნენ და თან ოთხივე შვილი ჩამოიყვანეს: ორი გოგონა და ორი ბიჭი საკმაოდ პატარები. მისის გარდინერმა ბავშვები ჯეინს დაუტოვა. ლონგბერში ერთი ღამე გაათიეს და მეორე დღით ელიზაბეთთან ერთად გაუდგნენ გზას. ელიზაბეთს ძალიან უყვარდა ბიძა და ბიცოლა, ამიტომ მარტო მათთან ერთად გამგზავრება ჰგვრიდა სიამოვნებას, სხვა რომ არაფერი ყოფილიყო.

გაიარეს ოქსფორდი, ბლენიმი, ვორვიკი, ქენილვორთი, ბერმინგემი და ბოლოს დერბიშირთან ახლოს, პატარა ქალაქ ლემთონში ჩავიდნენ, სადაც ადრე მისის გარდინერი ცხოვრობდა. ლემთონიდან ხუთ მილში მდებარეობდა ფემბერლის მამული. მისის გარდინერს ძლიერ სურდა ამ ადგილის კიდევ ერთხელ ნახვა და ელიზაბეთს უთხრა:

-ჩემო ძვირფასო, არ გინდა ნახო მამული, რომელზეც ამდენი რამ გსმენია და სადაც შენი ნაცნობები ცხოვრობენ. ვიკვემიც სწორედ იქ გაიზარდა.

ელიზაბეთი სევდამ შეიპყრო. მას არაფერი ესაქმებოდა ფემბერლიში, ამიტომ ბიცოლას უთხრა, წამოსვლა არ მსურს, რადგან დიდი სახლების ყურება მომბეზრდაო.

მისის გარდინერმა უთხრა:

-რა სულელი ხარ, ლიზი, ეს მხოლოდ დიდი და მდიდრულად მორთული სახლი კი არ არის, ასე რომ იყოს, არც მე მოვისურვებდი კვლავ მენახა. ეს სახლი ხელოვნების ნიმუშია.

ელიზაბეთს არაფერი უთქვამს. მას მისტერ დარსისთან შეხვედრა არ სურდა. ეს ხომ საშინელება იქნებოდა! უმჯობესია, ახლავე უთხრას მისის გარდინერს ყველაფერი, რომ იქ არ წავიდეს. მაგრამ მერე გადაიფიქრა, რადგან შესაძლოა ბიძას და ბიცოლას ეწყინოს. ამიტომ გადაწყვიტა, ვინმესთვის ეკითხა, მისტერ დარსი მამულში იმყოფებოდა თუ არაო. იქნებ წლის ამ დროს იქ არ იყო და მაშინ მასთან შეხვედრის საშიშროებაც არ არსებობდა.

სადამოს მსახურს ჰკითხა, ფემბერლის ოჯახი შინ თუ არისო. მსახურმა უთხრა, შინ არ არიანო, რამაც ელიზაბეთი დაამშვიდა. ახლა შეეძლო მშვიდად ენახა დარსის სახლი მეორე დილით მისის გარდინერის შეკითხვაზე ხალისით უპასუხა და გამოთქვა სურვილი, მეც თქვენთან ერთად წამოვალაო.

თავი ორმოცდამესამე

ფემბერლის მამულს რომ მიუახლოვდნენ, ელიზაბეთმა აღელვებით გაიხედა პარკისკენ, რომელიც საკმაოდ დიდი იყო და მრავალფეროვანი მცენარეულობით შეემკოთ. ლამაზი ხეივანი მთელ სიგრძეზე გადაჭიმულიყო. ისინიც ამ ხეივანს გაუყვნენ.

ელიზაბეთი ისე აღელდა, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა. ძალიან მოეწონა აქაურობა. სახლისკენ აღმართი მიდიოდა. ავიდნენ თუ არა აღმართზე, ხეთა რიგიც დამთავრდა და ფემბერლის სახლიც დაინახეს, რომელიც მინდვრის მეორე მხარეს იდგა. ქვით ნაშენი სახლი იყო, რომლის უკან მწვანით დაფარული სერები მოჩანდა. სახლის წინ ნაკადული მორაკრაკებდა. ელიზაბეთი მშვენიერების ყურებამ გაიტაცა. ასეთი წარმტაცი ბუნება ჯერ არ ენახა. ბუნება, რომელიც ადამიანის გემოვნებით არ იყო შელახული და მაშინ იგრძნო ელიზაბეთმა, რომ ფემბერლის დიასახლისობა მართლაც ღირსშესანიშნავი იქნებოდა.

სერს ქვემოთ ჩაუყვნენ, პატარა ხიდი გადაიარეს და კარს მიადგნენ. სახლის გარეთა ფსადს რომ ათვალიერებდნენ, უცებ ელიზაბეთი შიშმა შეიპყრო. ვაითუ მსახური ქალი შეცდა და დარსი სახლში იყო! სახლის დათვალიერება ითხოვეს და მსახურმა ჰოლში შეიყვანა.

მამულის მეთვალყურე ხანში შესული ღირსეული ქალბატონი იყო. სტუმრები თავაზიანად მიიღო და სასადილო დარბაზში შეუძღვა. დიდი ოთახი იყო, ლამაზად მოწყობილი. ელიზაბეთი ფანჯარასთან მივიდა, რომ ხედით დამტკბარიყო. სერი ხეებს დაეფარა. ის ახლა შორიდან უფრო ლამაზად მოჩანდა. ნაკადულის ირგვლივ ხეები ჩამწკრივებულიყო. ელიზაბეთი გარემოს მშვენიერებით მოინუსხა. სხვა ოთახებიდან სულ სხვაგვარად მოჩანდა ეს ყველაფერი. ფართო ოთახები ძვირფასი ავეჯით გაეწყობო. ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ თითოეული დეტალი დიდი გემოვნებითა და სინატიფით შეერჩიათ, როზინგისგან განსხვავებით.

„და ამ სახლის დიასახლისი ვიქნებოდი!“ – გაიფიქრა ელიზაბეთმა, – „ამ ოთახებში ვიცხოვრებდი, ნაცვლად იმისა, რომ უცხოთაგანით დამეთვალისწინებინა. აქ სტუმრად მოვიწვევდი ბიძასა და ბიცოლას. თუმცა როგორ! ამის უფლება არ მექნებოდა. ჩემს საყვარელ ადამიანებს სამუდამოდ დავკარგავდი.“

ამ აზრმა ელიზაბეთს სინანულის ნასახიც გაუქარწყლა. უნდოდა მოსამსახურისთვის ეკითხა, სახლის პატრონი ნამდვილად წასულია თუ არაო, მაგრამ მოერიდა. ბოლოს ბიძამისმა იგივე შეკითხვა დაუსვა მოსამსახურეს. მისის რეინოლდსმა თქვა: სახლის პატრონი ხვალ ჩამოვა მეგობრებთან ერთადო.

როგორ გაუხარდა ელიზაბეთს, რომ ერთი დღით არ გადადეს აქ მოსვლა. ბიცოლამ სურათზე მიუთითა. ბუხრის თავზე დაკიდებულ სურათზე მისტერ ვიკჰემის სახე ამოიცნო. მოგწონს თუ არაო, ჰკითხა მისის გარდინერმა. მსახურმა უთხრა, ეს აქ მომსახურე ეკონომის ვაჟი იყო და ჩემმა ბატონმა აღზარდა, ახლა არმიაშია და ამბობენ, სრულიად გაველურდაო.

მისის გარდინერმა ღიმილით შეხედა ელიზაბეთს, რომელმაც მზერა არ დაუბრუნა.

–და ეს კი, – თქვა მისის რეინოლდსმა, – ჩემი ბატონია. ეს ორივე სურათი რვა წლის წინანდელია.

–ბევრი მსმენია თქვენი ბატონის კეთილშობილებაზე, – უთხრა მისის გარდინერმა და სურათს შეხედა, სიმპათიური სახე აქვს. ლიზი, სინამდვილეშიც ასეთია მისტერ დარსი?

მისის რეინოლდსს გაუხარდა, რომ თურმე ელიზაბეთი მის ბატონს იცნობდა.

–ეს ქალიშვილი იცნობს მისტერ დარსის?

ელიზაბეთი გაწითლდა და უპასუხა, დიახო.

–სიმპათიურია არა, მის?

–დიახ, ძალიან.

–ასეთი სიმპათიური არავინაა. მეორე სართულის გალერეაში უფრო კარგ, დიდ სურათს ნახავთ. ეს ოთახი განსვენებული მისტერ დარსის საყვარელი ოთახი იყო და ეს მინიატურული სურათები ძალიან უყვარდა.

მისის რეინოლდსმა სტუმრებს მის დარსის სურათიც უჩვენა. სურათზე მის დარსი რვა წლისა იყო.

–მის დარსი ძმასავით სიმპათიურია? – იკითხა მისის გარდინერმა.

–ო, ძალიან სიმპათიურია და ძალიან დახვეწილი. შესანიშნავად მღერის და უკრავს. იმ ოთახში ფორტეპიანოა, რომელიც მისტერ დარსიმ ახლახან ჩამოუტანა. ხვალ მის დარსიც ჩამოვა.

მისტერ გარდინერი თავისუფლად და სასიამოვნოდ საუბრობდა. ეტყობოდა, რომ მისის რეინოლდსს მასზე ლაპარაკი სიამოვნებას ანიჭებდა.

–მისტერ გარდინერი წლის ამ დროს ფემბერლიში ატარებს?

–არა! ისე კი მსურდა, რომ ასე ყოფილიყო. მის დარსი ზაფხულში ჩამოდის.

„ის ხომ რამსგეითში დადის,“ – გაიფიქრა ელიზაბეთმა.

–რომ დაქორწინდეს, ალბათ უფრო ხშირად ნახავთ.

–დიახ, მაგრამ როდის დაქორწინდება, არ ვიცი. არც მეგულება ვინმე, მას რომ შეეფერებოდეს.

მისტერ და მისის გარდინერებმა გაიღიმეს. ელიზაბეთმა თქვა:

–ალბათ ძალიან კარგი კაცია, ასე რომ ლაპარაკობთო.

–მე სიმართლეს ვამბობ და ყველა იმავეს იტყვის, ვინც მისტერ დარსის იცნობს, – უპასუხა მისის რეინოლდსმა.

ელიზაბეთი ყურადღებით უსმენდა მსახურს, რომელმაც გააგრძელა:

–ოთხი წლის რომ იყო მისტერ დარსი, იქიდან ვიცნობ და გაბრაზებული არასოდეს მინახავს.

ეს ნამდვილი ქება იყო, რაც ელიზაბეთის წარმოდგენებს ეწინააღმდეგებოდა ელიზაბეთი სულ ფიქრობდა, დარსი ბრაზიანი კაციაო. ახლა კი რაც შეიძლება ბევრის მოსმენა სურდა მისის რეინოლდსისგან და გაიხარა, როცა ბიძამისმა მსახურს ჰკითხა:

–ალბათ ამგვარად ბევრს როდი შეაქებენ. გაგიმართლათ, რომ ასეთი კარგი ბატონი გყავთ.

–დიახ, მისტერ, ვიცი, რომ გამიმართლა! მთელი ქვეყანა რომ შემოვიარო, მისტერ დარსისთანა კაცს ვერსად ვნახავ. ხშირად შემინიშნავს, რომ ისინი, ვინც ბავშვობაში კარგი თვისებებით გამოირჩევიან, ამ თვისებებს ზრდასრულ ასაკშიც არ კარგავენ. ბავშვობაში მისტერ დარსი ძალიან კეთილი და კარგი ბიჭი იყო.

ელიზაბეთი მისის რეინოლდსს მიაჩერდა და გაიფიქრა, კი მაგრამ, ამას დარსიზე ლაპარაკობს?

–მამამისი შესანიშნავი კაცი იყო, – თქვა მისის გარდინერმა.

–დიახ, მისის, ასე იყო. შვილიც მას ჰგავს. ღარიბებისადმი განსაკუთრებით მოწყალეა.

ელიზაბეთი უსმენდა და უკვირდა. ამის შემდეგ, მისის რეინოლდსმა ლაპარაკი წამოიწყო სურათებზე, ოთახების მოცულობაზე, ავეჯის ფასზე, რაც ელიზაბეთს არ აინტერესებდა. მისდა სასიხარულოდ, მისტერ გარდინერმა ისევ წედანდელი თემა ჩამოაგდო.

–საუკეთესო ბატონია, განაგრძო მისის რეინოლდსმა, სხვა ახალგაზრდებს როდი ჰგავს, მარტო თავის თავზე რომ ფიქრობენ. ერთი მომდურავიც კი არა ჰყავს. ყველა მსახური აღმერთებს. ამბობენ, მისტერ დარსის ამაყი კაცის სახელი აქვსო, თუმცა ძალიან ცდებიან. მე მსგავსი არაფერი შემინიშნავს. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ სხვებივით ბევრი ლაპარაკი არ უყვარს.

„ო, რა კეთილად წარმოაჩენს დარსის,“ – გაიფიქრა ელიზაბეთმა.

–რა შესანიშნავად დაახასიათა, – ჩურჩულით თქვა მისის გარდინერმა, – ასეთი კაცი რომ იყოს დარსი, ჩვენს საწყალ ვიკჰემს ასე მოექცეოდა?

–იქნებ ვცდებით.

–არა მგონია. სანდო წყაროსგან შევიტყვეთ.

მსახურმა სტუმრები მეორე სართულის ერთ მშვენიერ ნათელ სასტუმრო ოთახში შეიყვანა და უთხრა, ეს-ესაა მის დარსისთვის გაარემონტეს, რომელსაც სწორედ ეს ოთახი უყვარს განსაკუთრებით.

–ო, რა კარგი ძმია, – თქვა ელიზაბეთმა და ფანჯარასთან მივიდა.

–მის დარსის მოეწონება, – თქვა მის რეინოლდსმა, – მისტერ დარსი სულ ასე იქცევა, დის გულისთვის ყველაფერს აკეთებს.

სურათების გალერეა და ორი საძინებელიც დაათვალიერეს. გალერეა მშვენიერი ნახატებით იყო სავსე, მაგრამ ელიზაბეთს მხატვრობისა არაფერი გაეგებოდა. იქვე იყო ფერადი ფანქრით შესრულებული სურათი მის დარსისა, რომელიც ელიზაბეთს ძალიან მოეწონა.

გალერეაში ბევრი საოჯახო პორტრეტიც იყო, თუმცა ყურადღებას არ იქცევდა. ელიზაბეთი დარსის სურათს ეძებდა. ბოლოს იპოვა სურათი, რომელიც ძალიან ჰგავდა დარსის და ისეთივე ღიმილი ჰქონდა, როგორც დარსის. სურათის წინ რამდენიმე წუთი იდგა და უყურებდა. მისის რეინოლდსმა უთხრა, მამამისი ცოცხალი იყო, ეს სურათი რომ გადაიღო.

ამ დროს ელიზაბეთის გონებაში რაღაც თბილი გრძნობა გაჩნდა დარსისადმი, რაც აქამდე არ უგრძნია. მისის რეინოლდსის ქებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ელიზაბეთზე. განათლებული

მსახურის ქებაზე უკეთესი რა უნდა დაიმსახურო. დარსის ყველასთვის ბედნიერება მოჰქონდა: დისთვის, მსახურთათვის. რამდენი ზრუნვა აკისრია, რამდენი სიკეთე უნდა აკეთოს! მის სურათს რომ უყურებდა ტილოზე გამოსახულს, ელიზაბეთმა ისეთი სიყვარული იგრძნო, აქამდე რომ არ განუცდია. დარსის გამოსახულება უჩვეულო სითბოს ასხივებდა.

მთელი სახლი რომ დაათვალიერეს, ქვედა სართულში ჩავიდნენ, მსახურს გამოემშვიდობნენ და ახლა მებაღეს მიაშურეს. მებაღე მდინარისკენ გაუძღვა. ელიზაბეთმა უკან მოიხედა, რომ სახლისთვის კიდევ ერთხელ შეეხედა. გარდინებზეც შეჩერდნენ და ამ დროს, სრულიად მოულოდნელად დაინახეს თავად სახლის პატრონი, მისტერ დარსი, რომელიც მათკენ მოდიოდა.

დარსიმ ისინი შეამჩნია. მისი და ელიზაბეთის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ორივეს ლოყები აუწითლდა. დარსი გაოცებისაგან დაიბნა. მაგრამ უცებ მოვიდა გონს და ელიზაბეთს დაელაპარაკა. ცოტა დაბნეული ჩანდა. ელიზაბეთმა დარსის დანახვაზე გაბრუნება და წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა და უხერხულად მიესალმა. როგორ ჰგავდა მისტერ დარსის ის სურათი. ასე რომ არ ყოფილიყო, გარდინებებს სხვაგვარი გამომეტყველება ექნებოდათ. ისინი მოშორებით იდგნენ, სანამ დარსი მათ დისშვილს ელაპარაკებოდა. ელიზაბეთს თვალები ძირს დაეხარა და ძალიან დაბნეული ჩანდა. თანაც იმაზე ფიქრობდა, როგორ შეცვლილიყო დარსის მანერები იმის შემდეგ, რაც ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს. დარსის ლაპარაკი უფრო აბნევდა. რას იფიქრებს დარსი, აქ რომ მნახაო, ამაზე ფიქრობდა ელიზაბეთი. არც დარსი იყო თავისუფლად. ლაპარაკში დამაბულობა ემჩნეოდა. ქალიშვილს გამოჰკითხა ლონგბერნის შესახებ, რამდენჯერმე ჰკითხა, დერბიშირი როგორ მოგეწონათო. კითხვებს ისე სწრაფად სვამდა, რომ ეტყობოდა, ფიქრები აერია.

ბოლოს ვერაფერი მოიფიქრა და გაჩუმდა. შემდეგ ყველას გამოემშვიდობა და წავიდა. გარდინებები ელიზაბეთს შეუერთდნენ და დარსიზე დაიწყეს ლაპარაკი. ელიზაბეთს მათი ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ გაუგონია და საკუთარ ფიქრებში ჩაფლული ჩუმად მიჰყვებოდა. რა სირცხვილია, ღმერთო, აქ არ უნდა მოვსულიყავიო, კიცხავდა თავის თავს. ახლა დარსი რას იფიქრებს! ისეთი ქედმაღალია, იფიქრებს, ელიზაბეთი განზრახ მოვიდა, რომ მე ვენახეო. არ უნდა მოვსულიყავი. რაღა მაინცდამაინც ახლა ჩამოვიდა დარსი. მას ხომ ხვალ ელოდნენ. ათი წუთით ადრე რომ წასულიყვნენ აქედან, მაშინ მის სასტიკ მზერას ხომ აიცილებდნენ. ფაქტი იყო, რომ დარსი სწორედ იმ წუთს მოვიდა, ესენი რომ მიდიოდნენ. ელიზაბეთი უფრო გაწითლდა. რა სხვანაირი ეჩვენა დარსი. ეს რას უნდა ნიშნავდეს? დაელაპარაკა კიდევ, რა უცნაურია! და ისე თავაზიანად დაელაპარაკა, ოჯახიც კი მოიკითხა! როგორი თავმდაბალი ჩანდა, როგორი თავაზიანი! რა კონტრასტი იყო ახლანდელ და მაშინდელ დარსის შორის, ბოლოს როზინგის პარკში რომ შეხვდა და წერილი გადასცა! ელიზაბეთმა აღარ იცოდა რა ეფიქრა.

მდინარეს გაუყვნენ, რომლის ირგვლივ თვალწარმატაცი ბუნება გადაშლილიყო. ელიზაბეთი ახლალა მიხვდა, რომ ბიძისა და ბიცოლას კითხვებს მექანიკურად პასუხობდა და რამე ლამაზ ხედს რომ უჩვენებდნენ, უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა. ფიქრებით ისევ ფემბერლის მამულში იყო დარსისთან. ნეტავ ახლა რას ფიქრობდა დარსი ელიზაბეთის

შესახებ, ნეტავ თუ ისევ უყვარდა. ალბათ თავაზიანი იმიტომ იყო, რომ აღარ უყვარს და არც დელავდა. მაგრამ არა, მის ხმაში იყო რაღაც, რაც გრძნობას გასცემდა. გაუხარდა თუ არა ელიზაბეთის ნახვა, ამას ელიზაბეთი ვერ მიხვდა, თუმცა ფაქტია, რომ დაიბნა. ბოლოს გარდინერებმა შეამჩნიეს დისშვილის დაბნეულობა და ამიტომ ელიზაბეთი გამოცოცხლდა.

შემდეგ ტყეში შევიდნენ, ცოტა ხნით მდინარეს გამოემშვიდობნენ და მალეობს შეუყვანენ. ხეებსა და ხეებს შორის წარმტაცი მდელო მოჩანდა. სერები ხეებს დაეფარა. მისტერ გარდინერმა მთელი პარკის დათვალიერება მოისურვა, თუმცა შესაძლოა სავალი ბილიკი მთელ პარკს არ გასწვდენოდა. მეზალემ უთხრა, რომ სავალი ბილიკი ათი მილის სიგრძისა იყო. ამიტომ სვლა განაგრძეს და კვლავ დამრეც ფერდობს მიადგნენ წყლის პირას. პატარა ხიდზე გადავიდნენ. ეს ადგილი ნაკლებად მშვენიერი იყო სხვებთან შედარებით. აქ ველს მდელო ცვლიდა, რომელზეც ნაკადული მორაკრავებდა. ვიწრო სავალი ბილიკი ბუჩქნარით იყო შემოსაზღვრული. ელიზაბეთს სურდა ენახა, წყარო სადამდე მიდიოდა, მაგრამ ხიდზე რომ გადავიდნენ, უკვე ისე შორს იყვნენ სახლისგან, რომ მისის გარდინერმა სიარული ვედარ შეძლო და ეტლთან დაბრუნება გადაწყვიტეს.

ელიზაბეთიც მათ ნებას დაჰყვა და მდინარის მეორე მხრიდან სახლისკენ მიმავალ გზას გაუყვანენ. მისტერ გარდინერს თევზაობა ძლიერ უყვარდა და მდინარეში მცურავ კალმახებს მიაჩერდა. ამ დროს, მათდა გასაკვირად, მისტერ დარსი დაინახეს, მათკენ რომ მოდიოდა. ელიზაბეთი წელანდელზე უფრო დაიბნა. გადაწყვიტა, თავი ხელში აეყვანა და ისე დალაპარაკებოდა დარსის, თუ მართლა მათთან მოვიდოდა. ერთი წამით ისიც კი გაიფიქრა, იქნებ გზიდან გადაუხვიოსო, მაგრამ არა, დარსი მათთან გაჩნდა. ისევ ისეთი თავაზიანი იყო. ელიზაბეთმა მამული შეუქო, თუმცა მაინც დამაბული იყო და სულ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა. შემდეგ იფიქრა, ფემბერლის ქება ჩემგან არ ეგების, დარსი ამას არასწორად გაიგებსო და ამიტომ გაჩუმდა.

მისის გარდინერი შორიახლო იდგა. დარსიმ ელიზაბეთს სთხოვა, შენი მეგობრები გამაცანო. დარსის ასეთმა თავმდაბლობამ ელიზაბეთი გააოცა. ღიმილი ვერ შეიკავა, რადგან დარსის სწორედ იმ ხალხის გაცნობა სურდა, ვისაც ქორწინების საქმეში დაბრკოლებად მიიჩნევდა. როგორ გაოცდება, იფიქრა ელიზაბეთმა, როცა გაიგებს მათ ვინაობას. ახლა ალბათ მაღალი საზოგადოების წევრები ჰგონია.

ელიზაბეთმა გააცნო დარსის თავისი ნათესავები და ფარული მზერა გააპარა დარსისკენ, რომ ენახა, როგორ მიიღებდა მათ. ალბათ მალე გაიქცევა და მიატოვებს სტუმრებსო, ფიქრობდა ელიზაბეთი. დარსი გაოცდა, მაგრამ გაქცევა არც უფიქრია. პირიქით, მისტერ გარდინერს მიუბრუნდა და საუბარი გაუბა. ელიზაბეთის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახლა მაინც გაიცნობს დარსი მის ნათესავებს, რომელთან ურთიერთობის არ შერცხვება. დარსის და მისტერ გარდინერის საუბარს ყურადღებით მოუსმინა და გაამაყდა, რომ ბიძამისის თითოეულ სიტყვასა თუ წინადადებაში დიდი ინტელექტი და გემოვნება გამოსჭვიოდა.

საუბარი თევზაობას შეეხო. მისტერ დარსიმ მისტერ გარდინერს უთხრა, რამდენიც გინდათ ითევზავეთ, თუ გნებავთ, ანკესსა და საჭირო აღჭურვილობას მე მოგაწვდითო. თან მდინარის იმ ადგილებზე მიუთითა, სადაც თევზი უხვად იყო. მისის გარდინერი ელიზაბეთთან ერთად მოდიოდა და გოცება ვერ დამალა. ელიზაბეთი დუმდა, მაგრამ გულში უსაზღვროდ გახარებული იყო. ალბათ დარსი ამ ყველაფერს მისი გულისთვის აკეთებს. მაინც უკვირდა და თავს ეკითხებოდა: „რატომ შეიცვალა დარსი ასე? რისი ბრალია? ნუთუ ჩემ გამო? ეს ხომ შეუძლებელია. ნუთუ ჰანსფორდში ჩემმა საუბარმა ასეთი ცვლილება მოახდინა მასში. ისევ ვუყვარვარ? შეუძლებელია.“

ქალები წინ მიდიოდნენ, კაცები უკან მიჰყვებოდნენ. შემდეგ მდინარის ნაპირზე ჩავიდნენ, რათა უფრო ახლოდან დაეთვალიერებინათ რაღაც წყალმცენარე. ამ დროს მისის გარდინერმა, რომელიც ძალიან დაიღალა, გადაწყვიტა, ქმრის მკლავს დაჰყრდნობოდა. ამიტომ მისტერ დარსიმ ელიზაბეთთან გადაინაცვლა და ასე გააგრძელეს სიარული. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ელიზაბეთი ალაპარაკდა. მან დარსის უთხრა, მეგონა მამულში არ იყავით დაამიტომ მოვედიო. თქვენმა მსახურმა გვითხრა, ხვალამდე არ ჩამოვაო. დარსი დაეთანხმა და უპასუხა, ჩემს ეკონომთან რაღაც საქმე მქონდა და ამიტომ რამდენიმე საათით ადრე ჩამოვედი. ჩემი და და მეგობრები ხვალ დილით ჩამოვლენ, თქვენ მათ იცნობთ, მის ბენეტ, მისტერ ბინგლი და მისი დები მოდიან.

ელიზაბეთმა თავი დაუქნია. ის დრო გაახსენდა, ბინგლი რომ ახსენეს ბოლო შეხვედრისას. მგონი დარსიც იმავეს ფიქრობდა.

–ჩემს დას ძალიან სურს თქვენი გაცნობა, მის ბენეტ. ნებას დამრთავთ, რომ ჩემი და გაგაცნოთ, სანამ ლემთონში ხართ?

ელიზაბეთს გაუკვირდა, დარსი რომ ამას სთხოვდა. მიხვდა, მის დარსი სწორედ დარსიმ წააქეზა. გაუხარდა, რომ იმ კამათის შემდეგ დარსი მაინც კეთილად იყო მისდამი განწყობილი.

ორივე დადუმდა და ჩაფიქრდა. ეს ხომ შეუძლებელიაო, ფიქრობდა ელიზაბეთი, მაგრამ ამავე დროს უსაშველოდ სიამოვნებდა დარსის ყურადღება. დის გაცნობა რომ დაუპირა, ეს დარსის მხრიდან უდიდეს შექებას ნიშნავდა. მალე დარსიმ და ელიზაბეთმა საკმაოდ გაუსწრეს გარდინერებს, რომლებიც ნელა მოდიოდნენ. დარსიმ სახლში შეიპატიჟა ელიზაბეთი, რომელმაც უარი უთხრა, დაღლილი არ ვარო. ამიტომ ორივე უხერხულად იდგნენ ეტლთან და გარდინერებს ელოდნენ. ელიზაბეთს ლაპარაკი სურდა, მაგრამ ვერ გაეხედა. მერე გაახსენდა, რომ სამოგზაუროდ იყო წამოსული და მეთლოქსა და დავდეილზე ალაპარაკდა. მისის და მისტერ გარდინერები ისე ნელა მოძრაობდნენ, რომ მათ მოახლოებამდე შეეძლოთ სახლში შესულიყვნენ, თუმცა ამაზე ელიზაბეთმა დარსის თავაზიანად უთხრა უარი და ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. მისტერ დარსი ქალბატონებს ეტლში ასვლაში მიემშველა და ეტლიც დაიდრა.

მისტერ და მისის გარდინერები გაოცებას ვერ მალავდნენ. ვერაფრით წარმოიდგენდნენ, თუ დარსი ასეთი იყო.

–რა კეთილი, თავაზიანი და თავმდაბალია, – თქვა მისტერ გარდინერმა.

–ცოტა მანერულობა ახლავს, თუმცა ბუნებრივად ასეთია და ეს თვისება უხდება კიდევ-ამაყიანო, მასზე რომ ამბობენ, მე არაფერი შემომჩნევია.

–როგორ კარგად მიგვიღო! რა ყურადღებით მოგვეკიდა, არადა ასეთი ყურადღება საჭირო სულაც არ იყო, ელიზაბეთს როგორ გულისყურით ესაუბრებოდა.

–ლიზი, – უთხრა ბიცოლამ, – მართალი გითხრა, ვიკჰემივით სიმპათიური სულაც არ არის, მაგრამ ასეთი სასიამოვნო პიროვნება თუ იყო, რატომ აქამდე არ მითხარი?

ელიზაბეთმა ბოდიში მოიხადა, უთხრა, მეორედ შეხვედრისას კენტში უფრო მომეწონა დარსი, ვიდრე მანამდე, მაგრამ ამ დილით რომ იყო, ასეთი არასოდეს მინახავსო.

–რაც ცოტა ახირებულად თავაზიანი ხომ არ არის, როგორც ყველა დიდგვაროვანი. ვინ იცის, იქნებ ხვალ გადაიფიქროს და აქედან გაგვყაროს, – თქვა მისტერ გარდინერმა.

ელიზაბეთი მიხვდა, რომ გარდინერებმა დარსის ხასიათი ვერ შეიცნეს, მაგრამ არაფერი უთქვამს.

–მაინც ვერავინ იფიქრებს, რომ საწყალ ვიკჰემს ასე მოექცა. ბოროტ კაცს სრულებით არ ჰგავს, პირიქით, სიკეთეს ასხივებს. რაღაც არის მის გამომეტყველებაში ისეთი ღირსეული, რაც მასზე ცუდს არ გაფიქრებინებს. იმ მსახურმა როგორ აქო! სიცილი ძლივს შევიკავე. ალბათ მართლა კარგი და კეთილი ბატონია და მსახურებს ძალიან უყვართ, – თქვა მისის გარდინერმა.

ელიზაბეთმა იგრძნო, რომ რაღაც უნდა ეთქვა, დარსი რომ გაემართლებინა ვიკჰემთან ურთიერთობაში. დიდი სიფრთხილით გააგებინა ბიძას და ბიცოლას, რომ თურმე დარსი სულაც არ ყოფილა დამნაშავე. არამედ პირიქით და ეს ჰართფორდშირშიც იციანო, განუმარტა მათ ელიზაბეთმა. მერე დაწვრილებით უამბო, რაც დარსისა და ვიკჰემს შორის მოხდა. ისიც დასძინა, ეს ამბავი სარწმუნო წყაროსგან შევიტყვეო, ოღონდ წყარო არ დაუსახელებია. მისის გარდინერი ამ ამბავმა დაალონა. მაგრამ მალე ისევ გარემოს დათვალიერება დაიწყო და ამაზე აღარ ფიქრობდნენ. მისის გარდინერი სიარულით საკმაოდ დაიქანცა, მაგრამ ისადილეს თუ არა, ისევ სასეირნოდ გაემართნენ. მისის გარდინერმა ერთი ძველი ნაცნობი მოინახულა, რომელიც უკვე წლებია, არ ენახა და ახლა მთელი საღამო მასთან საუბარში გაატარა.

ელიზაბეთი ისე სავსე იყო იმ დღის შთაბეჭდილებებით, რომ მისის გარდინერის მეგობრებისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია. მას ახლა ფიქრის გარდა არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ფიქრობდა მისტერ დარსის თავაზიანობაზე და იმაზე, რომ მის დარსის მისი გაცნობა სურდა.

თავი ორმოცდამეოთხე

ელიზაბეთი ფიქრობდა, რომ მისტერ დარსი თავის დას მოიყვანდა სტუმრად და გადაწყვიტა, მთელი დილა დალოდებოდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ლემთონში ჩამოსვლის პირველ დილასვე, როცა ახალგაჯობილ მეგობრებთან ერთად სეირნობდნენ და ეს-ესაა სასტუმროში სასადილოდ უნდა დაბრუნებულყვნენ, დაინახეს ეტლი, რომელშიც ჯენტლმენი და ქალბატონი ისხდნენ. ელიზაბეთმა უმაღვე იცნო ისინი და მოემზადა, რომ ახალმოსულნი ბიძისა და ბიცოლასთვის გაეცნო. მისტერ და მისის გარდინერები განცვიფრდნენ, რადგან ლიზის ოდნავი დაბნეულობა ეტყობოდა, რამაც მიახვედრა ისინი, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ლიზისადმი მისტერ დარსის გრძნობა თვალსაჩინო იყო.

სანამ გარდინერები ასე ფიქრობდნენ, ლიზის მოუსვენრობა დაეტყო და თავადვე გაუკვირდა. არა, მას სრულებით არ ეშინოდა იმისა, რომ მისტერ დარსი რაიმე გრძნობას გამოამჟღავნებდა მისადმი. პირიქით, ფიქრობდა კიდევ, რომ ამ მხრივ ცოტა სასოწარკვეთილიც დარჩებოდა. ლიზის შეეშინდა, სტუმრებმა არ შემაძინიონო და ფანჯარას მოშორდა. ოთახში აქეთ იქით სიარული დაიწყო, რომ ცოტა თავი დაემშვიდებინა, მაგრამ ამოდ: ბიძა და ბიცოლა ისეთი გაცეხული თვალებით უყურებდნენ, რომ უფრო აღელდა. გამოჩნდა მისტერ დარსი დასთან ერთად და ლიზიმ მის დარსი გაიცნო. მაგრამ ლიზის გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეამჩნია, რომ მის დარსი მასავით იყო დაბნეული. ლემთონში ყოფნისას უთხრეს, საშინლად ამაყი ქალიშვილიაო. თუმცა ახლა ცხადი იყო, რომ მის დარსი უჩვეულოდ მორცხვობდა. მეტიც, ისე მორცხვობდა, რომ ძლივს ლაპარაკობდა.

მის დარსი მაღალი იყო და ჯანსაღი აღნაგობა ჰქონდა. ჯერ მხოლოდ თექვსმეტისა იყო, თუმცა დასრულებული ქალი გეგონებოდა. ძმაზე ლამაზი არ ყოფილა, მაგრამ მგრძნობიარე, კეთილი სახე და ძალდაუტანებელი მიხრამიხრა ჰქონდა. ამან ელიზაბეთი დაამშვიდა, რადგან სხვა რამეს ელოდა. ეგონა მის დარსიც ისეთივე მშვიდი და აუღელვებელი იქნებოდა, როგორც ოდესღაც მისტერ დარსი მოეჩვენა.

მისტერ დარსიმ ლიზის უთხრა, რომ ბინგლიც აპირებდა მოსვლას. მართლაც რამდენიმე წუთში ბინგლის სწრაფი ნაბიჯების ხმა მოისმა. ელიზაბეთს ბინგლისადმი წყენა კარგა ხანია გაუქრა, მაგრამ მისი ნასახიც რომ შერჩენოდა, ისიც უმაღვე გაქარწყლდებოდა მის დანახვაზე, თუ როგორ გულითადად მიესალმა ელიზაბეთს და როგორ გაუხარდა კვლავ მისი დანახვა. ბინგლიმ ელიზაბეთის ოჯახიც მოიკითხა და როგორც ყოველთვის, კეთილად და ძალდაუტანებლად ალაპარაკდა.

მისტერ და მისის გარდინერებისთვის ბინგლი არანაკლებ საინტერესო პერსონა გახლდათ. ორივე დიდი ხანია ელოდა მასთან შეხვედრას და ცნობისმოყვარეობით უმზერდნენ ხან მისტერ დარსის, ხანაც ბინგლის და მიხვდნენ, რომ თუ ორივე არა, ერთ-ერთი მაინც შეყვარებული უნდა ყოფილიყო. თუმცა მის დარსის გრძნობები აეჭვებდათ, მაგრამ იმაში კი დარწმუნდნენ, რომ მამაკაცები სიყვარულის ცეცხლით იწვოდნენ.

ელიზაბეთი ამასობაში ცდილობდა გამოერკვია, თუ რა გრძნობები ამოდრავებდათ მის სტუმრებს. თავადაც ცდილობდა თავისივე გრძნობებში გარკვეულიყო და ეს გრძნობები მათთვის ეჩვენებინა კიდეც. შიშობდა, რომ არ გამოუვიდოდა, მაგრამ შეცდა. ისეთი გულითადი გრძნობა დაანახვა თავის სტუმრებს, რომ ჯორჯიანა აღფრთოვანდა, დარსი კიდეც უფრო მოიხიბლა, ხოლო ბინგლი ნასიამოვნები დარჩა.

ბინგლის დანახვაზე ჯეინი გაახსენდა ელიზაბეთს და დაფიქრდა, ნეტავ ბინგლი თუ ფიქრობს ჯეინზეო. დროდადრო იმასაც ამჩნევდა, რომ ბინგლის მზერა მისკენ მიემართა ისე, თითქოს ელიზაბეთის სახეში ჯეინის ნაკვთებს ეძებსო. ყოველ შემთხვევაში, იმაში მაინც არ შემცდარა, რომ მისტერ ბინგლისა და მის დარსის არავითარი განსაკუთრებული გრძნობა არ აკავშირებდათ ერთმანეთთან. ეს მათი მზერიდანაც გამოსჭვიოდა. ელიზაბეთს ამ აღმოჩენამ სიამე მოჰგვარა. ისიც კი შენიშნა, რომ ბინგლიმ ვერ გაბედა, მაგრამ გულით კი სურდა, უფრო მეტი რამ ეკითხა ჯეინის შესახებ, რომელიც უჩვეულოდ თბილად მოიკითხა. უთხრა კიდეც ელიზაბეთს დიდი სინანულით, რახანია თქვენი და არ მინახავსო. სანამ ელიზაბეთი რამეს იტყოდა, დაამატა: რვა თვეზე მეტია ოცდაექვსი ნოემბრის შემდეგ, რაც ნეზერფილდში ერთად ვიცეკვეთ, ერთმანეთს არ შევხვედრივართო. ელიზაბეთი გაახარა იმან, რომ ბინგლის ასე ზუსტად ახსოვდა ჯეინთან შეხვედრის თარიღი. ბინგლიმ ჰკითხა, თქვენი დები ლონგბერნში თუ არიანო და ეს მარტივი კითხვა ისეთი მანერითა და გამოხედვით დასვა, ელიზაბეთი ბევრ რამეს მიხვდა.

ელიზაბეთი ხშირად არ უყურებდა მისტერ დარსის, მაგრამ როცა შეხედავდა, მისი თვალებიდან განსაკუთრებული სითბო გამოსჭვიოდა. ასეთი მზერა გუშინაც დაიჭირა მის თვალებში, რომელიც წინადღის მერე არ შეცვლილა. დარსის საქციელი მაინც აოცებდა. თითქოს განგებ ეძებდა გარდინერებს, რათა გაეცნო ისინი, რომელთა ნაცნობობას სულ რამდენიმე თვის წინ არცკი იკადრებდა. ახლა კი ასეთი თავაზიანი იყო მათდამი. ასევე იყო იმ დღესაც, ჰანსფორდის მამულში. ისე უკვირდა ელიზაბეთს ამგვარი ცვლილება, გაოცება ძლივს დამალა. არც ნეზერფილდში და არც როზინგში ყოფილა დარსი ასეთი ფაქიზი, მგრძნობიარე და სიამაყისა და თვითკმაყოფილებისგან თავისუფალი. მით უმეტეს, როცა იცოდა, რომ ნეზერფილდელი და როზინგელი ქალბატონები დასცინებდნენკიდეც ამ საქციელის გამო.

სტუმრები ნახევარ საათზე მეტხანს დარჩნენ. წასვლისას მისტერ და მის დარსიმ გარდინერები და მის ბენეტი ფემბერლიში მიიწვიეს სადილზე მანამ, სანამ იქიდან გაემგზავრებოდნენ. მის დარსიმ ძმის სიტყვები გაიმეორა, თუმცა ეტყობოდა, არ იყო ჩვეული, დაპატიჟებებით გარჯილიყო.

მისის გარდინერმა ძმისშვილს ცნობისმოყვარეობით შეხედა. სურდა გაეგო, ელიზაბეთი რა აზრისა იყო ამ მიპატიჟებაზე. ელიზაბეთმა ბიცოლას მზერა აარიდა და მისის გარდინერი მიხვდა, ძმისშვილი დაბნეული უფრო იყო, ვიდრე არ სურდა ამ მიპატიჟების მიღება. შემდეგ მეუღლეს შეხედა და როცა დარწმუნდა, მისტერ გარდინერიც თანახმა იყო, სიამოვნებით დაეთანხმა დარსის და სტუმრობა ორი დღის შემდეგ დანიშნეს.

ბინგლის ეამა, რომ ელიზაბეთს კიდევ შეხვდებოდა, რადგან, როგორც ჩანს, კიდევ ბევრი რამ ჰქონდა მისთვის სათქმელი და საკითხავი. ამით ელიზაბეთი მიახვედრა, მსურს ჯეინზე მელაპარაკო, რამაც ელიზაბეთი ისე გაახარა, რომ სტუმრების წასვლის შემდეგ მათზე სიამოვნებით საუბრობდა. შემდეგ მისტერ და მისის გარდინერებსაც მოუსმინა, ბინგლის რომ აქებდნენ და მალევე გაეშურა თავისი ოთახისკენ იმის შიშით, ბიძამ და ბიცოლამ დარსიზე სიტყვა არ გადამიკრანო.

თურმე ელიზაბეთი ცდებოდა. მისტერ და მისის გარდინერებს მათი ცნობისმოყვარეობის მიუხედავად, ფიქრადაც არ მოსვლიათ, მისთვის რამე ეკითხათ. ისედაც ცხადი იყო, რომ ელიზაბეთი უფრო კარგად იცნობდა დარსის, ვიდრე მათ აქამდე ეგონათ და ასევე ისიც ცხადი იყო, რომ დარსის უზომოდ უყვარდა მათი ძმისშვილი. ეს ყოველივე დაინახეს, მაგრამ კითხვებით ჩაძიება ზედმეტად მოეჩვენათ. შეუძლებელი იყო გარდინერებს მისტერ დარსიზე კარგი შთაბეჭდილება არ დარჩენოდათ. მით უმეტეს, მისი გაცნობის შემდეგ ის ისეთი თავაზიანი იყო. არადა, ჰართფორდშირში ამას ნამდვილად არავინ დაიჯერებდა; არც იმას, მსახურმა რაც თქვა მის შესახებ. მათ კი სჯეროდათ ქალისა, რომელიც დარსის ოთხი წლის ასაკიდან იცნობდა. მისი ახლანდელი საქციელიც პატივსაცემი იყო. არც ლემთონელ მეგობრებს უთქვამთ რაიმე, რაც ოდნავ მაინც დაამცირებდა დარსის. ვერაფერი დასწამეს სიამაყის გარდა. ამაყი ალბათ მართლა იყო და რომც არ ყოფილიყო, პატარა ქალაქის მცხოვრებნი შეარქმევდნენ იმის გამო, რომ მათთან სტუმრად არ მიდიოდა. დარსის ლიბერალური მრწამსის შესახებ ყველა ლაპარაკობდა, დარბებს ძალიან ეხმარებაო. ვიკტორზე კარგს ვერაფერს ამბობდნენ ლემთონელნი. ისიც იცოდნენ, დერბიშირში რომ ვალები დატოვა, დარსიმ გადაუხადა.

ელიზაბეთი ფიქრებით კვლავ ფემბერლის დასტრიალებდა. სადამო ისე მიილია, რომ თავის გრძნობებში ისევ ვერ გაერკვა. არადა, როგორც ცდილობდა, გარკვეულიყო. დარსი არ სძულდა. არა, სიძულვილი დიდი ხანია გაქრა. ის კი არა, ოდესღაც რომ გულში ჰქონდა დარსისადმი ზიზღი, ახლა ამის ძალიან შერცხვა. პირველად გულმა არ მიიღო, მაგრამ ახლა ისეთი ძვირფასი თვისებები აღმოუჩინა, რომ სულ სხვა გრძნობა დაეუფლა. გუშინდელმა დღემ საოცარი სითბო ჩაუღვარა გულში. მაგრამ კიდევ რაღაც იყო ისეთი აუხსნელი, რაც ამ ყველაფრის მიღმა იდგა. პატივისცემის გარდა მაღლიერების გრძნობაც ჰქონდა დარსისადმი. არა მხოლოდ იმიტომ, რომ დარსის ერთ დროს უყვარდა, არამედ იმიტომაც, რომ სულგრძელობით აპატია უარყოფა და უსამართლო ცილისწამება. მტრულად უნდა მოჰქცეოდა დარსი და პირიქით მოექცა. თავისი დაც კი გააცნო. ამაყი კაცის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ არა მარტო აღაფრთოვანა, არამედ მაღლიერების გრძნობაც გაუღვივა. ალბათ დარსის მთელი გულით უყვარდა. ელიზაბეთს გაუხარდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაიგო ეს ყოველივე. დარსის მაღლიერი იყო, პატივს სცემდა, მისი სიკეთე სურდა. თუმცა უნდოდა თუ არა, რომ ეს სიკეთე მასზე ყოფილიყო დამოკიდებული, ანდა სურდა თუ არა, დარსის კვლავ გაემხილა სიყვარული? ელიზაბეთი გრძნობდა, რომ დარსის თვალში საკმარის ძალას ფლობდა საამისოდ.

მისის გარდინერი და ელიზაბეთი შეთანხმდნენ, რომ დარსის ესოდენ დიდი ყურადღება მათდამი მაინც გულწრფელობას იყო მოკლებული, ისევე როგორც საკუთრივ მათი მასპინძლობა. ელიზაბეთი ბიცოლას დაეთანხმა და ამ დასკვნამ კმაყოფილებაც მოჰგვარა. თუმცა მერე, როცა თავის თავს ჰკითხა მიზეზი, თუ რატომ ფიქრობდა, რომ დარსი არაგულწრფელი იყო, პასუხი ვერ მიიღო.

მისტერ გარდინერი საუზმის შემდეგ სათევზაოდ წავიდა და შუადღემდე ფემბერლელი ჯენტლმენებიც გაიცნო.

თავი ორმოცდამეხუთე

ელიზაბეთი დარწმუნდა, რომ მის ბინგლი შურის გამო მოექცა ასე და ახლა ფემბერლიში მისი ნახვაც არ გაუხარდებოდა. ნეტავ როგორ მომესალმებო, ფიქრობდა.

სახლთან რომ მივიდნენ, მსახური მისაღებში შეუძღვათ, რომელიც მეტად სასიამოვნო გახლდათ. ფანჯრები შეეფეთქათ, რომლიდანაც ხეებით დაფარული სერები მოჩანდა. ბალახში მუხისა და ესპანური კაკლის ხეები გაბნეულიყო. სტუმრები მის დარსიმ მიიღო. მასთან ერთად მისის ჰერსტი, მის ბინგლი და ის ქალბატონიც იყვნენ, რომელთანაც ლონდონში ცხოვრობდა. ჯორჯიანამ თავაზიანად, მაგრამ ცოტა დაბნეულად მიიღო სტუმრები, რაც ზოგს შეცდომით იმასაც კი აფიქრებინებდა, ეს ქალიშვილი უზომოდ ამაყიყო. თუმცა მისის გარდინერი და ელიზაბეთი მიხვდნენ, რომ დაბნეული იყო და შეებრაღათ.

მისის ჰერსტი და მის ბინგლი მხოლოდ შორიდან მიესალმნენ და დასხდომისას მცირე ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე მისის ენსლიმ, კეთილშობილმა, კარგი გარეგნობის ქალბატონმა დაარღვია, რომელიც საუბრის წამოწყებას შეეცადა და ამან მის აღზრდას იმ ორ ქალბატონთან შედარებით ხაზი გაუსვა. მისის ენსლიმ და მისის გარდინერმა საუბარი წამოიწყეს. მის დარსი ისევ მორცხვად იჯდა. ზოგჯერ თუ ჩაურთავდა რაიმე მოკლე წინადადებას და თანაც ისე ხმადაბლა, რომ იქვე მყოფნიც ძლივს გაიგონებდნენ.

ელიზაბეთმა შეამჩნია, რომ მის ბინგლი დაჟინებით უმზერდა და ყოველ სიტყვას, რასაც ელიზაბეთი ეტყოდა მის დარსის, კომენტარს უკეთებდა. თუმცა ამან ელიზაბეთი ვერ შეაშინა და მის დარსის თავისუფლად დაელაპარაკებოდა, ასე შორიშორს რომ არ მსხდარიყვნენ. თუმცა ელიზაბეთი მაინც ფიქრს წაეღო. იგი ჯენტლმენტა შემოსვლას ელოდა. სურდა მათ შორის სახლის პატრონი, დარსი ეხილა. უცებ მის ბინგლიმ ცივად გამოჰკითხა ოჯახის შესახებ. ელიზაბეთმაც იმავე გულგრილი ტონით უპასუხა და ამის მერე მის ბინგლი გაჩუმდა.

მსახურებმა ცივი ხორცი, ნამცხვარი და სეზონის მრავალგვარი ხილი შემოიტანეს. მაგრამ ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მის ენსლიმ რამდენჯერმე მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა მის

დარსის და ამით მასპინძლობა შეახსენა. სტუმრებმა საუბარს სადილის მირთმევა ამჯობინეს და ყურძნის პირამიდებმა, ატამმა და სხვა ნუგბარმა ყველანი მაგიდასთან შეკრიბა.

ელიზაბეთი კვლავ იმაზე ფიქრობდა, მისტერ დარსის ნახვა სურდა თუ მასთან შეხვედრის ეშინოდა. როცა სახლის პატრონი ოთახში შემოვიდა, ჯერ გაუხარდა, მერე კი ინანა.

დარსის, მისტერ გარდინერსა და კიდევ ორ თუ სამ ჯენტლმენს ერთად ეთევზავათ. დარსი რომ გამოჩნდა, ელიზაბეთმა სცადა, მოშვებულიყო და აღელვება არ დასტყობოდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ რამდენად მოახერხებდა ამის გაკეთებას, ვერ გეტყვოდათ. მით უმეტეს, რომ იქ დამსწრეთ ექვიანი თვალეები მისკენ და დარსისკენ მიემართათ, როცა ეს უკანასკნელი ოთახში შემოვიდა. მის ბინგლი ყურადღებად და ცნობისმოყვარეობად იქცა. ისე რომ, ეს ცნობისმოყვარეობა სახეზე აფარებულმა ღიმილმაც კი ვერ დაუფარა. ღიმილი ნიშანი იყო იმისა, რომ შურს ჯერ წყობილებიდან ვერ გამოეყვანა. მის დარსი ძმის დანახვამ ისე გაამხნევა, რომ ალაპარაკდა. დარსის სურდა მას და ელიზაბეთს უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი. ეს მის ბინგლიმაც შეამჩნია და გააფთრებისგან თავგზააზნეულმა ირონიულად წამოროშა:

–მის ელიზა, ერთი ეს მიბრძანეთ, შირის გარნიზონმა მერიტონი დატოვა? თუ ასეა, მაშინ თქვენი ოჯახი რამხელა დანაკლისს განიცდიდა.

მის ბინგლიმ დარსისთან ვიკჰემის სახელის ხსენება ვერ გაბედა, მაგრამ ელიზაბეთი მიხვდა, რომ მის ბინგლის სწორედ ვიკჰემი ჰყავდა მხედველობაში. ამან გული ატკინა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და პასუხი გულგრილად გასცა. ლაპარაკისას დარსის შეხედა, რომელიც მთელი სერიოზულობით უმზერდა და სახე ოდნავ ასწითლებოდა. მის დარსიც დაბნეული ჩანდა და თვალეები ძირს დაეხარა. მის ბინგლის რომ სცოდნოდა, რა ტკივილი მიაყენა საყვარელ მეგობარს, ამ გესლიან შენიშვნას თავს აარიდებდა, მაგრამ მისი მიზანი იყო ელიზაბეთი მწყობრიდან გამოეყვანა იმ კაცის ხსენებით, რომელიც მისივე რწმენით ელიზაბეთს მოსწონდა. სურდა ამ უკანასკნელს თავი გაეცა იმ გრძნობის გამოხატვით, რომელიც დარსის თვალში დაამცირებდა არა მარტო იმას, არამედ მის ოჯახსაც. მის დარსისა და ვიკჰემის ურთიერთობის შესახებ არაფერი სმენოდა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც დარსიმ ამის შესახებ უამბო, ელიზაბეთი იყო. ალბათ იმიტომაც მაღავდა, რომ ბინგლის არ გაეგო და საბოლოოდ დაემორებინა მის ბენეტისგან ისევ და ისევ ბინგლისვე საკეთილდღეოდ, როგორც ერთხელ დარსიმ თქვა.

დარსი ელიზაბეთის მშვიდმა პასუხმა დააწყნარა. ჯორჯიანაც გამოცოცხლდა, მაგრამ რაიმეს თქმა მაინც ვერ გაბედა. ძმას თვალი ვერ გაუსწორა. დარსი კი უფრო მოიხიბლა ელიზაბეთით. არადა, მის ბინგლის სწორედ რომ საწინააღმდეგო ემოციის გამოწვევა სურდა.

ამის შემდეგ ელიზაბეთი და მისის გარდინერი დიდხანს არ გაჩერებულან და სანამ მისტერ დარსი მათ ეტლისკენ მიაცილებდა, მის ბინგლიმ კარგა გვარიანად გააკრიტიკა ელიზაბეთი, დაუწუნა საქციელი და კაბაც კი. მაგრამ ჯორჯიანას მხარი არ აუბამს მისთვის. ძმის რეკომენდაცია მისთვის საკმარისზემეტი იყო, რომ ელიზაბეთზე ცუდი არ ეთქვა. ძმა არ

შეცდებოდა. დარსი რომ დაბრუნდა, მის ბინგლიმ მასთანაც გაიმეორა ის, რაც მის დას უთხრა:

–რა ცუდად გამოიყურება მის ბენეტი, არა, მისტერ დარსი? ზამთრის მერე ძალიან შეიცვალა. როგორ გაყავისფრდა და გაუხეშდა! ლუიზამ და მე ძლივს ვიცანით!

მისტერ დარსის არ მოეწონა ეს ნათქვამი, მაგრამ იმით დაკმაყოფილდა, რომ მის ბინგლის ცივად უთხრა, ვერავითარ ცვლილებას ვერ ვამჩნევ, გარდა იმისა, რომ მის ბენეტს ნამზეური მიუღია ამ მოგზაურობისასო.

–მე კი ჩემდათავად, – განაგრძო მის ბინგლიმ, – მასში ვერავითარ სილამაზეს ვერ ვხედავ. სახე ძალიან თხელი აქვს და არაფრით გამორჩეული. ნაკვთებზეც ვერ იტყვი, სიმპათიურიანო. ცხვირს დახვეწილობა აკლია. კარგი კბილები აქვს, მაგრამ განსაკუთრებული იქაც არაფერია და თვალები, თქვენ რომ ასე მშვენიერს უწოდებთ, მე ასეთად ვერ დავინახე. მათ მჭრელი, გამჭოლი გამოხედვა აქვთ, რაც საერთოდ არ მომწონს. მისი ძალიან თავდაჯერებული მანერები კი მეტისმეტად აუტანელია.

მის ბინგლის თავისი უპირატესობის დამტკიცება სურდა. თუმცა სიბრაზე კაცს ჭკუას აკარგვინებს და ასულელებს. ამიტომ დარსი რომ ჩუმად იყო, მის ბინგლის ეგონა, გავიმარჯვეო და განაგრძო:

–პირველად ჰართფორდში რომ გავიცანით, ყველა ამბობდა მასზე, რა ლამაზიანო და ისიც მახსოვს, თქვენ რომ მაშინ თქვით, დარსი, ის ისეთი ლამაზია, როგორც დედამისი ჭკვიანიო, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალეთ.

–დიახ, – თავი ველარ შეიკავა დარსიმ, – პირველად ასე ვიფიქრე, მაგრამ უკვე რახანია ვფიქრობ, რომ მის ბენეტი ერთ-ერთია იმ მშვენიერ ქალთაგან, რომელთაც ვიცნობ.

ეს თქვა თუ არა, დარსიმ ოთახი დატოვა. მის ბინგლი კი მიხვდა, რომ სწორედ ის ათქმევინა დარსის, რამაც ყველაზე მეტად ატკინა გული.

მისის გარდინერი და ელიზაბეთი სასტუმროში დაბრუნებისას ამ სტუმრობაზე საუბრობდნენ. მხოლოდ ის არ უხსენებიათ, რაც ორივე მათგანს ასე ძალიან აინტერესებდა. ისინი ბჭობდნენ სტუმართა საქციელზე, მის დარსიზე, მათ მეგობრებზე, სახლზე, სადილზე. ყველაფერზე, დარსის გარდა. ელიზაბეთს სურდა შეეტყო, ბიცოლა რას ფიქრობდა დარსის შესახებ. მისის გარდინერი კი ელიზაბეთს ელოდებოდა, რომ სწორედ ის დაიწყებდა ამაზე ლაპარაკს.

თავი ორმოცდამეექვსე

ელიზაბეთს ეწყინა, რომ ჯეინისგან წერილი ვერ მიიღო. მაგრამ ლემთონში ჩამოსვლიდან მესამე დილას ჯეინმა ზედიზედ ორი წერილი გამოუგზავნა და მიანიშნა, რომ ერთ-ერთი მათგანი არასწორ მისამართზე მიეტანათ. ელიზაბეთს ეს არ გაჰკვირვებია, რადგან წერილს მისამართი არასწორად ეწერა.

წერილები რომ მიიღეს, სასეირნოდ წასვლას აპირებდნენ. ამიტომ მისტერ და მისის გარდინებმა ელიზაბეთი წერილებთან დატოვეს. პირველი წერილი ხუთი დღის წინ დაეწერათ. თავიდან მოთხრობილი იყო სოფლური ამბები, მეორე ნაწილი კი ასე იწყებოდა:

„წერილს რომ გწერდი, ლიზი, რაღაც მოულოდნელი მოხდა. არ შეგეშინდეს. ყველანი კარგად ვართ. მხოლოდ ეს ამბავი საწყალ ლიდიას ეხება. გუშინ ღამით პოლკოვნიკ ფორსტერისგან სასწრაფო წერილი მივიღეთ, რომელშიც გვატყობინებს, რომ ლიდია მის ერთერთ ოფიცერთან ერთად შოტლანდიაში გაიქცა. ამ ოფიცერს ვიკჰემი ჰქვია!

წარმოიდგინე, როგორ გავოცდით ყველანი. ქითიმ თქვა, წინასწარ ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდაო. ძალიან ვნერვიულობ, ლიზი, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ვიკჰემის პიროვნება მაშფოთებს, დაუფიქრებლად მოიქცა, მაგრამ ავი წინათგრძნობა არ მაქვს. ლიდიას რაიმე ინტერესის გამო ხომ არ წაიყვანდა. მან იცის, რომ მამაჩვენი ღარიბია და ვერაფერს მისცემს. დედა თავს ცუდად გრძნობს. მამა უფრო მშვიდად იტანს ამ ამბავს. რა კარგია, რომ არ იციან, ვიკჰემზე რას ამბობდნენ. ჩვენც უნდა დავივიწყოთ.

როგორც ჩანს, შაბათ ღამით გაიპარნენ და მხოლოდ გუშინ დილით დაუწყეს ძებნა. პოლკოვნიკმა უმაღვე შეგვატყობინა. ალბათ, ახლა კარგა შორს იქნებიან. პოლკოვნიკი ფორსტერიც მალე ჩამოვა ჩვენთან. ლიდიას მისი ცოლისთვის რაღაც წერილი დაუტოვებია, რომელშიც წინასწარ ატყობინებდა თავის განზრახვას. ახლა წერა უნდა დავასრულო, დედას ვჭირდები. ისე ჩქარა ვწერდი, მგონი ვერც კი გაარჩევ“.

ელიზაბეთმა უმაღ ხელი დასტაცა მეორე წერილს, მოუთმენლად გახსნა და წაიკითხა:

„ნაჩქარევი წერილი მოგწერე ლიზი და ახლა ვცდილობ, უფრო გასაგებად გიამბო ყველაფერი, მაგრამ ისე ავიბენი, ალბათ ვერ შევძლებ. ცუდი ამბავი მაქვს და აქვე გეტყვი. ვიკჰემისა და ლიდიას ქორწინება სულელური იქნებოდა, მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ მგონი საერთოდ არ დაქორწინებულან და არც შოტლანდიაში წასულან. პოლკოვნიკი გუშინ ჩამოვიდა. ლიდიას წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისინი გრეთნა გრინში წავიდნენ. დენის უთქვამს, ვიკჰემი იქ გამგზავრებას და ლიდიას შერთვას საერთოდ არც აპირებდაო. ამიტომ პოლკოვნიკი მათ დაედევნა. ქლეფმენამდე მისდია, რადგან იქ მათი კვალი დაკარგა. თურმე ლონდონის გზაზე უნახავთ. არ ვიცი, რა ვიფიქრო. პოლკოვნიკი ჰართფორდშირში ჩამოვიდა და ყველა სასტუმრო გააჩხრეკინა, მაგრამ ამაოდ. ისინი არავის უნახავს. ლონგბერნშიც ჩამოვიდა ჩვენთან და შიში გაგვიზიარა, თითქოს პატიება გვთხოვაო. მისტერ და მისის ფორსტერებს ცილს ვინ დასწამებს. საშინელ დღეში ვართ, ლიზი, დედა და მამა კარგს არაფერს ფიქრობენ. მე კი მაინც სადღაც მჯერა ვიკჰემისა. ვფიქრობ, იქორწინებენ

და საქმე ასე არ წახდება. ვერ დავიჯერებ, რომ ლიდია და ვიკტორია რაიმე ცუდს გაბედავენ. მაგრამ ფორსტერი ძალიან მაშინებს, ასე ამბობს, არ იქორწინებენო. მითხრა, ვიკტორიის იმედი არა მაქვსო და თავი გადააქნია. დედა ავადაა და თავის ოთახში წევს. თავი რომ ხელში აიყვანოს, კარგი იქნება, მაგრამ არ შეუძლია. მამაც ცუდ დღეშია. ქითი თავს იდანაშაულებს, რატომ აქამდე სიმართლე არ გითხარითო. რა კარგია, ლიზი, რომ ამ საშინელ დროს აქ არ იყავი. ახლა კი, როცა პირველმა ზაფრამ ჩაიარა, შეიძლება გთხოვო, რომ დაბრუნდე? არა, როგორ დაგაძალებ, თუ არ გსურს. მშვიდობით, არა, ისევ უნდა შეგემუდარო, რომ მოხვიდე. ბიძაჩემსაც რაღაც უნდა ვთხოვო. მამა პოლკოვნიკთან ერთად ლონდონში მიემგზავრება, რომ ლიდიას კვალს მიაგნოს. პოლკოვნიკი ბრაითონში უნდა იყოს ხვალ საღამოს. ასეთ ვითარებაში ბიძაჩვენის რჩევა და დახმარება ყველაფერს ნიშნავს. უმალვე გაგვიგებს, რა დღეში ვართ. მისი სიკეთისა მჯერა“.

– ბიძია, ბიძაჩემი სად არის? – და ელიზაბეთი სავარძლიდან წამოხტა, მაგრამ სწორედ ამ დროს კარი მსახურმა გააღო და მისტერ დარსის შემოუძღვა.

დარსი ქალიშვილის გაფითრებულმა სახემ შეაშინა და სანამ რაიმეს თქმას მოიფიქრებდა, ელიზაბეთმა წამოიძახა:

– გთხოვთ, მაპატიოთ, ახლავე უნდა წავიდე, ახლავე მისტერ გარდინერი უნდა ვიპოვო, ერთი წამის დაკარგვის უფლებაც არა მაქვს!

– დმერთო, რა მოხდა! – შესძახა დარსიმ. შემდეგ თავი შეიკავა, – ერთ წამსაც არ დაგაყოვნებთ, მაგრამ მოდი, მე გამგზავნეთ, ან მსახური გარდინერებთან. თქვენ ვერ წახვალთ, გეტყობათ, ცუდად ხართ.

ელიზაბეთს მუხლები ისე უკანკალებდა, მიხვდა, მართლაც ვერაფერს შეძლებდა. ამიტომ სასწრაფოდ მსახურს უხმო და მათ მოსაყვანად ააჩქარა.

მსახური რომ წავიდა, ელიზაბეთი დაჯდა. ისე საცოდავად გამოიყურებოდა, დარსიმ წასვლა გადაიფიქრა და თბილად და მგრძნობიარედ უთხრა, პირისფარემს დავუძახებ, იქნებ ღვინო დაგელიათ, ძალიან ცუდად გამოიყურებითო.

– არა, გმადლობთ, უპასუხა ელიზაბეთმა, მე არაფერი მჭირს, კარგად ვარ, ლონგბერნიდან ცუდი ამბავი შევიტყვე.

და ელიზაბეთი აქვითინდა. დარსი შეწუხებული იდგა და ხმა ვერ ამოეღო. ბოლოს ელიზაბეთი ასლუკუნდა:

– ჯეინმა მომწერა საშინელი ამბავი, რომ ჩემი უმცროსი და ვიკტორიასთან ერთად გაიქცა. თქვენ მას ისე მშვენივრად იცნობთ, რომ არ გაგიჭირდებათ საშიშროების ამოცნობა. ჩემს დას არც ფული აქვს და არც გავლენიანი ნათესავები ჰყავს, რომ ვიკტორიამ მისი ცოლად შერთვა მოიწადინოს. სამუდამოდ გაუბედურდება.

დარსი გაოგნდა.

-მე შემედლო, - განაგრძო ელიზაბეთმა, - შემეჩერებინა ლიდია, მე ხომ ვიცოდი, ვიკჰემი ვინ არის სინამდვილეში. მისთვის რომ მეთქვა, ჩემი ოჯახისთვის რომ მომეყოლა! რომ სცოდნოდათ, ეს არ მოხდებოდა. ახლა უკვე ყველაფერი გვიანაა.

-საშინელება! - წამოიძახა დარსიმ, - გაოგნებული ვარ. მართლა ასე მოხდა?

-დიახ! ბრაითონი შაბათ ღამით დატოვეს და ლონდონისკენ გაემართნენ. შოტლანდიაში არ გამგზავრებულან.

-და ვინმე თუ დაედევნათ?

-მამაჩემი წავიდა ლონდონში. ბიძაჩემსაც ვეტყვი და ალბათ ნახევარ საათში გავემგზავრებით. მაგრამ ვიცი, რომ უკვე ამაოა ყველაფერი. ვიკჰემს ვინ მოარჯულებს ან საერთოდ როგორ იპოვიან. უკვე იმედი გადამეწურა.

დარსიმ თანაგრძნობის ნიშნად თავი დააქნია.

-თვალეები რომ ამიხილეთ და ვიკჰემის პიროვნება დამანახვეთ, მაშინ უნდა მემოქმედა, მაგრამ ძლიერად არ ჩავერიე და საშინელი შეცდომა დავუშვი!

დარსიმ არ უპასუხა. ფიქრში წასული ოთახში ბოლთას სცემდა წარბშეჭმუხნილი. ელიზაბეთმა მოგვიანებით შეამჩნია. ახლა ძალაგამოცლილი იყო. ოჯახის სირცხვილმა ყოველგვარი ძალა დაუკარგა. არადა, ახლა ყველაზე მეტად სურდა, დარსი ჰყვარებოდა. ახლა, როცა ყველაფერი, თვით სიყვარულიც კი ამაო იყო. ახლა შერცხვენილია. ლიდიამ თავს ლაფი დაასხა მას და მთელ ოჯახს. ელიზაბეთმა ცხვირსახოცი სახეზე აიფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ დარსის თანამგრძნობი, მაგრამ ამავე დროს თავშეკავებული ხმა ჩაესმა:

-ალბათ, დიდი ხანია გსურდათ, წავსულიყავი. მეც აღარ შეგაწუხებთ. ღმერთს ვევედრები, ისეთი რამ მათქმევინოს და გამაკეთებინოს, რაც შევებას მოგიტანდათ. მაგრამ ფუჭი სურვილებით აღარ გაგტანჯავთ. ალბათ ამ ამბის გამო დღეს ჩემი და ველარ ისიამოვნებს თქვენი ნახვით.

-ო, დიახ... გთხოვთ ჩემი სახელით ბოდიში მოუხადოთ მის დარსის. უთხარით, რომ სასწრაფო საქმის გამო გავემგზავრე. ეს ამბავი არ უთხრათ მანამ, სანამ ყველა არ გაიგებს.

დარსიმ აღუთქვა, არ ვეტყვიო, შემდეგ კიდევ ერთხელ თანაუგრძნო ელიზაბეთს და იმედი გამოთქვა, იქნებ ბედნიერად დამთავრდეს ყველაფერიო. შემდეგ გარდინერები შეაქო და წავიდა.

დარსი ოთახიდან რომ გავიდა, ელიზაბეთმა იგრძნო, ალბათ აწი ველარასოდეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს ასე გულწრფელი გრძნობით. შემდეგ თავისი ოჯახის წევრები გაიხსენა, ასე განსხვავებულნი რომ იყვნენ ერთმანეთისგან, ასე რომ არცხვენდნენ და მწარედ ამოიოხრა. ოჯახის წევრებისგან გამოწვეული სირცხვილი და უხერხულობა, ეგონა, დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა. თურმე რა მწარედ შეცდა.

თუ პატივისცემა და მადლიერება სიყვარულის საფუძველია, მაშინ ელიზაბეთის გრძნობათა ცვალებადობაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ სხვაგვარადაა და თუ პატივისცემა, რომელიც ამგვარი წყაროებისგან მოედინება, უაზრო ან არაბუნებრივია იმასთან შედარებით, როგორც აღწერენ ხოლმე, მაშინ ელიზაბეთის სასიკეთოდ ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ როგორც უნდა იყოს, ელიზაბეთს ეწყინა, დარსი რომ წავიდა. ინანა კიდევ. გული დასწყდა, რომ ლიდიას სამარცხვინო საქციელმა ყველაფერი გააფუჭა. არ სჯეროდა, რომ ვიკჰემი ლიდიას შეირთავდა. მისი აზრით, ჯეინი თავს იმშვიდებდა იმედით. არავითარ სასწაულს არ ელოდა. მაშინ, ჯეინის პირველ წერილს რომ კითხულობდა, გაცდა, როგორ შეეძლო ვიკჰემს ცოლად მოეყვანა ქალიშვილი, რომელიც მდიდარი არ იყო. ან როგორ შეიყვარა ლიდია ესეც აუხსნელი იყო მისთვის. მაგრამ ახლა ყველაფერი ბუნებრივად ეჩვენა. ასეთი სიყვარული ხომ თავადაც ხიბლავდა. ლიდია, მართალია, დაქორწინების საბაბით გაჰყვა ვიკჰემს, მაგრამ ქარაფშუტობის გამო იოლ ნადავლადაც იქცა.

სანამ გარნიზონი ჰართფორდში იდგა, ელიზაბეთს არ შეუმჩნევია, რომ ლიდიას ვიკჰემისადმი რაიმე გრძნობა გააჩნდა. მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მამაკაცისგან ოდნავი წაქეზებაც კი ლიდიასთვის საკმარისი იქნებოდა, რომ შეეყვარებინა და მთლიანად მინდობოდა. ხან ერთი ოფიცერი მოსწონდა, ხან მეორე და ხანაც მესამე. სულ ვიღაცას ეტრფოდა. რა იოლი მსხვერპლი შეიძლებოდა გამხდარიყო!

ელიზაბეთს ერთი სული ჰქონდა, სახლში როდის მივიდოდა, ჯეინს როდის ნახავდა, რომელიც ახლა მას ელოდა. შვებასა და იმედს მოჰკვრიდა დას მაშინ, როცა მამა გაემგზავრა, ხოლო დედა ავად იყო. ამ უიმედობის ყიამეთში მისტერ გარდინერის ჩარევა დახმარება იმედის ნაპერწკალივით ჭიატობდა.

გარდინერები რომ მოვიდნენ, ელიზაბეთმა საჩქაროდ უამბო ყველაფერი და წერილებიც წაუკითხა. გარდინერები შეწუხდნენ. საქმე მარტო ლიდიას კი არა, მთელ ოჯახს ეხებოდა. მისტერ გარდინერმა ელიზაბეთი დაამშვიდა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლიაო, რაზეც ელიზაბეთს ცრემლი მოერია და ბიძას მადლობა გადაუხადა. სამივე უცებ მოემზადა გასამგზავრებლად.

–მაგრამ ფემბერლის შესახებ რა უნდა ვქნათ? – წამოიძახა მისის გარდინერმა, – ჯონმა გვითხრა, მისტერ დარსი მოვიდაო, ასეა?

–ასეა და მე ვუთხარი, რომ სასწრაფოდ მივემგზავრებით, ამიტომ ბოდიში მოვუხადე. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

–რა არის რიგზე? – წამოიძახა მისის გარდინერმა და ოთახში შევარდა, რათა გასამგზავრებლად ბარგი აეკრიფა. – „მან ხომ მის დარსის მოტყუებაც სცადა. ნეტავ მცოდნოდა“, – ფიქრობდა იგი.

მაგრამ ნატვრა ამაო იყო. ელიზაბეთს ისღა დარჩენოდა, რომ ბიცოლას მიხმარებოდა, ლემთონელი მეგობრებისთვის წერილები მიეწერათ და ბოდიში მოეხადათ ასე უცაბედი გამგზავრებისთვის. ამ საქმეს ერთ საათში მორჩნენ. ამის შემდეგ სასტუმროს ვალიც

გადაიხადეს და გამგზავრების მეტი არაფერი რჩებოდათ. გაწამებული ელიზაბეთი გარდინერებთან ერთად ეტლში ჩაჯდა და ლონგბერნისკენ გაემგზავრა.

თავი ორმოცდამეშვიდე

–მე ბევრი ვიფიქრე, ელიზაბეთ, უთხრა ბიძამ მგზავრობისას, და მივხვდი, რომ ჯეინივით იმედი უნდა ვიქონიოთ. იმდენად დაუჯერებლად მეჩვენება, რომ ვიკჰემმა რამე დაუშავოს შენს დას, რომელიც არც დაუცველია და არც უპატრონო და თანაც, პოლკოვნიკის ოჯახში ცხოვრობდა, რომ ახლა უკვე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, ყველაფერი კარგად იქნება! რისი იმედი უნდა ჰქონოდა ვიკჰემს, რომ ლიდის ახლობლები არ იმოქმედებდნენ? ნუთუ პოლკოვნიკ ფორსტერის შეურაცხყოფას გაბედავს? არა, ეს რისკად არ ეღირებოდა!

–ასე ფიქრობთ? – წამოიძახა ელიზაბეთმა და სიხარულისგან სახე გაუბრწყინდა.

–გეფიცები, ბიძაშენის მოსაზრება მეც სწორად მიმაჩნია, – ჩაერთო მისის გარდინერი, ასეთი საქციელი მთლიანად წაახდენდა ვიკჰემს, ამიტომ ამას არ იხამდა. თანაც, ვიკჰემზე არც ისე ცუდი შეხედულება მაქვს. შენ, ლიზი, შენ რას ფიქრობ, განა ასე არ არის?

–ალბათ რაიმე ინტერესი ამოდრავებს. ვიკჰემი ყველაფერს იკადრებს. რატომ შოტლანდიაში არ წავიდნენ თუ გულში ცუდი არაფერი უდევს?

–პირველ რიგში, – თქვა მისის გარდინერმა, – არავინ იცის, იქნებ წავიდნენ კიდევ.

–ჰო, მაგრამ მაშინ გზა რატომ შეიცვალეს. გარდა მაგისა, ბარნეტროუდზე სულ არ უნახავთ.

–შესაძლოა, ლონდონში არიან იმ მიზნით, რომ დაიმალონ და თანაც იქვე იქორწინონ, რადგან ფული არც ერთს არა აქვს და ასე უფრო იოლად გამოვლენ.

–რატომ იმალებიან? რატომ სურთ, მალულად იქორწინონ. არა, არა, რაღაც ასე არ არის. მისი მეგობარიც ირწმუნება, რომ ვიკჰემი ლიდის შერთვას სულ არ აპირებდა. რად უნდა უფულო ქალი, რაში სჭირდება. ანდა რა აქვს ლიდისა, გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა, ჯანმრთელი და მხიარულია. განა ეს თვისებები ეყოფოდა ვიკჰემის მოსახიბლად? მაგრამ გარნიზონში ხომ თავი მოეჭრება ვიკჰემს ამ საქციელის გამო. აი, ეს ვერ ამიხსნია და კიდევ ერთი ცუდი ფაქტიც: ლიდის ძმები არ ჰყავს, რომ დის დასაცავად ხელი გამოიღონ. ვიკჰემმა მამაჩემის ხასიათი კარგად იცის, რომ მამა ბევრს ვერაფერს მოიმოქმედებს.

–ასე ჩანს, – უთხრა ელიზაბეთმა და აცრემლდა, და ეს ყველაზე დიდი საშინელებაა, რომ ეჭვი მეპარება დის პატიოსნებასა და ღირსებაში. არ ვიცი, რა ვთქვა. იქნებ სწორად ვერ ვაფასებ, მაგრამ ლიდია ძალიან ახალგაზრდაა და არ იცის, როგორ მოიქცეს. ბოლო დროს გართობის გარდა არაფერზე ფიქრობდა. მშობლებიც ამის ნებას რთავდნენ. რაც გარნიზონი დაბანაკდა მერიტონში, ლიდია მხოლოდ სიყვარულზე, ფლირტსა და გართობაზე

ფიქრობდა. სულ ოფიცრებზე ლაპარაკობდა. მთელი არსებით გადაეშვა მათზე ფიქრში. ვიკჰემი კი საკმაოდ მომხიბვლელია და ქალს ადვილად ინადირებს.

–მაგრამ ხედავ, რომ ჯეინი ასე არ ფიქრობს და სჯერა ვიკჰემისა.

–ჯეინი ცუდად არავისზე ფიქრობს. ჯეინს ცუდის დაჯერება უბრალოდ არ შეუძლია. მან იცის, რას წარმოადგენს ვიკჰემი. იცის, რომ დაუდევარი კაცია და ღირსებას ნაკლებად სწყალობს. იცის, რომ ყალბი და მატყუარაა.

–ნამდვილად ასეა? – წამოიძახა გაოცებულმა მისის გარდინერმა.

–ასეა, – უთხრა ელიზაბეთმა და გაწითლდა, მისტერ დარსის სამარცხვინოდ მოექცა. ლონგბერნში განა მისგან არ მოისმინეთ, რას ამბობდა იმ კაცის შესახებ, რომელმაც მხოლოდ სიკეთე უყო? კიდევ სხვა რამეც ვიცი მის შესახებ, რასაც ახლა ვერ ვიტყვი. ფემბერლის ოჯახზე ტყუილებს გაუთავებლად ჰყვება. ჯერ მის დარსიზე რაც თქვა, იმის მიხედვით მეგონა, რომ ამაყ, გოროზ, უსიამოვნო ქალიშვილს შევხვდებოდი. არადა, პირიქით მოხდა. თან, ვიკჰემმაც მშვენივრად იცის, რომ მის დარსი მეგობრული და საყვარელი გოგონაა.

–ლიდიამ არაფერი იცის ამის შესახებ?

–არ იცის და ესაა საშინელება. კენტში რომ ვიყავი მისტერ დარსისთან ერთად, მისი ნათესავი, პოლკოვნიკი ფიცუილიამი გავიცანი. მაშინ მეც არაფერი ვიცოდი. სახლში რომ დავბრუნდი, გარნიზონი ორ კვირაში აპირებდა ქალაქის დატოვებას. სწორედ ამის გამო არ ჩავთვალეთ მე და ჯეინმა საჭიროდ, რომ ვიკჰემის შესახებ ვინმესთვის გვეთქვა. მთელ სამეზობლოში ვიკჰემს კარგი კაცის სახელი ჰქონდა და ამიტომ დავინდეთ. ლიდიამ რომ ფორსტერებთან ერთად დააპირა წასვლა, არც მაშინ მომსვლია აზრად, სიმართლე გამემხილა. რა ვიცოდი, თუ ასეთი წარმოუდგენელი რამ მოხდებოდა.

–ბრაითონში რომ წავიდნენ, მაშინ არ გიეჭვია, რომ ერთმანეთი უყვარდათ?

–წუთითაც არ მიფიქრია, რადგან ამის საბაზი არც ერთს არ მოუცია. რომ შეგვენიშნა, ჩემი ოჯახი აუცილებლად იმოქმედებდა. ვიკჰემი რომ ჯარისკაცი გახდა, ლიდია ეტრფოდა, მაგრამ ლიდიასთან ერთად ჩვენც ვეტრფოდით. ვიკჰემს ლიდია არ გამოურჩევია და არც ყურადღებით გაუნივივრებია. ბოლოს ლიდიას გრძნობაც შესუსტდა მისდამი და მის მაგივრად ახლა იმ ჯარისკაცებს ეტრფოდა, ვინც მეტ ყურადღებას აქცევდა.

როგორც უნდა ყოფილიყოდა რა შიში და იმედიც უნდა ჰქონოდათ, მთელი გზა ამაზე ლაპარაკობდნენ. განსაკუთრებით ელიზაბეთი დაიტანჯა, რომელსაც თავისთვის ვერ ეპატიებინა ის, რაც მოხდა. ლონგბერნს მეორე დღის ნაშუადღევს მიაღწიეს. ელიზაბეთს უხაროდა, რომ ჯეინს დიდხანს არ ალოდინა.

პატარა გარდინერები სახლის პარმაღზე იდგნენ. ეტლს ყიჟინით გამოეგებნენ და სიხარულით ყირაზეც გადავიდნენ. ელიზაბეთი ეტლიდან გადმოხტა, ბავშვები სწრაფად

დაკოცნა და ჯეინისკენ გაემართა. ელიზაბეთი სიყვარულით გადაეხვია დას. ორივეს თვალები ცრემლებით აევსო. შემდეგ ელიზაბეთმა ჰკითხა, რამე ახალი ხომ არ გაიგეთო.

–ჯერ არა, – უთხრა ჯეინმა, – მაგრამ რადგან ბიძაჩვენი აქ არის, ყველაფერი კარგად იქნება.

–მამა ქალაქშია?

–ჰო, სამშაბათს გამოემგზავრა.

–რამე მოგწერა?

–ორჯერ შეგვატყობინა. ოთხშაბათს მომწერა, რომ ქალაქში ჩავიდა და მისამართიც გამომიგზავნა, რაც მე ვთხოვე. მიუხედავად, სანამ რამეს არ შევიტყობ, არ მოგწერო.

–დედა როგორ არის? როგორ ხართ ყველანი?

–დედა უკეთაა, თუმცა გულგატეხილია. მალე ოთახშია და თქვენი ნახვა გაუხარდება. მერი და ქითიც კარგად არიან.

–შენ, შენ როგორ ხარ? ფერმკრთალი სახე გაქვს. ალბათ, რა საშინელება გამოიარე...

ჯეინმა დაარწმუნა ელიზაბეთი, კარგად ვარო. ამასობაში გარდინებზე შემოვიდნენ ბავშვებითურთ. ჯეინი მათ გადაეხვია, მადლობა გადაუხადა და თვალები ცრემლებით აევსო.

სასტუმრო ოთახში რომ შეიკრიბნენ, გაირკვა, ჯეინი ახალს ვერაფერს ეტყოდათ. თუმცა ჯეინის გულს რაღაც გაურკვეველი გრძნობა დაუფლებოდა იმედისა და არ ტოვებდა. ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, ამბობდა. მალე ან მამა მოგვწერს, ან თვითონ ლიდია დაქორწინებას შეგვატყობინებსო. შემდეგ ყველანი მისის ბენეტის ოთახში შეგროვდნენ. მისის ბენეტი მოთქვამდა და ტიროდა და ყოველ წამს ახსენებდა, თუ როგორ იტანჯებოდა. ყველას ადანაშაულებდა იმის გარდა, ვინც უნდა დაედანაშაულებინა.

–მთელი ოჯახით რომ წავსულიყავი ბრაითონში, ეს ამბავი არ მოხდებოდა, – ამბობდა მისის ბენეტი, – საწყალი ბავშვი მარტო გავუშვი. რატომ ფორსტერებმა არ მიაქცეს ყურადღება? ასეთი უფულისყურობა გაუგონარია! ლიდია ასეთი გოგო არ არის, რომ ეს ჩაედინა. მათთვის არ უნდა მიმენდო ჩემი პატარა. მაგრამ თავისი გაიტანეს, როგორც ყოველთვის! ახლა მისტერ ბენეტიც წავიდა. ვიცი, ვიკჰემს დუელში გამოიწვევს, როცა შეხვდება. მოკლავენ და მერე ჩვენ რა გვეშველება? ქოლინზები საფლავეში გაცივებას არ დააცლიან, ისე გაგვყრიან აქედან. ძმაო, შენ თუ არ მოგვხედავ, არ ვიცი, რა გვეშველება.

ასეთმა აზრებმა ყველა აღაშფოთა. მისტერ გარდინერმა დაამშვიდა თავისი და და უთხრა, რომ ხვალ ლონდონში წავა და მისტერ ბენეტს დაეხმარება ლიდიას მოძებნაში.

–ნუ გეშინია, უთხრა დას მისტერ გარდინერმა, მართალია, კაცი უარესისთვის უნდა მოემზადო, მაგრამ ჯერ ამისთვის არავითარი საბაზი არ გვაქვს. ჯერ ერთი კვირაც არ გასულა,

რაც ბრაითონიდან გაიქცნენ. სულ ცოტა ხანში შევიტყობთ მათ შესახებ. ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. ქალაქში რომ წავალ, ჩემს ძმასთან ერთად გადავწყვეტ, როგორ მოვიქცეთ.

–ოჰ, ჩემო ძმაო, მეც სწორედ ეს მინდოდა. მონახეთ, სადაც უნდა იყვნენ და თუ ჯერ არ უქორწინიათ, დააქორწინეთ. საქორწინო სამოსს ნუ მოუცდიათ. უთხარი ლიდიას, რომ ქორწინების შემდეგ საკმარისი ფული ექნება, რომ საქორწინო კაბა შეარჩიოს. მისტერ ბენეტს სთხოვე, დუელი არ გამართოს. უთხარი, რა დღეშიც ვარ, რომ ლამის ჭკუიდან შევიშალო. უთხარი, მთელი სხეული რომ მიკანკალებს და თავი გასკდომაზე მაქვს. გული ისე მიფრიალებს, რომ თეთრად ვათენებ. ლიდიას უთხარი, სანამ არ მნახავს, სამოსი არ შეარჩიოს. მას ხომ ამისი არაფერი გაეგება. ოჰ, ძმაო, ღმერთმა სიკეთე მოგცეს. ვიცი, ყველაფერს მოახერხებ.

მისტერ გარდინერმა დას ზომიერებისკენ მოუწოდა და შემდეგ ყველანი სასადილოდ გაემართნენ ისე, რომ მისის ბენეტი მოახლესთან დატოვეს, რათა მთელი სიბრაზე მასზე გადმოენთხია. გარდინერებმა იცოდნენ, რომ მისის ბენეტს შეეძლო დაუფიქრებლად წამოერომა რაიმე მსახურებთან, ამიტომ მხოლოდ ერთი მათგანი მიუჩინეს, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობოდნენ. სასადილო ოთახში მათ მერი და ქითიც შეუერთდნენ, რომლებიც აქამდე თავიანთ ოთახებში იყვნენ და მათთან შესახვედრად ემზადებოდნენ. მერი კითხულობდა, ქითი კი სარკის წინ იპრანჭებდა. ქალიშვილები სულაც არ ღელავდნენ, სიმშვიდე მოსავდათ. მხოლოდ ეს იყო, რომ ქითი სიბრაზისგან ენად გაიკრიფა, რომ მისმა დამ ასეთი რამ ჩაიდინა. მერიმ ელიზაბეთს წასჩურჩულა.

–ეს რა უბედურება მოხდა. ალბათ, ყველა ჩვენზე ილაპარაკებს. მაგრამ ბოროტების კერა უნდა აღმოვფხვრათ და მწვავე იარა ერთმანეთს სიყვარულით მოვუსალბუნოთ. – შეატყო, ელიზაბეთი პასუხის გაცემას არ აპირებდა და გააგრძელა: – ლიდიას ამბიდან კარგი გაკვეთილი უნდა მივიღოთ. ქალი რომ ღირსებას დაკარგავს, მერე აღარაფერი ეშველება. ერთი მცდარი ნაბიჯი სამუდამოდ დაღუპავს. სახელი ლამაზიცაა და ადვილად მსხვრევადიც. ქალი ყოველთვის დაცულიროდია საპირისპირო სქესის სიმუხთლისაგან.

ელიზაბეთმა გაოცებით შეხედა დას, მაგრამ თქმით მაინც არაფერი უთქვამს, ემოციებმა ისე დაღალა. მერი კი თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებო, ისე ისროდა მორალურ რეპლიკებს.

ნაშუადღევს ჯეინი და ელიზაბეთი ოთახში განმარტოვდნენ. ელიზაბეთმა ისევ გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ შესაძლოა, ეს საქმე მათდა საუბედუროდ დასრულებულიყო, რაშიც ჯეინი მხოლოდ ნაწილობრივ დაეთანხმა. მაშინ ელიზაბეთმა დას უთხრა:

–ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი, რაც მე არ ვიცი. რა თქვა პოლკოვნიკმა ფორსტერმა. ნუთუ წინასწარ ვერაფერს მიხვდნენ ის და მისის ფორსტერი? ნუთუ ერთად არ უნახავთ ლიდია და ვიკჰემი?

–პოლკოვნიკმა აღიარა, რომ ლიდიას გატაცებას ამჩნევდა, მაგრამ ამაში საშიში ვერაფერი დაინახა. ძალიან მეცოდება! როგორ განიცადა ყოველივე, რამდენჯერმე აქ მოვიდა, გაარკვია, რომ თურმე შოტლანდიაში არ წასულან.

-დენი რატომ იყო ასე დარწმუნებული, რომ ვიკჰემი არ დაქორწინდებოდა? მან იცოდა, გაპარვას რომ აპირებდნენ? პოლკოვნიკმა ნახა დენი?

-დიახ და დენიმ უთხრა, არაფერი ვიცოდიო. ზუსტად არ იცოდა, იქორწინებდნენ თუ არა. აქედან ვასკვნი, რომ დენი შეცდა.

-და თქვენ რა იფიქრეთ, სანამ ფორსტერი მოვიდოდა?

-ამას როგორ ვიფიქრებდით, რომ ქორწინება ეჭვის ქვეშ დადგებდა. იმას ვდარდობდი, ამ უპატიოსნო კაცს როგორ უნდა გაჰყვეს-მეთქი. დედმამამ არაფერი იცოდა. ისინი მარტო იმაზე ფიქრობდნენ, შეუფერებელი ქორწინებააო. შემდეგ ქითი გამოტყდა, ვიცოდი და არ გითხარიო. თურმე ლიდიას ბოლო წერილიდან შეუტყვია, რომ ვიკჰემსა და ლიდიას უკვე რახანია უყვართ ერთმანეთი.

-ალბათ ბრაითონში შეუყვარდა.

-ალბათ...

-თავად ფორსტერმა რა თქვა ვიკჰემზე, როგორი კაციაო?

-უნდა გამოგიტყდე, რომ უწინდელივით არ შეუქია ვიკჰემი. თავქარიანი და ექსტრავაგანტურიაო. ამბობენ, მერთონში ვალები დარჩაო, მაგრამ ალბათ ტყუილია.

-ოჰ, ჯეინ, ჩვენ რომ გვეთქვა და არ დაგვემალა ის, რაც მის შესახებ ვიცოდით, ეს ამბავი ხომ არ მოხდებოდა?

-ალბათ უკეთესი იყო, გვეთქვა, მაგრამ ჩვენ სამართლიანად მოვიქცით, იქნებ ვიკჰემი გამოსწორდესო. ჩვენ ხომ კარგი გვინდოდა მისთვის.

-რა მოუწერია ლიდიას ფორსტერის მეუღლისთვის?

-ეს წერილი ფორსტერმა მოგვიტანა.

ჯეინმა ამოიღო წერილი წიგნაკიდან და ელიზაბეთს მისცა. აი, რა ეწერა მასში:

„ძვირფასო ჰარიეტ,

გაგეცინება, როცა გაიგებ, სად წავედი. მეც ძლივს ვიკავებ სიცილს, შენს გაოცებულ სახეს რომ წარმოვიდგენ. გრეთნაგრინში მივდივარ. აბა, გამოიცანი, ვისთან ერთად. თუ ვერ გამოიცნობ, ვიფიქრებ, რომ გულუბრყვილო ხარ, რადგან ამქვეყნად მხოლოდ ერთი კაცი მიყვარს და ის ანგელოზია. უიმისოდ ცხოვრება არ შემძლია, ამიტომ წასვლის გამო ნუ გამიწყრები. ჩემებს ნუ შეატყობინებ თუ არ გინდა. მაშინ უფრო გაოცდებიან, მე რომ მივწერ, ლიდია ვიკჰემად ვიქეცი-მეთქი. რამდენს ვიცინებ მაშინ! ახლაც ისე მეცინება, რომ ძლივს ვწერ. გთხოვ, ფრეთს ჩემ მაგივრად მოუბოდიშე, რომ ამ სადამოს მასთან ვერ ვიცეკვებ. როცა მიზეზს შეიტყობს, მაპატიებს. უთხარი, შემდეგ ბალზე სიამოვნებით გეცეკვება-თქო. ლონგბერნში რომ ჩავალ, მსახურს გამოვგზავნი, რომ ჩემი ტანსაცმელი წამოიღოს. გთხოვ,

სალის ჩემი მოსასხამი დააკემსვინე, სანამ ჩაალაგებს. ნახვამდის. პოლკოვნიკი ფორსტერი დიდი სიყვარულით მომიკითხე. ჩვენი სადღეგრძელო დალიეთ.

სიყვარულით, შენი მეგობარი, ლიდია ბენეტი“.

–ოჰ, უჰკუო, უჰკუო ლიდია! – წამოიძახა ელიზაბეთმა.– ხედავ, რა უდარდელად წერს? მაინც ეტყობა, რომ საქმე სერიოზულად გადაუწყვეტია. ვიკჰემმა, რაც უნდა მოინდომოს, ამ წერილით ჩანს, რომ ლიდიას ოჯახისა და საკუთარი თავის შერცხვენა არც უფიქრია. საბრალო მამა, როგორ დაიტანჯებოდა, ამ წერილს რომ წაუკითხავდნენ!

–დიახ, ძალიან დაიტანჯა. ათი წუთი ხმა ვერ ამოიღო. დედა უმაღვე ავად გახდა. ყველანი კინაღამ გავგიჟდით!

–ო, ჯეინ, მსახურებმა თუ შეიტყვეს?

–არ ვიცი, მგონი, არა. მაგრამ ამ დროს სიფრთხილე წარმოუდგენელია. დედა ისტერიკაში ჩავარდა. ვამშვიდებდი, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. შიშმა სრულიად წამახდინა.

–ჯეინ, როგორი დაღლილი მეჩვენები, ოჰ, ნეტავ შენთან ვყოფილიყავი. მთელმა ელდამ შენზე გადაიარა.

–დარწმუნებული ვარ, მერიმ და ქითიმ არანაკლებ განიცადეს. ქითი ხომ ისეთი ფაქიზია, მერი კი სწავლასაა გადაყოლილი. დეიდა ფილიპსი სამშაბათს ჩამოვიდა და ხუთშაბათამდე ჩემთან დარჩა. მისი აქ ყოფნა ძალიან დამეხმარა. ლედი ლუკასიც გვერდში დაგვიდგა. ოთხშაბათს მოვიდა და რით დაგეხმაროთო, გვითხრა.

–ჯობდა, სახლში დარჩენილიყო. შესაძლოა, დახმარება მართლაც უნდოდა, მაგრამ კაცს ასეთ ვითარებაში მეზობლის დანახვაც არ სურს. ამ დროს დახმარება შეუძლებელია, ხოლო მწუხარების გამოხატვა აუტანელი. დაე, შორიდან უყურონ სეირს და იმით დაკმაყოფილდნენ, თქვა ელიზაბეთმა.

შემდეგ ჯეინს გამოჰკითხა, მამა რა გზით აპირებს ლიდიას მოძებნასო. ჯეინმა უპასუხა:

–ალბათ ექსომში წავა, სადაც გაქცეულებმა ცხენები შეიცვალეს. იმ ეტლის ნომერი უნდა გაიგოს, რომელმაც ისინი ქლეფემიდან წამოიყვანა. მათ იქ ვინმე აუცილებლად შეამჩნევდა, ერთი ეტლიდან მეორეში რომ გადავიდნენ. ამიტომ ჯერ ქლეფემში მოძებნის. იქნებ იმ სახლსაც მიაკვლიოს, სადაც მეეტლემ სურსათ-სანოვაგე დატოვა და იმ ეტლის კვალსაც მიაგნოს, სადაც გაჩერდა. მგონი, მამას ეს გეგმა ჰქონდა. ისე ძლიერ ჩქარობდა წასვლას, რომ ესეც ძლივს ვკითხე

თავი ორმოცდამერვე

მთელი ოჯახი ელოდა წერილს მისტერ ბენეტისგან, მაგრამ ამაოდ. ფოსტამ არაფერი მოიტანა. საერთოდ, მისტერ ბენეტი სიტყვაძუნწი იყო, მაგრამ ასეთ დროს მისგან მეტ მონდომებას ელოდნენ. იფიქრეს, კარგი ამბავი არ ჰქონდა, ამიტომ არ მოიწერაო. მისტერ გარდინერიც წერილს ელოდა, სანამ გაემგზავრებოდა.

როცა გაემგზავრა, ოჯახს იმედი ჰქონდა, ხშირად შეატყობინებდა მოვლენათა მსვლელობის შესახებ. მისტერ გარდინერი დას შეჰპირდა, მისტერ ბენეტს ლონგბერნში გამოუშვებო. მისის ბენეტს ეშინოდა, დუელში არ მოკლანო. მისის გარდინერი და ბავშვები ჰართფორდშირში დარჩნენ, რათა მისის გარდინერს ქალიშვილები და მისის ბენეტი ენუგეშებინა. მამიდაც ხშირად მოდიოდა სტუმრად და აიმედებდათ. თუმცა მამიდას ყოველთვის მოჰქონდა რაღაც ახალი ცნობა ვიკჰემის ექსტრავაგანტური საქციელის შესახებ, რაც უფრო აღელვებდა, ვიდრე ამშვიდებდა ბენეტებს.

მთელი მერიტონი ლანძღავდა კაცს, რომელსაც სულ რაღაც სამი თვის წინ ანგელოზად მიიჩნევდა. ამბობდნენ, ყველა ადგილობრივი მოვაჭრის ვალი აქვსო. საუბრობდნენ იმაზე, რომ ქალების შეცდენა უყვარსო. ყველა ამბობდა, უბოროტესი კაციაო და თანაც აღიარებდნენ, რასაც ადრე ამბობდნენ მასზე, არ გვჯეროდაო. ელიზაბეთს, მართალია, ჭორების არ სჯეროდა, მაგრამ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ლიდია დალუპვის გზას ადგა. ჯეინიც კი კარგავდა იმედს. თავში ის აზრი უტივტივებდა, რომ თუ ვიკჰემი და ლიდია შოტლანდიაში წავიდნენ, მაშინ მათ შესახებ მალე შეიტყობდნენ.

მისტერ გარდინერი კვირას გაემგზავრა ლონგბერნიდან. სამშაბათს მისის გარდინერმა მისგან წერილი მიიღო, რომელშიც სწერდა, რომ ძმას მოეთათბირა, როგორ მოიქცეს. მისტერ ბენეტმა ეპსომი და ქლეფემი მოიარა, მაგრამ ვერაფერს მიაკვლია. ახლა აპირებს ქალაქის მთავარ სასტუმროებში ეძებოს, რადგან მისტერ ბენეტი ფიქრობს, რომ ლტოლვილნი რომელიმე მათგანში შეიძლება დაბინავდნენ მანამ, სანამ ოთახს იქირავებდნენ. მისტერ გარდინერს ნაკლებად ჰქონდა მათი სასტუმროში ნახვის იმედი, მაგრამ ძმამ ურჩია და უარი არ უთქვამს. მისტერ გარდინერმა ისიც მოიწერა, მისტერ ბენეტი ჯერჯერობით ლონდონის დატოვებას არ აპირებსო. წერილის ბოლოში ეწერა:

„პოლკოვნიკ ფორსტერს მივწერე. იქნებ გარნიზონში ვინმემ იცის ვიკჰემის ასავალ-დასავალი, ან ის, თუ სად აპირებდა გამგზავრებას. იქნებ ვინმემ მართლა იცის ამის შესახებ და თუ ასეა, მაშინ ეს მნიშვნელოვანი გასაღები იქნება. ამჟამად ხელთ არაფერი გვაქვს. პოლკოვნიკი ყველაფერს გააკეთებს, რომ დაგვეხმაროს. მაგრამ იქნებ ლიზიმ იცოდეს ვიკჰემის რომელიმე ნათესავის შესახებ“.

ელიზაბეთი მიხვდა, ამას რატომ ეკითხებოდნენ, თუმცა დახმარება არ შეეძლო. არასოდეს სმენოდა, რომ ვიკჰემს ვინმე ნათესავი ჰყოლოდეს. დედ-მამა რახანია მოუკვდა ვიკჰემს. თუმცა შესაძლოა, რომელიმე ჯარისკაცმა იცოდეს რაიმე მის შესახებ. ლონგბერნის ოჯახი დიდმა მღელვარებამ მოიცვა. ფოსტას ყოველდღე ელოდნენ რადგან წერილი ერთადერთი

საშუალება იყო მათთან დასაკავშირებლად. ერთ დღეს წერილი მისტერ ქოლინზისგან მიიღეს, რომელიც მისტერ ბენეტს სწერდა:

„ძვირფასო მისტერ ბენეტ,

ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, ჩვენი ნათესაური კავშირის გამო, მთელი გულით თანაგიგრძნოთ იმ მღელვარებისთვის, რასაც ახლა განიცდით. გუშინ ჰართფორდშირიდან წერილი მივიღეთ და ასე შევიტყვეთ. დარწმუნებული იყავით, მისტერ, რომ მისის ქოლინზი და მე თანაგიგრძნობთ თქვენ და თქვენს პატივცემულ ოჯახს იმ სიმწარის გამო, რასაც ახლა განიცდით და რასაც დროც ვერ წაშლის. ჩემი მხრიდან ვერაფერს მოვიფიქრებ ისეთს, რომ ან დარდი შეგიმცროთ, ან დაგამშვიდოთ, რადგან ასეთ ვითარებაში მშობელი ყველაზე მეტად იტანჯება. ქალიშვილი რომ მოგკვდომოდათ, ჯობდა იმ ჯოჯოხეთს, რომელშიც ახლა იმყოფებით. გლოვის მიზეზი მართლაც არსებობს, რადგან როგორც ჩემი ძვირფასი შარლოტა ამბობს, თქვენი ქალიშვილის ასეთი საქციელი ზედმეტი თავაშვებულობისა და განებივრების შედეგია. თუმცა თქვენი და მისის ბენეტის დასამშვიდებლად გეტყვით, რომ ალბათ თქვენი ქალიშვილის ბუნებაა ასეთი, თორემ ასეთ რამეს ასე ნორჩ ასაკში არ ჩაიდენდა. ძალიან მეზრალეებით და ამ სიბრალულში მიერთდება არა მარტო მისის ქოლინზი, არამედ ლედი ქეთრინი და მისი ქალიშვილი. ეს ყველაფერი მათაც ვუამბე. ისინი იმაშიც მეთანხმებიან, რომ თქვენი ერთი ქალიშვილის საქციელი დანარჩენების ბედზე ცუდად იმოქმედებს. რადგან როგორც ლედი ქეთრინი ბრძანებს, ვის მოუხდება ასეთ ოჯახთან საქმის დაჭერა. ეს კი კმაყოფილებით მაფიქრებს გასული ნოემბრის მოვლენის შესახებ. მაშინ საქმე სხვაგვარად რომ მომხდარიყო, ახლა თქვენი მწუხარებისა და სირცხვილის მსხვერპლი გავხდებოდი. ნება მიბოძეთ, გირჩიოთ, მისტერ, თავი დაიმშვიდოთ და თქვენი უღირსი შვილი სამუდამოდ განიკვეთოთ თქვენგან. დაე, რაც დათესა, ის მოიმკოს“.

მისტერ გარდინერს პოლკოვნიკის შეტყობინებამდე არ მოუწერია. ხოლო პოლკოვნიკმა სასიხარულო ვერაფერი აცნობა. ცხადი იყო, ვიკჰემს ახლობელი არ ჰყავდა. ადრინდელი ნაცნობები მრავლად იყვნენ, მაგრამ ჯარში ახლოს არავისთან ყოფილა. ასე რომ, არავინ ჩანდა, ვინც ვიკჰემის შესახებ რაიმე იცოდა. ალბათ ვალების გამო იმალებოდა. გარდა ამისა, ლიდიას ნათესავებისაც ეშინოდა. პოლკოვნიკი ფორსტერი დარწმუნებული იყო, რომ ვიკჰემს ათას გირვანქაზე მეტი სჭირდებოდა, ბრაითონში ვალები რომ გაესტუმრებინა. ვალები ლონდონშიც ჰქონდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობრივ ვალზე. მისტერ გარდინერს ეს ბენეტებისთვის არ დაუმაღავს. ჯეინი შიშმა შეიპყრო.

–თურმე ვიკჰემი მოთამაშეც ყოფილა, ღმერთო, რა მოულოდნელი საშინელებაა! – წამოიძახა ჯეინმა.

მისტერ გარდინერმა მოსწერა, რომ მისტერ ბენეტი შაბათს დაბრუნდებოდა ლონგბერნში. რადგან ყოველგვარი იმედი გადაეწურა და ახლა ცოლისძმის რჩევას დაჰყვა, რომ სჯობდა ოჯახს დაბრუნებოდა. მისტერ გარდინერი დაჰპირდა, ყველაფერს მე მივხედავ და რაც საჭიროა, გავაკეთებო. მისის ბენეტს დიდი კმაყოფილება არ გამოუხატავს, როგორც ქალიშვილები ელოდნენ.

–რა? ლიდის გარეშე ბრუნდება? – ატირდა მისის ბენეტი, – მეგონა, სანამ არ იპოვიდა, არ დაბრუნდებდა. ახლა ვინ შეებრძოლება ვიკჰემს და ვინ აიძულებს, რომ ლიდია შეირთოს?

გადაწყდა, რომ მისის გარდინერი და ბავშვები ლონდონს გაემგზავრებოდნენ მაშინვე, როგორც კი მისტერ ბენეტი დაბრუნდებოდა.

მისის გარდინერმა აღელვებულმა დატოვა ლონგბერნი, რადგან ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა ელიზაბეთსა და მის დერბიშირელ მეგობარს შორის, რომლის სახელს ელიზაბეთი არ ახსენებდა. წერილიც არ დაუდევნებია მათთვის და არც შემდეგ მოუწერია. ოჯახის ასეთი უბედურება ელიზაბეთს უფლებას არ აძლევდა, სხვა რამეზე ეფიქრა, მაგრამ ახლა უკვე კარგად გაერკვა საკუთარ გრძნობებში. დარსის კარგად იცნობდა, ამიტომ ლიდის საქციელი ათმაგად ტანჯავდა.

მისტერ ბენეტი ჩამოვიდა თავისი ჩვეული ფილოსოფიური იერით. ცოტას ლაპარაკობდა. იმ ამბის შესახებ არაფერი უთქვამს, სანამ ბოლოს თავად ქალიშვილებმა არ ჰკითხეს.

ნაშუადღევს ჩაის მაგიდას შემოუსხდნენ. ლაპარაკი ელიზაბეთმა წამოიწყო. მამას უთხრა, ვხვდები, რაც გადაიტანეო. ამაზე მისტერ ბენეტმა უპასუხა:

–გაჩუმდი ლიზი, აბა ვის უნდა გადაეტანა ჩემი გადასატანი.

–ასე მკაცრად ნუ მოექცევით თავს, მამა.

–კარგია, რომ მახსენებ, ამ ბოროტებას ვერიდო. კაცის ბუნება ისეთია, რომ ამისკენ ექაჩება! არა, ლიზი, ერთხელ და სამუდამოდ მათქმევინე, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია, ახლა შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. არაფერია, მალე გაივლის.

–ლონდონში არიან?

–დიახ, სად შეეძლოთ ასე კარგად დამალულიყვნენ, თუ არა ლონდონში.

–ლიდის ლონდონი უყვარს... – თქვა ქითიმ.

–მაშინ ბედნიერია, უნდილად წამოიწყო მისტერ ბენეტმა, და დიდხანსაც დარჩება იქ.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო:

–ლიზი, შენ ნუ გამიჯავრდები იმის გამო, რომ მაშინ წინასწარ გამაფრთხილე. ეს შენს დიდ სულიერებაზე მეტყველებს.

ამ დროს ოთახში მის ბენეტი შემოვიდა, რომ დედისთვის ჩაი წაეღო.

–ეს ყოველივე პარადს მაგონებს, რომელსაც ის უპირატესობა გააჩნია, რომ უბედურებას ხიბლს მატებს. ახლა ჩემს ბიბლიოთეკაში დავჯდები ღამის პერანგსა და ჩაჩში გამოწყობილი, ანდა მოვიცდი, ვიდრე ქითიც არ გაიქცევა სახლიდან!.. – წამოიძახა მისტერ ბენეტმა.

-მე არსად გაქცევას არ ვაპირებ, მამა, - წამოიძახა ქითიმ ნერვიულად, - და თუ ოდესმე ბრაითონში წავალ, ლიდისავით არ მოვიქცევი.

-შენ ბრაითონში წახვალ? არა, ქითი, ახლა სიფრთხილე ვისწავლე და ეს მალე გამოჩნდება. დღეიდან ვერც ერთი ოფიცერი ჩემს ოჯახში ვერ შემოაბიჯებს, ვერც სოფელში გაივლის. არავითარი მეჯლისი! დღეიდან მეჯლისზე წასვლა გეკრძალებათ, იმ შემთხვევის გარდა, როცა თქვენს უფროს დებთან ერთად იქნებით. სახლიდან ფეხს ვერ გადგამთ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ დაჰკვიანდით!

ქითი ატირდა.

-კარგი, კარგი, - დაამშვიდა მისტერ ბენეტმა, - ნუ იდარდებ. თუ მომდევნო ათი წლის განმავლობაში ჰკვიანურად მოიქცევი, შეიძლება ჩემი წინადადება გადავსინჯო...

თავი ორმოცდამეცხრე

მისტერ ბენეტის ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ, როცა ჯეინი და ელიზაბეთი ეზოში სეირნობდნენ, დაინახეს მათკენ მომავალი მსახური და ეგონათ, დედა გვეძახისო. მსახურმა გოგონებს უთხრა:

-ბოდიში, მაგრამ იქნებ მითხრათ ახალი ამბავი, იქნებ კარგი ამბავია.

-რა ამბავი, ჰილ, ქალაქიდან არაფერი გვსმენია.

-ვაიმე, წამოიძახა გაოცებულმა მსახურმა, განა არ იცით, რომ ბატონს სასწრაფო წერილი მოსწერა მისტერ გარდინერმა?

გოგონები უკანმოუხედავად გაიქცნენ და ბიბლიოთეკაში შეცვივდნენ. მამა იქ არ დახვდათ. მაშინ ზევით, დედის ოთახს მიაშურეს. კართან მსახურთუფროსი შეხვდათ, რომელმაც უთხრა:

-თუ ბატონს ეძებთ, იგი ტყისკენ წავიდა.

გოგონები გარეთ გაიქცნენ და მამას დაედევნენ. ჯეინი არც ელიზაბეთით მსუბუქი იყო და არც მასავით სირბილი შეეძლო, ამიტომ უკან ჩამორჩა. ელიზაბეთი კი აქომინებული წამოეწია მამას და დაიყვირა:

-მამიკო, რა შეგვატყობინეს, რაო ბიძაჩვენმა?

-ჰო, ბიძათქვენმა სასწრაფო წერილი მომწერა!

-კარგი ამბავია თუ ცუდი?

–კარგს რას უნდა ელოდო, მაგრამ წაიკითხე, მაინც მოგეწონება.

ჯეინიც წამოეწიათ.

–ხმამალა წაიკითხე, უთხრა მამამ, მეც არ ვიცი, რას მწერს.

ელიზაბეთმა კითხვა დაიწყო:

„ძვირფასო ძმაო,

ბოლოს და ბოლოს, შემძლია ჩემი დისშვილის ამბავი გაცნობოთ და ვგონებ, კმაყოფილი დარჩეთ. შევიტყვე მათი ადგილსამყოფელი. თუ როგორ, ამას მერე გეტყვი. მთავარია, რომ გამოჩნდნენ. ორივე ერთად არიან...“

–მაშ დაქორწინდნენ, არა? ასეც ვიცოდი! – წამოიყვრა ჯეინმა.

ელიზაბეთმა განაგრძო:

„ორივე ვნახე. ჯერ არ უქორწინიათ და მგონი, არც აპირებდნენ. მაგრამ თუ თქვენ პირობას შეასრულებთ, რაც გავბედე და თქვენ მაგივრად მე წავუყენე, მაშინ მალე დაქორწინდებიან. თქვენ მოგეთხოვებათ, თქვენს ქალიშვილს დაუმტკიცოთ თავისი წილი ხუთი ათასი გირვანქიდან, რაც თქვენს შვილებს თქვენი და თქვენი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ უნდა მიეღოთ. ასევე გევალებათ, თქვენს სიცოცხლეშივე აძლიოთ ყოველწლიური ასი გირვანქა. აი, ის პირობა, რომელიც თქვენ მაგივრად მე დავდე და თქვენ კი მისი ასრულება გევალებათ. ამ ფურცელს წერილთან ერთად გიგზავნით, რომ დრო არ დაგვკარგოთ. თქვენ იოლად მიხვდებით, რომ მისტერ ვიკჰემი არც ისე უიმედო კაცია, როგორც ჰგონიათ. ცდებიან თუ ასე ფიქრობენ. მიხარია, რომ ვალების გასტუმრების შემდეგ მცირეოდენი ფული კიდევ დარჩება, რათა ჩემმა დისშვილმა ნორმალურად იცხოვროს. თუ უფლებას მომცემთ, მათი დაქორწინების საქმეს მე მოვაგვარებ. თქვენ ლონდონში ჩამოსვლა არ მოგიწევთ. მშვიდად იყავით და მენდეთ, ზრუნვას არ დავაკლებ. პასუხი საჩქაროდ გამომიგზავნეთ. ჩვენ აქ მოვითათბირეთ და ჩემი დისშვილი ჩემი სახლიდან გათხოვდება. ჩვენთან დღეს მოვა. თუ რამე ახალი იქნება, შეგატყობინებთ.

ედუარდ გარდინერი“.

–ეს ნამდვილად შესაძლებელია? – წამოიძახა ელიზაბეთმა, – რომ ვიკჰემი მას ცოლად შეირთავს?

–ვიკჰემი არც ისეთი უღირსი ყოფილა, როგორც გვეგონა, – თქვა ჯეინმა, – მამა, გილოცავთ!

–პასუხი მისწერეთ? – იკითხა ელიზაბეთმა.

–არა, სასწრაფოდ უნდა მივწეროთ.

და ელიზაბეთი მამას შეემუდარა, დროს ნუ დავკარგავთო.

-ო, მამა, ჩქარა მისწერეთ, ასეთ დროს ყოველი წუთი ძვირფასია.

-მოდით, მე დავწერ, - შესთავაზა ჯეინმა.

-არა, მე უნდა დავწერო, თუმცა წერილის წერა მეჯავრება.

და სახლისკენ წავიდნენ.

-პირობა უნდა შესრულდეს!

-უნდა შესრულდეს! მრცხვენია კიდევ, ასე ცოტას რომ მოხვოს.

-მათ უნდა იქორწინონ, მიუხედავად იმისა, რომ ვიკჰემი ასეთია!

-დიახ, მათ უნდა იქორწინონ. მეტი გზა არ არის. მაგრამ ორი რამის გაგება მსურს. პირველი, ნეტავ რამდენი ფული დახარჯა ბიძათქვენმა და მეორე, ოდესმე თუ შეეძლებ მისი ვალისა და ამაგის გადახდას!

-ბიძაჩემმა ფული გადაიხადა? რას გულისხმობ, მამა?

-იმას ვგულისხმობ, ჩემო კარგო, რომ არც ერთი ჭკუათამყოფელი კაცი ლიდიას სულ რაღაც ას ორმოცდაათი გირვანქისთვის არ შეირთავდა.

-მართალია, - თქვა ელიზაბეთმა, - ეს არ მომაგონდა. ვალების გადახდის მერე ფული კიდევ დარჩებაო! ოჰ, ღმერთო, ეს ბიძაჩემის ნახელავია! რა სულგრძელია და კეთილი. ალბათ რამდენ წვალეზას გაუძლო! რა თქმა უნდა, ისე მცირე თანხა ვიკჰემს ვერ დააბამდა.

-არა, ბატონო, - თქვა მისტერ ბენეტმა, - ვიკჰემი მაინც სულელია. ლიდიას ათი ათას გირვანქად რომ ირთავს! ვნანობ, რომ ამ კაცზე ასეთი ცუდი წარმოდგენა მქონდა.

-ათი ათასი გირვანქა? ღმერთო, როგორ უნდა გავისტუმროთ ეს ვალი?

მისტერ ბენეტს არაფერი უთქვამს და სახლშიც უსიტყვოდ შევიდნენ. სანამ მამა ბიბლიოთეკაში წერილს წერდა, ქალიშვილები სასაუზმე ოთახში შევიდნენ.

-ისინი დაქორწინდებიან! - აღტაცებით წამოიძახა ელიზაბეთმა, - რა უცნაურია! ბედნიერების შანსი ცოტა აქვთ, ვიკჰემიც გაიძვერაადა მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მაღლიერნი უნდა ვიყოთ და გვიხაროდეს. ოჰ, ლიדיა!

-უფულოდ მართლა არ შეირთავდა. ნამდვილად ბიძაჩვენმა გაისტუმრა მისი ვალები. ვერ ვიჯერებ, რომ ათი ათასი გირვანქა მისცა. ის ხომ წვრილშვილის პატრონია. როგორ შეაგროვა ამდენი ფული?

-ვიკჰემს ჯიბე ცარიელი აქვს. ბიძისა და ბიცილას ამაგი უსაზღვროა. თანაც, სახლიდან ათხოვებენ, პატრონობენ. ამ ამაგის გადახდა შეუძლებელია. ახლა ლიდიამ მათთანაა! თუ ამ სიკეთეს ვერ გრძნობს, მაშინ ბედნიერების ღირსი არ ყოფილა!

-უნდა ვცადოთ და ცუდი დავივიწყოთ, თქვა ჯეინმა, მაინც მგონია, რომ ბედნიერი იქნებიან. ლიდის შერთვის სურვილი რომ გამოთქვა ვიკჰემმა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოქცევის გზაზე შემდგარა. ორივეს სიყვარული გააძლიერებს და ვგონებ, მშვიდად და ბედნიერად იცხოვრებენ. ცუდი წარსულს ჩაჰბარდება.

-არა, მათი საქციელი არც ერთს არ დაგვავიწყდება. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ამაოა.

გოგონებს ახლავდა გაახსენდათ, რომ დედამ არაფერი იცოდა ამ ამბის შესახებ. ამიტომ ჯერ მამას დაეკითხნენ, დედას ვუთხრათ თუ არაო.

-როგორც გინდათ, - უპასუხა მისტერ ბენეტმა ისე, რომ წერილის წერა არ შეუწყვეტია.

-მაშინ ბიძაჩვენის წერილს წავაკითხებთ.

-წაკითხეთ და წერა მაცალეთ!

ელიზაბეთმა წერილი აიღო მაგიდიდან და დები დედის ოთახში შევიდნენ. მერი და ქითი იქ იყვნენ. წერილი ხმამაღლა წაიკითხეს. მისის ბენეტი სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა. სულ დაავიწყდა ლიდის საქციელი და იყვირა:

-ლიდია, ჩემი ძვირფასი გოგონა, როგორი ბედნიერია, მალე იქორწინებს! მეც მალე ვნახავ! თექვსმეტი წლის ასაკში თხოვდება, ღმერთო, ჩემო კეთილო ძმაო! ვიცოდი, ასე იქნებოდა. ვიცოდი, ყველაფერს მოაგვარებდა! როგორ მენატრება ჩემი გოგონა და ვიკჰემიც! მაგრამ საქორწინო სამოსი! ახლავე მივწერ მისის გარდინერს. ლიზი, ძვირფასო, გაიქეცი და მამას ჰკითხე, რამდენს მისცემს... თუმცა არა, მე თვითონ წავალ. ქითი, ჰილს დაუძახე. ახლავე ტანთ უნდა ჩავიცვა. ო, ძვირფასო ლიდია! როგორ გამახარებ შენი აქ მოსვლით!

ელიზაბეთმა სცადა დედა დაეწყნარებინა და მისტერ გარდინერის ამაგი შეახსენა, რომელსაც გადახდა სჭირდებოდა.

-ბიძაჩვენს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. დარწმუნებული ვარ, თავად შესთავაზა ვიკჰემს ფულადი დახმარება.

-ძალიან კარგი, - წამოიძახა მისის ბენეტმა, - აბა, სხვა ვინ იზამდა ამას, თუ არა ბიძამისი? მას რომ ოჯახი არ ჰყავდეს, მისი ფული ჩვენი იქნებოდა და გარდა ამისა, ასეთ რამეს პირველად აკეთებს, თუ მცირე საჩუქრებს არ ჩავთვლით. ძალიან ბედნიერი ვარ! ცოტა ხანში ქალიშვილს გავათხოვებ. მისის ვიკჰემი გახდება! რა კარგად ჟღერს! და ჯერ მხოლოდ თექვსმეტისაა. ჯეინ, ძვირფასო, სიხარულისგან ხელი ისე მიცახცახებს, ალბათ წერას ვერ შევძლებ. მე გიკარნახებ და შენ დაწერე. მამაშენს მერე ვეტყვით ფულის შესახებ, მაგრამ საქორწინო ნივთები ახლავე უნდა შევუკვეთოთ.

შემდეგ ჯეინს უკარნახა წერილი, რომელშიც დაწვრილებით მიუთითა სამოსისა თუ თავსაბურავის შესახებ, რომელთა შეკვეთას აპირებდა, მაგრამ ჯეინმა გადაათქმევინა და დაარწმუნა, აჯობებს, მამას დაველოდოთ და რომ მოიცლის, მოვეთათბიროთ, ერთი დღე

არაფერს წყვეტსო. მისის ბენეტი ისეთი ბედნიერი იყო, რომ ჩვეული სიჯიუტე არ გამოუჩენია. თავში ათასგვარი გეგმა უტრიალებდა.

–მერთონში წავალ, როგორც კი ტანთ შევიმოსავ და ჩემს დას ამ ამბავს მივახარებ. უკან რომ დავბრუნდები, ლედი ლუკასსა და მისის ლონგს შევუვლი. ქითი, გაიქეცი და ეტლი შეუკვეთე. ჰაერზე გასვლა მომიხდება. გოგონებო, მერთონში რამეს ხომ არ დამაბარებთ. აი, ჰილი მოდის. ჰილ, ჩემო კარგო, გაიგეთ კარგი ამბავი? მის ლიდია თხოვდება. თქვენ ყველანი იქეიფებთ მის ქორწილში.

მისის ჰილმა სიხარულის აღტაცება გამოხატა, ელიზაბეთმა თავაზიანად მიიღო მილოცვა და მერე ამ სისულელეებით დაღლილდაქანცული თავის ოთახში განმარტოვდა და ფიქრში ჩაიძირა.

საწყალი ლიდია ალბათ ცუდ დღეშია, მაგრამ მადლობა ღმერთს, უარესი არ მოხდა. მას არც ბედნიერება ელის და არც ფუფუნება და სიკეთე ამა ქვეყნისა. ელიზაბეთს რომ გაახსენდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ღმერთს მადლობა შესწირა.

თავი ორმოცდამეათე

მისტერ ბენეტი ყოველთვის იმაზე ოცნებობდა, თავისი შემოსავალი არ დაეხარჯა და ბავშვებისა და ცოლის კეთილდღეობისთვის მოეხმარა. ახლა კი ამის სურვილი უფრო გაუმძაფრდა, რადგან ასე რომ ექნა აქამდე, მაშინ ლიდიას ბიძის ვალი არ ექნებოდა და მთელი ინგლისში ყველაზე უღირსი კაცის შერთვაც მის მხრებზე იქნებოდა. მაგრამ ახლა მთელი ტვირთი ცოლისძმის მხრებს დააწვა. ამიტომ გადაწყვიტა გაეგო, რამდენი ხარჯი გასწია, რომ ვალი რაც შეიძლება სწრაფად გადაეხადა.

მისტერ ბენეტი რომ დაქორწინდა, ეგონა ვაჟი მეყოლებო, ამიტომ ეკონომიის გაწევა ფიქრად არ მოსვლია. ვაჟიშვილი ანდერძით სხვისთვის მიკუთვნებულ ქონებასაც დაიბრუნებდა და მამის გარდაცვალების შემდეგ თავის დებზეც იზრუნებდა. ხუთივე ქალიშვილმა წარმატებული სვლა გააკეთა, მაგრამ მისტერ ბენეტი მაინც ვაჟის დაბადებას ელოდა. მისის ბენეტი ლიდიას შემდეგ დარწმუნებული იყო, ვაჟს გააჩენდა, მაგრამ ამაოდ. მისტერ ბენეტი დამოუკიდებელი ბუნების კაცი იყო და ამან მათ შემოსავალზე ძლიერ იმოქმედა.

მისის ბენეტს და ბავშვებს ხუთი ათასი გირვანქა მიეკუთვნათ. მაგრამ ამ ფულის განაწილება მშობლებზე იყო დამოკიდებული. ახლაც მათ უნდა გადაეწყვიტათ, ლიდიას რამდენი უნდა რგებოდა. მისტერ ბენეტმაც არ დააყოვნა. წერილში ცოლისძმას მადლობა გადაუხადა და სრული თანხმობა გამოხატა იმისადმი, რაც მისტერ გარდინერმა მის გარეშე მოიმოქმედა. როგორ იფიქრებდა, რომ ვიკჰემს ასე იოლად დაითანხმებდნენ, ლიდიაზე ექორწინა და თანაც ასე მცირე ფულადი შეთავაზებით. არ ეგონა თუ ასე იოლად იქნებოდა

ყველაფერი, და თანაც, ყოველგვარი დამაბვის გარეშე. ამას ნატრობდა კიდეც. პირველმა რისხვამ რომ გაუარა, ლიდიას ძეგნისას, მერე ერთთავად მოეშვა. წერილი სასწრაფოდ გაგზავნა, რომელშიც ცოლისძმას ემუდარებოდა, მითხარი, შენი რამდენი მმართველსო. ლიდიას კი არაფერი მისწერა, ისე იყო გაბრაზებული.

სასიხარულო ამბავი სახლს სწრაფად მოედო და მეზობლების ყურამდეც მიაღწია. ჭორიკნებს ერჩინათ საქმე უფრო დრამატულად განვითარებულიყო. თუმცა საჭიროაო მაინც ჰქონდათ, რადგან მეზობლებს ახლა ის უხაროდათ, რომ ლიდიას ასეთი საშინელი ქმარი ერგო.

მისის ბენეტი ცაში ფრინავდა სიხარულისგან. ქალიშვილი გაათხოვა! ეს ხომ მისი ოცნება იყო. ახლა მხოლოდ წვეულებები, ლამაზი სამოსი და ახალი ეტლი ეკერა პირზე. თავისი ქალიშვილისთვის სახლს ეძებდა სამეზობლოში და ბევრი ადგილი დაიწუნა.

–ჰაიდპარკი კარგი იქნებოდა, გოლდინგსები რომ არ ცხოვრობდნენ, ანდა სტოუკში რომ დიდი სახლია, თუმცა მისაღები ოთახი პატარა აქვს. ეშვორთი ძალიან შორს არის. არ მინდა, ჩემგან შორს იყოს ჩემი ქალიშვილი. ფალვისლოჯს საშინელი მანსარდა აქვს.

ქმარმა ლაპარაკი აცალა, სანამ მსახურები წავიდოდნენ. მერე კი უთხრა:

მისის ბენეტ, სანამ თქვენი სიძე-ქალიშვილისთვის ყველა სახლს ერთად იყიდდეთ, მოდი, რაღაც გავარკვიოთ. არც ერთ სახლში მათ არ შეესვლებათ, რომელიც ლონგბერნში მდებარეობს. მე, ყოველ შემთხვევაში, ლონგბერნს არ ვურჩევდი.

ამ განაცხადს ხანგრძლივი კამათი მოჰყვა, მაგრამ მისტერ ბენეტი მაინც თავისას ამბობდა. მისის ბენეტი გაოცდა, როცა მიხვდა, რომ ქმარი ლიდიას სამოსის ყიდვისთვის ერთ გინეასაც არ დახარჯავდა. მისი სიბრაზე თუ ასეთ ზღვრამდე მიაღწევდა, არ ეგონა. ეს მისის ბენეტისთვის უფრო დიდი სირცხვილი იყო, ვიდრე ის, რომ ლიდია ვიკჰემს გაეკიდა და მასთან ერთად ცხოვრობდა ორი კვირის განმავლობაში.

ელიზაბეთი ახლა მთელი გულით ნანობდა, მაშინ რომ დარსის უთხრა ლიდიას ამბავი, რადგან ყველაფერი ნორმალურად დამთავრდა და ის სამარცხვინო დასაწყისი არ უნდა გაემჟღავნებინა. ელიზაბეთი დარწმუნებული იყო, დარსი არავის არაფერს ეტყოდა. თუმცა სამარცხვინო ამბავმა ელიზაბეთი დააზარალა, რადგან ეგონა, რომ ახლა მასსა და დარსის შორის უფსკრული აღიმართა. ლიდია წესიერადაც რომ გათხოვილიყო, დარსი მაშინაც არ მოისურვებდა, ურთიერთობა ჰქონოდა ოჯახთან, რომელიც მისთვის საძულველ კაცს დაუმოყვრდა. ახლა კი ალბათ სამუდამოდ დაკარგა და დარსის გულში დანთებული სიყვარულის ცეცხლიც ასევე სამუდამოდ ჩაქრა. თავს შერცხვენილად გრძნობდა და რაღაც გაურკვეველი სინანულის გრძნობა ვერ მოიშორა. თუმცა ვერც იმას მიხვდა, რის გამო ახლა დარსის ღირსება შურდა, ღირსება, რომელიც მისი აღარასოდეს გახდებოდა. სურდა დარსის მოეწერა, მაგრამ ამაოდ. ახლა დარწმუნდა, რომ მასთან ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ახლა ალბათ ძალიან უხარია, დარსის რომ მაშინ ელიზაბეთმა ცოლობაზე უარი უთხრა. მის სულგრძელობაში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ დარსიც ხომ ადამიანია! ახლავა დაფიქრდა, რომ სწორედ დარსისნაირი კაცი შეეფერებოდა. ხასიათით ერთმანეთს არ ჰგავდნენ, მაგრამ გამგები და კეთილი დარსი მისი უბადლო მეწყვილე იქნებოდა. დარსი ხომ ძლიერ შეიცვალა ბოლო დროს. შესანიშნავ მეუღლეობას გაუწევდა. დარსის ისე კარგად ესმოდა სამყარო, რომ შეუძლებელია ასეთი კაცის გვერდით თავი ბედნიერად არ ეგრძნო.

ელიზაბეთს ვერ წარმოედგინა, ვიკჰემი და ლიდია როგორ იცხოვრებდნენ ან ბედნიერი როგორ იქნებოდა წყვილი, რომელთა ვნება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ღირსება.

მისტერ გარდინერმა სიძეს საპასუხო წერილი გაუგზავნა, რომელშიც მზადყოფნას გამოთქვამდა, რომ ოჯახს საჭიროების შემთხვევაში კვლავ დაეხმარებოდა და წერილის ბოლოს ემუდარებოდა, ასეთი რამ მეორედ არ ახსენოო. წერილში იმასაც იტყობინებოდა, რომ მისტერ ვიკჰემი რეზერვისტა ბანაკის დატოვებას აპირებსო. მისტერ გარდინერი წერდა:

„ძალიან მინდოდა, რომ ასე მოქცეულიყო. ალბათ შენც დამეთანხმები, რეზერვისტაგან მოშორება მისთვის უკეთესი იქნება. სამაგიეროდ, მეგობრები არმიაში წასვლას ურჩევენ და დახმარებასაც ჰპირდებიან. ჩრდილოეთში დაბანაკებული შტაბის უფროსი დახმარებას შეჰპირდა. კარგია, აქედანაც შორს იქნება და იქ, იმ მხარეში, სადაც ამათ არ იცნობენ, ვგონებ, უფრო ჰკვიანურად მოიქცევიან. პოლკოვნიკ ფორსტერს მივწერე ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ და ვთხოვე, ვიკჰემის მევალეები დააშოშმინოს. უთხრას, რომ მალე გავისტუმრებ. გთხოვ, ვიკჰემის მერთონელი მევალეები, რომელთა სიას წერილთან ერთად გიგზავნი, შენ შეიპირო, რომ მათ ვალსაც მალე გადავიხდით. იმედია, ვიკჰემი არ გვატყუებს. ყველაფერი ერთ კვირაში დასრულდება და თუ ლონგბერნში არ მოიწვევთ, მაშინ ცოლქმარი პირდაპირ შტაბისკენ გაემგზავრება. მისის გარდინერი მეუბნება, რომ ლიდიას ჩრდილოეთში წასვლამდე ძალიან უნდა ოჯახი მოინახულოს. თავს კარგად გრძნობს და თქვენთან მოკითხვას მბარებს...

ე. გარდინერი“.

ვიკჰემის რეზერვისტა ბანაკიდან წამოსვლა მისტერ ბენეტსაც მოეწონა, მაგრამ არა მისის ბენეტს. ლიდია თუ ჩრდილოეთში დასახლდება, მაშინ მისი ახლო ყოფნით და ხშირი სტუმრობით ვედარ იამაყებს. ამიტომ ძალიან უნდოდა ახალდაქორწინებულნი ჰართფორდში დაესახლებინა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. გარდა ამისა, იმ ბანაკში, რომლის დატოვებას აპირებდა, ლიდიას უამრავი ნაცნობი ჰყავდა.

–მისის ფორსტერი ძალიან უყვარს, – თქვა მისის ბენეტმა, – და მასთან განშორება დაადარდიანებს. იქ უამრავი ნაცნობი ჰყავს... ჩრდილოეთში კი, ვინ იცის, როგორი ოფიცრები არიან.

მისტერ ბენეტი პირველად სასტიკად წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ლიდია სახლში მოეწვია, მაგრამ ჯეინი და ელიზაბეთი მამას ისე შეემუდარნენ და ისე დაარწმუნეს, რომ საერთო საქმისთვის არ ივარგებდა ლიდიასადმი ამგვარი დამოკიდებულება, რომ ბოლოს მისტერ

ბენეტი დასთანხმდა მოეწვიათ ისინი, როგორც კი იქორწინებდნენ. მისის ბენეტი უზომოდ კმაყოფილი დარჩა იმით, რომ შეძლებდა მეზობლებში გამოეჩინა თავისი გათხოვილი ქალიშვილი მანამ, სანამ ჩრდილოეთში გადაიკარგებოდა. მისტერ ბენეტმა ცოლისძმას მისწერა, რომ სიძე-ქალიშვილს უფლებას აძლევდა სტუმრად სწევოდნენ.

გადაწყდა, საქორწინო ცერემონიის დასრულებისთანავე ახალ დაქორწინებულნი ლონგბერნში გაემგზავრებოდნენ. ელიზაბეთს გაუკვირდა, რომ ვიკჰემიც თანახმა იყო. კაცმა რომ თქვას, მისი ნახვა ყველაზე ნაკლებად სურდა.

თავი ორმოცდამეთერთმეტე

ლიდიას ქორწილის დღეც დადგა. ჯეინი და ელიზაბეთი ყველაზე მეტად ღელავდნენ. მათ შესახვედრად ეტლი გაგზავნეს. სადილის დროს უნდა ჩამოსულიყვნენ. უფროსი დები, განსაკუთრებით კი ჯეინი, გრძნობდა თუ რა დღეში იქნებოდა ახლა ლიდია, რომელიც თავის ოჯახს შეხვდებოდა.

როგორც იქნა, მოვიდნენ. ოჯახი მათ შესახვედრად შეიკრიბა. მისის ბენეტს სახეზე ღიმილი მოეფინა, ეტლი რომ კართან გაჩერდა. მისტერ ბენეტს ძალიან სერიოზული სახე ჰქონდა. ქალიშვილები ღელავდნენ. შემოსასვლელიდან ლიდიას ხმა მოისმა, მერე კარი ფართოდ გაიღო და ისიც გამოჩნდა. დედასთან მიიბრინა და დედა-შვილი სიყვარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს. შემდეგ მისის ბენეტი ღიმილით მიესალმა ვიკჰემს და ბედნიერება უსურვა. მისტერ ბენეტი სიძე-ქალიშვილს გულგრილად შეხვდა. მკაცრი სახე ჰქონდა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ელიზაბეთს ეწყინა მამის ასეთი საქციელი, ხოლო ჯეინი გაოგნდა. ლიდიას რა შეცვლიდა. ისევ ისეთივე იყო: ველური, უსირცხვილო, ხმაურიანი, უშიშარი. დებს გადაეხვია და ანიშნა, თქვენგან მოლოცვას ველოდებო. ბოლოს, როცა ყველანი დასხდნენ, ლიდიამ ირველივ მიმოიხედა, ოთახში რაღაც მცირე ცვლილება შეამჩნია და სიცილით აღნიშნა, რახანია აქ არ ვყოფილვარო.

ვიკჰემიც თავს თავისუფლად გრძნობდა, მაგრამ ის ხომ ყოველთვის თავაზიანი მანერებით გამოირჩეოდა და სინამდვილეშიც რომ ასე ყოფილიყო, მაშინ მისი ღიმილი ყველას სიამეს მოჰგვრიდა. რას იფიქრებდა ელიზაბეთი, რომ ვიკჰემი ასე მშვიდად იქნებოდა, მაგრამ თავხედი აზა რის თავხედიანო, ფიქრობდა გულში. ლოყები აუწითლდათ მას და ჯეინს, რამაც ორივე ოდნავ დააბნია კიდევ.

პატარძალი დედას ესაუბრებოდა. ვიკჰემი ელიზაბეთის გვერდით აღმოჩნდა და მათი ნაცნობების შესახებ გამოჰკითხა ისეთი სიმშვიდითა და სიკეთით, რომ ელიზაბეთი დაიბნა. ბევრი კარგი რამ გაიხსენეს. ლიდია ისეთ რამეს იხსენებდა, რომ მის მაგივრად მის დებს შერცხვათ.

-სამი თვეა, რაც სახლიდან წავედი, მაგრამ ასე მგონია, მხოლოდ ორი კვირა გავიდა და მაინც რამდენი რამ მოხდა. ღმერთო! როცა წავედი, გათხოვებას სულ არ ვფიქრობდი. თუმცა ისიც კი ვიფიქრე, ძალიან კარგს ვიზამ თუ გავთხოვდებიმეთქი.

მამამ წარბები აზიდა. ჯეინი გაწითლდა. ელიზაბეთმა მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ლიდიას, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ლიდიას არც არაფერი გაუგია, არც არაფერი დაუნახავს და მხიარულად განაგრძო:

-დედა, მეზობლებმა თუ იციან, რომ დღეს დავქორწინდი? მეშინოდა, რომ ვერ გაიგებდნენ. გზად ვილიამ გოლდინგის ეტლს წამოვეწიეთ და მას ვუთხარი. მინდოდა, სცოდნოდა. ფანჯარა ჩამოვწიე, ხელთათმანი წავიძვრე და ხელი ფანჯრის რაფაზე ჩამოვდე, რომ ბეჭედი დაენახა, მერე თავი დავუქნიე და გავუღიმე, ვითომც აქ არაფერიაო.

ელიზაბეთს მოთმინება გამოეღია. ადგა და ოთახიდან გავიდა. მხოლოდ სადილობისას შეუერთდა მათ და გაიგონა ლიდიამ, დედას რომ ედგა გვერდით და ამაყად მიაბიჯებდა, ჯეინს როგორ უთხრა:

-აჰ, ჯეინ, ახლა მე შენი ადგილი დავიკავე, შენ კი ჩამორჩი. მე ხომ გათხოვილი ქალი ვარ.

რაც დრო გადიოდა, ლიდია უფრო გათამამდა და გამხიარულდა. მისის ფილიპსის, ლუკასებისა და სხვა მეზობლების ნახვა მოიწადინა, რომ იმათ მისის ვიკჰემი დაეძახათ. შემდეგ მისის ჰილსა და სხვა მსახურებს ბეჭედი უჩვენა და ტრაბახობდა, გავთხოვდიო.

-დედა, როგორი ქმარი მყავს? მომხიბვლელია არა? ალბათ ჩემს დებს შურთ ჩემი. ნეტავ ჩემი ბედის ნახევარი მაინც შეხვდეთ. ჯობია ბრაითონში გაემგზავრონ. იქ ქმრებს იშოვიან. რა ცუდია, დედა, რომ მაშინ ყველანი ერთად არ წავედით.

-მართალია. მე რომ ჩემი გამეტანა, წავიდოდით. ლიდია, ძვირფასო, აუცილებელია, რომ ასე შორს გაემგზავროთ?

-კი, დედა, შენ, მამიკო და ჩემი დები ჩვენს სანახავად უნდა მოხვიდეთ. ზამთარს ნიუქასლში გავატარებთ. ალბათ იქ მეჯლისებიც მოეწყობა და ჩემს დებს კარგ მეწყვილეებს ვუშოვი.

-კარგი იქნება! - უთხრა დედამ.

-რომელიმე ჩემთან დარჩეს და ზამთრამდე გავათხოვებ.

-მადლობას მოგახსენებ, მაგრამ შენი გათხოვების მანერა სულაც არ მომწონს, უთხრა ელიზაბეთმა.

ახალდაქორწინებულნი დიდხანს დარჩენას არ აპირებდნენ. ორ კვირაში ვიკჰემი არმიაში უნდა შესულიყო.

მხოლოდ მისის ბენეტი ჯავრობდა, რომ ასე ცოტა ხანს დარჩებოდნენ. ამიტომ ამ ხნის განმავლობაში სტუმრადაც მიდიოდა ქალიშვილთან ერთად და სახლშიც აწყობდა წვეულებებს, რომელზეც ყველას პატიჟებდა.

ვიკტემს ისე არ უყვარდა ლიდია, როგორც ლიდიას ვიკტემი და ელიზაბეთი ამას ელოდა კიდევ. მათი გაქცევა უმაღლეს ლიდიას ძლიერმა სიყვარულმა გამოიწვია, ვიდრე ვიკტემისამ. საერთოდ რატომ გაიქცა ლიდიასთან ერთად, ელიზაბეთისთვის გაუგებარი რჩებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ვალებს გაექცა და თუ მართლა ასეა, მაშინ თანამგზავრიც სჭირდებოდა. ლიდიას ძალიან უყვარდა ვიკტემი. წარამარა ძვირფას ვიკტემს ეძახდა. ის მისთვის ყველაფერი იყო და ყველაფერი შეემლო ამქვეყნად. ისიც კი თქვა, ვიკტემისთანა მონადირე ქვეყნად არ დადისო.

დილით, ერთად რომ ისხდნენ, ლიდიამ ელიზაბეთს უთხრა:

–ლიზი, შენთვის ჩემი ქორწილის ამბავი არ მომიყოლია. დედას და სხვებს რომ მოვუყევი, იმ დროს სხვაგან იყავი. არ გაინტერესებს, როგორ ჩატარდა?

–არა, – უთხრა ელიზაბეთმა, – ალბათ გრძელი ამბავია.

–ო, რა უცნაური ხარ! მაინც უნდა მოვყვე. ჩვენ სენტკლემენში დავქორწინდით, ვინაიდან ვიკტემი იმ მხარეში ცხოვრობს. თერთმეტი საათისთვის, ბიძა, ბიცოლა და მე ერთად უნდა წავსულიყავით და სხვები ტაძარში დაგვხვდებოდნენ. ორშაბათიც მოვიდა. მე ძალიან ვღელავდი. მეშინოდა, რამე არ მოხდეს და ქორწილი არ გადაიდოსმეთქი. ჩაცმის დროს ბიცოლა ჩემთან იყო და თითქოს ქადაგებას მიკითხავსო, ისე მელაპარაკებოდა. მე ერთ ყურში შევუშვი და მეორიდან გამოვუშვი, რადგან სულ ვიკტემზე ვფიქრობდი. ნეტავ იმ თავის ლურჯ პიჯაკს თუ ჩაიცვამსმეთქი. ათ საათზე ჩვეულებრივ ვისაუბრეთ. მალე მინდოდა საუბრე მორჩენილიყო. ბიძა და ბიცოლა, მინდა გითხრა, ისე უხასიათოდ იყვნენ, რომ კინაღამ სახლიდან გავიპარე. არც ერთი წვეულება არ მოუწყვიათ, სანამ იქ ვიყავი. მართალია, ლონდონი გაკრეფილი იყო, მაგრამ თეატრი მუშაობდა. მოკლედ, ეტლი რომ გამოჩნდა, ბიძაჩემს იმ საშინელმა კაცმა, მისტერ სთოუნმა, რაღაც საქმეზე დაუძახა. მათ ლაპარაკს ხომ საშველი არ დაადგა და არ დამთავრდა. შემეშინდა, რა მექნა არ ვიცოდი. ჯვრისწერა გვიანდებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ბიძაჩემი ათ წუთში დაბრუნდა და ყველანი წავედით. მაგრამ რომც დაყოვნებულიყო, ქორწილი მაინც არ გადაიდებოდა, რადგან მისტერ დარსი მაინც იყოჩაღებდა.

–მისტერ დარსი? – ელიზაბეთი გაოცდა.

–ჰო, ვიკტემთან ერთად მოვიდა. ო, ღმერთო, ეს რა ვთქვი! არ უნდა მეთქვა. შევპირდი, არავის ვეტყვოდი. ახლა ვიკტემი რას იტყვის? როგორ გამაფრთხილეს, საიდუმლოდ შეინახეო!

–თუ საიდუმლოა, მაშინ ნუღარ გააგრძელებ. არც ჩვენ შეგეკითხებით.

–ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, არაფერს გკითხავთ, – თქვა ელიზაბეთმაც, თუმცა ცნობისმოყვარეობისგან კვდებოდა.

-მადლობა! რომ გეკითხათ, გეტყოდით და მერე ვიკვიში გამიბრაზდებოდა.

ელიზაბეთმა ვეღარ მოითმინა და ოთახიდან გავიდა. მაგრამ ამაზე ფიქრი თავიდან ვეღარ ამოვიდო. ეს რა თქვა ლიდიამ! მისტერ დარსი ლიდიას ქორწილში იყო! და მერე იქ, სადაც ალბათ ყველაზე ნაკლებად სურდა წასვლა! რა იფიქროს? ელიზაბეთის ტვინში უამრავი ფიქრი აირია. მაინც ვერაფერი გაიგო. ნუთუ დარსი ასეთი სულგრძელია? უცებ ფურცელი აიღო და ბიცოლას საჩქაროდ წერილი მისწერა, სადაც სთხოვდა, ამიხსენი, რას ნიშნავს ლიდიას ნათქვამიო.

„ალბათ გესმით, რატომ მაინტერესებს ასე ძალიან. კაცი, რომელიც უცხოა ჩვენი ოჯახისთვის, ჩემი დის ქორწილში ყოფილა! გემუდარებით, ახლავე მომწერეთ და გამაგებინეთ, თუ ისეთი საიდუმლო არ არის, როგორც ლიდია ამბობს და თუ ასეა, მეტის გაგებას არც მე მოვიწადინებ“.

ელიზაბეთი წერილის წერას მორჩა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

-თუ თქვენ არაფერს მეტყვით, ბიცოლა, მაშინ მე ყველა ხრიკსა და ფანდს მივმართავ და მაინც გავიგებ.

ჯეინს ფაქიზმა მგრძნობელობამ არ მისცა საშუალება, ელიზაბეთისთვის რამე ეკითხა იმასთან დაკავშირებით, რაც ლიდიას წამოსცდა, რითაც ელიზაბეთი ნამდვილად გაახარა, რადგან სანამ რაიმეს შეიტყობდა, არ სურდა, მესაიდუმლე ჰყოლოდა.

თავი ორმოცდამეთორმეტე

ელიზაბეთმა წერილის პასუხი მალე მიიღო. განმარტოვდა, რათა სიამოვნებით წაეკითხა წერილი, რომელიც საკმაოდ გრძელი იყო. წერილში ეწერა:

„ჩემო ძვირფასო ძმისშვილო,

ესეაა შენი წერილი მივიღე და პასუხს მთელი დილა უნდა მოვანდომო, რადგან მოკლედ ვერ გეტყოდი იმას, რაც უნდა გიამბო. მართალი გითხრა, შენმა დაინტერესებამ ცოტა გამაოცა. უბრალოდ, არ ველოდი. ალბათ გამიგებ. ბიძაშენიც გაოცდა, მაგრამ აქამდე თუ არაფერი იცი, მაშინ მოისმინე. ლონგბერნიდან რომ დავბრუნდი, ბიძაშენს მოულოდნელად ეწვია მისტერ დარსი. ოთახში ჩაიკეტნენ და საიდუმლოდ ისაუბრეს. თურმე ბიძაშენს უთხრა, რომ შენი დისა და ვიკვიშის კვალს მიაგნო და ორივეს ელაპარაკა. ვფიქრობ, დერბიშირიდან ერთ დღეში წამოვიდა, მას მერე, რაც ჩვენ გამოვემგზავრეთ. ლონდონშიც სწორედ მათ მოსამძებნად ჩამოვიდა. სურდა გაემყდარებინა, რომ ვიკვიში იმდენად უღირსია, ყოველი ქალიშვილისთვის საშიშია მისი ნდობა ან შეყვარება. მან ბიძაშენს ისიც უთხრა, რომ ადრე სიამაყის გამო არ მიიჩნევდა საჭიროდ, თავისი საქციელი საჯარო გაეხადა. ამიტომ ახლა გადაწყვიტა სასწრაფოდ ემოქმედა და იმ ბოროტებისთვის შეეშალა ხელი, რომელიც თავად

წარმოქმნა. სხვა მიზეზი რომ ჰქონოდა, ამასაც იტყობდა. ქალაქში მანამდე დარჩა, სანამ გაქცეულები არ იპოვა. ძეზისას ის რაღაც ეხმარებოდა, რაც ჩვენ არ გვქონდა. სინდისმა გადააწყვეტინა, ჩვენ გამოგვყოლოდა. ვინმე ქალბატონია, მისის იუნგი, რომელიც ადრე მის დარსიზე ზრუნავდა და მერე დარსის სამსახურიდან გაუთავისუფლებია რაღაც მიზეზის გამო, რომელიც არ უთქვამს. იმ ქალმა იდვარდსთრითზე დიდი სახლი იქირავა და მას მერე თავს ოთახების გაქირავებით ირჩენს. სწორედ ეს მისის იუნგი ახლოს იცნობდა ვიკპემს. დარსიც სწორედ მასთან წავიდა ამბის შესატყობად. მხოლოდ ორი-სამი დღის შემდეგ უთხრა იმ ქალმა, რაც დარსის აინტერესებდა. ალბათ იმ ქალმა ფული გამოსძალა. მართლა იცოდა ვიკპემის ადგილსამყოფელი. ვიკპემი მასთან მისულა. მაგრამ იმ ქალმა ვერ შეიფარა. ბოლოს დარსიმ გაიგო, გაქცეულნი რა გზით წავიდნენ და რომელ ქუჩაზე იყვნენ. დარსი ვიკპემს შეხვდა, მერე კი ლიდიასაც ესაუბრა. ლიდიასთვის უთქვამს, წამოდი, შენს მეგობრებთან დაბრუნდი, მე დაგეხმარები, ასე ყოფნა სამარცხვინოაო. მაგრამ ლიდიამ წასვლაზე უარი უთხრა. მეგობრები სულ არ მადლევენს, არც შენი დახმარება მინდა, ვიკპემს ვერ დავტოვებო. თურმე ლიდია დარწმუნებული იყო, მე და ვიკპემი მალე დავქორწინდებითო, მაგრამ როდის იქნებოდა ეს „მალე“, აღარ იცოდა. ამიტომ, რადგან ლიდია ასე გაჯიუტდა, დარსიმ გადაწყვიტა, წყვილი დაექორწინებინა, მაგრამ ვიკპემს უთქვამს, ლიდიას დაქორწინებას სულაც არ ვაპირებ, ეს ჩემს გეგმებში არ შედისო. აღიარა, რომ გარნიზონიდან ვალების გამო წამოვიდა. თურმე ისიც უთხრა დარსის, ლიდია თვითონ გამომეკიდა, მე არაფერ შუაში ვარო. წარმოდგენა არა მაქვს, მომავალში რას გავაკეთებო, ალბათ სადმე წავალ, მაგრამ სად, არ ვიცი და როგორ ვიცხოვრებ, ისიც არ ვიცი, რადგან ფული სრულებით არ მაქვსო. მისტერ დარსის უთქვამს, რატომ ლიდიას არ შეირთავ, მართალია, მამამისი მდიდარი არ არის, მაგრამ შენთვის მოსაცემი ფული აქვს და ამ ქორწინებით უზრუნველყოფილი იქნებიო. ვიკპემს უთქვამს, სხვა ქვეყანაში წავალ და ვინმე მდიდარ ქალს შევირთავო. თურმე რამდენჯერმე შეხვედრიან ერთმანეთს. ვიკპემს სიხარბემ სძლია. მეტი უნდოდა, მაგრამ ბოლოს თურმე მაინც გონს მოეგო.

ეს საქმე რომ მოაგვარა, დარსიმ ბიძაშენს შეატყობინა და ჩვენთან მოვიდა გრეისჩერჩზე. მისტერ ბენეტიც აქ იყო. მეორე დღით აპირებდა გამომგზავრებას. დარსიმ მაინც ბიძაშენთან ლაპარაკი ამჯობინა და მამაშენის წასვლას დაელოდა. ამიტომ იმ დღეს ბიძაშენი არ უნახავს, ისე წავიდა. მსახურმა თქვა, ვიღაც ჯენტლმენი იყოო. შაბათს მოვიდა. მამაშენი წასული იყო და ბიძაშენს დიდხანს ეთათბირა. კვირას რომ მოვიდა, მეც შევხვდი. ორშაბათს ყველაფერი გადაწყდა და მამაშენს სასწრაფოდ შეატყობინეს. დარსი ცოტა ჯიუტი მეჩვენა. ლიზი, ალბათ სიჯიუტე მისი ერთადერთი ნაკლია. რას არ აბრალებდნენ, მაგრამ ასე არ ყოფილა. ყველაფერი დარსიმ მოაგვარა. თუმცა დარწმუნებული ვარ (და ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მადლობა მითხრა), ბიძაშენიც ამგვარადვე მოაგვარებდა.

დარსიმ და ბიძაშენმა დიდი ბრძოლა გასწიეს, რასაც არც ვიკპემი იმსახურებდა და არც ლიდია. ბოლოს დარსიმ ბიძაშენი აიძულა, თანხის გაღებაზე უარი ეთქვა და მხოლოდ უმნიშვნელო ხარჯით დაკმაყოფილებულიყო. ვფიქრობ, ბიძაშენს ძალიან გაუხარდა, შენ რომ მოგვწერე, რადგან ახლა მაინც გაიგებ სიმართლეს და ხოტბის ობიექტიც გეყოლება. მაგრამ, ლიზი, გთხოვ, ჯეინის გარდა ნურავის ეტყვი ამ ამბავს. ყველაფერი გაკეთდა შენი დისთვის.

ვიკჰემის ვალი ათასი გირვანქა დაიფარება. მიზეზი, რის გამოც დარსი ასე მოიქცა, არის ის, რაც წერილის დასაწყისში გითხარი. დარსი თავის თავს აბრალებს იმას, რომ ვიკჰემის პიროვნება ვერ გაიგეს და ასე მიენდვნენ. შეიძლება მართაღს ამბობს, მაგრამ ცოტა მეექვსეა, რომ ასე იყოს. მიზეზი მაინც სხვა რამ მგონია და ბიძაშენმაც სწორედ ამ „სხვა რამის“ გამო დაუთმო დარსის. ამის მერე დარსი ვემბერლში დაბრუნდა იმ პირობით, რომ ქორწილის დღეს ისევ ჩამოვიდოდა ლონდონში და ყველა ფულად საკითხს წერტილს დაუსვამდა. მგონი ყველაფერი გითხარი და იმედი მაქვს, ეს ამბავი არ დაგამწუხრებს. უფრო პირიქით იქნება. ლიდია ჩვენთანაა. ვიკჰემი ზუსტად ისეთივეა, რაც ადრე იყო, როცა ჯერ კიდევ ჰართფორდშირში გავიცანი. ლიდიას საქციელი საშინლად არ მომეწონა და ახლა ამასაც გეტყვი. მას შემდეგ, რაც ჯეინმაც მომწერა, რომ თურმე სახლშიც არ იქცევა კეთილგონივრულად, სერიოზულად დაველაპარაკე ლიდიას, ვუთხარი, რომ საშინლად მოიქცა და ოჯახს დიდი ტკივილი მიაყენა. მგონი არც მისმენდა. ზოგჯერ მწყობრიდან გამოვდიოდი, მაგრამ მერე შენი და ჯეინის ხათრით თავს ვიკავებდი. მისტერ დარსი ქორწილის დღეს ჩამოვიდა და ჯვრისწერას დაესწრო. მეორე დღეს სადილზე გვეწვია. ლიზი, ხომ არ გამიბრაზდები თუ ვიტყვი (რასაც ადრე ვერ გიბედავდი), რომ დარსი ძალიან მომწონს. ისეთივეა, როგორც მაშინ, დერბიში იყო. ძალიან შეგნებული ყმაწვილია. ახლა ცოლის გარდა არაფერი სჭირდება. ძალიან ჩუმი კაცია. შენ არც კი უხსენებხარ, მაგრამ ახლა ეს თვისება მოდაშია. მაპატიე, თუ რამე ისე ვერ ვთქვი. ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც ნუ დამსჯი, რომ ფ...დან გამომრიცხო. ბედნიერი არ ვიქნები, სანამ იმ პარკს მთლიანად არ ვნახავ. წარმოიდგინე დაბალი ფაეტონი, შინ შემბული წყვილი პონით, სწორედ რომ ზედგამოჭრილი იქნება.

ახლა კი უნდა დაგემშვიდობო. ბავშვებს ვჭირდები.

სიყვარულით,

მ. გარდინერი“.

ამ წერილმა ელიზაბეთი ალტკინებაში მოიყვანა. თუმცა ზუსტად ვერ გეტყვოდათ, უფრო მეტი ტკივილი იგრძნო თუ უფრო მეტი სიამოვნება. დარსიმ მისი და გადაარჩინა. ეს სიკეთის გამო ჩაიდინა თუ კიდევ იყო რაიმე, რამაც ამისკენ უბიძგა? ელიზაბეთს ეჭვი შეეპარა, რომ ასე იყო და ამასთანავე შიშმაც შეიპყრო, ვაითუ, დარსიმ ეს ყოველივე მხოლოდ მოვალეობის გამო ჩაიდინა! ის მათ დაედევნა, იბრძოლა, რომ ეპოვა, იპოვა და მთელი სიმძიმე მდგომარეობისა თავის თავზე აიღო. ლიდიას შეემუდარა, დაბრუნდით. შეემუდარა ქალს, რომელიც, წესით, უნდა სძულებოდა და შეზიზღებოდა. არაერთხელ შეხვდა და ელაპარაკა კაცს, რომელთან შეხვედრას გაურბოდა. კაცს, რომლის სახელის ხსენებაც კი არ უნდოდა. ეს კაცი გადმოიბირა და ეს ყოველივე ერთი უღირსი გოგოსთვის ჩაიდინა! ელიზაბეთს გული ეჩურჩულებოდა: „ეს შენთვის გააკეთა დარსიმ!“ ეს შინაგანი ძახილი იყო და ელიზაბეთმა იგრძნო, რომ დარსის სიყვარულმა ყველაფერი გადაწონა, მისი უარიც, მისი ოჯახიც, ვიკჰემიც. ვიკჰემი მისი სიძე გახდება! სად არის აქ სიამაყის ნასახი! დარსი გმირია, ნამდვილი გმირი და ელიზაბეთს შერცხვა თავისი თავის. თუმცა დარსიმ გარდინერებს აუხსნა თავისი საქციელის მიზეზი. ბუნებრივია, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა ვიკჰემის გამო. უზომოდ

კეთილი იყო და სიკეთე გააკეთა და თუ ელიზაბეთი არ არის მიზეზი მისი ასეთი გმირობისა, ალბათ მცირე ადგილი მაინც უჭირავს მის გულში. მტკივნეულია იმაზე ფიქრი, რომ დარსის ამავს ვერასოდეს გადაიხდიან და ამას არც დარსი დაანებებს. ლიდია იხსნა! ოჰ, ახლა როგორ ნანობს, რომ ოდესღაც დარსიზე ცუდს ფიქრობდა და ერთხელ ისე ელაპარაკა, რომ გული ატკინა. როგორ რცხვენია საკუთარი თავის და როგორი ამაყია, რომ დარსის იცნობს! როგორ ამაყობს მისით.

ელიზაბეთმა წერილის ის ადგილი ხელმეორედ გადაიკითხა, სადაც მისის გარდინერი დარსის აქებდა. ქება საკმარისი სრულებით არ იყო, მაგრამ მაინც ესიამოვნა. გარდინერები მიხვდნენ, რომ დარსისა და ელიზაბეთს დიდი ნდობა და სიყვარული აკავშირებდათ. დიახ, ალბათ მიხვდნენ და ელიზაბეთს გაუხარდა კიდევ და თან ინანა.

უცებ ელიზაბეთმა ვილაცის ფეხის ხმა გაიგონა და სანამ ჩუმი გაპარვას მოახერხებდა, ხელში ვიკჰემი შერჩა.

–მაპატიეთ, რომ მყუდროება დაგირღვიეთ, დაო.

დიახ, ასეა, – უთხრა ელიზაბეთმა, – მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეწყინა.

–რომ გწყენოდათ, შევწუხდებოდი. ჩვენ ხომ ყოველთვის კარგი მეგობრები ვიყავით და ახლაც ვართ.

–მართალია. სხვები სად არიან?

–არ ვიცი. მისის ბენეტი და ლიდია მერიტონში მიდიან. გარდინერებისგან შევიტყვე, დაო, რომ ფემბერლი მოინახულებთ.

ელიზაბეთმა თავი დაუქნია.

–ძალიან მშურს თქვენი. მე კი ვერ გავბედავ. თუმცა გზად შემემძლო მომენახულებინა, როცა ნიუქასლში გავემგზავრებით. იქ მოხუც მსახურს ნახავდით. საბრალო რეინოლდსი. როგორ ვუყვარდი. ალბათ, არ ვუხსენებია.

–გახსენათ.

–და რა თქვა?

–რომ არმიაში წახვედით და ეშინოდა, რომ იქ კარგად არ იქცეოდით. ალბათ ცდებოდა.

–ალბათ, – თქვა ვიკჰემმა და ტუჩი მოიკვნიტა. ელიზაბეთმა იფიქრა, გავაჩუმეო, მაგრამ ვიკჰემმა განაგრძო:

–დარსი ლონდონში დავინახე. ერთმანეთს ჩავუარეთ. ნეტავ რას აკეთებდა იქ?

–ალბათ მის დებურგთან შესაუღლებლად ემზადება, ან ალბათ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, რომ წლის ამ დროს იქ იყო.

-უეჭველად ასეა. ლემთონში ხომ არ გინახავთ? გარდინერებმა მითხრეს, რომ ნახეთ.

-დიახ, თავისი და გაგვაცნო.

-მოგეწონათ?

-ძალიან.

-გავიგე, რომ ამ ბოლო ხანებში სულ შეიცვალა, უკეთესი გახდა. მიხარია, რომ მოგეწონათ.

-დიახ. რთული ასაკი უკან ჩამოიტოვა.

-ქემფთონში თუ გამოიარეთ?

-არ მახსენდება.

-ქემფთონში მე უნდა მეცხოვრა, მაგრამ ასე არ მოხდა. შესანიშნავი სოფელია. სწორედ იქ მდებარე სახლი და სამრევლო უნდა მოეცათ ანდერძის მიხედვით.

-მერე როგორ იქადაგებდით?

-მშვენივრად. ამას ჩემს მოვალეობად მივიჩნევდი და თავს ადვილად გავართმევდი. ახლა ამაზე დარდი არ ღირს, მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. იქ ბედნიერებას ვეწეოდი, მაგრამ ოცნება არ ამიხდა. ამის შესახებ დარსის ხომ არ უთქვამს თქვენთვის კენტში ყოფნისას?

-არა, მაგრამ სხვა წყაროსგან შევიტყვე, რომ ეს ანდერძი მხოლოდ პირობითი იყო და სახლის ახლანდელ პატრონზე დამოკიდებული.

-ჰო, ეს მეც გითხარით, თუ გახსოვთ.

-მე ისიც გავიგე, რომ თურმე მაშინ მღვდლობა არ გინდოდათ ისე ძლიერად, როგორც ახლა. ისიც კი გითქვამთ, მღვდელი არასოდეს გავხდებო, ამიტომ ანდერძის საქმეც შესაბამისად გადაწყდა.

-ჰო, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ალბათ გახსოვთ, ამის შესახებ რა მოგიყევით.

უკვე თითქმის კართან იდგნენ და ელიზაბეთი გარეთ გავიდა, რომ როგორმე ვიკვემისგან თავი დაესხნა და ლიდიას ხათრით უთხრა:

-კარგი, მისტერ ვიკემ, ჩვენ ხომ და-ძმა ვართ. წარსულზე ნულარ ვიდავებთ.

და ელიზაბეთმა კეთილი ღიმილით ხელი გაუწოდა ვიკემს, ვიკემმა ხელზე აკოცა.

თავი ორმოცდამეცამეტე

მისტერ ვიკჰემი იმდენად დააკმაყოფილა ამ საუბარმა, რომ მეტად აღარ აუტკივებია თავი და არც ელიზაბეთი შეუწუხებია კითხვებით. ელიზაბეთს უხაროდა, რომ ვიკჰემი გააჩუმა.

ბოლოს გამგზავრების დღეც დადგა. მისის ბენეტი შეეგუა იმ აზრს, რომ ქალიშვილს ერთი წელი ვერ ნახავდა. მისტერ ბენეტს ნიუქასლში გამგზავრების გაგონებაც კი არ უნდოდა.

–ოჰ, ლიდია, ძვირფასო, – შესძახა მისის ბენეტმა, – კიდევ როდის შევხვდებით?

–არ ვიცი, დედა, ალბათ, ასე ორისამი წლის შემდეგ.

–ხშირად მომწერე, ძვირფასო.

–ვეცდები. ხომ იცი, გათხოვილ ქალს წერილის საწერად არ სცალია. ჩემმა დებმა მომწერონ. მათ ხომ სხვა საქმე არ ექნებათ.

მისტერ ვიკჰემი ცოლის ახლობლებს უფრო გულთბილად დაემშვიდობა, ვიდრე ლიდია. იღიმებოდა, ძალიან თავაზიანი იყო და ქათინაურებს აფრქვევდა.

–ასეთი მშვენიერი ყმაწვილი ჯერ არ მინახავს, – თქვა მისტერ ბენეტმა, – გულთბილად გვიღიმის, ხითხითებს და ყველას ეხუმრება. ო, როგორ მეამაყება. მგონი, თვით სერ ლუკასსაც არ ეყოლება ასეთი ღირსეული სიძე!

მისის ბენეტი ქალიშვილის გამგზავრებამ ძლიერ დაალონა.

–რა ძნელია ახლობელთან განშორება, თითქოს სახლი დაცარიელდა, – ამბობდა მისის ბენეტი.

–ასე ხდება, ქალიშვილს რომ გაათხოვებ, – უთხრა ელიზაბეთმა, – ჩვენ, ოთხივე, ხომ თქვენთან ვართ, დედა.

–არა, ლიდიამ იმიტომ კი არ დაგვტოვა, რომ გათხოვდა, არამედ იმიტომ, რომ ქმრის სამსახურია ასე შორს. ახლოს რომ ყოფილიყო, ასე მალე არ გაემგზავრებოდა.

მაგრამ მისის ბენეტს მალე გამოუკეთდა ხასიათი. მით უმეტეს, რომ ახალი სასიამოვნო ამბავიც შეიტყვეს. ნეზერფილდის ბატონი მამულში ბრუნდებოდა, რომ რამდენიმე კვირა ენადირა. მისის ბენეტი სიხარულით ცას ეწია, აფორიაქდა. დროდადრო ჯეინს შეხედავდა, გაიღიმებდა და თავს აქნევდა.

–მისტერ ბინგლი ჩამოდის, დაო, – ამბავი მოუტანა მისის ფილიპსმა.

–ძალიან კარგი, მაგრამ მე სულაც არ მენაღვლება. ის ხომ ჩვენთვის არაფერს ნიშნავს. მისი ნახვაც კი არ მინდა. თუმცა, მისი ნეზერფილდში გამოჩენა, თუკი მართლაც გადაწყვიტა ჩამოსვლა, კარგი საქმეა. ვინ იცის, რა მოხდება. თუმცა, ეს ჩვენ არ გვეხება, ხომ შევთანხმდით, რომ ამის შესახებ აღარ ვილაპარაკებდით. დარწმუნებული ხარ, რომ ჩამოდის?

–წყალი არ გაუვა! მისის ნიკოლსი იყო გუშინ სადამოს მერიტონში. დავინახე, რომ ჩაგვიარა და გამოველაპარაკე. სწორედ მან მითხრა, ბინგლი ჩამოდისო. ოთხშაბათს ან ხუთშაბათსო. ხორცის საყიდლად მიდიოდა ყასაბთან და, მგონი, იხვებიც უნდა დაკლას.

ჯეინს ამის გაგონებაზე ლოყები შეუფაკლდა. რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ახსენა ბინგლის სახელი ელიზაბეთთან საუბრისას. დები მარტო რომ დარჩნენ, ჯეინმა ელიზაბეთს უთხრა:

–შევამჩნიე, დღეს როგორ მიყურებდი, ლიზი, დეიდამ ბინგლის ჩამოსვლის ამბავი რომ მოიტანა. მართალია, ავლელი, მაგრამ არ იფიქრო, რომ რაიმე სულელური მიზეზი მქონდეს. წამით დავიბენი იმიტომ, რომ შენი მზერა ვიგრძენი. გარწმუნებ, ამ ამბავს სრულიად არ უმოქმედია ჩემზე. მიხარია, რომ მარტო ჩამოდის. ასე უფრო არ შევხვდებით. არა იმიტომ, რომ ჩემი თავის მეშინია. არა, მეშინია, სხვებმა არაფერი თქვან.

ელიზაბეთმა არ იცოდა, რა ეფიქრა. დერბიში რომ არ ენახა ბინგლი, მაშინ მართლა იფიქრებდა, სანადიროდ ჩამოდისო. მაგრამ იქ რომ ნახა, მიხვდა, ბინგლის ჯეინი უყვარდა. იმასაც მიხვდა, რომ ბინგლის დარსიმ ურჩია ჩამოსვლა, ან იქნებ თავისი ნებით ჩამოვიდა.

„რა ძნელია, – ფიქრობდა ელიზაბეთი, – ეს საწყალი კაცი საკუთარ სახლში ვერ დაბრუნებულა ისე, რომ ათასი ჭორი არ გავრცელდეს! იცხოვროს, როგორც მოეგუნებება“.

ჯეინის ნათქვამის მიუხედავად, ბინგლის ჩამოსვლა სულაც არ მანაღვლებსო და ეს თავადაც სჯეროდა, ელიზაბეთი ატყობდა, რომ ის გულისფანქვალთ ელოდა ბინგლის ჩამოსვლას.

ამ ამბავზე მშობლებიც ლაპარაკობდნენ:

–როგორც კი მისტერ ბინგლი ჩამოვა, ძვირფასო, აუცილებლად ეწვიე, – უთხრა ქმარს მისის ბენეტმა.

–არა, არა. შარშან ხომ მაიძულე მასთან სტუმრად მისვლა და დამპირდი, თუ შეხვდები ბინგლის, ის ერთერთ ჩვენს ქალიშვილს ცოლად შეირთავსო. ხომ ხედავ, არაფერი გამოვიდა და ახლა ხელმეორედ ნუ გამასულელებ.

მაგრამ მისის ბენეტმა ქმარს აუხსნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო ყურადღების გამოჩენა.

–როგორ მძულს ეს ეტიკეტი! თუ ჩვენთან ყოფნას მოისურვებს, დაე, თავად მოვიდეს. იცის, სადაც ვცხოვრობთ. მე არ ვაპირებ ვინმეს კუდში დევნას.

–ვიცი, რომ უზრდელობაში ჩაგეთვლება, თუ არ დახვდები. თუმცა, სადილზე მაინც დაგვატიჟებ. მისის ლონგსაც მოვიწვევ და გოლდინგებსაც. ჩვენიანად ცამეტნი ვიქნებით და სწორედ რომ ერთი ადგილიც დარჩება მაგიდასთან მისტერ ბინგლისათვის. მისის ბენეტი მაინც კმაყოფილი დარჩა. თუმცა, წუხდა, რომ მისი ქმრის გარდა, ბინგლის ყველა მეზობელი ნახავდა მათზე ადრე.

ბინგლის ჩამოსვლის დღე რომ მოახლოვდა, ჯეინმა დას უთხრა:

– ვნანობ, რომ ჩამოდის. მის გულგრილობას ავიტან, მაგრამ მეზობლები რომ ამაზე იჭორავებენ, ეს მაწუხებს. დედას კარგი უნდა ჩემთვის, თუმცა, არც მან და არც არავინ იცის, გული როგორ მტკივა იმის გამო, რასაც დედა ამბობს ხოლმე. ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა ბინგლი ნეზერფილდიდან წავა!

– მინდა დაგამშვიდო, უთხრა ელიზაბეთმა, მაგრამ უღონო ვარ. ალბათ, გრძნობ კიდევ. მას, ვინც იტანჯება, არ უნდა უქადაგო, რომ მოთმინება იქონიოს. ეგეც არ იყოს, შენ მოთმინება არ გაკლია.

მისტერ ბინგლი ჩამოვიდა. მისის ბენეტმა მსახურების დახმარებით თადარიგი დაიჭირა. დღეებს ითვლიდა და დროს საზღვრავდა, როდის მოეპატიჟებინა სტუმარი. აქამდე მისი ნახვის იმედი არ ჰქონდა. ჰართფორდში ბინგლის ჩამოსვლიდან მესამე დღეს მისის ბენეტმა თავისი ოთახის ფანჯრიდან შენიშნა ბინგლი, რომელიც სახლისაკენ მოემართებოდა. გახარებულმა მისვე ქალიშვილებს უხმო. ჯეინი თავის ადგილას დაჯდა მაგიდასთან. ელიზაბეთმა ფანჯარაში გაიხედა და ბინგლისთან ერთად მისტერ დარსის მოჰკრა თვალი. მერე დას გვერდით მიუჯდა.

– ბინგლის ვიღაც კაცი ახლავს, დედა, – თქვა ქითიმ, – ნეტავ ვინ არის?

– ალბათ, მეგობარია, ძვირფასო.

– აჰ! წამოიძახა ქითიმ, მგონი, ის კაცია, ადრე რომ ახლდა. რა ერქვა? ის მაღალი, ამაყი კაცი.

– დმერთო, მისტერ დარსი! დიახ, ასეა. მისტერ ბინგლის მეგობარს სიამოვნებით მივიღებ. თუმცა, უნდა ვადიარო, რომ დასანახავად მეჯავრება.

ჯეინმა ელიზაბეთს გაოცებით შეხედა. მან არ იცოდა, რომ ელიზაბეთი და დარსი ერთმანეთს დერბიში შეხვდნენ, ამიტომ დას თანაუგრძნობდა, ერთმანეთისა კარგად ესმოდათ. მისის ბენეტი კი ისევ იმაზე ლაპარაკობდა, რომ მისტერ დარსი არ მოსწონს და ახლა მხოლოდ იმიტომ შეხვდება თავაზიანად, რომ იგი ბინგლის მეგობარია. ელიზაბეთის წუხილის წყარო სხვა იყო და, ცხადია, ჯეინი ამას ვერ მიხვდა. ელიზაბეთს ჯეინისთვის არ უჩვენებია მისის გარდინერის წერილი. არც ის უთქვამს, რომ დარსის მიმართ მისი დამოკიდებულება შეიცვალა. ჯეინმა მხოლოდ ის იცოდა, რომ დარსიმ მის დას ცოლობა სთხოვა და უარი მიიღო. ისიც იცოდა, რომ ელიზაბეთს მცდარი წარმოდგენა ჰქონდა დარსიზე. დარსიმ ხომ დიდი ამაგი დასდო მათ ოჯახს. მაგრამ ჯეინი განცვიფრდა, როცა დაინახა, რომ დარსი ლონგბერნში ჩამოვიდა, რათა ელიზაბეთი ენახა. ახლა რწმენა განუმტკიცდა, რომ დარსი სწორედ ისეთი იყო, როგორც მაშინ, დერბიში.

ჯეინს ლოყები შეუფაკლდა, სახეზე ღიმილი გადაეფინა და თვალები გაუბრწყინდა, როცა გაიფიქრა, იქნებ ბინგლის გრძნობა არც კი განელეზიაო, მაგრამ დარწმუნებული მაინც არ იყო.

– ჯერ ვნახოთ, როგორ მოიქცევა, – თქვა ჯეინმა, – და შემდეგ ვიმსჯელოთ.

საქარგავს მიუჯდა და სცადა, დამშვიდებულიყო. თვალეები ძირს დახარა. მსახური კარს უახლოვდებოდა. ჯეინი ოდნავ ფერმკრთალი იყო, მაგრამ უფრო მშვიდი, ვიდრე ელიზაბეთი წარმოიდგენდა. სტუმრები ისე მიიღეს, ცდილობდნენ, ადევნებდა არ დასტყობოდათ და არ გამოეხატათ ან მეტისმეტი გულისხმიერება, ან გულგატეხილობა. ელიზაბეთმა იმდენი სიტყვა თქვა, რამდენსაც თავაზიანობა მოითხოვდა და ისევ საქარგავს მიუბრუნდა. მხოლოდ ერთხელ გაბედა და დარსის შეხედა, რომელიც, როგორც ყოველთვის, სერიოზული იყო. დარსი უფრო მორიდებული ჩანდა, ვიდრე ფემბერლიში იყო. ალბათ, მისის ბენეტისა ერიდებოდა. გარდინებთან კი როგორი გულგახსნილი იყო.

ბინგლის სახეზე სიხარული და დაბნეულობა ეტყობოდა. მისის ბენეტმა ისე თავაზიანად მიიღო, რომ ქალიშვილებს შერცხვათ, დარსის კი ცივად მიესალმა. განსაკუთრებით ელიზაბეთს ატკინა გული დედის საქციელმა. დარსიმ ხომ მისი ძვირფასი ქალიშვილი დალუპვისგან იხსნა.

დარსიმ ელიზაბეთს ჰკითხა, მისტერ და მისის გარდინებები როგორ არიანო. ელიზაბეთმა დაბნეულობა ვერ დაფარა, როცა პასუხობდა. გვერდიგვერდ არ ისხდნენ და, ალბათ, დარსი ამიტომ დუმდა. დერბიშირში კი სხვაგვარად იყო. იქ დარსი თუ ელიზაბეთთან ლაპარაკს ვერ ახერხებდა, მის მეგობრებს ესაუბრებოდა. ახლა კი დუმდა.

უცებ ელიზაბეთს ცნობისმოყვარეობამ სძლია, თვალეებში შეხედა და დაინახა, რომ დარსი ხან მას უმზერდა და ხანაც ჯეინს და მერე თვალეებს ძირს ხრიდა. უფრო ჩაფიქრებული ჩანდა, ვიდრე მაშინ, ბოლოს რომ შეხვდნენ.

„რისთვის მოვიდა, – გაიფიქრა ელიზაბეთმა, – აბა, სხვას რას ველოდი?“

ელიზაბეთს ახლა დარსისთან ლაპარაკი სურდა, მაგრამ ვერ გაებედა. მხოლოდ მის დარსი მოიკითხა.

– დიდი ხანია, რაც აქედან წახვედით, მისტერ ბინგლი, – თქვა მისის ბენეტმა.

ბინგლი დაეთანხმა.

– ვიფიქრე, აღარ დაბრუნდებამეთქი. ამბობდნენ, სხვაგან აპირებსო გადასვლას. იმედია, ასე არ არის. ბევრი რამ მოხდა მას შემდეგ, რაც თქვენ წახვედით. მის ლუკასი გათხოვდა. მე ქალიშვილი გავათხოვე. ალბათ, გაიგებდით. გაზეთებშიც იყო. „თაიმზსა“ და „კურიერში“, მაგრამ წესიერად არ დაუბეჭდავთ. მხოლოდ ორი სიტყვით ახსენეს, რომ ჯორჯ ვიკჰემმა ცოლად შეირთო მის ლიდია ბენეტი. არც ლიდიას მამა უხსენებიათ, არც მისი საცხოვრისი, ან სხვა რამ. ჩემმა ძმამ, გარდინერმა, დააბეჭდვინა და მიკვირს, რატომ ისიტყვამუნწა. ნახეთ?

ბინგლიმ უთხრა, ვნახეო და მისის ბენეტს მიულოცა. ელიზაბეთმა თვალეები დახარა, ამიტომ ამ დროს მისტერ დარსის სახე არ დაუნახავს.

– კარგია, რომ ქალიშვილს ასე იღბლიანად გაათხოვეთ, – განაგრძობდა მისის ბენეტი, – მაგრამ ვწუხვარ, რომ ასე შორს წასვლამ მოუწიათ. ნიუქასლში გაემგზავრნენ, ჩრდილოეთით,

და იქ რამდენ ხანს დარჩებიან, არ ვიცი. მისი შტაბი იქ არის. ალბათ, გაიგებდით, რომ ***შირი დატოვა და რეგულარულ ჯარში შევიდა. მადლობა ღმერთს, რომ მეგობრები ჰყავს. თუმცა, არც იმდენი, რამდენსაც იმსახურებს.

ელიზაბეთმა, რაკი იცოდა, დედა ასე დარსის ჯიბრზე ლაპარაკობდა, თავი იმდენად დამცირებულად იგრძნო, რომ კინაღამ წამოხტა და ოთახიდან გავარდა. თუმცა, სწორედ ამ სიტყვებმა შემატა გამბედაობა და საუბარში ჩაერთო. ბინგლის ჰკითხა, ამჟამად თუ აპირებთ მამულში დარჩენასო, მან კი უპასუხა, მხოლოდ რამდენიმე კვირითო.

–როცა თქვენს მამულში ყველაფერს მოინადირებთ, მისტერ ბინგლი, – ჩაერთო მისის ბენეტი, – გთხოვთ, აქ მობრძანდეთ და მისტერ ბენეტის მამულში ინადიროთ. ძალიან გაუხარდება მისტერ ბენეტს და ყველა კაკაბს თქვენ დაგიტომობთ.

დედის მეტისმეტმა მლიქვნელობამ და ჩაჟინებამ კიდევ უფრო შეაცბუნა ელიზაბეთი. დარწმუნებული იყო, შარშანდელი იმედი ხელახლა რომ გაცოცხლებოდა, ძალიან მალე

ყოველივე ისევ იმედგაცრუებით დამთავრდებოდა. და ეჩვენებოდა, რომ იმ ტანჯვას, რასაც ახლა თავად და ჯეინი განიცდიდნენ, წლების განმავლობაში ნეტარებაც კი ვერ გადაწონდა.

„ახლა რასაც გულით ვნატრობ, ის არის, გაიფიქრა ელიზაბეთმა, რომ ამათ აღარასოდეს შევხვდე. მათთან შეხვედრა მხოლოდ ტკივილს მაყენებს და შეურაცხმყოფს!“

თუმცა, ელიზაბეთმა შენიშნა, რა ბედნიერი იყო ჯეინი, ბინგლი ისევ რომ ნახა. ამიტომ უსიამოვნო შეგრძნება მათთან შეხვედრისა ოდნავ გაუნელდა. ბინგლი თავდაპირველად ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველი ხუთი წუთის შემდეგ ჯეინს უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა. ბინგლიმ შეამჩნია, რომ ჯეინი ისეთივე კეთილი და ლამაზი იყო, როგორც შარშან, თუმცა, ნაკლებს ლაპარაკობდა. ჯეინი შეეცადა, სევდა არ დასტყობოდა და ეგონა, ჩვეულებრივზე მეტსაც ვლაპარაკობო, მაგრამ გონება ისე გამალებით უმუშავებდა, რომ ვერც კი ამჩნევდა, როდის იყო ჩუმად. ჯენტლმენებმა წასვლა რომ დააპირეს, მისის ბენეტმა ორივე რამდენიმე დღეში სადილად მოიწვია.

–მისტერ ბინგლი, რა ხანია შემპირდით სადილად მოსვლას და სიტყვა არ შეასრულეთ. გახსოვთ, მაშინ, გასულ ზამთარს, მოულოდნელად რომ გაემგზავრეთ? მე არ დამვიწყებია!

შეცბუნებულმა ბინგლიმ მოუბოდიშა, მაშინ რაღაც საქმემ შემიშალა ხელიო და ჯენტლმენები წავიდნენ. მისის ბენეტს სურდა, სადილადაც დარჩენილიყვნენ, მაგრამ თქმა ვერ გაბედა, რადგან დღეს მაინცდამაინც კარგი სუფრა არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი არა, ბინგლის რომ ეკადრებოდა.

თავი ორმოცდამეთოთხმეტე

როგორც კი დარსი და ბინგლი წავიდნენ, ელიზაბეთი სასეირნოდ გაეშურა. მარტო ყოფნა და დღევანდელ ამბებზე ფიქრი უნდოდა. ყველაზე მეტად მისტერ დარსის საქციელმა გააკვირვა და გააღიზიანა.

„რას მოდიოდა, თუ ასე მუნჯად და გულგრილად უნდა მჯდარიყო! ქალაქში რომ ვიყავით, ძალიან თავაზიანად ექცეოდა ბიძასა და ბიცოლას. ახლა კი რა მოუვიდა? თუ ჩემი ეშინია, მაშინ აქ რამ მოიყვანა? თუ ჩემ მიმართ გულგრილია, მაშინ რატომ დუმდა? რა ნერვების მომშლელი კაცია! ამიერიდან მასზე აღარც ვიფიქრებ“.

ელიზაბეთს გახარებული ჯეინი წამოეწია. აშკარად ეტყობოდა, დარსისა და ბინგლის სტუმრობამ ის უფრო ასიამოვნა, ვიდრე მისი და.

–ახლა, როცა პირველმა შეხვედრამ ჩაიარა, თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ. ჩემი ძალა ვიცი და მისი მეორედ მოსვლა ვერც კი შემაკრთობს. მიხარია, რომ სამშაბათს აქ ისადილებს. მერე ყველა დაინახავს, რომ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ნაცნობები ვართ და მეტი არაფერი, უთხრა ჯეინმა.

–დიახ, მხოლოდ ნაცნობები, – გაეცინა ელიზაბეთს, – აჰ, ჯეინ, ფრთხილად იყავი.

–ლიზი, ძვირფასო, ნუთუ ისე უმწეო გგონივარ, რომ ჩემზე დარდობ?

–მე თუ მკითხავ, სიფრთხილე გმართებს, რომ თავი უფრო ძლიერ არ შეაყვარო.

ჯენტლმენები სამშაბათამდე არ გამოჩენილან. ამასობაში გახარებული მისის ბენეტი მათ შესახვედრად მოემზადა.

სამშაბათს ლონგბერნში დიდი წვეულება გაიმართა. დარსი და ბინგლი დათქმულ დროს მოვიდნენ. როცა სასადილო ოთახში შევიდნენ, ელიზაბეთი ინტერესით უყურებდა, ბინგლი მისი დის გვერდით დაჯდებოდა თუ არა. წინდახედულმა მისის ბენეტმა თავი შეიკავა, რომ თავის გვერდით დაესვა. ოთახში რომ შევიდა, ბინგლი შეეყოყმანდა. ამ დროს ჯეინი ვითომ აქეთ-იქით იყურებოდა და იღიმოდა. ამან ბინგლი წააქეზა და ჯეინის გვერდით დაჯდა.

ელიზაბეთმა დარსის გადახედა. მას სახეზე გულგრილი იერი ედო და გაიფიქრა, ალბათ, ბინგლიმ დარსის გამოსთხოვა ბედნიერების ნებაო, მაგრამ ამ დროს ბინგლიც შეჰყურებდა დარსის და სახეზე რაღაც უჩვეულო გამომეტყველება, ხუმრობანარევი შეშფოთება ედო.

სადილის დროს ბინგლი ისეთი ყურადღებიანი იყო ჯეინის მიმართ, რომ ელიზაბეთი მიხვდა, მათ ბედნიერებას, დარსის გარდა, წინ არაფერი დაუდგებოდა. უცქეროდა შეყვარებულებს და გული სიხარულით უძგერდა. ამან ხასიათი გამოუკეთა. მისტერ დარსი ელიზაბეთისგან მოშორებით იჯდა, მისის ბენეტის გვერდით. ეს არცთუ ისე სახარბიელო მეზობლობა იყო ორივესთვის. ელიზაბეთს არ ესმოდა, რაზე საუბრობდნენ, მაგრამ ის კი შენიშნა, რომ ძალიან იშვიათად მიმართავდნენ ერთმანეთს, თანაც ძალზე ცივად და

ფორმალურად. ეს მტკივნეული სანახავი იყო. ახლა ყველაზე მეტად სურდა, მისულიყო დარსისთან და ეთქვა, თუ რაოდენ აფასებდა მის ამაგსა და სიკეთეს და მადლობა გადაეხადა.

ელიზაბეთი იმედოვნებდა, იქნებ სადამოს შევძლო დარსისთან მიახლოებაო, მაგრამ დრო უსაშველოდ გაიწელა. ამან მოთმინება დააკარგვინა და გაიფიქრა:

„თუ ახლა დარსი ჩემთან არ მოვა, სამუდამოდ დავივიწყებ“.

მამაკაცები სასადილო ოთახიდან სასტუმროში შემოვიდნენ, მაგრამ ამაოდ! იმ მაგიდის ირგვლივ, სადაც მის ბენეტი ჩაის ამზადებდა, ქალბატონები შეკრებილიყვნენ. ელიზაბეთმა ყავა დაასხა და იმის გამო, რომ მის გვერდით ცარიელი სკამი არ იყო, იმედი გადაეწურა, რომ დარსის დაელაპარაკებოდა. ჯენტლმენები რომ შემოვიდნენ, ერთერთმა გოგონამ ელიზაბეთს წასჩურჩულა:

–მოდი, მამაკაცები ახლოს არ მოვუშვათ, კარგი? ისინი მოვლენ და მერე მიგვატოვებენ. ამიტომ არ გვჭირდებათ, არა?

დარსი ოთახის მეორე კუთხისკენ წავიდა. ელიზაბეთმა თვალი გააყოლა და ყველასი შეშურდა, ვისაც დარსი გამოელაპარაკა. ყავა ძლივს ჩამოარიგა და მერე თავის თავზე გაცოფდა, ასე სულელი რატომ ვარო.

„ეს კაცი ერთხელ უარყავი და ახლა მისი სიყვარულის განახლებას ველოდები? ის ასეთ სისუსტეს არ გამოიჩენს და ხელს მეორედ არ მთხოვს. ეს ხომ საშინელება იქნება მისთვის!“

თუმცა, გულზე ოდნავ მოეშვა, როცა დარსი ყავის ჭიქით ხელში მოუახლოვდა. ამით ისარგებლა და ჰკითხა:

–თქვენი და ისევ ფემბერლიშია?

–დიახ. იქ შობამდე დარჩება.

–მარტოა თუ მეგობრები ახლავს?

–მასთან მისის ენსლია. დანარჩენები სქარბოროში გაემგზავრნენ.

ელიზაბეთმა მეტი სათქმელი ვერაფერი მოიფიქრა. დარსის რომ მოეწადინებინა საუბრის გაგრძელება, სალაპარაკოს უთუოდ გამონახავდა. დარსი რამდენიმე წუთი ჩუმად იდგა და წავიდა, როცა იმ გოგონამ ელიზაბეთს ისევ რაღაც უჩურჩულა.

ჩაის მაგიდა რომ აალაგეს, მამაკაცები კარტის სათამაშოდ მოემზადნენ. ქალბატონები ადგნენ და მაშინ ელიზაბეთს კვლავ მიეცა იმედი, რომ დარსისთან საუბრის საშუალება მიეცემოდა. თუმცა, ამჯერადაც შეცდა, რადგან დარსი უკვე მისის ბენეტისა და კარტის თამაშის მსხვერპლი გამხდარიყო და ჯენტლმენებს შორის იჯდა. ელიზაბეთს ხასიათი გაუფუჭდა, მაგრამ შეამჩნია, რომ დარსი ხშირად იყურებოდა მისკენ და, ალბათ, არცთუ ისე იღბლიანად თამაშობდა.

მისის ბენეტს სურდა, დარსი და ბინგლი ვახშმადაც დარჩენილიყვნენ, მაგრამ მათი ეტლი ადრე მოვიდა და ამიტომ ვერ დააყოვნა.

–აბა, შვილებო, – უთხრა გოგონებს მისის ბენეტმა, სტუმრები რომ წავიდნენ, – რას იტყვით დღევანდელ დღეზე? მგონი, ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. სადილიც მშვენიერი იყო. ირმის ხორცი ყველას მოეწონა. წვნიანიც კარგი იყო. მისტერ დარსიმ თქვა, გნოლი მშვენივრად შეუწვავთო. შინ, ალბათ, ფრანგი მზარეულები ჰყავს. ჯეინ, ძვირფასო, რა ლამაზი იყავი! მისის ლონგმაც შეამჩნია და იცით, რა მითხრა? მისის ბენეტ, ჯეინი მალე გათხოვდებო. მართლა ასე თქვა. რა კარგი ქალია, მისი დისწულებიც თავაზიანი გოგონები არიან, თუმცა, სილამაზე აკლიათ.

მისის ბენეტი უზომოდ ბედნიერი იყო. დარწმუნდა, რომ ბინგლის ჯეინი უზომოდ უყვარდა და ნამდვილად იმედი გაუცრუვდებოდა, რომ მეორე დღეს ბინგლი არ მოსულიყო დაჯეინის ხელი არ ეთხოვა.

–რა საუცხოო დღე იყო, – თქვა მისის ბენეტმა, – კარგი საზოგადოებაც შეიკრიბა. ვგონებ, ხშირად უნდა გავმართოთ ასეთი წვეულებები.

ელიზაბეთს გაეღიმა.

–ლიზი, ნუ მტანჯავ, გთხოვ. ეს მკლავს. რომ მესაუბრებოდა, დავრწმუნდი, რომ საკმაოდ სასიამოვნო და ჭკვიანი კაცია. კარგი მანერებიც აქვს და არც უცდია, რომ ჩემი გული მოეგო. უსაშველოდ თავაზიანი და მომხიბლავია.

–ძალიან მკაცრი ხარ, – უთხრა დას ჯეინმა, – გაღიმებას არ მაცლი, არადა, ყოველ წუთს ამისკენ მიბიძგებ.

–ზოგჯერ რა ძნელია, რომ დაგიჯერონ!

–და ზოგჯერ შეუძლებელიც!

–და რატომ დაგიჩემებია, რომ გრძნობას ვმალავ?

–არ ვიცი, მაგ კითხვაზე ვერ გიპასუხებ. ჩვენ ყველას გვიყვარს ჭკუის სწავლება, თუმცა, ვერაფერსაც ვერ ვასწავლით. მაპატიე. გულგრილობაში კი მხარს ვერ დაგიჭერ.

თავი ორმოცდამეთხუთმეტე

რამდენიმე დღის შემდეგ მისტერ ბინგლი ისევ ესტუმრათ. ოღონდ მარტო. დარსი ლონდონში წასულიყო იმ დილით, მაგრამ ათ დღეში ისევ დაბრუნდებოდა. ბინგლიმ ერთი საათი დაჰყო ბენეტებთან და კარგ ხასიათზე იყო. მისის ბენეტმა სთხოვა, სადილადაც დარჩითო, მაგრამ ბინგლიმ მოუბოდიშა, არ შემიძლია, სხვაგან მელიოდებიანო.

–კვლავ რომ გვეწვევით, ალბათ, მაშინ დაგვდებთ პატივს, – უთხრა მისის ბენეტმა.

ბინგლიმ უპასუხა, ბედნიერი ვიქნები, თუ ასე მოხდებაო.

–ხვალ თუ მოხვალთ?

ბინგლი სიამოვნებით დაეთანხმა. ხვალ ნამდვილად მოვიცლიო.

მეორე დღეს ბინგლი მართლა მოვიდა და თანაც ისეთ დროს, რომ ქალები ჩაცმულიც არ იყვნენ. მისის ბენეტისხალათის ამარა შევარდა ჯეინის ოთახში.

–ჯეინ, ძვირფასო, იჩქარე. მისტერ ბინგლი მოვიდა. ჩქარა, ძვირფასო, ჩქარა. სარა, ახლავე მის ბენეტთან გაჩნდი და კაბის ჩაცმაში მოეხმარე. თავი დაანებე ლიზის თმას.

–როგორც კი მზად ვიქნებით, ჩამოვალთ, – უთხრა ჯეინმა, – ქითის შეუძლია ძირს ჩავიდეს, ის ჩვენზე ადრე ადგა.

–ოჰ, ჯანდაბას ქითი! ქითის რა საქმე აქვს ამ ამბავთან. სწრაფად, სწრაფად! სად არის შენი ქამარი, ძვირფასო?

მისის ბენეტი რომ ოთახიდან გავიდა, ჯეინი დასთან ერთად ჩავიდა ქვემოთ. სადამოსაც იგივე ფორიაქი იგრძნობოდა. ჩაის შემდეგ მისტერ ბენეტი, როგორც წესი, ბიბლიოთეკაში განმარტოვდა, მერე კი თავის ინსტრუმენტს მიუჯდა. მისის ბენეტმა ელიზაბეთსა და ქითის თვალი უყო, ოთახიდან გავიდეთო, სურდა, ჯეინი და ბინგლი ერთად დარჩენილიყვნენ, მაგრამ ელიზაბეთმა დედის მინიშნება ვერ გაიგო:

–რა იყო, დედა? რას მანიშნებთ? რა უნდა გავაკეთო?

–არაფერი, შვილო, არაფერს არ განიშნებ.

მისის ბენეტი ხუთი წუთით დადუმდა, მაგრამ მიხვდა, რომ ძვირფას დროსა და შემთხვევას ხელიდან უშვებდა, ამიტომ ადგა და ქითის უთხრა:

–ქითი, შენთან სალაპარაკო მაქვს, წამოდი, ძვირფასო, – და ქითი ოთახიდან გაიყვანა.

ჯეინმა ელიზაბეთს შეხედა და თვალეებით შეევედრა, მარტო არ დამტოვოო. ცოტა ხანში მისის ბენეტმა კარი შემოაღო და ლიზი იხმო:

–ლიზი, ძვირფასო, შენთან სალაპარაკო მაქვს, – და ელიზაბეთიც გაიყვანა ოთახიდან,

–მარტო უნდა დავტოვოთ, – უთხრა მისის ბენეტმა, ჰოლში რომ გავიდნენ, – მე და ქითი ჩემს ოთახში ავალთ.

ელიზაბეთს არაფერი უთქვამს, გაჩუმდა და როცა დედა და ქითი თვალს მიეფარნენ, ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

მისის ბენეტის იმდღევანდელი გეგმა ჩაიშალა. ბინგლი თავაზიანობად იღვრებოდა, მაგრამ სიყვარულში არ გამომტყდარა. მხიარულ ხასიათზე იყო. ამიტომ ჯეინის ხათრით არ შეიმჩნია, რომ მიხვდა, რა სურდა მისის ბენეტს. სიამოვნებით დარჩა ვახშამზეც. წასვლის წინ კი მისის ბენეტს შეჰპირდა, ხვალ მოვალ და თქვენს მეუღლესთან ერთად ვინადირებო.

იმ დღის მერე ჯეინს თავის გულგრილობაზე სიტყვა არ დასცდენია. არც ბინგლიზე უსაუბრიათ დებს. იმ ღამეს ელიზაბეთმა იმ ტკბილი იმედით დაიძინა, რომ ყველაფერი დარსის ჩამოსვლამდე უნდა დასრულებულიყო. თუმცა, ამ საქმეში დარსის ხელიც ერია.

ბინგლი დანიშნულ დროს მოვიდა. მან და მისტერ ბენეტმა მთელი დილა ერთად გაატარეს. მისტერ ბენეტი უფრო სასიამოვნო კაცი აღმოჩნდა, ვიდრე ბინგლი ელოდა. თავის მხრივ, მისტერ ბენეტმაც ვერავითარი ნაკლი ვერ უპოვა. ბინგლი სულელი არ იყო, რომ მისტერ ბენეტს დაეცინა ან დუმილით გამოეხატა ზიზღი. ამიტომაც მისტერ ბენეტი ბევრს ლაპარაკობდა და ნაკლებს ხუმრობდა. ის და ბინგლი სადილობისას დაბრუნდნენ.

საღამოს მისის ბენეტმა ისე მოაწყო, რომ ბინგლი და ჯეინი კვლავ მარტო დატოვა. ელიზაბეთს წერილი უნდა დაეწერა და ჩაის შემდეგ სასაუზმე ოთახში წავიდა. როცა სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, მისდა გასაკვირად, მისის ბენეტს საოცარი სიმარჯვე გამოეჩინა. ელიზაბეთმა კარი რომ გააღო, დაინახა, ბინგლი და ჯეინი ბუხრის პირას იდგნენ და რაღაც სერიოზულ თემაზე საუბრობდნენ. უცებ კარის ხმაზე მოიხედეს და ერთმანეთს დაშორდნენ. სიტყვა არავის უთქვამს. ელიზაბეთმა წასვლა დააპირა, მაგრამ ბინგლი უცებ ადგა, რაღაც უჩურობდა ჯეინს და ოთახიდან გავიდა. ჯეინს ელიზაბეთთან დასამალი რა ჰქონდა, ამიტომ დას უმაღლ გადაეხვია და უთხრა, ქვეყნად უბედნიერესი ადამიანი ვარო.

-ეს მეტისმეტია, - თქვა ჯეინმა, - ამას არ ვიმსახურებ. ნეტავ ყველა ჩემისთანა ბედნიერი იყოს!

ელიზაბეთი სიხარულისგან ცას ეწია და დას მიულოცა. ჯეინი დის ალერსიანმა სიტყვებმა კიდევ უფრო გააბედნიერა, მაგრამ ახლა დასთან ვერ დარჩებოდა და იმის ნახევარსაც ვერ ეტყოდა, რაც უნდა ეთქვა.

-ახლავე, დაუყოვნებლივ დედასთან უნდა წავიდე და მე თვითონ ვუთხრა ეს ამბავი! ბინგლი უკვე მამასთან წავიდა! ოჰ, ლიზი, დედას და მთელ ჩვენს ოჯახს როგორ გაახარებს ის, რაც უნდა ვთქვა! ამხელა ბედნიერება როგორ დავიტიო, არ ვიცი! - და ჯეინი დედის ოთახისკენ გაიქცა, სადაც დედა და ქითი იყვნენ.

მარტო რომ დარჩა, ელიზაბეთს გაეღიმა, რომ ასე სწრაფად და იოლად დასრულდა ყველაფერი:

-და აი, შედეგი დარსის მეტისმეტი სიფრთხილისა და მის ბინგლის მუხანათობისა. აი, ყველაფრის ბედნიერი და ბრძნული დასასრული!

რამდენიმე წუთში ოთახის კარი ბინგლიმ შემოაღო, რომელიც უკვე მისტერ ბენეტთან ყოფილიყო.

-თქვენი და სად არის? – აჩქარებით ჰკითხა ელიზაბეთს.

-დედასთან. ახლავე ჩამოვა.

ბინგლი ოთახში შემოვიდა და ელიზაბეთს ახალი ამბავი მიულოცა. ელიზაბეთმა მთელი გულით უსურვა ბედნიერება და ხელი სიყვარულით ჩამოართვა. მერე, სანამ ჯეინი ძირს ჩამოვიდოდა, ელიზაბეთი ბინგლის უსმენდა, რომელიც თავის ბედნიერებასა და იმაზე ესაუბრებოდა, თუ როგორ უყვარდა ჯეინი. მიუხედავად იმისა, რომ ბინგლი შეყვარებული ბრძანდებოდა, ელიზაბეთი მიხვდა, რომ ეს სიყვარული რაციონალურიც იყო. ჯეინსა და ბინგლის ხომ თითქმის ერთნაირი გემოვნება ჰქონდათ და ერთმანეთს შესანიშნავად უგებდნენ.

ეს ჩვეულებრივი სადამო არ ყოფილა. მის ბენეტი ისეთი ბედნიერი იყო, რომ სილამაზე გაუასკეცდა. ქითი იღიმებოდა და იცოდა, რომ მალე მისი ჯერიც დადგებოდა. მისის ბენეტი სიხარულმა ისე გააგიჟა, რომ ბინგლის ნახევარი საათი ელაპარაკა თავისი თანხმობის სათქმელად და მაინც ისეთი გრძნობით ვერ გამოხატა, როგორითაც უნდოდა. ვახშმად მისტერ ბენეტიც შეუერთდათ და მისი ხმა და მანერები მხოლოდ იმას გამოხატავდა, თუ რაოდენ ბედნიერი იყო. თუმცა, ბინგლის წასვლამდე ერთი სიტყვაც არ დასცდენია ამ ამბავზე. ბინგლი რომ წავიდა, ჯეინს მიულოცა და უთხრა:

-გილოცავ, ჯეინ, შენ უბედნიერესი ქალი იქნები.

ჯეინი მამასთან მივიდა, აკოცა და მადლობა გადაუხადა.

-კარგი გოგო ხარ და მიხარია, რომ ასე მოხდა. ღმერთს ერთმანეთისთვის შეუქმნიხართ. ხასიათიც ერთნაირი გაქვთ. ორივე ისეთი დამთმობი ხართ, რომ მკაცრი ვერ იქნებით. ორივე ისეთი გულუბრყვილო ხართ, რომ ნებისმიერი მსახური მოგატყუებთ და ისეთი გულუხვი ხართ, რომ შემოსავალი არ გეყოფათ. არა, მე ასე არ ვფიქრობ. ფულთან სიფრთხილესა საჭირო.

-შემოსავალი არ ეყოფათ?! ოჰ, ძვირფასო, – წამოიძახა მისის ბენეტმა, – რას ამბობ! მას ოთხი თუ ხუთი ათასი აქვს წელიწადში და უფრო მეტიც, - და მერე ჯეინს მიუბრუნდა, - ოჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ჯეინ, რა ბედნიერი ვარ! ამაღამ სულ არ დამეძინება. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. ყოველთვის ვამბობდი, რომ ასე უნდა ყოფილიყო. შენ ისეთი ლამაზი ხარ! შარშან, ბინგლი რომ პირველად ჩამოვიდა ჰართფორდშირში, მაშინვე გავიფიქრე, რომ თქვენ ერთად იქნებოდით. ოჰ, ბინგლი ხომ უსიმპათიურესი ახალგაზრდაა!

ვიკჰემი და ლიდია დაავიწყდა მისის ბენეტს. ახლა ჯეინი იყო მისი ფავორიტი და იმ წუთას სხვა არავინ ახსოვდა. უმცროსმა დებმა წინასწარ დაიბევეს ნეზერფილდული ფუფუნებანი. მერიმ ნეზერფილდის ბიბლიოთეკა დაიჩემა, ხოლო ქითიმ დას სთხოვა, მეჯლისები ხშირად მოაწყვეთო.

ამის შემდეგ ბინგლი ყოველდღე მოდიოდა ლონგბერნში. ხშირად საუზმემდე გამოჩნდებოდა ხოლმე და გვიან საღამომდე რჩებოდა, თუ ვინმე აუტანელი მეზობელი ცოტა ხნით არ წაართმევდა მის თავს.

ელიზაბეთს დასთან სასაუბრო დრო არ ჰქონდა. ჯეინს მისთვის არ ეცალა, მუდამ ბინგლისთან ერთად იყო, მაგრამ, როცა ჯეინი გადიოდა, მაშინ ბინგლის ელიზაბეთთან საუბარი სიამოვნებდა და ბინგლი რომ წავიდოდა, ახლა ჯეინი ეძებდა ელიზაბეთს.

– როგორ გამახარა, – თქვა ჯეინმა ერთ საღამოს, – რომ მითხრა, შარშან გაზაფხულზე შენი ლონდონში ყოფნა არ გამიგიაო! არ ვიცოდი, თუ ასე იყო.

– მეც ასე ვფიქრობდი, – უთხრა ელიზაბეთმა.

მისი დების ხრიკებია. არ უნდოდათ, ბინგლის ვენახე. რა გასაკვირია, თუ უფრო მდიდარ საცოლეს ეძებდნენ მისთვის. ახლა კი, როცა მათი ძმა ჩემთან ბედნიერია, კმაყოფილი დარჩებიან და ისევ შევრიგდებით. თუმცა, ადრე რომ ვიყავით, ისე ველარასოდეს ვიქნებით ერთმანეთთან.

– ასეთი ლაპარაკი არ გეკადრება, ჯეინ. მაგიუებს და მალიზიანებს, რომ ისევ გინდა, თავი მოიტყუო და დაიჯერო მათი გულწრფელობა.

– ლიზი, გასულ ნოემბერს ბინგლი რომ ლონდონში წავიდა, მართლაც ვუყვარდი და ვილაცამ უთხრა, ჯეინს არ უყვარხარ, გეპირფერებაო. ამიტომ არ დაბრუნდა. დაიჯერა, მაგრამ ეს ისევ მისი პატიოსნების ბრალია.

ჯეინმა ხოტბა შეასხა ბინგლის მორცხვობას და იმას, რომ საკუთარი თავის ქება არ უყვარდა. ელიზაბეთს კი გაუხარდა, რომ ბინგლიმ მეგობარს დაუჯერა. მართალია, ჯეინს მიმტევებელი და კეთილი გული ჰქონდა, მაგრამ მაინც ეწყინებოდა იმის შეტყობა, რომ ბინგლის სიყვარულის საქმეში დარსიც ჩაერია.

– ყველაზე ბედნიერი არსება ვარ ამქვეყნად, – წამოიძახა ჯეინმა, – ო, ლიზი, რატომ გამომარჩია ბედმა ჩემი ოჯახიდან. ნეტავ შენც ჩემსავით ბედნიერი იყო!

– მე შენნაირი ხასიათი არა მაქვს, ჯეინ, ამიტომ ბინგლისთანა ორმოცი კაცი რომ მომცე, შენსავით ბედნიერი მაინც არ ვიქნები. მე შენ არ გგავარ. არც შენისთანა კეთილი ვარ, ჯეინ. არა, მოიცა, იქნებ ბედმა გამიღიმოს და მორიგ მისტერ ქოლინზს შევხვდე.

ბენეტთა ოჯახის ბედნიერება მალე ყველამ შეიტყო. მისის ბენეტმა მისის ფილიპსს უთხრა, იმან კი ეს ამბავი მთელ მერიტონს მოსდო. ყველა ამბობდა, ბენეტების ოჯახი უბედნიერესია მთელ ქვეყანაზეო. თუმცა, რამდენიმე კვირის წინ, ლილია ვიკჰემთან ერთად რომ გაიქცა, მაშინ თქვეს, ეს ოჯახი ყველაზე უბედურიაო.

თავი ორმოცდამეთექვსმეტე

ერთ დილას, როცა ბინგლი და ქალბატონები ჩვეულებისამებრ საუზმობდნენ, მათი ყურადღება ეტლის ხმამ მიიქცია. ფანჯარაში დაინახეს სახლისკენ მომავალი ეტლი. სტუმრობისთვის ძალიან ადრე იყო. გარდა ამისა, არც რომელიმე მეზობლის ეტლს არ ჰგავდა. ცხენები რომ გაჩერდნენ, ვერც ეტლი იცნეს და ვერც მსახური, რომელიც ეტლს მოჰყვა. მაგრამ, რადგან ვიღაც ნამდვილად მოდიოდა, ბინგლიმ გადაწყვიტა, სტუმრის ტყვეობაში არ აღმოვჩნდეთო და ჯეინს უთხრა, გავისეირნოთო. ბინგლი და ჯეინი წავიდნენ. უცებ კარი ხელის კვრით გაიღო და ოთახში ლედი ქეთრინ დებურგი შემოვიდა. მასპინძლები გაოცდნენ. მისის ბენეტი და ქითი კი, მიუხედავად იმისა, რომ სტუმარს არ იცნობდნენ, შეურაცხყოფილიც კი იყვნენ.

ლედი ქეთრინი ოთახში მყოფთ თითქმის არც მიესალმა და ისე დაჯდა, ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ელიზაბეთმა მოასწრო ლედი ქეთრინის სახელის წარმოთქმა, თუმცა, სტუმარს მასპინძლების გაცნობა ფიქრადაც არ მოსვლია. მისის ბენეტი გაოცდა, მაგრამ თან ესიამოვნა, ასეთი გავლენიანი ქალბატონი რომ ესტუმრათ, ამიტომ უსაზღვრო თავაზიანობით მიიღო. ლედი ქეთრინი ცოტა ხანი ჩუმად იყო და მერე ელიზაბეთს ამრეზით მიმართა:

–ვიმედოვნებ, კარგად ხართ, მის ბენეტ, და ეს ქალბატონი, ალბათ, დედათქვეცნია.

ელიზაბეთმა მოკლედ უთხრა, დედაჩემიაო.

–და ეს კი, ვფიქრობ, თქვენი ერთ-ერთი დაა.

–დიახ, ქალბატონო, ჩაერთო მისის ბენეტი, რომელსაც ასეთ სტუმართან ლაპარაკი უხაროდა, ეს ჩემი უმცროსი ქალიშვილია. ყველაზე უმცროსი უკვე გავათხოვე, ახლა უფროს ქალიშვილს ვათხოვებ. ახლა ის და მისი საქმრო პარკში სეირნობენ.

–ძალიან პატარა პარკი გაქვთ, – თქვა ლედი ქეთრინმა.

–ალბათ, როზინგთან შედარებით ეს პარკი არაფერია, მილედი, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ლუკასების პარკზე გაცილებით დიდია.

–ეს სასტუმრო ოთახი, ალბათ, ძალზე მოუხერხებელია ზაფხულში. ფანჯრები დასავლეთით აქვს.

მისის ბენეტმა უთხრა, აქ ზაფხულობით არასოდეს ვსხდებითო და დასძინა:

–შეიძლება ვკითხო თქვენს უკეთილშობილესობას, თუ როგორ ბრძანდებიან მისტერ და მისის ქოლინზები?

–ძალიან კარგად, გუშინწინ ვნახე.

ელიზაბეთმა იფიქრა, ალბათ, შარლოტას წერილი თუ უნდა გადმომცესო, მაგრამ არავითარი წერილი არ ჩანდა და საგონებელში ჩავარდა.

მისის ბენეტმა სტუმარს ნუგბარი შესთავაზა, მაგრამ ლედი ქეთრინმა არც ისე თავაზიანად უთხრა უარი, შემდეგ ადგა და ელიზაბეთს მიმართა:

–მის ბენეტ, ფანჯრიდან თქვენი გაზონის ერთი ლამაზი მხარე დავინახე, გთხოვთ, გამომყევით, გავისეირნოთ.

–წადი, ძვირფასო, – უთხრა აღფრთოვანებულმა მისის ბენეტმა, – და აჩვენე მის უმაღლესობას ჩვენი ბილიკები. ვფიქრობ, განმარტოებული ქოხი მოეწონება.

ელიზაბეთმა ქოლგა აიღო და საპატიო სტუმარს გაჰყვა. ჰოლში რომ გავიდნენ, ლედი ქეთრინმა სასადილო და სასტუმრო ოთახების კარები შეაღო, შიგ შეიხედა და თქვა, არა უშავს, რიგიანი ოთახებიაო.

ეტლი კართან იცდიდა, ელიზაბეთმა შენიშნა, რომ შიგ მსახური იჯდა. ისინი ბილიკს გაუყვნენ და გეზი პატარა ტყისკენ აიღეს. ელიზაბეთმა გადაწყვიტა, სიტყვაც არ ეთქვა ამ ქალისთვის, რომელიც ძალზე თავხედურად იქცეოდა.

„არა, არა, როგორ ვიფიქრე, რომ დარსი ამას ჰგავდა?“ – გაიფიქრა ელიზაბეთმა.

ტყეში რომ შევიდნენ, ლედი ქეთრინმა დაიწყო:

–ალბათ, ხვდებით ჩემი სტუმრობის მიზეზს, მის ბენეტ. უთუოდ გული და სინდისი გკარნახობთ, თუ რატომ მოვედი.

ელიზაბეთი გაოცდა.

–ცდებით, ქალბატონო, სრულიად არ ველოდი, თუ პატივს დაგვდებდით.

–მის ბენეტ, – უთხრა ლედი ქეთრინმა გაბრაზებული ტონით, – იცოდეთ, ჩემთან თვალთმაქცობა არ გაგივათ. მე ცნობილი ვარ ჩემი პირდაპირობითა და გულწრფელობით და ამ თვისებებს არც ახლა ვუღალატებ. ორი დღის წინ შემაშფოთებელი ამბავი გავიგე. მითხრეს, რომ არა მარტო თქვენი და თხოვდება შესანიშნავად, არამედ თქვენ, მის ელიზაბეთ ბენეტი, ძალიან მალე შეეუღლებით ჩემს დისშვილს, ჩემს საკუთარ დისშვილს, მისტერ დარსის. თუმცა, ვიცი, რომ ეს სკანდალური სიცრუეა, ამიტომ დარსი არ შევაწუხე და თქვენკენ წამოვედი, რათა მეთქვა, თუ როგორი აღშფოთებული ვარ.

–თუკი დაიჯერეთ, რომ ეს ჭორი შეუძლებელია მართალი იყოს, მაშინ ამხელა გზაზე წამოსვლით თავი რატომ შეიწუხეთ? თქვენი უმაღლესობა რის მიღწევას ცდილობს? – ჰკითხა ელიზაბეთმა და სახეზე ზიზღი და გაოცება ერთად გამოეხატა.

–მოვითხოვ, ახლავე უარყოთ ის, რაც მითხრეს.

–თქვენი აქ მოსვლით ეს ჭორი უფრო გაამყარეთ, თუკი, რა თქმა უნდა, იგი მართლაც არსებობს.

-თუკი არსებობს?! მაშ, თქვენ არაფერი იცოდით? ეს ხომ თქვენვე გაავრცელეთ. იცით, რომ ამის შესახებ ყველა ლაპარაკობს?

-არ გამიგია.

-და არც ამის საბაზი არ არსებობს?

-მე თქვენსავით გულწრფელობას ვერ დავიჩემებ. ამიტომ ზოგ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

-ეს აუტანელია, მის ბენეტ, მოვითხოვ, პასუხი გამცეთ. ჩემმა დისწულმა ხელი გთხოვათ?

-თქვენვე ბრძანეთ, რომ ეს შეუძლებელია.

-დიახ, ასე უნდა იყოს, ასე უნდა იყოს, თუ დარსის სადი აზრი შერჩა, მაგრამ შესაძლოა თქვენმა თვალთმაქცობამ და მოხერხებამ ჭკუა დააკარგვინა და დაივიწყა მოვალეობა თავისი თავისა და ოჯახის წინაშე. იქნებ თქვენ აუბნიეთ თავგზა?!
-ასეც რომ იყოს, არ გეტყოდით.

-მის ბენეტ, იცით, მე ვინ ვარ? ასეთი ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მე მისი ყველაზე ახლო ნათესავი ვარ, ვინც კი დარსის ამქვეყნად გააჩნია, და უნდა ვიცოდე ყველაფერი.

-დიახ, მაგრამ უფლება არა გაქვთ, ჩემიც იცოდეთ და ვერ მაიძულებთ, გითხრათ ის, რისი თქმაც არ მსურს.

-მაშინ პირდაპირ გეტყვით, ეს ქორწინება, რომელსაც თქვენ ასე მიელტვით, არ შედეგაა. არა, არასოდეს! მისტერ დარსი ჩემს ქალიშვილზეა დანიშნული. ახლა რაღას იტყვით?

-მხოლოდ იმას, რომ თუ დანიშნულია, მაშინ ეჭვი არ უნდა შეგპაროდეთ, ხელი მთხოვა თუ არა.

ლედი ქეთრინი შეყოვნდა, შემდეგ კი უთხრა:

-ეს განსაკუთრებული ნიშნობაა. ისინი ბავშვობიდან არიან დანიშნული. დარსის დედას ასე სურდა. აკვანში რომ იწვნენ, მაშინ გადავწყვიტეთ, რომ ერთად იქნებოდნენ და ახლა ეს ჩვენი სურვილი თქვენ უნდა ჩაგვიშალოთ? თქვენ, რომელსაც მდაბიო წარმოშობა გაქვთ, არაფერს წარმოადგენთ და არც გვენათესავეებით. თქვენ არ გადელვებთ მისი მეგობრების აზრი? არ გადელვებთ, რომ მის დებურგი ჰყავს დანიშნული? ნუთუ წესიერების გრძნობა სულ არ გაგაჩნიათ? ვერ გაიგეთ, რა ვთქვი? ბავშვობიდანვე მისი დეიდაშვილია მისი ბედი!

-დიახ. ეს ადრეც მსმენია, მაგრამ ეს რას ნიშნავს ჩემთვის? თუ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს იმისათვის, რომ თქვენს დისწულს მივთხოვდე, მაშინ უარს ნამდვილად არ ვიტყვი. მით უმეტეს, ახლა, როცა ვიცი, რომ დედასა და დეიდას სურდათ მისი დებურგთან ქორწინება. თქვენ ქორწინება წინასწარ დაგეგმეთ, მაგრამ მისი შესრულება სხვებზე იყო დამოკიდებული. თუ მისტერ დარსის არ უყვარს თქვენი ქალიშვილი და

-დიახ. ეს ადრეც მსმენია, მაგრამ ეს რას ნიშნავს ჩემთვის? თუ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს იმისათვის, რომ თქვენს დისწულს მივთხოვდე, მაშინ უარს ნამდვილად არ ვიტყვი. მით უმეტეს, ახლა, როცა ვიცი, რომ დედასა და დეიდას სურდათ მისი დებურგთან ქორწინება. თქვენ ქორწინება წინასწარ დაგეგმეთ, მაგრამ მისი შესრულება სხვებზე იყო დამოკიდებული. თუ მისტერ დარსის არ უყვარს თქვენი ქალიშვილი და

პატიოსნება არ აძლევს მისი შერთვის უფლებას, ცხადია, სხვა არჩევანს გააკეთებს და თუ მე ვარ მისი არჩევანი, მაშინ რატომ უნდა ვთქვა უარი?

– იმიტომ, რომ პატიოსნება, წესი და ინტერესი მოითხოვს ასე! დიახ, მის ბენეტ, ინტერესი! მისი ოჯახი და მეგობრები უარგყოფენ, თუ მაინც მათ წინააღმდეგ იმოქმედებთ და თქვენსას გაიტანთ. თქვენ დაგძრახავენ, დაგამცირებენ, შეგიძულებენ მისი ახლობლები. თქვენი ქორწინება სამარცხვინო აღმოჩნდება. თქვენი სახელის ხსენებაც არ იქნება ჩვენთან.

– თუ ეს მოხდება, ძალიან ცუდია, უთხრა ელიზაბეთმა, მაგრამ მისტერ დარსის მეუღლეს ბედნიერების ისეთი წყარო ექნება, და არაერთი, რომ ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ მოიწყენს.

– ო, რა ჯიუტი და თავნება ხართ, როგორ არ გრცხვენიათ! ასე მიხდით მაღლობას შარშან გაწეული მასპინძლობისათვის? ასე მცემთ პატივს? მოდი, დავსხდეთ. თქვენ უნდა გაიგოთ, მის ბენეტ, რომ აქ ჩემი მიზნის მისაღწევად მოვედი და ამას ვერავინ გადამათქმევინებს. მე არავის ახირებაზე არ დავდივარ და არც იმედგაცრუებას ვარ ჩვეული.

– შესაბრალის მდგომარეობაში ხართ, მაგრამ მე ვერ შეგიცოდებთ.

– ნუ მაწყვეტინებთ, გაჩუმდით და მომისმინეთ. ჩემი ქალიშვილი და ჩემი დისწული ერთმანეთისთვის არიან შექმნილი. ორივეს კეთილშობილი წარმომავლობა აქვს დედის მხრიდან, ხოლო მამის მხრიდან, მართალია, არა დიდგვაროვანი, მაგრამ პატივსაცემი და უძველესი ოჯახები ჰყავთ. ორივე უსაშველოდ მდიდარია. ბედმა ისინი ერთმანეთს მიაკუთვნა. რამ უნდა დააშოროს?! ქალმა, რომელსაც არც ოჯახი აქვს, არც წარმომავლობა და არც სიმდიდრე?! ეს ხომ აუტანელია! ეს არ იქნება, არ მოხდება! თქვენთუ საკუთარი თავისთვის სიკეთე გსურთ, არ მოისურვებთ იმ წრის მიტოვებას, რომელშიც გაიზარდეთ.

– თქვენს დისშვილთან ქორწინება არ ნიშნავს იმას, რომ ჩემს წრეს მივატოვებ. დარსი ჯენტლმენია, მამაჩემიც ჯენტლმენია. ამდენად, თანასწორნი ვართ.

– მართალია, მამათქვენი ჯენტლმენია, მაგრამ ვინ არიან დედათქვენი, თქვენი დეიდები თუ ბიძები? ნუ ეცდებით, წარმოიდგინოთ, რომ არაფერი ვიცი მათ შესახებ.

– თუ თქვენს დისწულს მოსწონს ჩემი ნათესავები, თქვენ შეგიძლიათ არარაობად მიიჩნიოთ.

– მითხარით, დანიშნული ხართ დარსისთან?

ელიზაბეთს არ სურდა პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც უთხრა:

– არა.

ლედი ქეთრინს გაუხარდა.

– დამპირდით, რომ არ დაინიშნებით.

– არა, ვერ დაგპირდებით.

-მის ბენეტ, გაოცებული ვარ. მე უფრო ჭკვიანი გოგო მეგონეთ. თავს ნუ მოიტყუებთ, რომ მოგეშვებით. აქედან არ წავალ, სანამ იმას არ მეტყვით, რასაც მოვითხოვ.

-მე კი ამის პირობას არასოდეს მოგცემთ. ამ უაზრო ქცევითა და ლაპარაკით ვერ შემაშინებთ. თქვენ გინდათ, დარსიმ თქვენი ქალიშვილი შეირთოს, მაგრამ განა ჩემი პირობა ამის გარანტია იქნება? მერომ დარსის უარი ვუთხრა, განა ამის გამო დეიდაშვილის შერთვას მოიწადინებს? თქვენი არგუმენტები ისეთივე სასაცილოა, ლედი ქეთრინ, როგორც თქვენი აქ მობრძანება. ძალიან შეცდით, თუ იფიქრეთ, რომ აქ მოსვლითა და დარწმუნებით ჩემზე გავლენას მოახდენდით. თქვენს დისწულს როგორ მოეწონება, მის საქმეებში რომ ერევით, ეს კიდევ სხვა საკითხია. მაგრამ უფლება არა გაქვთ, ჩემს საქმეში ჩაერიოთ. ახლა კი, გთხოვთ, დავასრულოთ ამაზე ლაპარაკი.

-ნუ ჩქარობთ, თუ შეიძლება. მე არ დამისრულებია. მე ყველაფერი ვიცი თქვენი უმცროსი დის სამარცხვინო საქციელის შესახებ. ვიცი, რომ იმ კაცმა თქვენი და მამათქვენისა და ბიძათქვენის ძალისხმევით შეირთო. ასეთი უსირცხვილო გოგო ჩემი დისწულის და უნდა გახდეს? და ამ გოგოს ქმარი, რომელიც დარსის მამის მსახურის შვილია, მისი ძმა უნდა გახდეს? ღმერთო ჩემო, თქვენ იცით, საერთოდ, რაზე ფიქრობთ? ნუთუ ბრმა გგონიათ მთელი ქვეყანა?

-თქვენ მეტი სათქმელი არაფერი გაქვთ, - უთხრა ელიზაბეთმა ზიზლით, - უზომო შეურაცხყოფა მომაყენეთ. გთხოვთ, წავიდეთ.

და ელიზაბეთი ადგა. ლედი ქეთრინიც ადგა, მაგრამ ლაპარაკი არ შეუწყვეტია. გაცოფებული იყო.

-მაშ, თქვენ პატივს არ სცემთ ჩემს დისწულს! რა უგრძნობი და ეგოისტი ხართ! თქვენთან კავშირი მას მთელი ქვეყნის თვალში დაამცირებს!

-მე სათქმელი არაფერი მაქვს, ლედი ქეთრინ, უკვე ყველაფერი გითხარით.

-მაშ, გადაწყვიტეთ, რომ ცოლად გაჰყვებით?

-მე ეს არ მითქვამს. უბრალოდ, ისე მოვიქცევი, როგორც ბედნიერება მიკარნახებს, ოღონდ თქვენ გარეშე, რომელიც ასე უცხო ხართ ჩემთვის.

-კარგი. მაშ, არ აპირებთ, დამემორჩილოთ, არა? არ აპირებთ დაემორჩილოთ მოვალეობას, სინდისს, პატივისცემას და დარსის დასაცინად იმეტებთ! გინდათ მთელმა ქვეყანამ მოიძულოს?

-არც მოვალეობა, არც სინდისი და არც მადლიერება დღეს მე არაფერს მავალებს, თუ მისტერ დარსის ცოლად გავყვები. თუ მას ჩემი შერთვა გააბედნიერებს, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, ქვეყანა რას იტყვის. მგონი, ქვეყანას იმდენი გონიერება კი აქვს, რომ ვინმე არ მოიძულოს.

-მაშ, ასე ფიქრობთ? და ეს თქვენი საბოლოო სიტყვაა, არა? ახლა ვიცი, რასაც გავაკეთებ. არ გეგონოთ, რომ თქვენსას გაგატანინებთ! იმისთვის მოვედი, რომ გამომეცადეთ. იმედი მქონდა, გონიერება ეყოფა-მეთქი. ახლა კი მე ვიცი.

ამ დროს ეტლს მიუახლოვდნენ და მასში ჩაჯდომამდე ლედი ქეთრინმა ელიზაბეთს უთხრა:

-არ გემშვიდობებით, მის ბენეტ, არც დედათქვენს ვემშვიდობები. თქვენ ასეთი ყურადღების ღირსი არა ხართ. აღშფოთებული მივდივარ.

ელიზაბეთს არაფერი უთქვამს, არც შინ შეუპატიჟებია, ისე შებრუნდა და სახლში შევიდა. მისის ბენეტმა აღფრთოვანებით ჰკითხა ელიზაბეთს, რატომ შინ არ შემობრძანდა ლედი ქეთრინი და არ მოისვენაო.

-არ მოისურვა, - უთხრა ელიზაბეთმა, - წასვლა არჩია.

-რა სიმპათიური ქალია! როგორი თავაზიანია, აქ რომ მოვიდა! ალბათ, სადმე მიდიოდა და იმის სათქმელად შემოიარა, რომ შენთვის ეთქვა, ქოლინზები კარგად არიანო. სხვა რამ ხომ არ უთქვამს შენთვის, ლიზი?

აქ ელიზაბეთს ტყუილის თქმამ მოუწია, რადგან საუბრის ნამდვილ შინაარსს ვერ გაამჟღავნებდა.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

ამ ვიზიტმა ელიზაბეთს გუნება ისე წაუხდინა, რომ ვერაფრით გამოიკეთა. ლედი ქეთრინი, როგორც ჩანს, იმიტომ შეწუხდა და გამოემგზავრა როზინგიდან, რომ მისი და დარსის შესაძლებელი ნიშნობა წინასწარვე ჩაეშალა. გეგმა მართლაც გონივრული იყო, მაგრამ ნიშნობის შესახებ ჭორი საიდან გავრცელდა, ელიზაბეთს წარმოდგენაც არ ჰქონდა. მერე დაფიქრდა და მიხვდა: დარსი ხომ ბინგლის უახლოესი მეგობარია. თვითონ ჯეინის და არის. განა ეს საკმარისი საფუძველი არ იქნებოდა იმისათვის, ასეთი ხმა გავრცელებულიყო? განა ჯეინის ქორწინების შემდეგ ის და დარსი უფრო არ დაახლოვდებიან? ალბათ, ამბავი ლედი ქეთრინს ლუკასებმა მიუტანეს. ახლა ელიზაბეთმაც დაიჯერა, რომ ახლო მომავალში მართლაც ასე მოხდებოდა. ლედი ქეთრინს სურდა, ჩარეულიყო და ხელი შეეშალა. როგორ უხეშად ელაპარაკებოდა! ალბათ, თავის დისწულსაც იმავეს ეტყვის და დარსი როგორ მოიქცევა, ამის წარმოდგენაც არ სურს ელიზაბეთს. დარსის უყვარდა თუ არა დეიდა, ეს არ იცოდა ელიზაბეთმა, თუმცა, პატივს სცემდა და მასზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა. იმიტომ არავინ იცის, როგორ მოიქცევა, როცა დეიდა დააჯერებს იმ არგუმენტების სისწორეში, რომელიც ელიზაბეთს სიცილად არ ეყო. ვინ იცის, იქნებ დარსი დაიყოლიოს კიდეც. თუ დარსი ყოყმანობს, მაშინ იქნებ უახლოესი ნათესავის რჩევამ მართლაც გაჭრას და გადაწყვიტოს, ოღონდ ღირსება არ შემელახოს და ბედნიერი ამით ვიქნებო. მაშინ აღარ

დაბრუნდება. ალბათ, ლედი ქეთრინმა უკვე ინახულა და დაარწმუნა კიდეც. მაშინ დარსი აღარასოდეს ჩამოვა ნეზერფილდში.

„თუ ბინგლის მოსწერს, ბოდიში, ვერ ჩამოვედიო, მაშინ ვიცი, რაც ვიფიქრო. მაშინ ყოველგვარი მოლოდინი ფუჭია და თუ იმას არ დავენანები, არც მე დამენანება“, - გაიფიქრა ელიზაბეთმა.

მთელი ოჯახი გაოცდა, როცა გაიგეს, თუ ვინ იყო მათი სტუმარი, მაგრამ მათაც იგივე მიზეზი დაიჯერეს, რამაც მისის ბენეტის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა. ამიტომ ელიზაბეთი კითხვებს გადაურჩა.

მეორე დილით, ძირს რომ ჩადიოდა, კიბესთან მამა შეხვდა, რომელსაც ხელში წერილი ეჭირა.

-ლიზი, გემებდი, ჩემთან შემოდი, - უთხრა მისტერ ბენეტმა.

ისინი ბიბლიოთეკაში შევიდნენ. ელიზაბეთმა გაიფიქრა, წერილი, მამას რომ ხელში უჭირავს, ლედი ქეთრინისგან ხომ არ არისო და გუნება წაუხდა, რომ მამის კითხვებისთვის პასუხი უნდა გაეცა.

მამა-შვილი ბუხართან დაჯდა და მისტერ ბენეტმა ქალიშვილს უთხრა:

-ამ დილით წერილი მივიღე, რომლის შინაარსმა გამაოცა. ის შენ გეხება, ამიტომ უპირველესად შენ უნდა იცოდე. არ ვიცოდი, თუ ორი ქალიშვილის გათხოვება ერთად მომიწევდა. გილოცავ, ლიზი.

ელიზაბეთს ლოყები შეუფაკლდა, მიხვდა, წერილი დარსისგან იყო და არა დეიდამისისგან. აღარ იცოდა, რა ეფიქრა, გახარებოდა თუ თავი შეურაცხყოფილად ეგრძნო, რომ წერილი მის მაგივრად მამამისს გამოუგზავნეს. მისტერ ბენეტმა განაგრძო:

-რამ დაგაფიქრა, ლიზი? ამჯერად შენმა სიბრძნემ ვერ გაჭრა, რადგან წერილი მისტერ ქოლინზმა მომწერა.

-მისტერ ქოლინზმა? და რას ამბობს? - გაოგნდა ელიზაბეთი.

-ჯერ მილოცავს ჯეინის ბედნიერებას, როგორც ჩანს, ლუკასებმა უთხრეს. ახლა აღარ გაცდევინებ, რომ შენივე ყურით მოისმინო, რას ამბობს შენზე:

„ახლა, როცა მე და ჩემი მეუღლე გილოცავთ, ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ როგორც შევიტყვე, მალე თქვენი მეორე ქალიშვილი, ელიზაბეთიც გათხოვდება. მისი მომავალი მეუღლე ამ ქვეყნის ყველაზე ღირსშესანიშნავი პიროვნებაა“.

-ვის გულისხმობს, ლიზი? - ჰკითხა მისტერ ბენეტმა და წერილის კითხვა განაგრძო:

„ეს ახალგაზრდა ყველა იმ თვისებითა და სიკეთითაა დაჯილდოებული, რასაც ადამიანის გული ოდესმე ინატრებს, საარაკო სიმდიდრე, კეთილშობილი გარემოცვა ამ შესანიშნავი

პიროვნების თანამდევია. თუმცა, მიუხედავად ამ ცდუნებისა, ნება მიბოძეთ, გაგაფრთხილოთ თქვენც და ელიზაბეთიც იმის შესახებ, თუ რა საშინელება შეიძლება მოჰყვეს ამას, თუ მის წინადადებას დათანხმდებით. ვფიქრობ, მალე სთხოვს ხელს ელიზაბეთს“.

–ვინ უნდა იყოს, ლიზი, ვისზე ლაპარაკობს ქოლინზი? – ჰკითხა ისევ მისტერ ბენეტმა და წერილის კითხვა განაგრძო:

„აი, მიზეზი, თუ რატომ გაფრთხილებთ. დეიდამისი, ლედი ქეთრინ დებურგი, ამ კავშირის წინააღმდეგია“.

–აი, თურმე ვინ ყოფილა! – წამოიძახა მისტერ ბენეტმა, – ახლა კი ნამდვილად გამაოცე, ლიზი. ეს ხომ მისტერ დარსია. მაგრამ ასეთი რამ გაგონილა? მისტერ დარსი ხომ ზედაც არავის უყურებს! მგონი, შენთვის არასოდეს შემოუხედავს. რა შესანიშნავი ამბავია!

ელიზაბეთმა თავს ძალა დაატანა და გაიღიმა. მამის მიუხედავად გაუკვირდა.

–რაო? არ მოგწონს?

–ოჰ, დიახ, გთხოვთ, განაგრძეთ, მამა.

მისტერ ბენეტმა განაგრძო:

–„როცა მისმა კეთილშობილებამ შეიტყო ამ მოსალოდნელი კავშირის შესახებ, როგორც სჩვევია, მაშინვე იწემა, გამოეხატა თავისი აზრი. ბრძანა, რომ ოჯახების შეუფერებლობის გამო წინააღმდეგია და არასოდეს დათანხმდება, რომ ეს, როგორც თავად უწოდა, სამარცხვინო ქორწინება შედგეს. მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, თქვენმა ქალიშვილმა და მისმა დიდებულმა თაყვანისმცემელმა იცოდნენ, რის წინაშე დგანან და არ იჩქარონ დაქორწინება, რის უფლება მათთვის არავის მიუცია. აქვე გამოვხატავ სიხარულს იმის გამო, რომ ლიდიას სევდიანი საქმე ასე მიაჩუმათეთ. მხოლოდ ის მაწუხებს, მთელმა ქვეყანამ იცის, დაქორწინებამდე რომ ერთად ცხოვრობდნენ. გაოცებული ვარ, რომ დაქორწინების უმაღლეს სახლში შემოუშვიტო! ამით ხომ ბოროტება წაახალისეთ. ლონგბერნის პასტორი რომ ვიყო, ამას უცილობლად ხელს შევუშლიდი. როგორც ქრისტიანმა, რასაკვირველია, უნდა მიუტევოთ, მაგრამ აღარ გაიკაროთ და არც მათი სახელი ახსენოთ“, – მისტერ ბენეტმა წერილის კითხვა დაასრულა და დასძინა:

–აი, ასე ესმის ქოლინზს ქრისტიანული მიმტევებლობა! შემდეგ იმაზე ლაპარაკობს, რომ შარლოტა ფეხმძიმედაა და მალე ქვეყანას ახალი მიმტევებელი მოეველინება. ლიზი, ისეთი სახე გაქვს, თითქოს არ გაგიხარდა ეს ამბავი. ვიცი, რომ არ ითვალთმაქცებ, თითქოს გეწყინა. იმედაია, ამ ბრიყვულ ლაყობას არ აჰყვები. ჩვენ ხომ იმისთვის ვცხოვრობთ, რომ მეზობლებს გასართობი მივცეთ და მერე კი დავცინოთ, როცა ჩვენი ჯერი მოვა.

–ოჰ, მამა, ძალიან სასაცილო წერილია, მაგრამ რა უცნაურია!

–დიახ, უცნაურია და სწორედ ეს გართობს. სხვა სასიძოზე რომ ეთქვათ, მაშინ ამ ყველაფერს ჩალის ფასი ექნებოდა, მაგრამ აქ სასწაული ის არის, რომ დარსი ისეთი გულგრილია და შენ ისე ვერ იტან, რომ ეს ყოველივე აბსურდულს ხდის ამ საქმეს. ქოლინზის წერილს რომ ვკითხულობ, მას ვიკვირებ მალა ვაყენებ, ვინაიდან ვიცი, რომ ჩემი სიძე ფარისეველი და ქარაფშუტაა. ლიზი, ლედი ქეთრინმა რა გითხრა, იმისთვის ხომ არ მოსულა, რომ ეთქვა, თანხმობას ვერ მოგცემთო?

ამ კითხვაზე ელიზაბეთს მხოლოდ გაეცინა და რადგან კითხვა ყოველგვარი ეჭვის გარეშე იყო დასმული, ამიტომ უხერხულობა არ უგრძნია, როცა მამამ იგივე გაუმეორა. მხოლოდ ეს იყო, რომ თამაში გაუჭირდა. ტირილი უნდოდა და ამ დროს იძულებული იყო, გაეცინა. მამამ გული ატკინა, როცა უთხრა, მისტერ დარსი გულგრილიაო და გაოცდა, რომ მისტერ ბენეტმა აქამდე ვერაფერი შენიშნა.

თავი ორმოცდამეთვრამეტე

მისტერ ბინგლის წერილი არ მიუღია, რადგან დარსი მალე ჩამოვიდა ლონგბერნში. დარსი და ბინგლი ერთად მოვიდნენ ბენეტებთან. სანამ მისის ბენეტი ეტყოდა, ლედი ქეთრინი გვესტუმრაო, ბინგლიმ ყველას უთხრა, გავისეირნოთო. მისის ბენეტმა გასეირნება არ ისურვა. მერის, როგორც ყოველთვის, არ ეცალა, დანარჩენები კი სასეირნოდ წავიდნენ. მალე ბინგლი და ჯეინი წინ მიმავლებს განზრახ ჩამორჩნენ. ელიზაბეთი, ქითი და დარსი დაწინაურდნენ. თითქმის არ საუბრობდნენ. ყველა მათგანი რაღაცაზე ფიქრობდა. ლუკასებისკენ გაემართნენ. ქითის მარიასთან სურდა შევლა. ამის შემდეგ ელიზაბეთი და დარსი მარტო დარჩნენ. ახლა გადაწყვიტა ელიზაბეთმა, ეთქვა ის, რაც რა ხანია სურდა:

–მისტერ დარსი, მე ეგოისტი ვარ. ჩემი გრძნობისთვის რომ შვება მიმენიჭებინა, თქვენ ტკივილი მოგაყენეთ. არ შემიძლია, მადლობა არ გითხრათ თქვენი უმაგალითო სიკეთისათვის, რაც ჩემს საწყალ დას გაუკეთეთ. რა ხანია მინდოდა, მეთქვა, თუ რაოდენ მადლიერი ვარ თქვენი. ჩემი ოჯახის წევრებმა ჯერ არ იციან.

–ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, – უთხრა გაოცებულმა დარსიმ, – იმის გამო, რაც შეგატყობინეს და აგაფორიაქეს. არ მეგონა, თუ მისის გარდინური საიდუმლოს ვერ შეინახავდა.

–არა, ბიცოლაჩემს ნუ აბრალებთ. ლიდის დაუფიქრებელმა ლაპარაკმა სიმართლე გამოამჟღავნა. მერე ვერაფრით მოვისვენე, რომ დეტალები არ შემეტყო. კიდევ და კიდევ გიხდით მადლობას მთელი ჩემი ოჯახის სახელით, რომ ასეთი ტვირთი ზიდეთ და ასე გაწვალდით, მათ რომ ეძებდით.

–მადლობა თქვენს თავს უთხარით. მე მინდოდა თქვენთვის ბედნიერება მომენიჭებინა. არ უარვყოფ. მაგრამ თქვენი ოჯახი არავითარ ვალში არ არის ჩემ წინაშე. მათ პატივს ვცემ, მაგრამ იმ დროს მხოლოდ თქვენზე ვფიქრობდი.

ელიზაბეთი უხერხულობისგან დადუმდა. ცოტა ხნის შემდეგ დარსიმ დაამატა:

–თქვენ მეტისმეტად სულგრძელი ხართ, რომ მადლობას მიხდით. თუ იგივე გრძნობა გაქვთ, რაც გასულ გაზაფხულს გქონდათ, ახლაც მითხარით. ჩემი სიყვარული თქვენდამიმ, უცვლელია, მაგრამ თქვენი ერთი სიტყვაც კი სამუდამოდ გამაჩუმებს.

ელიზაბეთი მიხვდა, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში იყო დარსი და ამიტომ თავი აიძულა, ელაპარაკა. უცებ მიახვედრა, რომ მისმა გრძნობამ ისეთი ცვლილება განიცადა იმ დროის შემდეგ, რომელიც დარსიმ ახსენა, ახლა სიამოვნებით მიიღებდა მის ყოველ წინადადებას. ეს რომ უთხრა ელიზაბეთმა, დარსი ისეთი ბედნიერი იყო, არასოდეს რომ არ ყოფილა. ამიტომ მანაც ისე გულმხურვალედ გამოხატა თავისი გრძნობა, როგორც შეყვარებულ კაცს სჩვევია. ელიზაბეთს რომ თვალეში შეეხედა დარსისთვის, დაინახავდა, თუ როგორ უხდებოდა გულმხურვალე აღსარება და როგორ აცისკროვნებდა ეს მის სახეს. არ უყურებდა, მაგრამ უსმენდა და დარსიც არწმუნებდა, თუ როგორ უყვარს და რა ძვირფასია მისთვის.

სიარულს განაგრძობდნენ და საით მიდიოდნენ, არც ერთმა არ იცოდა. თუმცა, ამისთვის არ ეცალათ, იმდენი სათქმელი და საფიქრალი ჰქონდათ. ელიზაბეთი მიხვდა, რომ ასეთი ზღაპრული დასასრული ლედი ქეთრინის ბრალი იყო. ის მივიდა დარსისთან და მოუყვა ლონგბერნში ყოფნისა და ელიზაბეთთან საუბრის ამბავს; იმას, რომ ელიზაბეთი ჯიუტი და საშინელი გოგოა და რომ მისმა დისწულმა ის დაპირება უნდა შეასრულოს, რის შესრულებაზე ელიზაბეთმა უარი უთხრა. მაგრამ ლედი ქეთრინის საუბედუროდ მისმა მცდელობამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო.

–დეიდაჩემის ნაამბობმა იმედი მომცა, – უთხრა დარსიმ, – იმ წუთში გავიფიქრე, ელიზაბეთს რომ არ ვუყვარდე და არ ვუნდოდე, ლედი ქეთრინს პირდაპირ ეტყოდამეთქი.

ელიზაბეთი გაწითლდა და გაეცინა:

–დიახ, თქვენ ჩემი გულახდილობის ამბავი იმდენად კარგად იცით, რომ მიხვდით, ამის გამკეთებელი ვიყავი. ერთხელ თქვენ შეურაცხეყავით და თქვენს ნათესავთან თქვენი შეურაცხეყოფა არ გამიჭირდებოდა.

–რა თქვით ისეთი, რაც არ დავიმსახურე? მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ვერ შემიცანით, მაინც ჩემი საქციელი ნამდვილად იმსახურებდა უმკაცრეს გაკიცხვას. მიუტევებლად მოვიქეცი. თავი მეზიზღება, რომ ვიხსენებ.

–მოდით, იმ საღამოს ნუ გავიხსენებთ. კაცმა რომ თქვას, სწორად არც ერთი არ მოვიქეცი, მაგრამ, ვფიქრობ, მას მერე ორივე გამოვსწორდით.

–მე ჩემს თავს ასე იოლად ვერ შევურიგდები. რომ მახსენდება, მაშინ რაც ვთქვი და როგორც მოვიქეცი, გული მტკივა. თქვენ მაშინ სამართლიანად გამკიცხეთ: ასე მითხარით, კარგი იქნებოდა, უფრო ჯენტლმენურად რომ მოქცეულიყავითო. თქვენ არც კი იცით, რა ვიგრძენი მაშინ, როგორ დავიტანჯე. მერეღა, მოგვიანებით მივხვდი, რომ მართალი იყავით.

-არ მინდოდა, იმ სიტყვებს ასე ეტკინა გული თქვენთვის. რას ვიფიქრებდი, თუ ასე იქნებოდა.

-მჯერა, რომ ასე იყო. თქვენ სრულიად უგრძნობი გეგონეთ. თქვენი სახის გამომეტყველება არასოდეს დამავიწყდება, როცა მითხარით, მოვკვდები და თქვენს წინადადებას არ მივიღებო.

-ოჰ, ნუ გაიმეორებთ, რაც მაშინ ვთქვი. რაში გვარგია გახსენება. გარწმუნებთ, რაც ვთქვი, მერე ძალიან ვინანე.

დარსიმ თავისი წერილი ახსენა.

-იმ წერილმა მაინც თუ შეგიცვალათ ჩემზე წარმოდგენა? რა იფიქრეთ, წერილი რომ წაიკითხეთ?

ელიზაბეთმა აუხსნა, რომ წერილმა მასზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დარსიზე ცუდი წარმოდგენა თანდათან გაუქრა.

-ვიცოდი, რომ წერილი ტკივილს მოგაყენებდათ, მაგრამ აუცილებლად უნდა მომეწერა. იმედია, დახიეთ. წერილში იყო ერთი ადგილი, დასაწყისი, რომელსაც, ალბათ, განმეორებით წაიკითხავდით. ამის მეშინოდა, რადგან იქ იყო ისეთი ფრაზები, რისთვისაც სამართლიანად შეგძულდებოდათ.

-წერილს აუცილებლად დავწვავ, თუ ფიქრობთ, რომ ასე უმჯობესია. ორივეს გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩემი მოსაზრებები არც ისე შეუცვლელია, მაგრამ ასე იოლად მაინც არ იცვლებიან.

-იმ წერილს რომ ვწერდი, - უთხრა დარსიმ, - მეგონა, მშვიდად ვიყავი. მერე კი მივხვდი, რომ თურმე წერილი უკიდურესად აფორიაქებულსა და გაბრაზებულს დამიწერია.

-შესაძლოა, წერილის დასაწყისში ასეც იყო, მაგრამ ბოლოს მშვიდად მთავრდებოდა. გამომშვიდობება თავისთავად სიკეთეა, მაგრამ, მოდი, წერილზე ნულარ ვიფიქრებთ. მეც და თქვენც იმ წერილის მერე იმდენად შევიცვალეთ, რომ წერილის თანამდევნი უსიამოვნება უნდა დავივიწყოთ. სჯობს, ჩემს რჩევას ყური უგდოთ წარსულზე მხოლოდ მაშინ იფიქრეთ, როცა მისი გახსენება სიხარულს მოგვკრით.

-ეს თქვენი ფილოსოფია როდია. ეს უმაღლესი თქვენი გულუბრყვილობაა, ვიდრე ფილოსოფიური მიდგომა თუნდაც წარსულისადმი. თქვენი სიბრაზეც, ალბათ, სწორედ თქვენი გულუბრყვილობიდან გამომდინარეობდა. მე კი ასე არა ვარ. წარსულის მტკივნეული მოგონება ვერ განმიდევნია და, ალბათ, არც უნდა განვდევნო. მე ეგოისტი ვიყავი სულით კი არა, ქმედებით. ბავშვობაში მასწავლიდნენ, კარგი რა იყო, მაგრამ ის არ მასწავლეს, ხასიათი როგორ უნდა გამომესწორებინა. კეთილი სული შთამინერგეს, მაგრამ ამ კეთილ სულს სიამაყითა და ამპარტავნობით ვემსახურებოდი. საუბედუროდ, ერთადერთი ვაჟი ვარ და მშობლებმა გამათამამეს. კეთილი მშობლები მყავდა (განსაკუთრებით მამაჩემი სიკეთის განსახიერება იყო), მაგრამ სწორედ მათ გამხადეს ეგოისტი. მათ უნებურად ჩამინერგეს

გულგრილობა ყველას მიმართ, გარდა ჩემი ოჯახის წევრებისა. ჩემს ღირსებასთან შედარებით, მთელი ქვეყანა არარაობა მეგონა. ასეთი ვიყავი და მუდამ ასეთად დავრჩებოდი, რომ არა თქვენ, ჩემო უძვირფასესო ელიზაბეთ! მე თქვენი უსაშველოდ მადლიერი ვარ. თქვენ მე გაკვეთილი ჩამიტარეთ, მართალია, მწარე, მაგრამ აუცილებელი. თქვენ მე თავმდაბლობა მასწავლეთ. მაშინ, ხელი რომ გთხოვეთ, ეჭვი ოდნავადაც არ შემპარვია, რომ დამთანხმდებოდით. მაგრამ მწარედ შევცდი. თქვენ დამანახვეთ საკუთარი უსუსურობა, თქვენ მიმახვედრეთ, რომ მაშინ მე თქვენი ღირსი არ ვიყავი.

–მაშ, დარწმუნებული იყავით, რომ დაგთანხმდებოდით?

–რასაკვირველია, თქვენ კიდევ რა იცით, როგორი ამპარტავანი ვიყავი. მეგონა, ჩემი ყურადღების მოპოვებას ცდილობდით.

–ალბათ, ცუდად მოვიქეცი, მაგრამ გარწმუნებთ, განზრახ არ გამიკეთებია ასე. თქვენი მოტყუება არ მინდოდა. თუმცა, ზოგჯერ ჩემივე გულისთქმა მატყუებდა. იმ საღამოს მერე როგორ არ შეგძულდით?

–შემძულდით? თქვენ? შესაძლოა, პირველად გავზრახდი, მაგრამ მალე იმ სიბრაზემ სწორ გზაზე დამაყენა.

–მეშინია, გკითხოთ, რა იფიქრეთ ჩემზე მაშინ, ფემბერლიში რომ მნახეთ, აქ რამ მოიყვანაო?

–არა. უბრალოდ, სასიამოვნოდ გავოცდი.

–თქვენზე მეტად მე გავოცდი, რომ შემამჩნიეთ. სინდისმა მიკარნახა, რომ თქვენგან ასეთი ყურადღების ღირსი არ ვიყავი. უფრო მეტიც, მეგონა, იმას მივიღებდი, რასაც ვიმსახურებდი.

–მაშინ მიზნად მქონდა, თქვენთვის მეჩვენებინა, რომ სულმოკლე არა ვარ. წარსული რომ უმტკივნეულოდ გამხსენებოდა, მსურდა, გეპატიებინათ ჩემთვის და ჩემზე კარგი წარმოდგენა შეგქმნოდათ. მსურდა, დაგენახათ, რომ თქვენს კრიტიკას უკვალოდ არ ჩაუვლია. სხვაც ბევრი რამ მომინდა თქვენი ნახვის შემდეგ.

მერე დარსი მოჰყვა, როგორ გაუხარდა ჯორჯიანას ელიზაბეთის გაცნობა და როგორ ეწყინა, რომ უცებ გაემგზავრა. თურმე დარსიმ დაუყოვნებლივ გადაწყვიტა ელიზაბეთის დის მოძებნა. მისი მდუმარება მაშინ, ატირებული ელიზაბეთი რომ ნახა, იმას ნიშნავდა თურმე, რომ ეს მიზანი დაისახა. ელიზაბეთმა ისევ მადლობა უთხრა და ამის შესახებ აღარაფერი უთქვამთ. რამდენიმე მილი რომ გაიარეს, მერეღა მიხვდნენ, რომ შინ დაბრუნების დრო იყო.

–ღმერთო, ბინგლი და ჯეინი რა იქნენ?

მათ ხსენებაზე დარსიმ უთხრა, თუ როგორ გაუხარდა, მათი ნიშნობის ამბავი რომ გაიგო. თურმე ბინგლიმ ადრევე შეატყობინა.

–გაგიკვირდათ? – ჰკითხა ელიზაბეთმა.

–სულაც არა. ლონდონში რომ წავედი, ვიცოდი, რომ ეს მალე მოხდებოდა.

–ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბინგლის თქვენ მიეცით თანხმობა. თავიდანვე მივხვდი.

თუმცა, სიტყვა „თანხმობა“ დარსიმ იუარა და ელიზაბეთი მიხვდა, რომ სწორედ ასე იყო.

–ლონდონში წასვლის წინალამით მე ბინგლის გავანდე ის, რაც ადრე უნდა გამენდო. ვუთხარი, რომ არასწორად მოვიქეცი, ჯეინის შერთვაში ხელი რომ შევუშალე. ისიც ვუთხარი, მეგონა,ჯეინს არ უყვარდი-მეთქი. დიახ, მივხვდი, ბინგლის ისე უყვარდა ჯეინი, რომ მათ ერთად ყოფნას ხელს ვერავინ შეუშლიდა.

ელიზაბეთს გაეღიმა, თურმე რა იოლად მართავდა დარსი თავის მეგობარს.

–თქვენი დაკვირვების შედეგად უთხარით ასე თუ იმის მერე, რაც მე გითხარით?

–არა, მივხვდი, რომ ჯეინს ძალიან უყვარდა ბინგლი. ბოლო ორ მეჯლისზე თქვენს დას თვალს ვადევნებდი და დავრწმუნდი, რომ ასე იყო.

–და თქვენ რომ დარწმუნდით, ბინგლიმაც დაიჯერა.

–დიახ. ბინგლი ძალიან მორცხვი კაცია და ეს ბოჭავს, მაგრამ მე ძალიან მენდობა. ეწყინა, როცა ვუთხარი, ჯეინი ლონდონში იყო სამი თვე და მე დაგიმალემეთქი. ძალიან გაბრაზდა. მაგრამ ბრაზმა მალე გაუარა, როცა დარწმუნდა, რომ ჯეინს ისევ უყვარდა. ახლა უკვე მთელი გულით მაპატია.

ელიზაბეთს დარსისთვის უნდოდა, ეთქვა, ისე იოლად სამართავი მეგობარი გყოლია, მისი ღირსებაც არაფრად მიგაჩნდაო, მაგრამ თავი შეიკავა. დარსის უმისოდაც დასცინებენ იმის გამო, რაც გააკეთა. შინ ისე მივიდნენ, რომ საუბარი არ შეუწყვეტიათ.

თავი ორმოცდამეცხრამეტე

–ლიზი, ძვირფასო, ამდენ ხანს სად იყავი? – ჰკითხა ჯეინმა, როცა დები თავიანთ ოთახში შევიდნენ. ელიზაბეთმა უთხრა, დავხეტიალებდით, ვერც კი გავიგეთ, დრო როგორ გავიდაო და ეს რომ თქვა, გაწითლდა. თუმცა, ჯეინს არაფერი უეჭვია.

სადამომ ისე ჩაიარა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ბინგლი და ჯეინი ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. დარსი და ელიზაბეთი ჩუმად იყვნენ. დარსი ბედნიერი იყო, მაგრამ ვერ ამჟღავნებდა. ელიზაბეთის ბედნიერება მღელვარებამ და დაბნეულობამ გააფერმკრთალა; ოჯახი რომ შეიტყობს ახალ ამბავს, ნეტავ რა მოხდებო, ფიქრობდა. ჯეინის გარდა, დარსი არავის მოსწონდა. უფრო მეტიც, ოჯახის წევრებს დარსი იმდენად არ მოსწონდათ, რომ მის სიმდიდრეს არაფრად დაგიღვედნენ.

ღამით ელიზაბეთი დას გაენდო. ჯეინისთვის დაეჭვება უცხო იყო, მაგრამ ახლა ეს ამბავი ვერაფრით დაიჯერა.

-ხუმრობ, ლიზი, დარსიზე დაინიშნები? არა, ვერ მომატყუებ, შეუძლებელია

-მეგონა, დამიჯერებდი. შენ გარდა არავინ დამიჯერებს. სიმართლეს გეუბნები. დარსის ვუყვარვარ და ჩვენ დავინიშნეთ.

-ოჰ, ლიზი, შენ ხომ დარსი არ გიყვარს.

-შენ არ იცი. მე წარსული დავივიწყე. ასე არასოდეს მყვარებია, როგორც ახლა. ის, რაც იყო, დავიწყებას მივეცი.

ჯეინი გაოცდა.

-ღმერთო, მართლა ასეა? ძვირფასო ლიზი, გილოცავ. მომიტევე რომ გეკითხები, ლიზი, მაგრამ მასთან ბედნიერი იქნები?

-ძალიან ბედნიერი, ჯეინ. ეს უკვე გადაწყვეტილი საქმეა. მაგრამ, ჯეინ, შენ თუ მოგწონს დარსი?

-ძალიან მომწონს. ბინგლისაც გაუხარდება. თუმცა, ვამბობდით, ეს შეუძლებელია-მეთქი. გიყვარს, ლიზი? ოჰ, ლიზი, გთხოვ, უსიყვარულოდ არ გათხოვდე. დარწმუნებული ხარ, რომ სწორად იქცევი?

-დიახ. იმაზე მეტადაც, ვიდრე ოდესმე შეგიძლია წარმოიდგინო. ამას მიხვდები, როცა ყველაფერს გაიმბობ.

-რას გულისხმობ?

-ვადიარებ, რომ დარსი ბინგლიზე მეტად მიყვარს. გთხოვ, არ გამიბრაზდე.

-ჩემო ძვირფასო, რას ამბობ. ყველაფერი მითხარი, რაც არ ვიცი. რამდენი ხანია გიყვარს?

-უკვე იმდენი დრო გავიდა, რომ აღარც ვიცი, როდის შემიყვარდა. თუმცა, ვფიქრობ, ყველაფერი ფემბერლიში დაიწყო.

ელიზაბეთმა ყველაფერი უამბო დას. ჯეინი უკეთესის მოსმენას ვერც ინატრებდა.

-ახლა კი ძალიან ბედნიერი ვარ, ლიზი, - უთხრა ჯეინმა, - რადგან დავრწმუნდი, რომ მართლა ბედნიერი იქნები მასთან. მე ყოველთვის მომწონდა დარსი, ყოველთვის პატივს ვცემდი. რატომ აქამდე არაფერი მითხარი? თითქმის არ მოგიყოლია ჩემთვის რა მოხდა ფემბერლისა და ლემთონში. სხვებისგან გავიგე.

ელიზაბეთმა დას აუხსნა მიზეზი, თუ რატომ ინახავდა საიდუმლოს. ლიდიას ქორწინების საქმეში ბინგლიმაც შეიტანა წვლილი. ახლა კი დადგა დრო, როცა ელიზაბეთს შეეძლო ყველაფერი გაემჟღავნებინა. დებმა მთელი ღამე საუბარში გაატარეს.

-ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის ბენეტმა მეორე დღით, ფანჯარასთან რომ მივიდა, - ისევ ის ვაჟბატონი, მისტერ დარსი მოსულა ჩვენს ბინგლისთან ერთად! ნეტავ ასე რად

ირჯება, რომ ყოველდღე მოდის? ალბათ, დღესაც სანადიროდ წავლენ. თუ ასეა, კარგია, აღარ ვნახავთ. გული გაგვიწყალა. ლიზი, იქნებ ისევ შენ ელაპარაკო, რომ ბინგლი არ შეაწუხოს.

ელიზაბეთმა სიცილისგან თავი ძლივს შეიკავა, რადგან ხელსაყრელი დავალება მისცეს. თუმცა, ძალზე არ ესიამოვნა, დედამ ასეთი ეპითეტით რომ მოიხსენია დარსი. ბინგლი და დარსი რომ შემოვიდნენ, ბინგლიმ ჩვეულებრივზე თბილად ჩამოართვა ხელი ელიზაბეთს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დარსიმ მეგობარს სასიხარულო ამბავი აცნობა. ბინგლიმ გაიხუმრა:

–ჯეინ, ისეთი ლაბირინთი ხომ არ გაქვთ, სადაც ლიზის დღესაც გზა აებნევა?

–წინადადება შემომაქვს, – ჩაერთო მისის ბენეტი, – რომ მისტერ დარსი, ლიზი და ქითი ერთად წავიდნენ სასეირნოდ და ოუკჰემმაუნთი ნახონ. გრძელი გზაა, მაგრამ მისტერ დარსი უმშვენიერესი სანახაობით დატკბება.

–ვგონებ, ქითი ძალიან დაიღლება, არა, ქითი? – ჰკითხა ბინგლიმ.

ქითიმ აღიარა, შინ დარჩენა მსურსო. დარსიმ კი სურვილი გამოთქვა, მართლაც ძალიან მინდა იმ მშვენიერი ადგილის დათვალიერებაო. ელიზაბეთი თავის ოთახში ავიდა, რომ წასასვლელად მომზადებულიყო. მისის ბენეტმა კიბეზევე დაადევნა სიტყვა:

–ოჰ, ლიზი, ვწუხვარ, რომ შენ გიწევს იმ უსიამოვნო კაცთან ყოფნა, მაგრამ ამას ხომ ჯეინისთვის აკეთებ. ძალიან ნუ გადაიღლები დარსისთან საუბრით.

ლიზიმ და დარსიმ გადაწყვიტეს, რომ დარსი ამ საღამოსვე მივიდოდა მისტერ ბენეტთან ქორწინებაზე თანხმობის სათხოვნელად, ხოლო დედას თავად ლიზი ეტყოდა. ვერ წარმოიდგინა, მისის ბენეტი როგორ აღიქვამდა ამ ამბავს. ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობდა, დედა ისე ვერ იტანს დარსის, რომ მის საარაკო სიმდიდრესა და სახელსაც არაფრად დაგიდევსო. როგორც უნდა მიეღო ეს ამბავი მისის ბენეტს, ლიზიმ წინასწარ იცოდა, რომ დედამისის საქციელი არავის მოეწონებოდა.

საღამოს, როცა მისტერ ბენეტმა ბიბლიოთეკაში გასვლა დააპირა, დარსიც უკან გაჰყვა. ელიზაბეთი აღელდა. მამა დასტურს მისცემდა დარსის, თუმცა, ეს გააბედნიერებდა თუ არა, არავინ იცოდა. ელიზაბეთს არ სურდა, მამისთვის ტკივილი მიეყენებინა. მაგრამ დარსი რომ ოთახში შემოებრუნდა, იღიმებოდა და ელიზაბეთმა შვეებით ამოისუნთქა. ცოტა ხნის შემდეგ დარსი ელიზაბეთთან მივიდა და ჩურჩულით უთხრა:

–მამასთან წადით, ბიბლიოთეკაში გიხმობთ.

ელიზაბეთი დაუყოვნებლივ წავიდა.

მისტერ ბენეტი ოთახში ბოლთას სცემდა და აღელვებული ჩანდა.

–ლიზი, რას აკეთებ, ჰკუა სულ დაკარგე? შენ ხომ გძულს ეს კაცი!

ო, როგორ სურდა ახლა ელიზაბეთს, რომ მამას ყველაფერი სცოდნოდა და ასე არ ელაპარაკა! ახლა კი ყველაფერი უნდა აეხსნა მისთვის და მამას უთხრა, დარსი მიყვარსო.

-თუ გადაწყვიტე, რომ გიყვარდეს, - უთხრა მისტერ ბენეტმა, - ის მართლა ძალიან მდიდარია, ბინგლიზე მდიდარიც და არაფერი მოგაკლდება, მაგრამ, შვილო, ბედნიერი იქნები მასთან?

-სხვა მიზეზი გაქვთ, მამა, გარდა იმისა, რომ ჩემს გრძნობაში ეჭვი გეპარებათ?

-არა, სხვა მიზეზი არა მაქვს. მართალია, დარსის ამპარტავან კაცად იცნობენ, მაგრამ ამას არა უშავს, შენ თუ გიყვარს.

-მიყვარს, მამა, მიყვარს, - ელიზაბეთს თვალზე ცრემლი მოადგა, - ის სულაც არ არის ამპარტავანი. უსაშველოდ კეთილია, მამა, თქვენ მას არ იცნობთ. გთხოვთ, ასეთ რამეს ნუ იტყვით მასზე, ეს მე ტკივილს მაყენებს.

-ლიზი, მე მისტერ დარსის თანხმობა მივეცი. ახლა შენც გაძღვე, შვილო, თუკი მართლა ასე გიყვარს. მაგრამ გირჩევ, კიდევ დაფიქრდი. ლიზი, მე გიცნობ, შენ ვერ იქნები ბედნიერი, თუ ქმარი არ გეყვარება. შენს სიცოცხლისმოყვარეობასა და გონებამახვილობას საფრთხე დაემუქრება, თუ ქმარს ქვემოდან დაუწყებ ყურებას, როგორც შენს ბატონს. თუ თანასწორი არ იქნები მასთან, ამით შენი ღირსება შეილახება, ლიზი, და გაუბედურდები. შვილო, ის სიცოცხლის ბოლომდე იქნება შენი მეუღლე და ცოდვაში ფეხს ნუ ჩადგამ, თუ ჯეროვნად ვერ შეძლებ მის პატივისცემასა და დაფასებას.

ელიზაბეთმა მამა დაარწმუნა, რომ სწორედ მისტერ დარსი აირჩია ცხოვრების თანამგზავრად და უამბო, თუ როგორ შეუყვარდა. პირველად არასწორად ფიქრობდა დარსიზე და შემდეგ როგორ დარწმუნდა, რომ დარსისაც ერთ დღეში არ შეეყვარებია. დიდი დრო გავიდა, სანამ ერთმანეთი გამოცადეს. ელიზაბეთმა დარსის მრავალი ძვირფასი თვისება ჩამოთვალა. ასე რომ, მამა საბოლოოდ დაარწმუნა და კეთილად განაწყობ თავისი ქორწინებისადმი.

-კარგი, ძვირფასო, - უთხრა მისტერ ბენეტმა, - სათქმელი აღარაფერი მაქვს. თუ ასეა, მაშინ დარსი მართლაც შენი ღირსი ყოფილა. მე არ მოგცემდი უფლებას, რომ უღირსთან გექორწინა.

ელიზაბეთმა ისიც უამბო მამას, თუ რა გმირობა ჩაიდინა დარსიმ ლიდისა გადასარჩენად. მისტერ ბენეტი გაოცებული უსმენდა.

-საოცარი სადამოა! - თქვა მისტერ ბენეტმა, - მაშ, დარსიმ გააკეთა ყველაფერი? მოაწყობ ქორწინება, მისცა ფული, ვალი გადაუხადა ვიკჰემს და სამსახურიც დააწყებინა! შესანიშნავია! მე ახლა არავის მოვალე არა ვარ. ეს რომ ბიძაშენს გაეკეთებინა, აუცილებლად გადავუხდიდი, მაგრამ ამ შეყვარებულ ყმაწვილებს ყველაფერი თავის ჭკუაზე მიჰყავთ. ხვალვე შევთავაზებ დარსის ფულს, მაგრამ ვიცი, ეს რითაც დამთავრდება.

მისტერ ბენეტმა ქოლინზის წერილი გაიხსენა და ბევრი იცინა. შემდეგ ელიზაბეთს წასვლის ნება დართო და უთხრა:

-ლიზი, თუ ვინმე ყმაწვილი კიდეც მოვა მერის ან ქითის ხელის სათხოვნელად, დაუყოვნებლივ ჩემთან გამოუშვი. შესანიშნავ ხასიათზე ვარ.

ელიზაბეთი თითქოს მძიმე ტვირთისგან გათავისუფლდა. ნახევარი საათი თავის ოთახში დაჰყო და მერე კვლავ სხვებს შეუერთდა. საღამომ მშვიდად ჩაიარა. საშიში აღარაფერი იყო.

ღამით, როცა მისის ბენეტი თავის ოთახში შევიდა, ელიზაბეთიც შეჰყვა და ყველაფერი უამბო. ჯერ მისის ბენეტი მშვიდად იჯდა და უსმენდა, რადგან დიდხანს ვერ მიხვდა ნათქვამის შინაარსს. ბოლოს გონს მოეგო, მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ყოველივე მისი ოჯახისათვის და მოსვენება დაკარგა: ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა და ღმერთს მადლობდა.

-ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! მისტერ დარსი! ვინ იფიქრებდა! მართლა ასეა? ო, ჩემო ტკბილო ლიზი! იცი, რა მდიდარი და სახელოვანი იქნები! რა ძვირფასეულობა გექნება, რამდენი ფული! რა ძვირფასი ეტლები მოგემსახურება! ჯეინზე მდიდარი იქნები! ო, რა ბედნიერი ვარ, რა კარგი კაცია! რა სიმპათიური! რა მაღალი! ო, ლიზი, ძვირფასო, გთხოვ, ბოდიში მოუხადე მისტერ დარსის, რომ არ მომწონდა. იმედია, გამიგებს. ძვირფასო, ლონდონში სახლი გექნება, ყველაფერი საუკეთესო გექნება! სამი გათხოვილი ქალიშვილი!.. ათი ათასი წელიწადში! ო, ღმერთო! რა მემართება, მგონი, ვგიჟდები!

ელიზაბეთს გაუხარდა, რომ დედის სიტყვები მის გარდა არავის გაუგონია და თავის ოთახში შევიდა. თუმცა, სამი წუთიც არ გასულა, რომ მისის ბენეტი შემოვიდა მასთან და თავი ისევ ვერ დაიოკა:

-ჩემო ძვირფასო შვილო, ამის გარდა ვერაფერზე ვფიქრობ. წელიწადში ათას გირვანქაზე მეტი. ღმერთო! საყვარელო, მითხარი, მისტერ დარსის რა კერძები უყვარს, რომ ხვალ მოვამზადებინო.

მის ბენეტის ამგვარი ლაპარაკი კარგს არაფერს მოასწავებდა სასიძოსთან მომავალ ურთიერთობაში. მაგრამ ელიზაბეთის საბედნიეროდ მეორე დღემ შესანიშნავად ჩაიარა, რადგან ახალი ამბით გაოგნებულ მისის ბენეტს ხმა არ ამოუღია, გარდა იმისა, როცა რაიმე ნუგბარს სთავაზობდა მომავალ სიძეს ან მის აზრს ეთანხმებოდა. ელიზაბეთმა შენიშნა, თუ როგორ ცდილობდა მისტერ ბენეტი უკეთ გაეცნო დარსი.

-სამივე სიძე მიყვარს, - უთხრა ელიზაბეთს მისტერ ბენეტმა, - მაგრამ, ალბათ, ვიკჰემი ჩემი ფავორიტია. თუმცა, შენს მეუღლესაც მალე ისევე შევიყვარებ, როგორც ჯეინის მეუღლე მიყვარს.

თავი მესამოცე

ელიზაბეთი ისე გამხიარულდა, რომ დარსის ჰკითხა, პირველად როდის შეგიყვარდითო.

– როგორ დაიწყო ყველაფერი? – ჰკითხა ელიზაბეთმა, – როგორც გაგრძელდა ვიცი, მაგრამ პირველად რა იყო?

– არ მახსენდება, პირველად რამ მომხიბლა: თქვენმა სიტყვებმა, გამოხედვამ თუ სხვა რამემ, რადგან უკვე ძალიან დიდი ხანია, რაც მიყვარხართ.

– ჩემი სილამაზე ადრევე დაიწუნეთ, ჩემი მანერების შესახებაც, ალბათ, კარგი წარმოდგენა არ გექნებოდათ, რადგან ყოველთვის, როცა რამეს გეტყოდით, ტკივილს გაყენებდით. ახლა გულახდილად მითხარით, სითამამისთვის შემეყვარეთ?

– იმისთვის, რომ მახვილი გონება გაქვთ.

– შეგეძლოთ თავხედობადაც მოგენათლათ ჩემი ქცევა. ცხადია, თავი მოგაბეზრათ ადამიანთა პირფერობამ და ლაქიაობამ. თქვენ გეზიზღებოდათ ქალები, რომლებიც ყველაფერში გეთანხმებოდნენ. მე თქვენში ინტერესი გავადვივე, რადგან იმ ქალებს არ ვგავდი. თქვენ რომ მართლა სულგრძელი არ ყოფილიყავით, უცილობლად შემეძულებდით. მაგრამ მოყენებული ტკივილის მიუხედავად, ყოველთვის სამართლიანი და დიდბუნებოვანი იყავით. გულში ისინი გეჯავრებოდათ, ვინც მონდომებით გეპირფერებოდნენ. აი, თქვენ მაგივრად მე აგიხსენით, რა როგორ იყო და ვფიქრობ, ყველაფერი კეთილგონივრულად მოხდა. კაცმა რომ თქვას, წესიერად არც მიცნობდით, მაგრამ სიყვარული ხომ ბრმაა. თქვენ ჩემი კარგი თვისებების შესახებ არაფერი იცოდით.

– როგორ არ ვიცოდი. მაშ, ის რა თვისება იყო, როცა ჯეინის სანახავად ფეხით მოხვედით ნეზერფილდში.

– ჯეინისთვის ვინ არ მოიქცეოდა ასე! თუმცა, თქვენ გსურთ ამ საქციელში ჩემი ღირსება ეძებოთ და რაც შეიძლება გააზვიადოთ. ეს თქვენი ვალია. ჩემი ვალია ხშირად გაგაბრაზოთ და გეკამათოთ. აი, ახლავე დავიწყებ და გკითხავთ: რატომ იყავით ასე მორცხვი, რატომ ადრევე არ მითხარით, რომ ასე გიყვარდით? აქ რომ მოდიოდით, ისეთი სახე გქონდათ, თითქოს არავითარი გრძნობა არ გაგაჩნდათ.

– მე თქვენ გამო ვიყავი ასე. თქვენ დუმდით და მეც ვერაფრის თქმას ვერ ვბედავდი.

– მე ხომ მერიდებოდა.

– მეც მერიდებოდა.

– სადილზე რომ გვეწვიეთ, შეგეძლოთ მეტი გესაუბრათ ჩემთან.

– არა, მეტ საუბარს მაშინ შევძლებდი, ნაკლები გრძნობა რომ მქონოდა.

–ნეტავ რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ასე? მე რომ არ მეკითხა, თქვენ როდის მეტყოდით სიმართლეს? მე რომ მადლობა გადაგიხადეთ ლიდიას გამო, ამან გამბედაობა შეგმატათ. არადა, შემედლო არც მეკითხა და მერე, წარმოიდგინეთ, როგორ ვინანებდით!

–თავს ნუ იტანჯავთ. თქვენს მორალურ პრინციპებს არაფერი ემუქრება. ლედი ქეთრინის გაუმართლებელმა მცდელობამ, ჩვენ დავეშორებინეთ, მხნეობა შემმატა და მერე უკვე აღარ ვორჭოფობდი. ასე რომ, თქვენს მადლობას არ უმოქმედია ჩემზე. თქვენ რომ არაფერი გეთქვათ, მე გეტყოდით, რადგან დეიდაჩემის ნათქვამმა იმედი ჩამისახა, რომ ისევ გიყვარდით.

–ლედი ქეთრინმა კარგი საქმე გაგვიკეთა, ძალიან გამოგვადგა და ეს უნდა გახარებოდა. მას ხომ უყვარს, როცა ვინმეს ეხმარება. მითხარით, ნეზერფილდში რისთვის დაბრუნდით?

–იმისთვის, რომ თქვენ მენახეთ და დავრწმუნებულიყავი, თავს ოდესმე შეგაყვარებდით თუ არა. ასევე მსურდა შემეტყო, ჯეინს ისევ უყვარდა თუ არა ბინგლი. თუ უყვარდა, მაშინ ბინგლისთვის ის მეთქვა, რაც უკვე ვუთხარი.

–გაბედავთ და ლედი ქეთრინს შეატყობინებთ, რაც ელოდება?

–აუცილებლად, ელიზაბეთ, და თუ ფურცელს მომცემთ, ამას ახლავე ვიზამ.

–მეც მივწერ წერილს ბიცოლაჩემს. მაგრამ წერილი რომ არ მქონდეს დასაწერი, მაშინ თქვენ მიერ გამოყვანილ ლამაზ, თანაბარ ასოებს თვალს ვადევნებდი, როგორც ერთხელ ერთი ქალიშვილი მოიქცა ასე.

ელიზაბეთმა წერილი მისწერა ბიძას და ბიცოლას, რომლებმაც ჯერ არაფერი იცოდნენ მისი ბედნიერების შესახებ. წერილში ეწერა:

„ძვირფასო ბიცოლა, დიდი ხანია უნდა მომეწერა თქვენთვის და მადლობა გადაგიხადა იმ წერილისთვის, რომელშიც ყველაფერი დეტალურად შემატყობინეთ. მაშინ არ მოგწერეთ, რადგან თქვენ იმაზე მეტი გეგონათ, ვიდრე სინამდვილეში იყო, ახლა კი, რაც გნებავთ, ის იფიქრეთ. თქვენს წარმოსახვას სრული თავისუფლება მიეცით. დიახ, არ შეცდებით, თუ უკვე გათხოვილ ქალად ჩამთვლით. შეგიძლიათ მომწეროთ და წერილში უფრო მეტად აქოთ დარსი, ვიდრე მაშინ. მადლობას გიხდით, რომ მაშინ ტბებზე არ წავედით. რა სულელი ვიყავი, ამას რომ ვნატრობდი! კონებშებმული ეტლის თქვენეული იდეა შესანიშნავია. პარკში ყოველდღე ვისეირნებთ. ქვეყნად ჩემზე ბედნიერი არავინაა! ჯეინზე ბედნიერი ვარ. ის ილიმის, მე კი ვიცინი. მისტერ დარსი დიდ სიყვარულს გიგზავნით. შობას ფემბერლიში გელოდებით“.

მისტერ დარსის წერილი ლედი ქეთრინისადმი განსხვავებული იყო. და მაინც, ყველაზე განსხვავებული წერილი მისტერ ბენეტმა მისწერა მისტერ ქოლინზს:

„ძვირფასო ბატონო,

მოლოცვისთვის კიდევ ერთხელ უნდა შეგაწუხოთ. ელიზაბეთი სულ მალე მისტერ დარსის მეუღლე გახდება. ლედი ქეთრინი დააწყნარეთ. ისე, მე რომ თქვენს ადგილზე ვიყო, დისშვილის მხარეს დავდგებოდი. დარსის უფრო მეტს გამორჩებოდი!

გულწრფელად

მისტერ ბენეტი“.

მის ბინგლიმ ძმას მისწერა და მიულოცა მომავალი ქორწინება. თუმცა, რასაკვირველია, წერილი გულწრფელობას იყო მოკლებული. ჯეინსაც მიულოცა, ძალიან მიხარიაო. ჯეინი არ მოტყუვდა, თუმცა, მაინც ესიამოვნა ყურადღება. უფრო თბილი პასუხი მისწერა, ვიდრე მის ბინგლი იმსახურებდა. მის დარსი ძმასავით გულწრფელი აღმოჩნდა წერილში ვედარ დაატია სიხარული და ნატვრა, რომ ელიზაბეთს ჰყვარებოდა. მალე შეიტყვეს, რომ ლუკასების მამულს ქოლინზები ეწვივნენ. ამ უცაბედი გამომგზავრების მიზეზიც მალე გაირკვა. თურმე ლედი ქეთრინი ისე გააცოფა დისწულის წერილმა, რომ შარლოტა მეხისტეხას გამოერიდა მანამ, სანამ ქარიშხალი არ გადაივლიდა. ელიზაბეთი შარლოტას ჩამოსვლამ გაახარა. შარლოტა სირცხვილით იწვოდა, როცა მისი ქმარი თავს აბეზრებდა მისტერ დარსის თავისი უაზრო და უთავბოლო თავაზიანობით. მისტერ დარსი ამას მშვიდად და მოთმინებით იტანდა. დარსი თვით სერ უილიამ ლუკასსაც უსმენდა, როცა ეს უკანასკნელი სენტჯეიმზში მომავალ შეხვედრაზე ესაუბრებოდა. მხოლოდ მაშინ იჩეჩდა მხრებს, როცა სერ უილიამი თვალს მიეფარებოდა.

დარსის მისის ფილიპსმაც გული გაუწყალა. ჯერ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა თავის დასავით, მისის ბენეტივით, და თუ რამეს იტყოდა, აუცილებლად ვულგარული სისულელე უნდა წამოეროშა. ელიზაბეთი რაც შეეძლო იცავდა დარსის ამ აბეზარი ხალხისაგან და ცდილობდა, ოჯახის ის წევრები შეეკრიბა მის ირგვლივ, ვინც დარსის არ დატანჯავდნენ. ამ უსიამოვნებათა მიუხედავად, ელიზაბეთი სიხარულით ელოდა იმ დროს, როცა ის და დარსი ფემბერლიში მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას შეუდგებოდნენ.

თავი სამოცდამეერთე

მისის ბენეტი ბედნიერი იყო, რომ უფროსი ქალიშვილები ღირსეულად გაათხოვა და თუ როგორ ამაცობდა ორივეს ოჯახში სტუმრობით, ადვილი წარმოსადგენია. მისის ბენეტი ოჯახის საბედნიეროდ უფრო მეგობრული და თბილი გახდა. თუმცა, ახირებული გამოხდომები და სისულელე მაინც ვერ მოიშალა.

მისტერ ბენეტს ისე ძალიან ენატრებოდა ელიზაბეთი, რომ ფემბერლის საკმაოდ ხშირად სტუმრობდა.

მისტერ ბინგლი და ჯეინი ნეზერფილდიდან ერთი წლის შემდეგ გადავიდნენ. ბინგლიმ დერბიშირთან ახლოს მამული იყიდა და ახლა ჯეინსა და ელიზაბეთს მხოლოდ ოცდაათი მილი აშორებდათ ერთმანეთისგან.

ქითი დიდ დროს ატარებდა უფროსი დების ოჯახებში და ამან ის ნაყოფი გამოიღო, რომ უფრო დაჭკვიანდა. ახლა ლიდისავით ახირებული აღარ იყო. მართალია, მისის ვიკჰემიც ხშირად ეპატიჟებოდა და ყმაწვილების გაცნობას ჰპირდებოდა, მაგრამ მისტერ ბენეტი ლიდისათან ქითის სტუმრობის სასტიკი წინააღმდეგი იყო.

მერი უმეტესად შინ იჯდა და ქითივით საკუთარი თავის დასახვეწად აღარ ეცალა, რადგან მისის ბენეტს მარტო ყოფნა არ შეეძლო. თუმცა, მაინც ახერხებდა საზოგადოებაში გასვლას. თავისი მორალისტური შეხედულებები არა და არ მოიშალა. ახლა, როცა აღარ ადარებდა თავის სილამაზეს დების მშვენიერებას, მისტერ ბენეტი მიხვდა, რომ მერიშიც სასიკეთო ცვლილება მოხდა.

ვიკჰემი და ლიდია არ შეცვლილან. ვიკჰემი შიშობდა, რომ ახლა ელიზაბეთი ყველაფერს შეიტყობდა მისი უმსგავსობისა და უმადურების შესახებ და მიუხედავად ამისა, მაინც იმედოვნებდა, რომ დარსი გაამდიდრებდა. ელიზაბეთმა ლიდისგან მილოცვის წერილი მიიღო და სწორედ ამ წერილში ახსენა ლიდიამ, რაც მას და ვიკჰემს სურდათ:

„ძვირფასო ლიზი!

ბედნიერებას გისურვებ. თუ ისე ძალიან გიყვარს დარსი, როგორც მე ვიკჰემი, მაშინ მართლა ბედნიერი ყოფილხარ. რა კარგია, ასეთი მდიდარი რომ ხარ. ხანდახან გაგვიხსენე ხოლმე. ნუ დაგვივიწყებ. იქნებ ვიკჰემი მიაღებინოთ სასახლეში. ჩვენ ხომ ფული არა გვაქვს და დაუხმარებლად ვერ ვიცხოვრებთ. ნებისმიერ ადგილზე დავესახლებით და წელიწადში ასე სამიოთხი ათასიც გვეყოფა. მისტერ დარსის ნუ ეტყვი, თუ ჯერ არ გითქვამს“.

ელიზაბეთს არც დარსისთვის უთქვამს და უფრო მეტიც, პასუხი მისწერა ლიდიას, სადაც წერტილი დაუსვა მათ მოლოდინს. ელიზაბეთმა თავიდანვე გადაწყვიტა, ყაირათიანი დიასახლისი ყოფილიყო. ასე რომ, ასეთ „იმედიან“ წერილებს არ აკლებდა ლიდიას. აშკარა იყო, რომ ლიდისა და ვიკჰემს, მგლანგველი ბუნების გამო, შემოსავალი არ ჰყოფნიდათ. ისინი მუდმივად დახმარებას საჭიროებდნენ და ხან ჯეინს მიმართავდნენ თხოვნით და ხან ელიზაბეთს. ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელს და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ უფრო იაფი ბინის მოსაძებნად. მალე ვიკჰემის სიყვარული ლიდიას მიმართ გულგრილობაში გადაიზარდა. ლიდიას სიყვარულმა კი ცოტა მეტხანს გასტანა.

დარსის არასოდეს მოუწვევია ვიკჰემი ფემბერლიში, თუმცა, ელიზაბეთის ხატორით პროფესიული წარმატების მიღწევაში დაეხმარა. ლიდია იშვიათად სტუმრობდა ფემბერლის და თანაც მაშინ, როცა მისი ქმარი ლონდონში ან ბათში მიდიოდა გასართობად. ბინგლისთან კი იმდენად ხშირად რჩებოდნენ, რომ ბინგლის მოთმინებაც ამოიწურა და მიახვედრა, რომ წასულიყვნენ.

მის ბინგლის დარსის ქორწინება ეწყინა, მაგრამ მაინც გონს მოეგო და არჩია, ფემბერლის ბინადრებთან კეთილი ურთიერთობა შეენარჩუნებინა. ჯორჯიანა უწინდელზე მეტად შეიყვარა. დარსის ისევ ისეთივე პატივს სცემდა, როგორსაც ადრე, ხოლო ელიზაბეთთან უზომოდ თავაზიანი იყო. ახლა ჯორჯიანაც ფემბერლიში ცხოვრობდა და მასა და ელიზაბეთს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ დარსი უკეთესს ვერც ინატრებდა. ჯორჯიანას ელიზაბეთი უჭკვიანეს ქალად მიაჩნდა და ხშირად ეკითხებოდა რჩევას. პირველად გაოცდა, როცა ნახა, თუ როგორ ცოცხლად ესაუბრებოდა ელიზაბეთი მის ძმას. ჯორჯიანამ ამით დიდი გამოცდილება შეიძინა, მიხვდა, რომ ქალს შეუძლია ძალზე თავისუფლად ელაპარაკოს ქმარს. ის ხომ ათი წლით უფროს ძმასთან ყოველთვის მორიდებული იყო.

ლედი ქეთრინი უკიდურესად აღაშფოთა დისწულის ქორწინებამ. საპასუხო წერილში მეტისმეტად უშვერი სიტყვებით მოიხსენია ელიზაბეთი და დარსი. ამიტომ მათ შორის ურთიერთობა გაწყდა. მაგრამ მერე, ისევ ელიზაბეთის ძალისხმევით, დარსიმ დეიდას შერიგების ხელი გაუწვდინა. საბოლოოდ ლედი ქეთრინი გატყდა, იკადრა და ფემბერლის ეწვია, ერთი მხრივ, დისწულის სიყვარულის ხათრით და მეორე მხრივ, აინტერესებდა, ფემბერლის დიასახლისს თავი როგორ ეჭირა; ეწვია, მიუხედავად იმისა, რომ „ფემბერლის ტყეები შებილწა“ არა მარტო ასეთმა დიასახლისმა, არამედ მისმა ბიძამ და ბიცოლამ, რომლებიც არცთუ იშვიათად სტუმრობდნენ ელიზაბეთს.

დარსისა და ელიზაბეთს განსაკუთრებით გარდინერები უყვარდათ და ყველაზე ახლოს მათთან იყვნენ. დიდად ემადლიერებოდნენ იმის გამო, რომ მაშინ ელიზაბეთი დერბიშირში წაიყვანეს და უნებურად მისი და დარსის ბედნიერების მიზეზი შეიქნენ.